# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 4 (354) ◆ 28 იანვარი – 3 თებერვალი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## თუ ასე გაგრძელდა, 10 წელიწადში გვეყოლება

## „თალიბების“ ქართული თაობა



...როდესაც პრეზიდენტი აცხადებს, რომ უნდა ავიღოთ ახალ-ახალი ვალები, რომელსაც მაინც გვაპატიებენ და ჩამოგვაწერენო, უნდა გვესმოდეს, რომ ვერც ერთი ქვეყანა, რომელსაც ვალები აპატიეს, ველარ დადგა ფეხზე. ქვეყნისთვის ვალის პატიება იგივეა, ადამიანი უსახლკაროთა თავშესაფარში რომ შეაგდო, საიდანაც უკან დაბრუნების გზა აღარ არსებობს.

...პირადად რომ არ მენახა, როგორ აშკარად ლობირებდა შევარდნაძე იმ პროექტებს, რომლითაც ამ კონკრეტულ „გათახსირებულებს“ უნდა ეკეთებინათ ფული, შეიძლება დამეჯერებინა კიდეც მისი გულწრფელობა.

გვ.3

## რუსთაველების ჯართად გაყიდული იმედი?..



თუ ახლაც არაფერი გამოვიდა, ქარხანა ლიკვიდირებული იქნება — ჯართად გაყიდიან. რეალიზაციიდან აღებულ თანხას კი მოვალეები წაიღებენ.

***გიორგი გაჩეჩილაძე***

დღეს საგარანტიო თამასუქები დასაფარია, მაგრამ „თბილკრედიტბანკი“ უკვე გაკოტრებულია. მას ფული აღარ აქვს, თუმცა აქვს ბანკის შენობა, რომლის „ჩუქუროვასათვის“ გადაცემას სულაც არ აპირებენ ახვლედიანები. ჩემი ინფორმაციით, შედგა პრეზიდენტის საოჯახო საბჭო, რომელზეც გადაწყდა, „თბილკრედიტბანკის“ შენობის ნაცვლად, „ჩუქუროვას“ მეტალურგიული კომბინატი ვაჩუქოთ... გადასცენ.

გვ.7

***გივი თარგამაძე***

## დედაქალაქი ახალმა ვანდალურმა „ეპიდემიამ“ მოიცვა...



**ერთ ღამეში ჩუღურეთის რაიონში 300-მდე მრიცხველი გამოშიგნეს და ავტომატები ამოაცალეს.**

ვანდალიზმის გამოვლინების ეს სახე ახლა იკიდებს ფეხს, აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, მსგავსმა ორგანიზებულმა ჯგუფებმა მთელ დედაქალაქს ერთიანად დაუარონ და შედეგიც ათმაგად უფრო სავალალო მივიღოთ.

*„მთელი დეკემბერ-იანვრის ნამუშევარი წყალში ჩაგვიყარეს. ამ რაიონის გამრიცხველიანებას ორი თვე დასჭირდა. ვერ გეტყვით ვინ არიან — ალბათ, ისინი, ვისაც თბილისი და თავისი ხალხი არ უყვართ“.*

რომ დაგვენახა, ვინ გააკეთა ეს, ცოცხლებს ნამდვილად არ გავუშვებდითო, — დაიქადნეს მამაკაცებმა.

გვ.5

## „კახეთის პურში“ მილიონი აორთქლდა



„თქვენ გაინტერესებთ, ვინ ჩაიჯიბა ათეულათასობით ლარი და ალბათ, ფიქრობთ, რომ „კახეთის პურის“ ხელმძღვანელობა აშენდა და ფუფუნებით ცხოვრობს მოპარული ფულით. არა, ბატონო... ტენდერში რომ გაგემარჯვა, მისაღები ხორბლის ღირებულების 20% კომისიის წევრებისთვის უნდა გეფეშქაშა. ყველამ თავისი წილი მოითხოვა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, საქართველოში არავინ არაფერს მოგცემს, თუ წილში არ გაიყვანე. გამგებელსაც თავისი უნდა და ათას ჩინოვნიკსაც... ყველა ხელში მოგჩერებია.“

გვ.6

## ახმეტელები უშიშროებას მთვრალი ჩეჩნების დაპატიმრებას სთხოვდნენ

გვ.5

## *სამხედრო თემაზე:*

## აქციების ქვეყანა მაქციების ხელში

საზოგადოება შეიძლება არცთუ ისე უსაფუძვლოდ ეჭვობს, რომ აქციების „ჩუმი“ ორგანიზატორები, როგორც პანკისის ხეობასთან, ისე ენგურის ხიდთან, თავად ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არიან.

გვ.8

## ბაია დვალიშვილი: „რატომ უნდა ვყოფილიყავი მარინე თბილელის შვილი ასეთი, არ ვიცი“

გვ.16



...დედასთან შედარებით ყოველთვის ფერმკრთალი ვიყავი. დედას ცნობდნენ, ყველა ელაპარაკებოდა, ყველას უხაროდა... მე კი მოწყენილი ვიდექი და ველოდი.

...იღბლიანები გამოდგნენ ეს თოჯინები. მათ გადაგვარჩინეს. მერე გამოფენებზეც „გვყავდა“, ზოგიერთი უცხოეთშიც „გავათხოვეთ“...



## ჩვენი თანამოქალაქე...

## მკვლელი მძღოლები



რომელ სინანულზეა ლაპარაკი, როდესაც კატასტროფის შემდეგ მომაკვდავი კაცის ქუჩაში მიტოვება და გაქცევა მოღალ იქცა, მოხერხებულობისა და ჩაუქობის გამოვლინებად...

გვ.6,23

## ვერსია

გვ.10

## „დობრო პოჟალოვატ, ანუ ვიეზდ ზაპრეშჩიონ!“

ინაური დიდი სიჩქარით მიქროდა, რაც ბუნებრივია, ხელს აძლევდა ბრეჟნევის პირად დაცვასაც, რადგან ამ დროს ნაკლებია მანქანაზე დამიზნებისა და მოხვედრის შანსი. სამაგიეროდ, იზრდებოდა ავარიის ალბათობა, რაზეც პასუხს ავტოინსპექცია აგებდა. ახლაც ყურში ჩამესმის ინაურის მჭახე — „ბისტრეი“ და იქვე თუშურაშვილის „ტიხო“, — თუმცა, ეს „ტიხოც“ — ასოც-ასორმოც კილომეტრს ნიშნავდა ქალაქის პირობებში. რა უნდა გვექნა, მართალია, საპატრულო მანქანით მივდიოდით, მაგრამ კოლონის უშუალოდ იმ ზოლზე გადასწრებას, რომელსაც კორტეჟი მიჰყვებოდა, შესაძლო იყო დაცვისაგან ჩვენი მისამართით სროლაც მოჰყოლოდა.

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## რეკომენდაცია და არა — განცხადება(!)

საქართველოში დიდი პროტესტი და ხმაური მოჰყვა გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადებას, სადაც მან მოითხოვა კოდორის ხეობიდან ქართული ჯარის გაყვანა და რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის ვადის გაგრძელება. გაეროში საქართველოს ელჩი პეტრე ჩხეიძე კი ირწმუნება, ანანის განცხადება საქართველოს მთავრობას არაფერს ავალდებულებს, მხოლოდ რეკომენდაციააო. მდინარე ენგურთან კი გრძელდება საპროტესტო აქცია. „რუსეთის სამშვიდობო ჯარების მდინარე ღალიძგაზე გადაადგილებისთვის სოხუმის მთავრობისგან თანხმობის მიღება სერიოზული პრობლემა იქნება. ამიტომ თბილისმა და საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმა ერთობლივად უნდა დაარწმუნონ სოხუმის მთავრობა, რომ სტაბილურობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია სამშვიდობო ოპერაციის ახალი მოდელის შექმნა“, — განაცხადა პრეზიდენტმა შევარდნაძემ და დასძინა, — „თუ სამშვიდობო ოპერაცია ჩაიშალა, მივიღებთ მოვლენათა განვითარების ისეთ ვარიანტებს, რომლებიც არც მთლიანად საქართველოსთვის იქნება მისაღები და საბოლოოდ დამღუპველი გამოდგება აფხაზეთისთვის“.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ ასევე ცალსახად დააფიქსირა, რომ ქართული ჯარი კოდორის ხეობას არ დატოვებს და რომ ხეობის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის ამ გარანტიას ალტერნატივა არ აქვს. გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი დიტერ ბოდენი კი ნიუ-იორკს გაფრინდა, სადაც 31 იანვარს დაგეგმილია გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა აფხაზეთის საკითხზე. მოელიან, რომ ამ სხდომაზე მიიღებენ „მრავალტანჯულ“ დოკუმენტს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ.

## სამაჩაბლოელები აქციებით იმუქრებიან

საპროტესტო აქციები დაიწყო შიდა ქართლშიც. გორში შეკრებილი სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას ითხოვს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდანაც და მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით იმუქრება. სამაჩაბლოელი ლტოლვილები „მშვიდობისმყოფელებს“ ოს სეპარატისტებთან ალიანსში ადანაშაულებენ. კვირის ბოლოს კი ინციდენტი მოხდა სამაჩაბლოში, სადაც სამშვიდობო ძალების ქართულ საგუშაგოს დაესხნენ თავს ოსი ბოევიკები, რომლებმაც ქართველ ჯარისკაცები სცემეს და ავტომატები წაართვეს...

## ირიბარენი სავალუტო ფონდსაც გადასწვდა

„ეი-ი-ეს თელასის“ მესვეურებმა განაცხადეს, რომ ვაშინგტონში, „ეი-ი-ეს“-ის სათავო ოფისში, კიდევ ერთხელ დადგება ამ ამერიკული კომპანიის საქართველოდან წასვლის საკითხი. ამერიკელი ინვესტორები ირწმუნებიან, რომ საქართველოში „ეი-ი-ეს“-ის ზარალი (52 მილიონი დოლარი) კატასტროფულ ზღვარს უახლოვდება. იგნასიო ირიბარენი ულტიმატუმს უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდსაც უყენებს და აცხადებს, რომ სავალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას ახდენს და მოითხოვს, რომ უცხოელ ინვესტორს მოეხსნას დამატებითი ღირებულების გადასახადზე შეღავათი. ირიბარენი იმუქრება, თუ საქართველოს ხელისუფლება მართლაც გააუქმებს ამ შეღავათს, „ეი-ი-ეს თელასი“ ტარიფს გაზრდის ელექტროენერგიაზეო. ირიბარენმა ეს მოთხოვნები სახელმწიფო მინისტრს უშუალოდ გააცნო. ავთანდილ ჯორბენაძემ ურჩია „ეი-ი-ეს თელასის“ ხელმძღვანელობას, რომ დროულად გააფორმოს ხელშეკრულებები აბონენტებთან, მერიასთან ერთად შეადგინოს დენის მიწოდების გრაფიკები, არ გათიშოს გადამხდელი აბონენტები და ებრძოლოს „ეი-ი-ეს თელასის“ კორუმპირებულ თანამშრომლებს, რომლებიც მომხმარებლებთან გარიგებებს აწარმოებენ და ამით დიდ ზარალს აყენებენ კომპანიას!

## მახარაძე ვადამდე გათავისუფლდება?

საქართველოს პარლამენტში დაიწყო ხელმოწერათა შეგროვება ქართველი დიპლომატის,, გიგა მახარაძის გასათავისუფლებელ შუამდგომლობაზე. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ მახარაძე ვადამდე პირობით გათავისუფლებას ექვემდებარება!

## უპრეცედენტო პრეცედენტი

ქართველმა მასწავლებლებმა საარსებო მინიმუმის გაზრდის მოთხოვნით უპრეცედენტო საპროტესტო მოძრაობა წამოიწყეს. თბილისის 154-ე საშუალო სკოლის დირექტორმა გოჩა გურგენიძემ საკუთარ კაბინეტში მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვალწინ შიმშილობის აქცია დაიწყო. მას სოლიდარობა გამოუცხადეს თბილისისა და ქუთაისის სკოლების პედაგოგებმაც, ხოლო 24-ე სკოლის პედაგოგი ჯემალ ჩალაკაშვილი შიმშილობის აქციას შეუერთდა. განათლების მუშაკთა პროფკავშირის აქტივისტები პრეზიდენტმა შევარდნაძემ მიიღო, რომელსაც კატეგორიულად მოსთხოვეს სახელმწიფო ბიუჯეტში მასწავლებელთათვის ხელფასების მნიშვნელოვანი გაზრდა. მთავრობა, როგორც იქნა, დათანხმდა ხელფასების 30%-მდე მომატებას (ბიუჯეტის კანონპროექტში კი 15%-ით იყო დაფიქსირებული).

კვირის ბოლოს მუსიკის მასწავლებლებმაც წამოაყენეს ხელფასების გაზრდისა და პედაგოგის სტატუსის მინიჭების მოთხოვნაც. ამ მიზნით 31-ე მუსიკალურ სასწავლებელში შეიკრიბა დედაქალაქის მუსიკალურ სასწავლებელთა 500-მდე პედაგოგი, რომლებიც დაიმუქრნენ, რომ ამ ორი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მასობრივ აქციებს დაიწყებენ. მათ მოთხოვნებს თბილისის მერიისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებიც უჭერენ მხარს.

## ლეიბორისტები აქტიურობენ

საინტერესო ამბები ხდება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი გააცნო მასმედიას პროექტი ითვალისწინებს ორპალატიანი პარლამენტის შექმნას, რომლის ქვედა პალატაში 70 დეპუტატი, ხოლო ზედა პალატაში 50 სენატორი იქნება. ამასთან, გაუქმდება ქვეყნის სამხარეო მოწყობა და რაიონებისგან შეიქმნება პრეფექტურები. შეიქმნება მინისტრთა კაბინეტი, რომელშიც მხოლოდ 12 მინისტრი იქნება. დეპუტატებს ყველანაირი იმუნიტეტი მოეხსნებათ...

ამ ამბებიდან მეორე დღეს კი მასმედიის წინაშე წარდგა რეფორმატორთა ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილიც, რომელმაც განაცხადა, რომ ეროვნული მოძრაობა მოსახლეობაში იწყებს ხელმოწერების შეგროვებას ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც წარუმატებლად დამთავრდა მათი ძალისხმევა ხელმოწერები პარლამენტში შეეგროვებინათ. მხოლოდ 36 დეპუტატმა მოაწერა ხელი აღნიშნულ მოთხოვნას, არადა, საჭირო იყო 118 ხელმოწერა. რეფორმატორები ახლა 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებისთვის იღვწიან...

## კონსული კომენტარს არ აკეთებს

თბილისში გაქურდეს საქართველოში რუსეთის კონსულის, ოლეგ ივანოვის ბინა, საიდანაც წაიღეს საოჯახო ნივთები და მობილური ტელეფონი. არც კონსული და არც რუსეთის საელჩო კომენტარებს არ აკეთებენ. ქურდებს ეძებენ. გაირკვა, რომ ისინი ბინაში... მორგებული გასაღების საშუალებით შევიდნენ(!).

## უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები საქართველოში

ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე პროცესების ფონზე ვრცელდება ინფორმაციები, რომ მოვლენების ტალღა უცხო ქვეყნების აგენტების მიერაა აგორებული, რომ საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო ე.წ. ГРУ აქტიურობს, რომ აგენტები აშკარად მუშაობენ რუსეთის სამხედრო ბაზების დისლოკაციის რეგიონებში — აფხაზეთში, ბათუმსა და ახალქალაქში, ასევე თბილისში. დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი აცხადებს, რომ ბოლო წლების საქართველო ძალიან ჰგავს ორად გაყოფილი გერმანიის დროინდელ ასევე ორად, დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინად, გაყოფილ ქალაქს, რომელიც მთელი მსოფლიოს სპეცსამსახურების სამუშაო ობიექტი იყო. ავთო იოსელიანის თქმით, არათუ მხოლოდ ქართულ სპეცსამსახურებს, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებას მართებს ყურადღება ამ საშიში მოვლენის მიმართ. საქართველოს სპეცსამსახურებში აცხადებენ, რომ მოქმედებენ დესტრუქციული ძალები, რომლებიც ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას გეგმავენ და მათ საქართველოში სერიოზული დასაყრდენი აქვთ!

## დედაქალაქი უგაზოდ დარჩება?

„საქგაზმა“ მორიგი ულტიმატუმით მიმართა „თბილგაზს“ და მერიას — თუ ერთი კვირის განმავლობაში არ დაფარავენ დეკემბერში მოხმარებული გაზის საფასურს — 6 მილიონ ლარს, თბილისი უგაზოდ დარჩება. ასევე უგაზოდ დარჩენის რეალური საფრთხის წინაშე დგანან რუსთავი და გორი. გაზი უკვე აღარ მიეწოდება ზესტაფონსა და კასპს. „საქგაზი“ აცხადებს, რომ 1 თებერვლიდან „თბილგაზს“ ახალ ხელშეკრულებას გაუფორმებენ, რომლის თანახმად ბუნებრივი გაზი დედაქალაქს მხოლოდ წინასწარი გადახდის შემდეგ მიეწოდება...

## ჩვენ ბედნიერი მომავალი გვქონია(!)

პრეზიდენტმა შევარდნაძემ დაბადების 74 წლისთავის დღე, 25 იანვარი ელიას გორაზე მშენებარე წმინდა სამების ტაძრის მონახულებით დაიწყო, შემდეგ ჩვეულებისამებრ გააგრძელა მუშაობა სახელმწიფო კანცელარიაში, საღამოს კი კრწანისის რეზიდენციაში ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნა დაბადების დღე, რომელიც უამრავმა უცხოელმა სახელმწიფო მოღვაწემ და პოლიტიკურმა ლიდერმა მიულოცა. მათ შორის იყო პრეზიდენტი პუტინიც, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ რუსეთ-საქართველოს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ერთობლივი ძალისხმევით აუცილებლად აღდგება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებასა და კავკასიაში მტკიცე მშვიდობის დამკვიდრებას! ყველაზე დასამახსოვრებელი თავად იუბილარის განცხადება გამოდგა, პრეზიდენტმა ბრძანა, რომ — ის, ბედნიერი მომავლის მქონე ქვეყნის მეთაურია(?!).

## დავა სასამართლოში გაგრძელდება

სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, ბადრი ბიწაძეს სასამართლოში უჩივლა. „ალდაგი“ ბიწაძისაგან ამ კომპანიის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მობოდიშებას და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 700 ათას ლარს ითხოვს. ერთი სიტყვით, დაიწყება კიდევ ერთი სკანდალური სასამართლო პროცესი. გენპროკურორის პირველ მოადგილედ გადასვლის პერიოდში ყოფილი სამხედრო პროკურორი აცხადებდა, რომ მისი ამ პოსტზე დანიშვნის წინააღმდეგ „ახალი მემარჯვენეების“ მიერ ატეხილი კამპანია უკავშირდებოდა ე.წ. „ალდაგის საქმეს“, რომელსაც პროკურატურა იძიებს და რომელიც თავდაცვის სამინისტროში მომხდარ ფაქტთან არის დაკავშირებული. გავრცელებული ინფორმაციით, 1999 წელს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანმა საბუთების გაყალბებით მოახერხა და „ალდაგის“ ანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოლიდური თანხა გადარიცხა. დღეს სამხედრო პროკურატურა აცხადებს, რომ „ალდაგის“ ხელმძღვანელობა ძიების პროცესს აფერხებსო! დავა სასამართლოში გაგრძელდება.

## ტყვიაშემცველი ბენზინი დებილიზმს იწვევს

გარემოს დაცვის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა საქართველოში საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამაზე. საქმე ეხება ტყვიაშემცველი ბენზინის აკრძალვას. მინისტრ ნინო ჩხობაძის თქმით, ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან „სერიოზული საფრთხე ექმნება მოსახლეობის ჯანმრთელობას, კერძოდ, ტყვიაშემცველი ბენზინის გამონაბოლქვით დაბინძურებული ჰაერის სუნთქვა ისეთ უმძიმეს დაავადებას იწვევს, როგორიცაა დებილიზმი! სხვათა შორის, ტყვიაშემცველი ბენზინის გაყიდვა საქართველოში 2000 წლიდანაა აკრძალული, მაგრამ ასეთი ბენზინი მაინც შემოდის კონტრაბანდის სახით. ახლა მუშაობენ შესაბამისი კანონის დახვეწაზე, რომლის მიღების შემდეგ აღნიშნული ბენზინის შემომტანებსა და გამყიდველებს 8 წლით უკრავენ თავს გისოსებს მიღმა. ჩხობაძის თქმით, აღნიშნული პროგრამა 2005 წლამდე უნდა განხორციელდეს.

## ვეტსამსახურმა უვარგისი პროდუქცია გაანადგურა

საქართველოს მოსახლეობას უხარისხო და მომწამლავი ბენზინის გარდა ყოველდღიურად უქმნის საფრთხეს ბაზრობებზე დახვავებული უხარისხო და ვადაგასული სასურსათო პროდუქციაც. თბილისის ვეტერინარულმა სამსახურმა მიაგნო დიდუბის ერთ-ერთ საწყობში ჩაწოლილ და გაფუჭებულ 15 ტონამდე ძეხვეულს, თევზეულს, მათ შორის, ხიზილალას, სოსისს, რძის ნაწარმს, რომელიც სარეალიზაციოდ გაჰქონდათ. ვეტსამსახურს ეს ინფორმაცია ანონიმმა მოქალაქემ მიაწოდა. არადა, ეს უვარგისი პროდუქტი ბაზარზე რომ მოხვედრილიყო, მყიდველთა მასობრივ მოწამვლას გამოიწვევდა. ვეტსამსახურმა „პროდუქცია“ პირწმინდად გაანადგურა გლდანში, ცხოველთა სამარხის ტერიტორიაზე...

## შემზარავი სტატისტიკა

გასულ კვირას, მხუთავი აირის გაჟონვის შედეგად, ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მცხოვრები 62 წლის მოქალაქე შვილმა საკუთარ სახლში მკვდარი იპოვა. გარდაცვლილს ღამით ბინაში გაზის ორი გამათბობელი საშუალება ჰქონდა ჩართული... კოჯრის ბავშვთა სახლში კი ასევე მხუთავმა აირმა ხუთი ბავშვი მოწამლა, რომლებიც საბედნიეროდ გადარჩნენ. დიღომში, ფერაძეების ოჯახში კი ბუნებრივ გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებელმა, ასევე მომწამლავი აირის გაჟონვის შედეგად, ოთხი ადამიანი იმსხვერპლა... სტატისტიკა მართლაც შემზარავია. „თბილგაზმა“, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო ბინებში კუსტარულად დამონტაჟებული გაზის გამათბობლების ჩაჭრა! პრეზიდენტმა შევარდნაძემ საგანგებო განკარგულებით ასევე გადამჭრელი ღონისძიებების გატარება მოსთხოვა ენერგეტიკის სამინისტროს და შესაბამის სამსახურებს, რათა მსგავს ტრაგედიებს წერტილი დაესვას.

მაგრამ კვირის ბოლოს გლდანის ერთ-ერთ კვარტალში გაზის მილი გასკდა და ღამით ძლიერი წნევით მომავალი ბუნებრივი აირი კორპუსებსა და არემარეს მოედო. მოსახლეობა პანიკაში ჩავარდა და ფანჯრებიდან დაიწყეს გადახტომა: შედეგად დაშავდა და მოიწამლა 10-მდე ადამიანი... ავარია აღმოფხვრილია.

## მორიგი სენსაცია(?)

ციხეში მყოფმა შინაგან საქმეთა ექსმინისტრმა თემურ ხაჩიშვილმა მორიგი სენსაციური განცხადება გააკეთა, რომლის თანახმად, მას აქვს დეტალური ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა იმ პირებზე, რომლებიც დღესაც თანამდებობებზე იმყოფებიან და რომლებმაც პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ პირველი ტერაქტი განახორციელეს 1995 წლის 29 აგვისტოს. აქ საინტერესო ის არის, რომ თავად ხაჩიშვილი ამ ტერაქტში მონაწილეობისათვის არის მსჯავრდადებული და დიდი ხანია ბათუმში ეტაპირებას ითხოვს. ზემოთქმულის შესახებ განცხადება გააკეთა პარლამენტარმა ვალერი გელბახიანმა და პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისაგან მოითხოვა თემურ ხაჩიშვილის საკითხის შესწავლა. გელბახიანმა კოლეგებს ხაჩიშვილის ადვოკატის წერილი გააცნო, რომელშიც პატიმარი ნდობას უცხადებს პარლამენტს და სთხოვს დროებით საგამოძიებო კომისიას, დაინტერესდეს ხაჩიშვილის ინფორმაციით. ამ საკითხს პარლამენტის ბიურო მომავალ სხდომაზე განიხილავს. ამ საკითხზე ხაჩიშვილის ციხეში მონახულებას აპირებს სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი...

## რაღაც „კონსენსუსს“ მიაღწევენ

23 იანვრიდან საქართველოს თამბაქოს წარმოებამ მუშაობა შეწყვიტა, რისი უშუალო მიზეზიც გახდა ჯანდაცვის სამინისტროს გახმაურებული დადგენილება სიგარეტში ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის მნიშვნელოვნად შემცირების შესახებ. ასე რომ, ავთო წერეთლის თამბაქოს ქარხანა გაჩერდა და 1000-მდე მუშა-მოსამსახურეს უმუშევრობა დაემუქრა. მათ გამაფრთხილებელი აქციები უკვე გამართეს. ავთო წერეთელმა კი იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფო მინისტრი და მთავრობა შეცვლიან ამ დადგენილებას. მთავრობაში გაიძახიან, რაღაც „კონსენსუსს“ აუცილებლად მივაღწევთ, მოსახლეობის ჯანმრთელობაც დაცული იქნება და თამბაქოს მწარმოებელთა ინტერესებიც გათვალისწინებულიო... მაგრამ საქმე ის არის, რომ თამბაქოს წარმოების შეჩერება და 18 დასახელების სიგარეტის იმპორტის აკრძალვა გაანადგურებს იანვრის საბიუჯეტო გეგმას. თუმცა მთავრობაში მაინც „ოპტიმისტურად“ არიან განწყობილნი(!). 2002 წლის ბიუჯეტის მიღება კი მეორე მოსმენით პარლამენტში ჩაფლავდა. ბიუჯეტს ხმა იმ ფრაქციებმაც არ მისცეს, რომლებიც წინა სხდომაზე მუშტების ბრახუნით მოითხოვდნენ ბიუჯეტის პირველი მოსმენით მიღებას...

## მსოფლიო ბანკი კვლავ დაგვეხმარება

2002 წელს მსოფლიო ბანკი ფინანსურ დახმარებას გაუგრძელებს საქართველოსა და დსთ-ის კიდევ ექვს ქვეყანას. მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელთა განცხადებით, ეს უმსხვილესი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი აუცილებლად მიიჩნევს დახმარების გაფართოებას იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც სიღატაკის, ვალებისა და კორუფციის პირობებში ღაფავენ სულს, თუმცა მაინც არსებობენ. თებერვალში ლონდონში გაიმართება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც დსთ-ის შვიდი ქვეყნისთვის დახმარების კონკრეტულ გეგმას შეიმუშავებენ. საქართველოს გარდა, მათ რიცხვშია მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი. კორუფციისაგან გამოხრულ ამ ქვეყნებს დასავლეთი წლეულს მთლიანად 420 მილიონ დოლარს გამოუყოფს და გაუნაწილებს.

## მკალავიშვილი არ ცხრება

ბასილ მკალავიშვილი და მისი მრევლი ტელეკომპანია „I სტერეოს“ დაესხნენ თავს და ტელეარხის ხელმძღვანელებისგან ევანგელისტური გადაცემის დახურვა მოითხოვეს. მრევლმა ალყაში მოაქცია შენობა, მკალავიშვილი კი მეგაფონით ემუქრებოდა ტელეკომპანიის თანამშრომლებს. კომპანიის ხელმძღვანელობამ მკალავიშვილის მოთხოვნა... დააკმაყოფილა.

## რუსები ვერაფერს გახდნენ



ევროსაბჭოს გენერალურ ასამბლეაზე განიხილეს ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები. რუსეთის დეპუტაციისთვის აღმაშფოთებელი იყო ევროსაბჭოში ასლან მასხადოვის წარმომადგენლის, ახმედ ზაკაევის გამოჩენა! რუსებმა ბევრი იყვირეს და იბაქიბუქეს, პროტესტიც გამოთქვეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ზაკაევი ევროსაბჭოში შეხვდა ყველას, ვინც კი საჭირო იყო. რუსებს უსაყვედურეს, რომ ისინი აფერხებენ ყველა ჰუმანიტარულ დახმარებას, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა უგზავნის ჩეჩენ დევნილებს და კვლავ დაგმეს რუსეთის ჯარის ქმედებები ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, თუმცა იქვე ისიც თქვეს, ჩეჩენ ბოევიკთა შორის ნამდვილად არიან ტერორისტები, რომლებსაც „ალ ქაიდასთან“, თალიბებსა და თვით ბინ ლადენთანაც ჰქონდათ კავშირიო...

## „უტვინო 20 წლის ბიჭი...“

ამერიკაში ავღანეთიდან ჩაიყვანეს ამერიკელი თალიბი, 20 წლის ჯონ უოლკერი და მოსამართლის წინაშე წარადგინეს. მას ოთხპუნქტიანი ბრალდება წაუყენეს, რომელიც სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს. საინტერესოა, რომ ყველა ეს ბრალდება მისსავე ჩვენება-აღიარებაზეა დაფუძნებული, რომელთა თანახმად უოლკერი პირადად ხვდებოდა ბინ ლადენს და მეტიც, ჯიჰადში მონაწილეობისთვის №1 ტერორისტისაგან... მადლობაც კი აქვს მიღებული(!). უოლკერის თავზარდაცემული მშობლები კი გაიძახიან, რომ მათ შვილს დანაშაული არ ჩაუდენია ამერიკისა და ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ და სთხოვენ მართლმსაჯულებას შეიწყალონ „უტვინო 20 წლის ბიჭი“...

# ჩემს „რკინის კაცს" არასოდეს ჯართში არ ჩავაბარებ...

## თუ ასე გაგრძელდა, 10 წელიწადში გვეყოლება „თალიბების" ქართული თაობა!

***„დილა მშვიდობისა, ქურდებო, დილა მშვიდობისა, ყაჩაღებო, ჯიბგირებო, გამფლანგველებო, დილა მშვიდობისა, აფერისტებო, გარყვნილებო და გათახსირებულებო. დილა მშვიდობისა, თქვე ჩემი ცოდვით სავსეებო. ადექით, გაკეთდა ქვეყანა!"***

*ნოდარ დუმბაძე*
*„თეთრი ბაირაღები"*

***„უნამუსოებო და უსისხლოებო", „უსულგულოებო", „გული გაგისკდება კაცს", „უსინდისო და გათახსირებული ხალხი", „ბევრი სოროში შეძვრება", „გამოათრიეთ სოროდან", „ამ ხალხმა შეჭამა ქვეყანა", „გამოიღვიძეთ, თორემ მერე გვიან იქნება..."***

*ედუარდ შევარდნაძე*
*ფრაზები მთავრობის სხდომებიდან*

რა თქმა უნდა, ვერცკი წარმოიდგენდა ცხონებული ნოდარ დუმბაძე, რომ მის უპირველეს მეგობარს და „ნეგატიურ მოვლენებთან" მებრძოლ ედუარდ შევარდნაძეს ოდესმე, მით უმეტეს, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს ლამის „შოშიას" ენით მოუწევდა მჭევრმეტყველება ხელქვეითებთან და ფრიად „რესპექტაბელური საზოგადოების" წინაშეც. იმ საზოგადოებისა, რომელსაც ასევე ცხონებული ქურდი ლიმონასაგან განსხვავებით, სახელმწიფო მართლაც „მეწველი ძროხა" ჰგონია და მაშინაც კი, როცა მოსაწველი პრაქტიკულად აღარაფერია, ხსენს არის მიმდგარი... შედეგად — ქვეყანას აღარც ბიუჯეტი აქვს, აღარც თავმოყვარეობა, აღარც მეხსიერება და აღარც იდეალი... ამ ფონზე კი, ცოტა სასაცილოდ მოჩანს ისტებლიშმენტში ამტყდარი აურზაური კოდორის ხეობიდან ჯარის გამოყვანის შესახებ კოფი ანანის განცხადებასთან დაკავშირებით; არადა, ანანს იმაზე უარესი არაფერი უთქვამს, რაც 1994 წლის 14 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა, როცა ხელი მოაწერა კაპიტულანტურ შეთანხმებას და რომელიც დღემდე თავში საცემად გვაქვს... გაერო რომ უმაქნისი ორგანიზაციაა კონფლიქტების მოგვარების საქმეში, არახალია, ისიც ფაქტია, ანანის განცხადება სრულიადაც არაფერს ცვლის, რადგან მსგავსი განცხადებები გაეროდან სოხუმის რეჟიმის მისამართითაც იმდენჯერ გაკეთებულა, მათ რომ ძალა ჰქონოდა, უკვე ფსოუმდე ვიქნებოდით გასულნი... ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრები ნაციონალური მოძრაობის ლიდერს **მიხეილ სააკაშვილს,** თუმცა, მანამდე ერთი საინტერესო ინფორმაცია: ამ დღეებში სააკაშვილს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან შეატყობინეს, რომ ამ უწყების გამოკვლევით, ბოლო ათწლეულში აშშ-ის სასწავლებლებში განათლება მიიღო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩასულმა 40 ათასამდე ადამიანმა, რომლებმაც შემდეგ მოღვაწეობა და მუშაობა გააგრძელეს თავიანთ სამშობლოში. 40 ათასი კაციდან სახელმწიფო დეპარტამენტმა დაასახელა საუკეთესო კურსდამთავრებულთა სამეული: ერთი ესტონელი, ერთი რუსი და ერთი ქართველი — მიხეილ სააკაშვილი!

ახლა კი, უწინარესად აფხაზეთი...

— ენგურის ხიდთან მიმდინარე აქციებში ისეთი ადამიანებიც ჩანან, რომ ამ საქმეში აშკარად ხელისუფლების ხელი ურევია. მეორე მხრივ, მოსახლეობა სრულიად სამართლიანად არის აღშფოთებული. გახსოვთ, როგორ გამოვიდა პრეზიდენტი კანცელარიის წინ და მოუწოდა ლტოლვილებს მსგავსი აქციებისკენ, თან შეჰპირდა რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას, მაგრამ რა პრაგმატული პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობს შევარდნაძე, რა თამაშს ეთამაშება რუსეთს, ხალხმა ბოლომდე ვერ გაიგო. ჩამოყალიბდა სქემა, სადაც პრეზიდენტის და პარლამენტის სიტყვა, პრაქტიკულად, არაფერს ნიშნავს. არადა, თანამედროვე დასავლურ პოლიტიკაში სიტყვა ნიშნავს ყველაფერს! ამასთან, არაფერი გაკეთებულა, რომ საქართველოს ჰყოლოდა თუნდაც 1000 პროფესიონალი ჯარისკაცი, რომელიც დაიცავდა მოსახლეობას მაშინ, როცა გვყავს ათობით ათასი სისხლის მწოველი მექრთამე მოხელე. აქცენტი გადატანილი იყო პოლიციაზე და შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა ეშინოდა ხელისუფლებას. რაც შეეხება აფხაზეთთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს, ამაზე 1993-1994 წლებში ამერიკიდან ვაგზავნიდი წერილებს. ვაანალიზებდი ამ ხელშეკრულებებს და როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, უკიდურესად საზიანოდ მიმაჩნდა საქართველოსთვის. 1996 წელს ჩემი ინიციატივით ჩავარდა სანდრო კავსაძის კანდიდატურა, რადგან სწორედ ის მონაწილეობდა ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმებაში, რომლებიც თავისი არსით იყო ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული და ხელი ეწერებოდა მოსკოვის აშკარა ზეწოლით. სხვათა შორის, 1994 წლის ყბადაღებულ ხელშეკრულებაზე საუბრისას CNN-ით ლარი კინგის პროგრამაში პირდაპირ ვუთხარი გაეროს მაშინდელ გენერალურ მდივანს ბუტროს გალის, რომ ეს ხელშეკრულებები იყო კულუარული გარიგებების შედეგი, რაც უარყო არცთუ დამაჯერებლად. მეტიც, ბუტროს გალიმ საქართველოს უწოდა ყოფილი რუსული კოლონია და რუსული რესპუბლიკა იმის მაგივრად, რომ ეთქვა რუსეთის ყოფილი კოლონია და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაო, ანუ დაუშვა უხეში შეცდომა. კოფი ანანი კი ეყრდნობა უკვე არსებულ სახელშეკრულებო ბაზას. ხელშეკრულებები დადებულია ქართული მხარის უკიდურესი უმწიფრობის, სისუსტის და არაკვალიფიციური მუშაობის შედეგად. ამიტომაცაა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის წინააღმდეგობის დაძლევა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ღმერთმა ქნას, ენგურთან დაწყებული აქციები არ დამთავრდეს ჩვენთვის ისეთივე სავალალო შედეგით, როგორითაც 1998 წლის მაისში. მაშინ თვეების მანძილზე გაიძახოდნენ, რომ გალის რაიონში მოქმედებს დიდი პარტიზანული რაზმი, რომელსაც ესაჭიროება მილიონობით ლარი, რაც გამოყოფილ იქნა კიდეც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით იარაღის შესაძენად. შემდეგ ხანდახან ხდებოდა „საჩვენებელი" აფეთქებები, შეტაკებები, ხშირ შემთხვევაში კი იტყუებოდნენ. ამან მოთმინებიდან გამოიყვანა სოხუმის რეჟიმი, გადმოვიდნენ შეტევაზე და აღმოჩნდა, რომ სერიოზული პარტიზანული შენაერთი არ არსებობდა. გმირულად იბრძოლა მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადგილობრივმა მოსახლემ, პარტიზანმა, რომლებსაც საკუთარი იარაღი ჰქონდათ. ხოლო შინაგანი ჯარის პატარა რაზმი, რომელიც შეიყვანეს გალის რაიონში, უმალ გამოაცუნცულეს. შედეგად მივიღეთ ათიათასობით ლტოლვილის მორიგი ნაკადი. მახსოვს, უკრაინის პრეზიდენტმა რამდენიმე ყუთი ავტომატი აჩუქა საქართველოს(!). ის მილიონები კი, რომელიც ვითომ იარაღის შესაძენად გამოიყო, მოიპარეს. ეს გახლდათ ღალატის კლასიკური ნიმუში. მე ვესწრებოდი უშიშროების საბჭოს სხდომას, სადაც იხილებოდა გალის რაიონის ტრაგედიის მიზეზები, მაგრამ არავინ დასჯილა. შინაგან საქმეთა მინისტრი კიდევ სამი წელიწადი იყო პოსტზე, ასე რომ, აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა შეუძლია არა რუსი სამშვიდობოების გადაყვანა-გადმოყვანას და მსგავს ხელშეკრულებებს, არამედ მძლავრ ქართულ სახელმწიფოს. თუ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ, საქართველოს დეზინტეგრაციის პროცესი გაგრძელდება პანკისში, ჯავახეთში, სამაჩაბლოში და ა.შ. მიმაჩნია, რომ აფხაზეთის დასაბრუნებლად საჭიროა 4-5-მილიარდიანი ბიუჯეტი, რაც საქართველომ თავისუფლად შეიძლება შექმნას წელიწად-ნახევარში ნორმალური ხელისუფლების პირობებში, ხოლო დღეს რომ ასეთი ბიუჯეტი დაიგეგმოს, ნიშნავს იმას, რომ კლანები ვერაფერს მოიპარავენ. არადა, ქვეყანაში არიან პატრიოტული ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში აფხაზეთს დაიბრუნებენ მაქსიმუმ ორ წელიწადში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვისწავლოთ რუსეთთან თანამშრომლობა და არა ის, რომ პრეზიდენტი ჯერ უკიდურეს ანტირუსულ განცხადებებს აკეთებდეს ჰარვარდში, შემდეგ საჯარო დამცირებას იღებდეს მოსკოვში და შედეგად გაურკვეველ დათმობებზე მიდიოდეს. უწინარესად, უნდა ილაპარაკო შენი სახელმწიფოს ინტერესების პოზიციიდან. შევარდნაძე ენგურთან მიმდინარე აქციით, ვფიქრობ, რუსეთის რეაგირებას ელის, მაგრამ, მართალი გითხრათ, მე აღარ მჯერა ასეთი თამაშებისა. ადრეც, როცა მსგავს პროცესებს ჰქონდა ადგილი, იმედი მქონდა, პრეზიდენტს ყველაფერი გაანგარიშებული ჰქონდა, მაგრამ შემდეგ სავალალოდ გვიმთავრდებოდა ეს თამაში...




**რაც შეეხება აქ მდგარ „რკინის კაცს", მას ჯართში არასოდეს ჩავაბარებ, იმიტომ, რომ შესანიშნავი ქანდაკებაა და კარგმა ადამიანებმა მაჩუქეს. თანაც, ამ „რკინის კაცით" თანამოაზრეებს ვამხიარულებ ხოლმე. საერთოდ, ეს სკულპტურა შეგვახსენებს, რომ მომავალში უნდა ვერიდოთ რკინის კაცებს, რადგან სხვა გვარებისა და სახელების მქონე რკინის კაცები აუცილებლად შეეცდებიან ხელისუფლებაში დაბრუნებას, სანამ ეს ქვეყანა სახელმწიფოს დაემსგავსება.**

— **რა კომენტარს დაურთავდით ხელისუფლებასა და პარლამენტში მიმდინარე „პროცესებს", პრეზიდენტის მუქარას „გათახსირებულ" ჩინოვნიკთა მიმართ რეპრესიების დაწყებისა და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ?**

— რაც დღეს ხდება, პაროდიაა ქართულ სახელმწიფოზე. სამწუხაროდ, პრეზიდენტი ვერ იქცა იმ ადამიანად, რომელიც თუნდაც ცოტათი მაინც ისწავლიდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მართვას. მაგალითად, განათლების მინისტრმა ბრძანა, რომ პედაგოგების ხელფასის გაზრდის საკითხი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დააყენა პრეზიდენტმა, მთავრობამ და განათლების სამინისტრომმო და ამას ისეთი ტონით ამბობდა, თითქოს აყვედრიდა დამშეულ მასწავლებლებს, რომ აი, პრეზიდენტმა დასვა საკითხი და რითი ხართ უკმაყოფილოო? მაგრამ ვის წინაშე დააყენა საკითხი, ეს არის ყველაზე „საინტერესო". ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მართვა მუდამ საგანგებო რეჟიმში ხდება. საკმარისი იყო ნაციონალური მოძრაობის წევრები გამოჩენილიყვნენ მოშიმშილე მასწავლებელთან, რომ



სასწრაფოდ ღამის 9 საათზე შეიკრიბნენ პრეზიდენტთან და გამოაცხადეს, რომ 15%-ის ნაცვლად, ხელფასებს გაუზრდიან 30%-ით, მაგრამ ესეც ტყუილია. უმატებენ სექტემბრიდან, მანამდე კი ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი. ეს ძალიან ჰგავს კომუნიზმის აშენების დაპირებებს... რაც შეეხება პრეზიდენტის მუქარის ტერმინოლოგიას, პირადად რომ არ მენახა, როგორ აშკარად ლობირებდა შევარდნაძე იმ პროექტებს, რომლითაც კონკრეტულ „გათახსირებულებს" უნდა ეკეთებინათ ფული, შეიძლება დამეჯერებინა კიდეც მისი გულწრფელობა. მაგრამ ვხედავდი, რომ იგი ახალისებდა მათ. ხოლო როცა შევეცადეთ, ხელი შეგვეშალა ამ უმსგავსობისთვის, ჩვენ დაგვიპირისპირდა. არადა, სახეზე იყო პროექტები, რომლებიც აშკარად კორუფციულ შემოსავალს მოუტანდა იმ ადამიანებს, ვისაც დღეს „გათახსირებულებს" უწოდებს. მაგრამ, შევარდნაძე მაღალი თანამდებობის პირებს მაინც არ ასახელებს. მთავრობის სხდომაზე დასახელებულთაგან ყველაზე „მაღალი" თანამდებობის პირი გახლდათ სახელმწიფო მართვაში მყოფი საწარმოს ბუღალტერი(!). უბედურებაა ისიც, რომ ტელევიზიით გადის „დარდუბალა". მისი მნახველი უცხოელები ღიზიანდებიან და არ ესმით, როგორ შეიძლება საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტების ასე დაცინვა-გამასხარავება, მაგრამ ათჯერ დიდი უბედურებაა, რომ ბევრის აზრით, თავად პრეზიდენტი სულ უფრო ემსგავსება თავის პერსონაჟს. ამასობაში ქვეყანა განვითარებისთვის კარგავს ძვირფას დროს. ჩვენ კიდევ გვრჩება ერთი-ორი წელიწადი, რათა განვავითაროთ თანამედროვე ტექნოლოგიები და მაღალანაზღაურებადი წარმოებები, მაგრამ ამას სჭირდება ინტელექტუალური ბაზის შენარჩუნება. წამყვანი ქართველი მეცნიერები კი იმის ნაცვლად, ლაბორატორიებში მუშაობდნენ, 10-15 კომერციულ სასწავლებელში ლექციებს კითხულობენ. ვერ მოვერგეთ თანამედროვე განათლების სისტემის სტანდარტებს, დაეცა საერთო განათლების დონე, არც სპეციალიზაციის დონე მატულობს, ანუ ვერ ვპასუხობთ შრომის განაწილების თანამედროვე მოთხოვნებს. თუ ასე გაგრძელდა, ათ წელიწადში ჩვენ გვეყოლება „თალიბების" ქართული თაობა. 4-5 წელიწადში საქართველო გადაიქცევა მესამე სამყაროს ქვეყნად. როდესაც პრეზიდენტი აცხადებს, რომ უნდა ავიღოთ ახალ-ახალი ვალები, რომელსაც მაინც ჩამოგვაწერენო, უნდა გვესმოდეს, რომ ვერც ერთი ქვეყანა, რომელსაც ვალები აპატიეს, ვეღარ დადგა ფეხზე.

— **თქვენი ინფორმაციით, სადღეისოდ რამდენად მაღალია დასავლეთის ნდობის ხარისხი პრეზიდენტ შევარდნაძისადმი და იმავდროულად რეფორმატორებისადმი? ახლახან საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას ზბიგნევ ბჟეზინსკიმ განაცხადა, რომ რუსეთს დიდი პრობლემები შეექმნება დასავლეთსა და აშშ-სთან, თუ მოსკოვი მტრულ პოლიტიკას განახორციელებს უკრაინისა და საქართველოს მიმართ...**

— შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი ჯერ კიდევ მაღალია და ამის გამოყენება ქვეყნისთვის სასარგებლოდ შეიძლება. მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივისთვის ქვეყანას სჭირდება დემოკრატიული ინსტიტუტები, რომელიც შეიქმნება მთელი ჩვენი დემოკრატიული პოლიტიკური ბანაკის გაერთიანებით და აუცილებლად მოიპოვებს დასავლეთის მხარდაჭერას. დღესაც დასავლეთში იგეგმება მნიშვნელოვანი მაღალი დონის შეხვედრები ჩემთან და ზურაბ ჟვანიასთან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოთი დაინტერესებული დასავლეთი ამთავითვე საზღვრავს პოლიტიკურ მოვლენათა პერსპექტივას ჩვენს ქვეყანაში. შევარდნაძეს ჰქონდა ბევრი დადებითი გეგმა, წამოწყება, მაგრამ არათანამიმდევრულმა პოლიტიკამ ყოველივე ამას ბოლო მოუღო. ბჟეზინსკი და სხვა დასავლელი პოლიტიკოსები კი მუდამ გვეუბნებიან, რომ საქართველოს მთავარი სტრატეგიული რესურსი არის დემოკრატიის განმტკიცება, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა განურჩევლად იმისა, ვინ იქნება პრეზიდენტი, ავტომატურ რეჟიმში იმოქმედოს და იყოს სტაბილურობის გარანტი. მთავარი, რაც უნდა შეექმნა შევარდნაძეს და რის გამოც ჩვენ მას გავყევით, მყარი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება გახლდათ, რაც, საუბედუროდ, არ განხორციელდა. 1998 წლის შემდეგ დაიწყო უკუპროცესები. მანამდე შევარდნაძის გვერდით ყოფნას არ ვნანობ, რადგან ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ავიღოთ კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ, რომელსაც დაუჭირა მხარი შევარდნაძემ, მიუხედავად მთავრობის წინააღმდეგობისა. ამ კანონის მიხედვით, საწარმოს შესამოწმებლად მაკონტროლებელს სჭირდება სასამართლოს სანქცია. გადავხედე სტატისტიკურ მონაცემებს და აღმოჩნდა, რომ ბოლო ოთხ თვეში 600-ჯერ თქვა სასამართლომ უარი საწარმოთა შემოწმების სანქციის გაცემაზე. ეს არის ქრთამის გამოძალვას გადარჩენილი 600 მეწარმე და ფირმის თუ მაღაზიის პატრონი. აი, კონკრეტული შედეგი სახელმწიფო განუკითხაობასა და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

— **რა ზომებს მიმართავთ, თუ პარლამენტმა არ მიიღო კანონი დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ?**

— კანონპროექტს პარლამენტში ჩაგდების ბევრად ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე მთავრობაში. პარლამენტარებისთვის ძნელია არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა ბიუჯეტის პირველი მოსმენით დამტკიცებამ დამანახვა, რომ პარლამენტარები მზად არიან, უგულებელყონ საზოგადოებრივი აზრი, რაც მძიმე პრეცედენტია. თუ მაინც ჩავარდა კანონპროექტი, ვფიქრობ, მოვნახავთ გზას საზოგადოების კონსოლიდირებისთვის, რადგან ხალხმა გაიგო, რომ თავისი ინტერესების დამცველი თავადვეა. „ახალი" მთავრობისა და 2002 წლის ბიუჯეტის პირველი მოსმენით დამტკიცების შედეგად, ფაქტია, რომ უფსკრული საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის კატასტროფულად გაღრმავდა. ამიტომ მხოლოდ საზოგადოების გააქტიურებამ შეიძლება მოიყვანოს პოლიტიკოსები ჭკუაზე! როდესაც ტრანსფერებით დეპუტატთა მოსყიდვაზე ვლაპარაკობ, შემდეგი მექანიზმი მუშაობს: რომელიმე დეპუტატს ჩაუსვამენ 100-ათასიან ტრანსფერს ისეთ სფეროში, საიდანაც ე.წ. „OTKAT"-ი მისთვის არის 70-80%. ვთქვათ, ჩაუსვეს ეს ფული სამშენებლო სამუშაოსთვის, სადაც ამ დეპუტატს აქვს საკუთარი სამშენებლო ფირმა. მორჩა „OTKAT"-იდან ამოგებული ფულის ნახევარს გამოიყენებს საარჩევნოდ ფქვილის დასარიგებლად — და „მოიგებს" არჩევნებს.

— **ეროვნული მოძრაობის ოფისის თქვენი კაბინეტის კარზე წარწერაა — „რკინის კაცის ხსოვნა-არდავიწყების ოთახი..." ამით კახა თარგამაძის სახელის „უკვდავყოფა" გსურთ?**

— ეს წარწერა ხუმრობაა და მეტი არაფერი. მით უმეტეს, რომ ევროპელმა კოლეგებმა „რკინის კაცის" პატარა ქანდაკებაც მაჩუქეს, რომელიც ოფისში დგას... საზოგადოებას უნერგავენ, რომ ნოემბრის აქციების შედეგად ვერაფერს მიაღწიეს, არადა, მართლაც მიღწევაა კახა თარგამაძის გადაყენება. მისი კიდევ რამდენიმე თვით დარჩენა ეროვნული კატასტროფით დასრულდებოდა. ის გარეული იყო საერთაშორისო მაფიოზურ სტრუქტურებში, მისი სახელი სხვადასხვა წყაროთი სერიოზულად უკავშირდებოდა ნარკოტიკების გზას, რომელიც გავიდა საქართველოზე, ამიტომ ცოტაც და მისი დამარცხება-გადაყენება შეუძლებელი იქნებოდა. კახა თარგამაძე დაახლოებით იმ რანგის ფიგურა იყო, როგორიც პერუს ყოფილი პრეზიდენტის ფუხიმორის დასაყრდენი — უშიშროების მინისტრი მონტესინო, რომელმაც გაანადგურა ქვეყანა, რომელიც ძლივს გადააყენეს და ახლა ასამართლებენ. ალბათ თარგამაძე დარჩება პოლიტიკაში, დახარჯავს დიდ ფულს, მაგრამ ის ფაქტი, რომ აღარ არის მინისტრი, დიდი გამარჯვებაა ქუჩაში გამოსული ახალგაზრდობისა. პრეზიდენტმა კი მთავრობა ერთადერთი მიზნით გადააყენა, რომ თარგამაძის, ქუთათელაძის, მეფარიშვილისა და ჩხარტიშვილის მოშორება ხელისუფლებიდან არ გამოჩენილიყო სააკაშვილისა და მისი მეგობრების გამარჯვებად. შემდეგ პრეზიდენტმა თითქმის მთელი მთავრობა უკანვე დააბრუნა, რათა დაენახვებინა ყველასთვის, რომ სწორედ მან „გაიმარჯვა", მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან შეცდა... რაც შეეხება აქ მდგარ „რკინის კაცს", მას ჯართში არასოდეს ჩავაბარებ, იმიტომ, რომ შესანიშნავი ქანდაკებაა და კარგმა ადამიანებმა მაჩუქეს. თანაც, ამ „რკინის კაცით" თანამოაზრეებს ვამხიარულებ ხოლმე. საერთოდ, ეს სკულპტურა შეგვახსენებს, რომ მომავალში უნდა ვერიდოთ რკინის კაცებს, რადგან სხვა გვარებისა და სახელების მქონე რკინის კაცები აუცილებლად შეეცდებიან ხელისუფლებაში დაბრუნებას, სანამ ეს ქვეყანა სახელმწიფოს დაემსგავსება.

*ზურაბ მჭედლიშვილი*



— მარცხენათი ასე ვხატავ, მარჯვენათი რაღას ვიზამ...

ზაალ სულაკაურს თბილისში ყველა იცნობს. რუსთაველის პროსპექტზე კარიკატურისტის გარშემო მუდამ ხალხმრავლობა და სიცილ-ხარხარია. ქალაქში ამბობენ, მისი დახატული შარჟები თითქმის ყველა ოჯახშიაო, ზოგს თურმე კოლექციაც ჰქონია.

— **როგორ გადაწყვიტე რუსთაველზე გასვლა და კარიკატურების ხატვა?**

— ერთხელ, ქუჩაში ახლობელი დავხატე და ვიღაც გამვლელმა შემომთავაზა, მეც დამხატე და გადაგიხდიო. იდეა ძალიან მომეწონა და უარი არ მითქვამს. ასე დავიწყე შარჟების ხატვა ქუჩაში. რუსთაველზე უკვე 6-7 წელია ვხატავ. ერთი კარიკატურა ორი ლარი ღირს, ხელმისაწვდომი რომ იყოს ყველასათვის. წინასწარ, საგანგებოდ გავიკითხე, თუ რას უხდიან ჩემნაირ მეშარჟეებს უცხოეთში. მაგალითად, საფრანგეთში, მონმარტრზე ერთი შარჟის დახატვა 15 დოლარი ღირს; მოსკოვში, არბატზე — 7 დოლარი. ამასთან შედარებით ორი ლარი მართლაც მიზერული თანხაა, მაგრამ რას ვიზამთ, ხალხს ფული არა აქვს. ზოგმა შეიძლება ხუთი ლარიც მოგცეს, მაგრამ რად გინდა — სახლამდე არც მიაქვს ნახატი, სადმე მიაგდებს. ქუჩა იმითაა კარგი, რომ ვის ან რას არ ნახავ, სწორედ ეს სჭირდება შემოქმედს, მხატვარს. კურიოზიც ბევრია. მახსოვს ერთხელ ვიღაც ქალმა მითხრა, ორი ლარის შარჟი დამიხატეო. გამიკვირდა, მაგრამ მაინც დავიწყე ხატვა. ორლარიანზე ხომ ფალიაშვილია აღბეჭდილი, ამიტომაც ჯერ ფალიაშვილის კარიკატურა დავხატე, მერე ორლარიანის ფორმა მივეცი და ქალს გავუწოდე. იმას კი თურმე თავისი შარჟი ნდომებია და რადგან ფასი წინასწარ სცოდნია, ამიტომ უთქვამს, ორი ლარის შარჟი დამიხატეო. ორივემ ბევრი ვიცინეთ... მერე შარჟიც დავუხატე და ორლარიანის შარჟიც ვაჩუქე.

— **რით იწყებ შარჟის დახატვას?**

— გააჩნია, რა მომეწონება საშარჟედ — ცხვირი თუ თავი. როდესაც უცნობი მოდის და დახატვას მთხოვს, საგულდაგულოდ ემზადება, კოხტავდება, თანაც დაძაბულია. ვხატავ და ვყვები ხან ანეკდოტს, ან რაღაც ამბავს — ისიც ამყვება ხოლმე. ლაპარაკში იკვეთება მისი ხასიათი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ არ „დაიჭირე“ ადამიანის ხასიათი, ნახატს ვერაფრით დაამსგავსებ. ზოგი მთხოვს, ცოტა ლამაზი დამხატეო, ეს არც არის გასაკვირი, ადამიანის ბუნებაა — ის უნდა, რაც არ აქვს.

— **განაწყენებული თუ წასულა შენგან ვინმე?**

— თუში ვარ და განსაკუთრებით მიყვარს, როცა ჩემს „ზემლიაკებს“ წავაწყდები ხოლმე, ისე, კაცმა რომ თქვას, მთის ხალხთან ურთიერთობა არც ისე იოლია. ერთხელ ერთმა მითხრა, მე მოხევე ვარ, დუშეთის გზაზე ავტობუსს ვატარებო. არ ვიცი, რა ეგონა, ლამაზად უნდა დამეხატა თუ რა იყო? ერთი სიტყვით, დავხატე, — ავტობუსში ზის და მოღუშული იყურება, ხატვისას არ გაიცინა და რა მექნა. ხელში მოგლეჯილი საჭე დავაჭერინე... ძლივს გადავურჩი...

რუსთაველზე, სადაც ვდგავარ და ვხატავ, გაკრული მაქვს ნიმუშები: რა ზომისას და როგორს ვხატავ. ამას წინათ ვიღაც გოგო მოვიდა და დამხატეო, მთხოვა. ეტყობა, პორტრეტს ელოდა, როცა დავამთავრე ხატვა, ერთი დახედა და ფერი დაკარგა, სულ ნაკუწებად აქცია და გაიქცა.

ერთხელ ზანგი მომიყვანეს. ისეთი შავი იყო, რომ ლურჯი ფერი დაჰკრავდა. ვუყურებ და ძალიან მაინტერესებს — ულვაში აქვს თუ არა-მეთქი. ვერაფერი დავინახე, იმდენად შავი იყო. მეც ავდექი და სახე გავუშავე. ეტყობა, სარკეში მანამდე არ ჩაუხედავს, არ იცოდა, რა ფერი ჰქონდა კანი. დახედა თუ არა ნახატს, ისიც გაიქცა...

— **კურიოზები მიამბე-მეთქი არ მითქვამს და ყველაფერი კურიოზული მოყევი ახლა ვთქვათ კურიოზი „კვადრატში“.**

— არ ვიცი, რამდენად „კვადრატში“ იქნება, მაგრამ ვიტყვი... ცაცია ვარ და ხშირად მითქვამს, მარცხენათი ასე ვხატავ და მარჯვენათი რაღას ვიზამ-მეთქი. ერთხელ შარჟს რომ ვხატავ, უცებ დამკვეთმა ჩამჩურჩულა, — შენი ჭირიმე, მარჯვენათი დამხატეო... როდესაც ვინმეს კარიკატურას დავამთავრებ, უკან ფონად მთებსაც ვუხატავ, თანაც ვამბობ, კავკასიონის მთებია-მეთქი. მოვიდა ერთი კაცი და მეუბნება, სომეხი ვარ და არარატის მთები დამიხატეო... სვანს, აუცილებლად უშბა უნდა, რომ დავუხატო და ა.შ.

დუტა სხირტლაძე, სანამ დუტა გახდებოდა, მანამდე ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო და იმდენჯერ დამიხატავს, უკვე ზეპირადაც კი ვხატავ. ახლა, როცა პოპულარული გახდა, მოდიან გოგოები ჩემთან და დუტას შარჟს მახატვინებენ და მერე მასთან გარბიან ავტოგრაფისთვის. ერთი ოცი გოგო მაინც მოსულა. დუტა მეუბნება, მოგკლავ, ნუღარ მხატავო...



ზურაბ ქაფიანიძე

*ლელა კვირკველია*



# „ავანთე ვირის სტოპ-სიგნალი და...“

ცირკის არენაზე „მოლაპარაკე“ სახედართან ერთად გამოსული კლოუნი საოცარ მხიარულებას იწვევდა, მას ყველგან თაყვანს სცემდნენ. ეროვნული ცირკის პირველ კლოუნთან ბატონ სანდრო თედიაშვილთან ინტერვიუ შეიძლებოდა სულაც შესავლის გარეშე დაგვეწყო. ამ კოლორიტულ პიროვნებას დღესაც მთელ საქართველოში იცნობენ და უყვართ... უზომოდ თბილი, ტკბილად მოსაუბრე ძია სანდრო, მიუხედავად ასაკისა (88 წლისაა), შესანიშნავად გამოიყურება და თავისი საინტერესო ცხოვრების შესახებ თურმე მემუარებსაც წერს...

— **ჩემს თაობას თქვენი საცირკო ხელოვნების და სახედრის ამბავი უფროსებისგან თუ სმენია, მართლა ლაპარაკობდა თქვენი უჩვეულო პარტნიორი?**

— მანეჟზე გამოსვლისას კისერზე ჰალსტუხი და დიპლომი ეკიდა, დიდი სათვალე ეკეთა, ძვირფასი უნაგირი ედგა. კუდთან კი წითელი ნათურა უციმციმებდა, როგორც სტოპ-სიგნალი. მეკითხებოდნენ მის დიპლომზე — რით დაიმსახურაო, მეც ვპასუხობდი, თავად ვირი გეტყვით-მეთქი. ხელში სტაფილო მეჭირა, მის სუნს რომ გრძნობდა, თავს ჩემკენ შემოაბრუნებდა და ტუჩებს ააცმაცუნებდა, თითქოს ლაპარაკობდა — ტაშს რატომ არ მიკრავენო. მაყურებელიც იქუხებდა, ვირი მისალმების ნიშნად იჩოქებდა და თავს უკრავდა გულშემატკივარს. ამის მერე იწყებოდა, რაც იწყებოდა...



— **თქვენ უამრავ ქვეყანაში გიმოგზაურიათ. ყველგან ერთნაირი პროგრამით გამოდიოდით თუ პრინციპი — სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო, — ცირკშიც მოქმედებდა?**

— ერთხელ სოხუმში გვქონდა გასტროლები. ქალაქში ასანთის დეფიციტი იყო და ეს ამბავი სცენარში გამოვიყენე. ისე გავაკეთე, თითქოს მე და ჩემი ვირი ვტოვებდით მანეჟს და სადღაც მივდიოდით. წამყვანმა მკითხა, სად მიდიხარ ამ შუა წარმოდგენის დროსო. ვუპასუხე, ქალაქს უჭირს, ასანთი არა აქვს და უნდა ვუშოვო-მეთქი. ახლა ნუ წახვალთ, ბნელა და თქვენს ვირს მანქანა დაეჯახებაო. ნუ გეშინიათ-მეთქი, ვუთხარი, ვირის სტოპ-სიგნალი „ავანთე“ და წავედი. მეორე დღეს სოხუმში ასანთი შემოიტანეს. ეს ამბავი კი მე და ჩემს ვირს „მოგვეწერა“ და სანამ იქ ვიყავი, ლხინი და დროსტარება არ დამკლებია.

— **ქართველ კლოუნს უცხოეთში როგორ უგებდნენ?**

— კლოუნადა საცირკო ხელოვნების უმთავრესი ჟანრია. სხვა ნომრების ამოღება პროგრამას არ შეეტყობა, უკლოუნოდ კი ცირკი წარმოუდგენელია. აქ ენა კი არა, სიცილის საგანია მნიშვნელოვანი. ზოგჯერ დარბაზში ისეთი რამ ხდება, რომ კლოუნს შეუძლია შესანიშნავად გამოიყენოს. ერთხელ ერევანში, პირველ რიგში მჯდომმა კაცმა ხვრინვა ამოუშვა, ყურადღებაც მასზე გადავიდა, მსახიობებს მუშაობა გაუჭირდათ, მე დავავლე საბანს და ბალიშს ხელი, გავვარდი კულისებიდან და იმ კაცის გვერდით ლოგინი გავშალე. გავიზმორე, დავამთქნარე და საბანში გავეხვიე, მძინარის ხვრინვას ლირიკული ტენორით ვეხმაურებოდი... ისეთი ხარხარი ატყდა, რომ კაცს გაეღვიძა, მიყურა, მიყურა, როგორც იქნა გამოფხიზლდა, მერე თავის ფაშფაშა ცოლს ხელი დაავლო და დარბაზიდან გავარდა. სამი დღის შემდეგ მომძებნა და დავმეგობრდით...

— **ცირკში მისვლამდე თურმე თეატრში მოღვაწეობდით...**

— მსახიობობა ცხინვალის თეატრში დავიწყე, მერე მოზარდ მაყურებელთა თეატრში წამოვედი... ცირკი გაიხსნა თუ არა, კლოუნობა დავიწყე... ამას ერთგვარი წინაპირობაც ჰქონდა: ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენის“ პრემიერისას შმაგას როლს ვთამაშობდი. სცენაზე გასვლის წინ ცილინდრი დავკარგე, ძლივს მოვძებნე, სასწრაფოდ ჩამოვიმხე თავზე და სცენაზე გავვარდი. „გაიცანით ჩემი მეგობარი შმაგა“ — თქვა ჩემმა პარტნიორმა. ქუდი მოვიხადე და რევერანსი გავაკეთე. ამ დროს ცილინდრიდან... თაგვმა ისკუპა და კულისებში გავარდა. ჯერ ყველა გაისუსა, მერე ისეთი ხარხარი ატყდა, ფარდა დაუშვეს. მაგრამ რა, რამდენჯერაც გამოვჩნდი, იმდენჯერ იქუხა დარბაზმა. სპექტაკლს ფინალი ძალიან სენტიმენტალური ჰქონდა, ამიტომ ჩემ გარეშე დამთავრდა. რომ გამოვსულიყავი, ისევ სიცილს დაიწყებდნენ.

— **თურმე სხეული სულ მოსვირინგებული გაქვთ. ეს ხომ არ გახდა იმის მიზეზი, რომ ფილმებში ქურდის როლები გათამაშეს?**

— ჩემს ჯეელობაში სვირინგი მოდაში იყო. „ორმაგი სახის“ და „ოქროს ობობას“ გადაღებისას რეჟისორებმა ძალიან გაიხარეს ჩემი ჭაბუკობის დროინდელი ჰობით. ბებერი ქურდის როლი მათამაშეს ორივე ფილმში და ორივეგან ჩანს ჩემი „სიმდიდრე“.

— **მითხრეს, შესანიშნავად მღერის და ერთხელ სიმღერით თავიც დაიხსნა განსაცდელისგანო...**

— ცხინვალში ქორწილში ვიჩხუბეთ — მე და ჩემმა მეგობარმა სამი შარიანი ბიჭი ვცემეთ, იმათ გვიჩივლეს და დაგვაპატიმრეს. იმ დღეს ცხინვალში ცნობილი ლოტბარი ავქსენტი მეგრელიძე ჩამოსულა მომღერალთა გუნდის შესაქმნელად. ჩემზე უთქვამთ, ერთი კარგი მომღერალია, მაგრამ დააპატიმრესო. ლოტბარს „ზემოთ“ ნებართვა უთხოვია და ციხეში მომაკითხა. გამომძიებელი მეგონა და რომ მკითხა, მართლა თუ მღერითო — გავბრაზდი. ახლა არ მემღერება და თუ რამე გაინტერესებს, მკითხე-მეთქი. გაეცინა, გამომძიებელი არა ვარ, შენი ხმა მაინტერესებსო... მეც დავსჭექე ციხეში... მესამე დღეს დამიძახეს — „თედიაშვილი ს ვეშჩამიო“... ცხინვალის ქართველ მომღერალთა დასში მიმიწვიეს. ბოლოს მაინც ცირკი ვარჩიე... თუმცა სიმღერასთან ერთი სასიამოვნო მოგონებაც მაკავშირებს: მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის კუნძულებზე მოვხვდი, სადაც ეკლესიის მუსიკალური გუნდი ჩამოვაყალიბე და მეამაყება, რომ სადღაც, ცხრა მთას გადაღმა, პირველად „სულიკო“ ვამღერე საბჭოთა ჯარისკაცებს...

*ეკა ლომიძე*

# დედაქალაქი ახალმა ვანდალურმა „ეპიდემიამ“ მოიცვა...

თბილისის ჩუღურეთის რაიონის ზოგიერთი ქუჩის მცხოვრებთ 26 იანვარს დილით საკუთარი საცხოვრებელი სახლების წინ ელექტრონის ბოძებზე დამონტაჟებული მრიცხველები დამტვრეული დახვდათ. ძირს ეყარა თავსახურები, ხოლო მრიცხველებიდან ე.წ. ავტომატები მოხსნილი და წაღებული იყო. მომხდარით გაოგნებული მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავდა და ამის ჩამდენთა მისამართით გამოთქმული ლანძღვა-გინებითღა იოხებდა გულს. მათი თქმით, ეს ყოველივე მოხდა დაახლოებით ღამის 4 საათის შემდეგ, როდესაც მოსახლეობას ელექტროენერგია არ



თენგიზ გოცირიძე

მიეწოდებოდა. რომ ვიცოდეთ, ვინ გააკეთა ეს, ან დაგვენახა, ხომ ცოცხალს არ გავუშვებდითო, დაიქადნეს მამაკაცებმა.

ჩვენ მიერ მოკვლეული ინფორმაციით, რამდენიმე ასეთი შემთხვევა ავლაბარსა და ვარკეთილშიც დაფიქსირდა. საბედნიეროდ, ჯერჯერობით, ჩუღურეთის რაიონის მსგავსი მასშტაბური „რეიდი“ დედაქალაქის სხვა რაიონებში არ მოწყობილა, თუმცა ვანდალიზმის გამოვლინების ეს სახე ახლა იკიდებს ფეხს, აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, მსგავსმა ორგანიზებულმა ჯგუფებმა მთელ დედაქალაქს ერთიანად დაუარონ და შედეგიც ათმაგად უფრო სავალალო მივიღოთ. ეს იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავებმა დროულად არ გაატარეს სათანადო ღონისძიებები მძარცველთა ასალაგმავად.

ყოველივ ამის გასარკვევად „ეი-ი-ეს თელასის“ არსენალის ბიზნესცენტრის მენეჯერს **თენგიზ გოცირიძეს** მივმართეთ.

— **ბატონო თენგიზ, ვის შეიძლებოდა ეს ჩაედინა?**

— ვისაც თბილისი და თავისი ხალხი არ უყვარს, კონკრეტულად ვინ არიან ვერაფერს გეტყვით...

— **რა მიზნით შეიძლება იყოს ეს ჩადენილი?**

— მრიცხველებში ჩამონტაჟებული ავტომატებია მოხსნილი და წაღებული — მიზანი მხოლოდ ეს არის.

— **რა ღირებულებისაა ეს ავტომატები? როგორც მითხრეს, მათ ბაზრობებზე აბარებენ 8 ლარად...**

— ჯერ არაფერი ვიცი, ყოველ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს უკვე ვაცნობეთ და ალბათ ყველაფერი გაირკვევა...

— **თქვენი ინფორმაციით, რამდენი ქუჩაა გაძარცული და რა რაოდენობის მრიცხველია გატეხილი?**

— სხვადასხვა ქუჩაზე 300-მდე მრიცხველია დაზიანებული და ყველგან წაღებულია ავტომატები. ეს ქუჩებია: ართვინის, ჩეჩელაშვილის, მამარდაშვილის, კიკვიძის, მიჩურინის, როსტოვის, თეთნულდის, საქარის, ქინქლაძის და ნორიოს აღმართი.

— **მრიცხველების აღდგენას როდის დაიწყებთ და რამდენ ხანში დაამთავრებთ?**

— მასალები უკვე გამოტანილი გვაქვს. ორშაბათიდან დავიწყებთ და ალბათ 10 დღეში მოვრჩებით.

— **აღდგენის ხარჯები მოსახლეობამ უნდა დაფაროს?**

— არა. ყველაფერი „ეი-ი-ეს თელასმა“ უნდა გაიღოს, რადგან ეს მისი ზარალია...

— **შემდგომში რომ ყოველივე ამისგან დაზღვეული იყოს მოსახლეობა, რამე დამცავი მექანიზმის შექმნაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

— მოფიქრებული გვაქვს უკვე...

— **სპეციალურ გისოსებში ხომ არ აპირებთ მრიცხველების მოთავსებას?**

— არა. ეს იქნება სულ სხვაგვარი დამცავი მექანიზმი, რისი გამჟღავნებაც არ გვინდა გარკვეული მიზეზების გამო. მხოლოდ გეტყვით, რომ იგი აბონენტსაც დაიცავს და ჩვენც მაქსიმალურად დაზღვეულები ვიქნებით მსგავსი შემთხვევებისგან.

— **დაახლოებით რა თანხად არის შეფასებული ზარალი?**

— ეს ჯერ არ დაგვითვლია, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი დეკემბერ-იანვრის ნამუშევარი წყალში ჩაგვიყარეს. ამ რაიონის გამრიცხველიანებას ორი თვე დასჭირდა.

— **ისე, უნებლიეთ, თქვენი „წვლილიც“ ხომ არ ურევია ამ ფაქტში — დენი რომ ჰქონოდა მოსახლეობას ღამით, მძარცველები ამას ხომ ვერ გაბედავდნენ?**

— რომ დავფიქრდეთ, ამ ყოველივეს ჩამდენი ერთგვარად გარკვეული უნდა ყოფილიყო ელექტრობაში — დარწმუნებული იყო, რომ ავტომატის მოხსნისას არაფერი შეემთხვეოდა.

— **აქედან გამომდინარე, მძარცველებს „ეი-ი-ეს თელასის“ რომელიმე თანამშრომელთან ხომ არ შეიძლება ჰქონდეთ კავშირი?**

— არა. „თელასის“ თანამშრომელი აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ეს არის გარკვეული ჯგუფი, რომელიც ამ კუთხით მუშაობს...

— **ეს ავტომატები რაიმე ძვირფას ლითონს ხომ არ შეიცავს და ამის გამო ხომ არ ხსნიან?**

— მე როგორც ვიცი, ისეთი ძვირფასი ლითონი მათში არ არის, რომ ამდენი ავტომატის მოპარვად, დაშლად და გადადნობად ღირდეს... ეს არის მხოლოდ და მხოლოდ, გამორჩენის მიზნით ჩადენილი, რბილად რომ ვთქვათ, ვანდალიზმი.

როგორც საუბრიდან ირკვევა, საქმე გვაქვს ჩვეულებრივ კრიმინალთან, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის ჯიბეს არ აწვება ტვირთად, მაინც სამართლიან გაღიზიანებას და აღშფოთებას იწვევს, იმ მარტივი მიზეზით, რომ ისედაც გრაფიკში მოქცეულ ხალხს უშუქობა კიდევ უფრო უხანგრძლივდება. ალბათ სამართალდამცავებმა მანამდე უნდა იღონონ რამე, სანამ მთელ ქალაქს ეპიდემიასავით არ მოსდებია მძარცველობის ეს ახალი სახე. ერთ-ერთი ალბათ ყველაზე მარტივი მეთოდი ამ საქმის გასახსნელად (რაც უცბად მოგვაფიქრდა) გახლავთ ის, რომ ჩვენი აზრით, ეს ე.წ. ავტომატები სარეალიზაციოდ შესაბამის ბაზრობებზე მოხვდებიან (თუ უკვე არ იყიდება) და მათი რეალიზატორების დახმარებით, ალბათ შესაძლებელია კვალში ჩადგომა და აღნიშნული ჯგუფების დადგენა-დაკავებაც. ისე კი, როგორც პოლიციაში დაგვაიმედეს, მძარცველებს მალე გამოიყვანენ სააშკარაოზე. ვნახოთ!

*მამუკა ხუციშვილი*



გამოშიგნული მრიცხველები

# ახმეტელები უშიშროებას მთვრალი ჩეჩნების დაპატიმრებას სთხოვდნენ...



გასულ კვირას ახმეტაში უშიშროების თანამშრომლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის სისხლიანი შეტაკება მოხდა. ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილია სამი ახმეტელი, რომელთაგან ერთი მძიმე მდგომარეობაშია. შემთხვევის ადგილზე ჩავიდა უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია.

ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად ახმეტაში უმძიმესი სიტუაციაა. არ არის გამორიცხული, რომ მთის ადათის თანახმად, დაჭრილთა ნათესავებმა ადგილობრივ უშიშროების თანამშრომლებზე იძიონ შური. კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზურაბ ტუშური ამ შეტაკებას ომის პროვოცირებად არ მიიჩნევს და ყველაფერს ურთიერთშელაპარაკებას აბრალებს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ ინციდენტს წინ უსწრებდა ჩეჩნებსა და ქართველებს შორის მომხდარი დაპირისპირებაც, რაც მეტყველებს, რომ კახეთში დენთის სუნი ტრიალებს. ვესაუბრებით **ზურაბ ტუშურს**:

— **ბატონო ზურაბ, რა მოხდა ახმეტაში?**

— მოგეხსენებათ, ახმეტის ცენტრში გრძელდება მოსახლეობის აქცია. მათი კარვების მახლობლად არის კაფე. საღამოს, დაახლოებით 8 სთ-ზე, კაფედან გამოვიდა სამი ჩეჩენი. ადგილობრივ მოსახლეობას აუშარდნენ — მანქანა არასწორად ჩაგიყენებიათო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთი ჩეჩენი ავიდა ჟიგულის მარკის მანქანის კაპოტზე, შემდეგ სახურავზე შედგა და ფეხები დასცხო. ამას მოსახლეობის ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა და მათივე თქმით, ეს სამივე ჩეჩენი უმოწყალოდ სცემეს. ამის შემდეგ მათ შორის დავა დასრულდა. კონფლიქტის მონაწილეთა ნაწილმა იმავე კაფეში ვახშმობა გააგრძელა. ამ დროს დარბაზში სავახშმო სუფრას უჯდა ხუთი კაცი, ორი მათგანი ახმეტის უშიშროების თანამშრომელი იყო. როგორც ირკვევა, კონფლიქტი ახლა აქ დაიწყო, ოღონდ რამდენიმე ახმეტელსა და იმ ხუთ პიროვნებას შორის. ჩხუბის დროს ახმეტელთა დასახმარებლად კაფეში გარედანაც შევიდნენ. წარმოიდგინეთ, რომ ეს ხდება კაფეში. რასაკვირველია, დაიმსხვრა ყველაფერი (ჭურჭელი, მაგიდები). უფრო მეტიც, ამ შეხლა-შემოხლის დროს გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი, დაიჭრა სამი ახმეტელი: ალბუთაშვილი, ომარაშვილი და ონიაშვილი. ორი მათგანი ფეხშია დაჭრილი, ხოლო ალბუთაშვილი გულმკერდის არეში მძიმედ დაიჭრა.

— **ასეთი შემთხვევები ხშირია?**

— რაც ამ რეგიონში ვარ, მსგავსი შეტაკება თანამშრომლებსა და მოსახლეობას შორის არ მოხდარა.

— **შეტაკების მიზეზი რა იყო? ჩვენი ინფორმაციით, ახმეტელები უშიშროების თანამშრომლებს მთვრალი ჩეჩნების დაპატიმრებას სთხოვდნენ — ყველაფერი თქვენ თვალწინ მოხდა და რატომ არ ჩაერიეთო...**

— მიზეზზე მე ვერაფერს გეტყვით. დაუკავშირდით სამხედრო პროკურატურას.

— **ამჟამად რა მდგომარეობაა, შეგიძლიათ თქვათ, რომ განიმუხტა სიტუაცია?**

— სიტუაცია დაძაბულია. ფაქტია, რომ ალბუთაშვილის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ასეა თუ ისე, საქმეში უშიშროების თანამშრომლები ფიგურირებენ და ეს ხელს არ შეუწყობს სიტუაციის განმუხტვას, პირიქით, უფრო დაძაბავს ურთიერთობას. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ახლა რაიმეს თქმა ძალიან ძნელია.

— **ბლოკ-პოსტების გადაწევიდან გარკვეული დრო გავიდა. შეცვალა თუ არა ამან პანკისში მდგომარეობა უკეთესობისკენ?**

— ბლოკ-პოსტების გადაწევა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რომელმაც საფუძველი უნდა დაუდოს მეტად საჭირო ღონისძიებების გატარებას, რაც უკვე დაწყებულია, მაგრამ ასე უცებ რაიმე შედეგს ცხადია, ვერ გამოიღებს.

— **ბატონო ზურაბ, თქვენ ბრძანეთ, მძევლების უპირობო გათავისუფლება უნდა მოხდესო, მაგრამ მამა ბასილი და ხალილოვი ისევ ტყვედ არიან. რატომ ვერ მოხერხდა მათი გათავისუფლება?**

— მე არ შემიძლია დაგიკონკრეტოთ, რატომ ვერ გავათავისუფლეთ. არის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

— **და კიდევ ერთი: ხომ არ ფიქრობთ, რომ მოსახლეობასა და უშიშროების თანამშრომლებს შორის მომხდარი კონფლიქტი კახეთში ომის დაწყების პროვოცირების მცდელობა იყო?**

— ჩემი შეფასებით, ინციდენტში პროვოკაციის რაიმე სუნი გამორიცხულია. ჩვენ ვნახეთ, ვინ მონაწილეობს აქციაში და რა პირობებში ხდება ყოველივე და დავრწმუნდით, რომ ეს ინციდენტი იყო სუფრაზე მომხდარი გაუგებრობისა და ჩვეულებრივი შეხლა-შემოხლის შედეგი.

„კვირის პალიტრა“ ასევე დაუკავშირდა პანკისის კრიმინალური პოლიციის უფროსს **მენზერ ბერუკაშვილს**:

— **ბატონო მენზერ, რა მიზეზით მოხდა ახმეტაში ინციდენტი?**

— როგორც გავარკვიეთ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე. ამის მეტს ვერ გეტყვით.

— **პირველად ვინ ისროლა?**

— ისროლეს უშიშროების თანამშრომელთა მხრიდან.

— **კერძოდ ვინ?**

— პირველადი მონაცემებით, გია რეხვიაშვილმა ისროლა. ამ ეტაპზე სხვა პირები გამოკვეთილი არ არიან.

— **დაპატიმრებულია?**

— სამხედრო პროკურატურამ დაკითხა და მისი დაკავება ალბათ, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ მოხდება.

— **რა ტიპის იარაღია გამოყენებული?**

— დანიშნულია ექსპერტიზა. ამიტომ ამ ეტაპზე ვერ გეტყვით.

ამჟამად ალბუთაშვილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს. იგი რეანიმაციულ განყოფილებაშია. მორიგე ექიმის, ნინო კახიძის თქმით, ავადმყოფი უმძიმეს მდგომარეობაშია და მართვით სუნთქვაზე იმყოფება. დაჭრილს რამდენიმე მძიმე ოპერაცია ჩაუტარდა და გადარჩება თუ არა, ეს უკვე მის ორგანიზმზეა დამოკიდებული...

*მარინა მამისაშვილი*

# ჰეროინის კუსტარულად დამზადების პანკისური მეთოდები...

## ქარხანა არა, მაგრამ...

პანკისში პანიკაა, მკვიდრი მოსახლეობა აღშფოთებულია. ქართველები და ქისტები ერთად ბჭობენ, რა მოუხერხონ კრიმინალს, რა მოუხერხონ ნარკოტიკს. აქაურების აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ბოროტმოქმედებს ანუ ნარკორეალიზატორებს ხელისუფლების წევრები მფარველობენ, რომლებიც თურმე, თავისი დანაშაულის ჩამოწერისთვის ტყვიის გასროლასაც არ მოერიდებიან (საუბედუროდ, მათი ვარაუდი გამართლდა — გასროლა მართლაც მოხდა გასულ პარასკევს ახმეტაში და რამდენიმე კაციც დაიჭრა)... მართლაც, ერთ უმიზნო გასროლას რა შეიძლება მოჰყვეს, ყველამ შესანიშნავად უწყის. ამბობენ, რომ სწორედ ამის შიშით დატოვეს ოსებმა ქორეთი, კუწახტა, წინუბანი, დუმასტური. ამ სოფლებში მხოლოდ ღრმად მოხუცებულებიღა დარჩნენ. „საგუშაგოების პანკისის შუაგულში გადატანა ისეთივე ფარსია, როგორიც ძალოვნების ნარკოტიკებთან ბრძოლა“ — მითხრა პანკისის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა, ა.ს.-მ, რომელმაც თავადვე შემომთავაზა პანკისში გამგზავრება და მეგზურობაც აღმითქვა — იმ პირობით, თუკი ჟურნალისტის დამადასტურებელ საბუთს თან არ წავიღებდი. თანაც, იქაურობისათვის შესაფერისი იერის მისაღებად ჩაცმულობას შევიცვლიდი და წვერსაც მოვუშვებდი. სოფელ მატანში ამ რამდენიმე დღის წინ მომხდარ ამბავზე ვინ აღარ ლაპარაკობს: პოლიციელ მაღალჩინოსანს ავტომანქანაში ქისტი ნარკოდილერი ჰყოლია. როცა ხალხს პოლიციელისათვის მისი გადაცემა უთხოვია, ნარკობარიგა პოლიციის განყოფილებაში დამალულა და იმ დღეს გარეთ აღარ გამოსულა. მერე კი ქუჩებში თავისუფლად დანავარდობდა. სამწუხაროა, რომ პანკისის ნებისმიერ სოფელში შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, ვისაც ნარკოსაქმეში ან იარაღის ვაჭრობაში ურევია ხელი. მათი ვინაობა სოფლებში ყველამ იცის, მაგრამ ვერაფერს უხერხებენ. იმის დასაზუსტებლად, გაზვიადებულია თუ არა ხმები პანკისში უზარმაზარი რაოდენობით ნარკოტიკის არსებობის შესახებ, ჩემმა მეგზურმა ერთგვარი ექსპერიმენტი შემომთავაზა: უნდა მოგვეძებნა შუამავალი და ნარკოტიკის გამსაღებლისათვის შეგვეთვალა, რომ თბილისიდან ნახევარი კილოგრამი ჰეროინის საყიდლად ვიყავით ჩასული. გამორიცხული არ იყო, გამყიდველს ჩვენი წინადადება უყურადღებოდ დაეტოვებინა, მაგრამ რადგან საქმეში პანკისელი იქნებოდა ჩარეული, ექსპერიმენტს უნდა გაემართლებინა. დავიწყეთ შუამავლის, ვინმე ქათამას ძებნა.

— ქათამა რატომ ჰქვია? ვკითხე ჩემს მეგზურს, — ციხეშია ნაჯდომი და იმიტომ, — მომიგო, — ცისფერია, არა? — შევუტრიალე კითხვა, რადგან ამ ორიენტაციის მამაკაცებს სასჯელთაღსრულების საპყრობილეებში ასე მიმართავენ.

— არა, ცისფერი არ არის, ქათმის მოპარვაში დახელოვნებული პირია და ამიტომაც მოხვდა იქ.

ქათამას ისტორია მართლაც უჩვეულო აღმოჩნდა: ყმაწვილკაცობაში პროფესიონალი ქათმის ქურდი ყოფილა. თურმე მხოლოდ საუკეთესო, ჩათქვირებულ დედლებს არჩევდა. წლების განმავლობაში ვერავინ მიხვდა, როგორ არჩევდა ქურდი სიბნელეში კარგ და ცუდ დედალს. როცა დაიჭირეს, მხოლოდ მაშინ გაირკვა ყველაფერი — თურმე საქურდლად რომ გადიოდა ღამით, ქათამა მამალივით ყიოდა. საქათმიდან მამალი გამოეპასუხებოდა. ასე პოულობდა საქათმეს. შიგ შესულს კი ერთი პროფესიული საიდუმლო ეხმარებოდა — თურმე ქანდარაზე მამლის გვერდით (მარჯვნივ და მარცხნივაც) მხოლოდ საუკეთესო დედლები სხდებიან. ქათამაც სწორედ მათ იპარავდა. მისი დაკავების ამბავიც საინტერესოა — თურმე ერთ-ერთ გლეხს შუაღამისას, უდროო დროს, მამლის ყივილი შემოესმა. ნადირი ხომ არ არისო, უფიქრია და იარაღით გასულა. ნადირის მაგივრად ადამიანი — ქათამა შერჩენია ხელში. სოფელს უფიქრია, გამოვასწორებთო და ქათამა პოლიციისათვის ჩაუბარებია. ეს ამბავი სხვა სოფლებშიც გაუგიათ და პოლიციაში უამრავი ხალხი მისულა საჩივრით, — ქათმები გვეკარგებოდაო. ასე დააპატიმრეს ქათამა. მაგრამ ციხიდან განარკომანებული გამოვიდა და ახლა ნარკობიზნესში შუამავლობს — მყიდველს მოძებნის, ბარიგას ფულს მიუტანს, ეს უკანასკნელი კი, გაწეული სამსახურისათვის ერთ გაკეთება ჰეროინს ჩუქნის. ამასობაში, როგორც იქნა გამოჩნდა ქათამა. შინაურული სალამი მისცა ჩემს მეგზურს და, რისთვის მეძებდიო, ჰკითხა. მანაც აუხსნა, თბილისიდან კაცია ჩამოსული, წამლის ყიდვა უნდა და იურის შეგვახვედრეო. — იური რად გინდა, ფული გამატანეთ და მოგიტანთო. ავუხსენით, რომ ბევრი გვინდოდა, მაშინ ქათამამ ჩვენი მობილური ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და წავიდა. რამდენიმე საათს ველოდით. როგორც იქნა, ქათამამ დარეკა, მაგრამ საეჭვო ადგილზე, ფიჩხოვანის ტყესთან დაგვითქვა შეხვედრა. ჩემმა მეგზურმა დამარწმუნა, რომ ჯობდა მარტო თვითონ წასულიყო მოლაპარაკებაზე, რადგან მე, ამ საქმეში ჩაუხედავ პიროვნებას, შეიძლებოდა რამე ისეთი წამომცდენოდა, რითაც ხიფათში ჩავიგდებდი თავს. ასე აჯობებსო და კარი გაიხურა. ამის მერე მოსვენება დავკარგე. კარგა ხანი ველოდი. ბოლოს ქათამა და ჩემი გამცილებელი ერთად შემოვიდნენ — შეხვდით? — ვკითხე.

გაგრძელება იხ. გვ. 13

# „კახეთის პურში“ მილიონი დოლარი აორთქლდა...



„ზოგიერთს ეს ამბავი ნანინად ესმის. თუ ყველა მინისტრის, რწმუნებულის, ყველა გამგებლის დამოკიდებულება ასეთი ფაქტების მიმართ არ შეიცვლება, იძულებული ვიქნები, დავიწყო მათ მიმართ რეპრესიები... გული გაგისკდება კაცს, რა უბედურება გვჭირს? ალბათ ასე ფიქრობთ, რა მოხდა მერე, თუ ვინმეს ამერიკული კრედიტი შემოეჭამაო. ვისაც ამ დანაშაულში, პირდაპირ თუ ირიბად, წვლილი მიუძღვის, უსინდისო და გათახსირებული ხალხია. ახლა ბევრი სოროში შეძვრება. გაფრთხილებთ, არავინ არ უნდა შეძვრეს სოროში — ყველა გამოათრიეთ იქიდან და მკაცრად დასაჯეთ!“ — ეს განცხადება აღელვებულმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე წინა კვირას, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის მოხსენების შემდეგ გააკეთა. კანცელარიის თანამშრომლებმა თურმე კონტროლის პალატის შეფს უსაყვედურეს, პრეზიდენტის ჯანმრთელობას არ უფრთხილდები და ასეთი მოხსენებებისაგან თავი შემდგომში მაინც შეიკავე, ან ნელ-ნელა შეაპარე პრეზიდენტს გამოვლენილი კორუფციული ფაქტებიო.

ასეთი გაუგონარი და დაუჯერებელი მაინც რა თქვა მოლაშვილმა, რომ პრეზიდენტიც კი ააღელვა და მოთმინების ძაფი გაუწყვიტა.

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი **რამაზ მამალაძე:** „1998 წელს პრეზიდენტის 18 ოქტომბრის №597 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა „აშშ კრედიტით შესყიდული ხორბლის რეალიზაციის დაჩქარების ღონისძიებებს“, საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრომ იმავე წლის 21 ოქტომბრის №02/433 ბრძანებულებით შექმნა სატენდერო კომისია, რომელსაც უნდა გამოევლინა ის ორგანიზაციები, რომლებიც საუკეთესო პირობებს შესთავაზებდნენ სახელმწიფოს სასურსათო ხორბლის სარეალიზაციოდ და დროულად დააბრუნებდნენ ამონაგებ თანხებს.

23 ნოემბერს სატენდერო კომისიამ სხვა ორგანიზაციებთან ერთად ტენდერში გამარჯვებულად გამოაცხადა სააქციო საზოგადოება „კახეთის პური“ და მას, როგორც ერთ-ერთ გამარჯვებულს, გადაეცა 15 ათასი ტონა ხორბალი, რომლის ღირებულება იყო თითქმის 2 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც ს/ს „კახეთის პურმა“ სახელმწიფოს მხოლოდ ღირებულების ნახევარი დაუბრუნა, ხოლო ხორბლის ღირებულების მეორე ნახევარი, ანუ მილიონი დოლარი აორთქლდა და მისი სახელმწიფოსათვის დაბრუნებას ახლაც ამაოდ ცდილობენ სამართალდამცავი ორგანოები. ძიების პროცესში გამოიკვეთა სატენდერო კომისიის, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურობა. კერძოდ, ტენდერის პირობებით, აუცილებელი იყო ტენდერში მონაწილე ორგანიზაციებს წარმოედგინათ, ან თავიანთ უძრავ-მოძრავ ქონებაზე აუდიტის დასკვნა, რომელიც ხორბლის საფასურის გარანტია იქნებოდა, ან რომელიმე ბანკს უნდა გაეცა საგარანტიო წერილი. ს/ს „კახეთის პურმა“ სატენდერო კომისიას წარუდგინა „საფოსტო ბანკის“ №02/476 საგარანტიო წერილი, სადაც წერია: „საფოსტო ბანკი“ გენერალური დირექტორის, იაკობიძის სახით აძლევს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს სატენდერო კომისიას გარანტიას მასზე, რომ ს/ს „კახეთის პურის“ მიერ სამინისტროდან მიღებული 15 ათასი ტონა სასურსათო ხორბლის კრედიტი, რომელიც უნდა მოხმარდეს კახეთის მხარის პენსიონერების პენსიების გაცემას, „კახეთის პურის“ ვადაში არდაფარვის შემთხვევაში, საფოსტო ბანკი გადაურიცხავს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს „კახეთის პურის“ ანგარიშსწორების ანგარიშიდან დავალიანების თანხას“ (სტილი დაცულია). უნდა აღვნიშნო, რომ სპეციალისტების დასკვნით, ეს წერილი არ გახლავთ საბანკო გარანტია, რადგან ბანკი წერს, რომ დავალიანების თანხას სამინისტროს გადაურიცხავს „კახეთის პურის“ ანგარიშსწორების ანგარიშიდან. ეს ისედაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ექნებოდა თუ არა „კახეთის პურს“ ანგარიშზე ფული, ეს ტენდერის კომისიის წევრებს არ უკითხავთ, ხოლო ბანკმა თავისი ფული გარანტიად არ ჩადო. გამოდის, რომ „საფოსტო ბანკმა“ „შეცდომაში“ შეიყვანა სატენდერო კომისიის წევრები, ხოლო კომისიის ათივე წევრმა „კახეთის პურის“ მიერ წარმოდგენილი, ე.წ. საგარანტიო წერილი უმაღლესი შეფასებით — 10 ბალით შეაფასა(?!). არადა, ტენდერის კომისიის წევრები იყვნენ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, ფინანსთა სამინისტროს კრედიტების დეპარტამენტის თავმჯდომარე და სხვები, რომლებსაც აუცილებლად უნდა სცოდნოდათ, რომ „კახეთის პურის“ მიერ წარმოდგენილი წერილი არ გამოდგებოდა „საბანკო გარანტიად“. შედეგად, სახელმწიფომ იზარალა მილიონი დოლარი და ათეულათასმა პენსიონერმა ვერ მიიღო პენსია.“

ჩვენ ს/ს „კახეთის პურის“ ერთ-ერთ ბუღალტერს დავუკავშირდით. მან თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა და გვითხრა: „თქვენ გაინტერესებთ, ვინ ჩაიჯიბა ათეულათასობით ლარი და ალბათ, ფიქრობთ, რომ „კახეთის პურის“ ხელმძღვანელობა აშენდა და ფუფუნებით ცხოვრობს მოპარული ფულით. არა, ბატონო... ტენდერში რომ გაგემარჯვა, მისაღები ხორბლის ღირებულების 20% კომისიის წევრებისთვის უნდა გეფეშქაშა. ყველამ თავისი წილი მოითხოვა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, საქართველოში არავინ არაფერს მოგცემს, თუ წილში არ გაიყვანე. გამგებელსაც თავისი უნდა და ათას ჩინოვნიკსაც... ყველა ხელში მოგჩერებია.“

საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელობა, რომელმაც ეს საქმე შეისწავლა, ასეთ კომენტარს აკეთებს: „აღნიშნული კრედიტის გაცემის ძირითად მიზანს საპენსიო დავალიანებების მქონე კახეთის მხარის რეგიონებში პენსიონერთა პურის ფქვილით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ფქვილის შესაბამისი ხორბლის ღირებულება 1 წლის მანძილზე საპენსიო ფონდს ან ფინანსთა სამინისტროს უნდა აენაზღაურებინა, რის შემდეგადაც იგი დარჩებოდა ს/ს „კახეთის პურს“ საკრედიტო რესურსად. ტენდერის ჩატარების პროცესი წარიმართა დარღვევებით. სატენდერო კომისიამ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ „კახეთის პურს“ სახელმწიფო ბიუჯეტის 150 ათასი ლარი ემართა, კანონის თანახმად, ეს გარემოება ს/ს „კახეთის პურს“ ტენდერში მონაწილეობას უკრძალავდა. მეორე მხრივ, ტენდერის კომისიის წევრებმა რატომღაც არ გაითვალისწინეს ს/ს „კახეთის პურის“ ქონებრივი გარანტიებიც, რადგან ტენდერის ჩატარების მომენტში მისი აქციების 68% სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. ამდენად, სახელმწიფო ქონება გამოიყენეს გარანტიად, ასევე სახელმწიფო კრედიტის მისაღებად, რაც აბსურდია. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, ს/ს „კახეთის პურს“ გამოეყო 15 ათასი ტონა ხორბალი, რომლის გადამუშავების შედეგად, 7 ათასი ტონა ფქვილი უნდა მიეწოდებინა კახეთის მხარის რაიონების საპენსიო ფონდებისათვის“.

**ალბათ ასე ფიქრობთ, რა მოხდა მერე, თუ ვინმეს ამერიკული კრედიტი შემოეჭამაო. ვისაც ამ დანაშაულში, პირდაპირ თუ ირიბად, წვლილი მიუძღვის, უსინდისო და გათახსირებული ხალხია. ახლა ბევრი სოროში შეძვრება. გაფრთხილებთ, არავინ არ უნდა შეძვრეს სოროში — ყველა გამოათრიეთ იქიდან და მკაცრად დასაჯეთ!“**

როგორც გაირკვა, ს/ს „კახეთის პურმა“ უსახსრობის გამო თავიდანვე დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. კერძოდ, მას არ გააჩნდა სატენდერო კომისიის მიერ გამოყოფილი ხორბლის შემნახველი შპს „სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოსთვის“ წინასწარ გადასახდელი თანხები. ამიტომაც „კახეთის პურმა“ ხორბლის მიღებისთანავე, მისი გადამუშავების გარეშე, მოახდინა თითქმის 6200 ტონა ხორბლის რეალიზაცია, მის თვითღირებულებაზე საგრძნობლად დაბალ ფასად, რის გამოც საპენსიო ფონდებს დააკლდა დიდი რაოდენობით ფქვილი — კერძოდ, 2700 ტონით ნაკლები. შემდეგ ხორბლის რეალიზაციიდან ამოგებული თანხის ნაწილი, 182 ათასი ლარი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაერიცხა შპს „ტრანსუზრუნველყოფას“. რატომ გადარიცხა ეს ფული, „კახეთის პურის“ ხელმძღვანელობა ვერ ხსნის, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციით, სააქციო საზოგადოება „კახეთის პურმა“ იმერეთისა და სამეგრელოს მხარეში, კერძოდ, ქუთაისსა და ზუგდიდში, დიდი რაოდენობით ფქვილი გაიტანა შპს „ტრანსუზრუნველყოფის“ მანქანებით და ეს თანხაც ამ გადაზიდვებისათვის აუნაზღაურა. თანხა გადაზიდული ფქვილიდან დროულად ვერ მიიღო და ამიტომაც დატრიალდა ე.წ. „კარუსელი“.

კონტროლის პალატის მასალებიდან ირკვევა, რომ „ხორბლის მიღებიდან ერთი წლის მანძილზე, ფინანსთა სამინისტრომ ს/ს „კახეთის პურს“ დაუფარა საპენსიო ფონდისათვის გადატვირთული ფქვილის ღირებულება, თუმცა მიღებული თანხები „კახეთის პურმა“ კვლავ არამიზნობრივად დახარჯა. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მეშვეობით, გაფორმდა ჩათვლები შპს „ლინქსზე“ 137 ათასი ლარის ოდენობით, რუსთავის ცემენტის ქარხანაზე — 200 ათასი ლარის და შპს „სივეისზე“ 58 ათასი ლარის ოდენობით. ე.წ. ჩათვლის მოტივს წარმოადგენდა აღნიშნული ორგანიზაციების მიმართ თითქოსდა არსებული დავალიანებები, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. კანონით, რადგან საპენსიო ფონდს სრულად არ გადაუტვირთავს ფქვილი, ს/ს „კახეთის პურს“ უნდა ჩამოერთმეოდა ხორბალი. ფაქტობრივად კი, ფინანსთა სამინისტრომ „კახეთის პურს“ ფქვილის ღირებულებაც აუნაზღაურა. დაბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით, ს/ს „რუსთავცემენტთან“ „კახეთის პურის“ მიერ ჩატარებულ ერთ საფინანსო მაქინაციას. შპს „თაქლის“ წერილის საფუძველზე, „კახეთის პურმა“ „რუსთავცემენტთან“ დადო ხელშეკრულება 200 ათასი ლარის ღირებულების ცემენტის შესყიდვის თაობაზე. აღნიშნული თანხა ს/ს „კახეთის პურმა“ ბიუჯეტიდან მიღებული ხორბლის ღირებულების ანგარიშიდან ჩაუთვალა „რუსთავცემენტს“. ამ უკანასკნელის ბიუჯეტისადმი დავალიანების ანგარიშში, შპს „თაქლის“ ზემოთ აღნიშნული წერილის საფუძველზე, ცემენტის მისაღები მინდობილობა ს/ს „კახეთის პურს“ უნდა მიეცა მესამე ორგანიზაციისათვის. კერძოდ, შპს „ტრანსმშენისთვის“. რაც განხორციელდა კიდეც და ამ ოპერაციის ჩატარებიდან 10 დღის შემდეგ, შპს „თაქლმა“ გააფორმა ხელშეკრულება „კახეთის პურთან“, „რუსთავცემენტის“ დებიტორული დავალიანების 20%-იანი ფასდაკლებით მასზე გაცემის შესახებ. ამრიგად, წინასწარ განზრახული ქმედებით, ს/ს „კახეთის პური“ 40 ათასი ლარით დაზარალდა, შესაბამისად, თანხები დააკლდა სახელმწიფო ბიუჯეტსაც“.

სწორედ ამიტომ აევსო მოთმინების ფიალა ალბათ პრეზიდენტს და რეპრესიებითაც ამიტომ იმუქრება. მაგრამ პარლამენტარი **კობა დავითაშვილი** პრეზიდენტის ამ განცხადებას, ასეთ კომენტარს ურთავს: „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, პრეზიდენტის ეს სიტყვები, რადგან მისი მმართველობის მეთოდია — „გასვარე და იბატონე“. ის თვითონ უბიძგებს თავის მოხელეებს — დაწყებული მინისტრებით და დამთავრებული რიგითი ჩინოვნიკით, კორუფციისაკენ. მერე უკვირს, რატომ ხდება სახელმწიფო ქონების დატაცებისა და კორუფციის ფაქტებიო. ერთი სიტყვით, ყველა არის გასვრილი და ამიტომ ყველა არის ჩუმად“.

არ გვინდა დავიჯეროთ დავითაშვილის ეს სიტყვები და იმედია, ქვეყნის პრეზიდენტი ბოლოს და ბოლოს, მართლაც დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებს კორუფციას.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# ჩვენი თანამოქალაქე... მკვლელი მძღოლები

**რომელ სინანულზეა ლაპარაკი, როდესაც კატასტროფის შემდეგ მომაკვდავი კაცის ქუჩაში მიტოვება და გაქცევა მოდად იქცა, მოხერხებულობისა და ჩაუქობის გამოვლინებად...**

„ქუჩა“ და „მანქანა“... ეს სიტყვები ვისთვის კორუფციის სიმბოლოა, ვისთვის — ავტომობილით მოგზაურობისა, ვისთვის კი უახლოესი ადამიანის დაკარგვასთან და უსაზღვრო ტკივილთან არის დაკავშირებული. ჩვენ ამ უკანასკნელზე შევჩერდებით. — ავტომობილი მექანიკური გადაადგილების საშუალებაა და ფორტუნის კაპრიზებზე ნაკლებად არის დამოკიდებული. ნებისმიერი ავტოსაგზაო შემთხვევის უკან კონკრეტული დამნაშავე და კონკრეტული მიზეზი არსებობს — ელემენტარული უვიცობით დაწყებული და ... პოტენციური მკვლელობით დამთავრებული. როდესაც მანქანის დაქოქვა-დაძვრის ცოდნას „პრავის“ ყიდვისთვის საკმარისად ჩათვლი, უვიცი ხარ, როდესაც საჭესთან უგონო მთვრალი ჯდები და ქალაქში დაჯირითობ — პოტენციური მკვლელი. არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მეორე დღეს, ნაბახუსევზე შიშით და სინანულით იხსენებ წუხანდელ თავგადასავლებს თუ არაფრად აგდებ, რადგან მოტეხილობას სინანული „იშვიათად“ კურნავს — აღარაფერს ვამბობთ მიცვალებულის გაცოცხლებაზე.

თუმცა, რომელ სინანულზეა ლაპარაკი, როდესაც კატასტროფის შემდეგ მომაკვდავი კაცის ქუჩაში მიტოვება და გაქცევა მოდად იქცა, მოხერხებულობისა და ჩაუქობის გამოვლინებად...

ორიოდე დღის წინ, შინ ძველი გაზეთების არქივს ვათვალიერებდი. მათ შორის საგზაო უსაფრთხოების საბჭოური პროპაგანდის ნიმუშებს წავაწყდი:

გზად ავარიის რომ აგცდეს რისხვა,
ნუ დალევ სასმელს, იყავი ფხიზლად!
...
გსურს, სადგურამდე მშვიდობით მისვლა?
ნუ დალევ სასმელს, იყავი ფხიზლად!

წაკითხულმა თუ ღიმილი მოგგვარათ, შემიძლია სხვა, გაცილებით სერიოზული რამ მოგითხროთ: საბურთალოს ქუჩაზე დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი „ოპელ ომეგა“ ტროტუარზე ავარდა და გაჩერებაზე მდგომ დედა-შვილს, ნ. მ.-ს და მ. მ.-ს დაეჯახა. შედეგად ნ. მ. თავის ქალისა და ხერხემლის მძიმე ტრავმით საავადმყოფოში იქნა მოთავსებული, ხოლო მცირეწლოვანი მ. მ. კი ადგილზე დაიღუპა.

მიზეზი — ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა.

მცხეთა-თბილისის ტრასის მონაკვეთზე დიდი სიჩქარით მოძრავი „ნისანის“ ტიპის ჯიპი ცალმხრივი მოძრაობიდან თავის სავალ ზოლს ასცდა და საპირისპირო მხარეს გადავიდა, სადაც ამ დროს მოძრავმა „ჟიგულის“ მარკის ავტომობილმა მისთვის გვერდის აქცევა ვერ მოახერხა... შეჯახების შედეგად დაიღუპა „ჟიგულის“ მძღოლი, მძიმედ დაშავდა მისი ორი მგზავრი. ჯიპის მძღოლი საავადმყოფოში მსუბუქი დაზიანებით მოხვდა. მისი ნასვამობა ვერ ან არ იქნა დადგენილი.

ნაახალწლევს, ნათესავის წვეულებაზე მყოფი ახალგაზრდა შ. ტ.-ს შეგნებულად არ დაულევია, რადგან მანქანით იყო მისული. წვეულებიდან წამოსულს თან ბიძაშვილიც წამოჰყვა. სამწუხაროდ, მას განსაცდელი სხვა მხრიდან ელოდა — ქალაქის ერთ-ერთ გზაჯვარედინზე გზა გადაუჭრა და გვერდულად შეეჯახა „ტოიოტას“ მარკის ჯიპი, რომელმაც შ.ტ.-ს კუთვნილი ორკარიანი მსუბუქი ავტომობილი ათ მეტრზე ათრია, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი ბეტონის კედელს მიენარცხა. ადგილზე დაიღუპნენ შ.ტ. და მისი თანმხლები პირი. დამნაშავე მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა...

... ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანს ხუმრობის ხალისი დაეკარგოს. საქართველოს გზებზე ყოველწლიურად 500-მდე ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება, რომელშიც 150-მდე ადამიანი იღუპება და 200-ზე მეტი სახიჩრდება — ვინ სხვისი, ვინ თავისივე მიზეზით. დამნაშავე ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანია და არა ავტომობილი...

ვესაუბრებით საგზაო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს, **რობერტ იანტბელიძეს:**



— აქაც, ისევე როგორც სხვა სფეროებში, ტრაგედია ის არის, რომ ყველამ ყველაფერი ვიცით და საბოლოოდ, არავინ არაფერს ვაკეთებთ. სიმართლე რომ ვთქვათ, ვითომ, თითოეულ ჩვენგანს ერთხელ მაინც არ გაუვლია წითელზე?! არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ფეხით დადიხართ თუ მანქანით — ორივე შემთხვევაში მოძრაობას შუქნიშანი აწესრიგებს... მაგრამ ჩვენი მენტალიტეტია ალბათ ასეთი — წესებს არას დაგიდევთ და მერე, „პოსტ-ფაქტუმ“ ვტირით.

— **მაგრამ მხოლოდ შუქნიშანში ხომ არ არის საქმე. ესეც არ იყოს, ქალაქში ბევრი შუქნიშანი არ მუშაობს...**

— გეთანხმებით, საქმე მხოლოდ შუქნიშანში არ არის. საქმე ელემენტარულ უკულტურობაშია. დიდ ბოდიშს მოვუხდი, თუ ვინმე ამ სიტყვებს პირად ლანძღვად მიიღებს, მაგრამ ერთ მაგალითს მოვიტან: საბჭოთა პერიოდში, მოძრაობის უსაფრთხოების შესწავლის მიზნით აღმოსავლეთ ევროპაში ვიყავი მივლინებული. ვარშავაში უცნაური სურათის მოწმე გავხდი — გზაჯვარედინზე შუქნიშანი გამოირთო. იმხელა მოძრაობა იყო, ვიფიქრე, ქაოსი დაიწყება-მეთქი. შენც არ მომიკვდე, ქვეითები მძღოლებს შესცქეროდნენ თვალებში, მძღოლები კი — ქვეითებს... ასე გაგრძელდა, სანამ ავტოინსპექტორი არ გამოჩნდა. კი ბატონო, თბილისში ბევრგან არ მუშაობს შუქნიშანი და, თავისთავად, ეს ძალიან ცუდია. მაგრამ ბევრად უარესია, როდესაც ასეთ ადგილებში „ჯუნგლის კანონი“ მოქმედებს — გზაზე ის გადადის, ვინც უფრო „პრაბივნოია“. არც მძღოლი ფიქრობს რამის დათმობას და არც ქვეითი. თუმცა, „რომელმა დაიწყო პირველად“, ძნელი გასარკვევია...

— **მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს საგზაო პოლიცია, რომელიც პირველ რიგში ამ კულტურის ამაღლებასა და მოძრაობის უსაფრთხოებაზე უნდა ზრუნავდეს...**

— საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე იმ პერიოდში ჩამოყალიბებულ ტრადიციასა და გამოცდილებაზე, სამწუხაროდ, ერთი ხელის მოსმით ვთქვით უარი — კარგზეც და ცუდზეც, ახლის შექმნაზე კი არავის უფიქრია. გეთანხმებით, რომ დღევანდელი ავტოინსპექტორი უფრთებო ანგელოზი არ გახლავთ, მაგრამ ეს პრობლემის მთავარი მიზეზი არ არის. უბრალოდ, ინსპექტორი ჩანს ქუჩაში და ყველაზე იოლი მისი გამოჭერაა — დილეტანტობა იქნება ეს თუ ფულის აღება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ინსპექტორის მიღმა, კაბინეტებში მოკალათებული, უზარმაზარი მანქანა იმალება, რომელიც საფუძვლიან გადახალისებას და რეფორმას საჭიროებს. თუ არა, ვამხილოთ და ვხსნათ ეს ინსპექტორები, „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსაო“, ეგრეა ჩვენი საქმე...

— **ძალიან ხშირად, ავტოკატასტროფის მიზეზი მძღოლის უცოდინარობა ხდება ხოლმე. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ „მართვის მოწმობები“ უგამოცდოდ იყიდება.**

— დასაგმობია, თუ რომელიმე საგზაო პოლიციელი მართვის მოწმობაში ქრთამს იღებს. მაგრამ ტრაგედიაა, როდესაც კაცმა მანქანის ტარება არ იცის და მართვის მოწმობაში ქრთამს იხდის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ დროს ხომ კაცი საკუთარ განაჩენზე აწერს ხელს...

*გაგრძელება იხ. გვ. 23*

# მეტალურგიული კომბინატი — რუსთაველების ჯართად გაყიდული იმედი?..



მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა გერმანიასთან გაგანია ომის დროს დაიწყო და ამით ქალაქ რუსთავსაც ჩაეყარა საფუძველი. ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი მრავალი წლის მანძილზე გიგანტ საწარმოში იყო დასაქმებული. თითქმის ყველა რუსთავულ ოჯახში ერთი მეტალურგი მაინც იყო.

რამდენიმე წლის წინ, როცა ქვეყანაში ყველაფერი აირია, მეტალურგიული ქარხანაც გაჩერდა და, ფაქტობრივად, ქალაქიც მოკვდა — ხალხი უმუშევარი დარჩა. გამოცდილ მეტალურგებს ერთადერთი იმედიღა ასულდგმულებთ, — იქნებ ხეირიანი ინვესტორი გამოგვიჩნდეს და გვეშველებაო.

მხსნელი ინვესტორი არა და არ ჩანს. თითქოს ყველა გაურბის საწარმოს. რამდენჯერმე კი შევიდნენ ქარხანაში ინვესტორები, მაგრამ მალე უკან მოუხედავად გაიქცნენ. ცოტა ხნის წინ საწარმოში შვეიცარიულ-გერმანულმა კომპანიამ მოინდომა კაპიტალის დაბანდება, მაგრამ მას თურქული ფირმა „ჩუქუროვა“ შეეცილა, ამასობაში კი კონკურენტთა პაექრობას ხალხი და საწარმო ეწირება. პატრონის მომლოდინე მეტალურგებმა საწარმოს წინ აქციებს მოუხშირეს. გასულ კვირას „კვირის პალიტრასაც“ მოუხდა მეტალურგების გულისწყრომისა და აღშფოთების მოსმენა.

**ვარლამ ექვთიმიშვილი,** მგლინავი: საწარმოს თანამშრომლებს გერმანელები გვინდა, შევარდნაძეს კი — თურქები. მათი რაღაც ვალი ჰქონია... ერთი კვირის წინ ელაპარაკა მათ დახურულ კარს მიღმა. ვანო მერაბიშვილი დაადგა პირზე — გვითხარით, რა ილაპარაკეთო, მაგრამ არ ამბობს. გერმანელები ორი ჰიდროელექტროსადგურის აშენებასაც აპირებენ, დენსაც გვპირდებიან და აუღებელი ხელფასების გადახდასაც. არ გვინდა ეს თურქები და ძალას არიან! ხვალ მთელი ქალაქი გამოვა ამ მოთხოვნით. სისხლი დაიღვრება, თუ თურქები შემოიყვანეს.



გივი თარგამაძე

ნახევარი ქარხანა ჯართად გაიყიდა. არავინ კითხულობს სად წავიდა საწარმოს სიმდიდრე — სასტუმროები, კლინიკა, აგარაკები, სანატორიუმები — ბაკურიანსა და საირმეში. ეს ქარხანაღა დარჩა და ესეც ისე გაანიავეს, მალე ტრიალი მინდორიღა დარჩება...

**გოგი გოგიჩაიშვილი** (ამწყობ-შემკეთებელი საამქრო): ჩვენამდე მოვიდა ამბავი, — თურქებს იქ თავიანთი მუშახელის დასაქმება უნდათო. აქ თურქებმა იმუშაონ და ჩვენ კვამლი და ჭვარტლი დაგვრჩეს? მთელ ქალაქს გადავკეტავთ, ქარხანას გავაჩერებთ მანამ, სანამ ხეირიან პატრონს არ მოგვიძებნიან...

გაჩერებულ მეტალურგიულ კომბინატში მკაცრი გასამხედროებული დაცვაა. „უცხოებს“ არც ერთ საამქროში არ უშვებენ (რამდენიმე ფოტო საწარმოს დაცვის თანამშრომლის ზედამხედველობით გადავიღეთ). კომბინატის დაცვის უფროსის ბუდუ ქავთარაძის კომენტარი მომავალი ინვესტორების შესახებ მოკლე და კატეგორიული იყო — გერმანელებს განგებ გაურთულეს საქმე. დავწყდებით და აქ თურქი ვერ შემოვაო.

**ვანო მერაბიშვილი**, პარლამენტის ეკონომიკური რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე:

გერმანულ-შვეიცარიული კომპანია საქართველოდან მიდის, რადგანაც მას როგორც ამბობენ, 7 კი არა, 80 მლნ დოლარის გარანტიის წარმოდგენა მოსთხოვეს. გადაწყდა, ხელშეკრულება გაფორმდეს თურქულ კომპანიასთან. ამ შვეიცარიულ კომპანიაზე თავად საწარმოს გენერალური დირექტორის, ირაკლი ჟორდანიასგანაც მსმენია. არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, — საწარმოში თურქების შემოსვლა წამგებიანია, გერმანულ-შვეიცარიული კომპანია უკეთეს პირობებს გვთავაზობსო, მაგრამ უეცრად, რაღაც შეიცვალა და ერთ მშვენიერ დღეს ირაკლი ჟორდანია თურქების ლობისტი გახდა. თურქულ „ჩუქუროვას“ საქართველოში „ბიზნესის“ წარმოების დიდი გამოცდილება აქვს. ის არის „თურქსელის“ ანუ „ჯეოსელის“ დამფუძნებელი. ეს ჰოლდინგი ინვესტორების მეშვეობით ახორციელებს საქართველოს ექსპანსიას.

ეს ეჭვი არ გამიჩნდებოდა, რომ არა ერთი ინფორმაცია — თურმე თურქები მეტალურგიული კომბინატის პარტნიორები კარგა ხანია არიან. მეტსაც გეტყვით, — „ჩუქუროვას“ სასარგებლოდ ხელოვნურად დაუგროვდა ვალები მეტალურგიულ ქარხანას. ეს მაქინაცია საწარმოს ადმინისტრაციის ხელის შეწყობით განხორციელდა.

**გივი თარგამაძე**, თავისუფლების ინსტიტუტი: „ჩუქუროვას“ იმ მოტივით არ მოსთხოვეს საგარანტიო წერილი, რომ მას თურქეთის პრემიერ-მინისტრი აძლევს დადებით დახასიათებას. „ჩუქუროვა“ თურქეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული ფირმაა, აქედან გამომდინარე, მათგან მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. ისიც ვიცი, რომ „ჩუქუროვასთან“ თანამშრომლობით იქაური ხელისუფლების წარმომადგენლები ფულს აკეთებენ. არაერთი თურქი პრემიერ-მინისტრი გახვეულა კორუფციულ სკანდალებში და ვფიქრობ, არც ამჟამინდელი პრემიერი იქნება გამონაკლისი — მისი დადებითი დახასიათება გარანტიად არ გამოდგება.

შვეიცარიულ-გერმანული კომპანია დაახლოებით 300 მლნ-ის დაბანდებას აპირებდა, თურქები — 100 მლნ-ისას. უცნაურია, ქართველი ჩინოვნიკები უპირატესობას ისეთი ქვეყნების წარმომადგენელ ფირმებს ანიჭებენ, რომლებიც „შავი“ ფულით მუშაობენ (თურქეთი, კორეა).

„ჩუქუროვა“ ძლიერი ფირმაა და დიდი კაპიტალიც აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სუფთად მუშაობს. ხომ ცნობილია, რომ „ჯეოსელს“ ქართველ ჩინოვნიკებთან ჰქონდა კორუფციული გარიგებები, „ჩუქუროვას“ მომხრეებმა ისიც განგებ „დაივიწყეს“, რომ ამ ფირმას უკვე ჰქონდა ურთიერთობა მეტალურგიულ კომბინატთან. „დაივიწყეს“ იმიტომ, რომ გასახსენებელი კარგი არაფერი ჰქონდათ. 1996 წლის ნოემბერში მეტალურგიულმა კომბინატმა და ფირმა „სოვტურმა“ (მისი დამფუძნებელი „ჩუქუროვაა“) დადეს ხელშეკრულება, რომელიც თანახმად, „სოვტური“ კომბინატში აამუშავებდა ერთ გაჩერებულ ღუმელს და დაამონტაჟებდა ნარჩენების გადამამუშავებელ საამქროს. ყოველივე ამის ღირებულება 12 მლნ 750 ათასი დოლარით განისაზღვრა. პარალელურად დაიდო მეორე ხელშეკრულებაც, — თუ ქარხანა თურქების ვალს ვერ გაისტუმრებდა, საწარმოს 12 მლნ დოლარის ინვენტარი აუქციონზე გაიყიდებოდა. მაშინვე შედგა სატრანშო გეგმა, განისაზღვრა, თუ როგორ უნდა დაეფარა საწარმოს თურქების ვალი.

**დღეს საგარანტიო თამასუქები დასაფარია, მაგრამ „თბილკრედიტბანკი“ უკვე გაკოტრებულია. მას ფული აღარ აქვს, თუმცა აქვს ბანკის შენობა, რომლის „ჩუქუროვასათვის“ გადაცემას სულაც არ აპირებენ ახვლედიანები. ჩემი ინფორმაციით, შედგა პრეზიდენტის საოჯახო საბჭო, რომელზეც გადაწყდა, „თბილკრედიტბანკის“ შენობის ნაცვლად, „ჩუქუროვას“ მეტალურგიული კომბინატი გადასცენ.**

მაგრამ ერთ წელიწადში საწარმოს პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, ტენდერში ქართულ-ებრაულმა ფირმამ გაიმარჯვა. ამ პრივატიზებით დაირღვა ხელშეკრულების პირობები, რის გამოც „სოვტურმა“ 1999 წელს პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოში იჩივლა. ქართულმა მხარემ არაფრად ჩააგდო ეს, იურისტიც კი არ დაუქირავებია. საქმე იმით დასრულდა, რომ კომბინატს 13 მლნ დოლარის გადახდა დააკისრეს.

ყველაზე „უცნაური“ ის არის, 1996 წლის ივნისში „თბილკრედიტბანკს“ მეტალურგიულ კომბინატზე საგარანტიო თამასუქები რომ გაუცია, მისი გაცემის დრო ზუსტად ემთხვევა კომბინატის მიერ ვალის დაფარვის სქემას, ანუ „ჩუქუროვა“ უპირობოდ არ ენდობოდა მეტალურგიულ კომბინატს, ამიტომაც გასცა საგარანტიო თამასუქები „თბილკრედიტბანკმა“, რომელიც ახვლედიანებს ეკუთვნოდათ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ახვლედიანები ამ საქმეში ქველმოქმედების გამო ჩართულიყვნენ. ასეთი რამ მათ არ სჩვევიათ.

დღეს საგარანტიო თამასუქები დასაფარია, მაგრამ „თბილკრედიტბანკი“ უკვე გაკოტრებულია. მას ფული აღარ აქვს, თუმცა აქვს ბანკის შენობა, რომლის „ჩუქუროვასათვის“ გადაცემას სულაც არ აპირებენ ახვლედიანები. ჩემი ინფორმაციით, შედგა პრეზიდენტის საოჯახო საბჭო, რომელზეც გადაწყდა, „თბილკრედიტბანკის“ შენობის ნაცვლად, „ჩუქუროვას“ მეტალურგიული კომბინატი გადასცენ. ახვლედიანები აღარ გადაიხდიან 13 მლნ-ს, მეორე მხრივ კი მიიღებენ (სხვა ჩინოვნიკებთან ერთად, ვინც თურქებს უჭერს მხარს) მსუყე ნაჭერს. „ჯეოსელთან“ დაკავშირებით ამბობდნენ, — თურქებმა ნახევარი მლნ ქრთამი გაიღესო, მეტალურგიული ქარხნის შემთხვევაში, უეჭველია, მოსაქრთამი თანხა გაცილებით დიდი იქნება.

ასეთი სქემებით საწარმოების გასხვისებას ხშირად წავწყდომივარ. რაც უფრო იწურება შევარდნაძის პრეზიდენტობის ვადა და რაც უფრო არასტაბილურია მისი მდგომარეობა, მით მეტად იზრდება მისი ოჯახის წევრების მადა. ბოლო 3-4 თვის მანძილზე კვირაში ერთხელ მაინც ხორციელდება ასეთი „ოჯახური პროექტი“.

**— ამ საქმესთან დაკავშირებით ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გვარიც გაისმა.**

— ჩხარტიშვილი ამ პროცესის ერთ-ერთი გამაკონტროლებელი იყო. თუმცა მეტალურგიულ კომბინატთან დაკავშირებული სხვა ძალებიც არიან. ლაპარაკია ბნელ ძალებზე, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებზე, რომლებიც შავ სამყაროსთან არიან დაკავშირებულნი. საკმაოდ ცნობილი გვარებია. კონკრეტულ მასალას ვაგროვებ მათზე და ამიტომ ვერ ვამხელ ჯერ მათ ვინაობას.

**თუ ახლაც არაფერი გამოვიდა, ქარხანა ლიკვიდირებული იქნება — ჯართად გაყიდიან. რეალიზაციიდან აღებულ თანხას კი მოვალეები წაიღებენ.**

**— კონკრეტულად, რა მიზანი აქვს „ჩუქუროვას“?**

— ბრძოლა მილსაგლინავი საამქროსათვის მიმდინარეობს. ამ საამქროს შეუძლია ისეთი მილების წარმოება, რომლებიც ნავთობსადენზე სჭირდებათ. ამჟამად ასეთი მილები იაპონიიდან შემოდის და ძალიან ძვირი ჯდება. შესაძლოა ბევრს ამ საწარმოს დაპატრონება სწორედ ამიტომ სურს. გამორიცხული არ არის, „ჩუქუროვას“ ხელს უფრო აძლევდეს კონკურენტის მოშორება, ანუ დააკონსერვოს საწარმო და მილები თურქეთიდან შემოიტანოს. ეს მეტად სარფიანი საქმეა.

ყოველივე ამის ფონზე პრეზიდენტის განცხადება, — სინდისი არ გაქვთ, ტოტალურ რეპრესიებს დავიწყებო, სრული ცინიზმი იყო. ვერც ის გავიგეთ, ვის ემუქრებოდა მთავრობის სხდომაზე. ვისაც არ აქვს სინდისი, ძალიან კარგად ჩანს ჩემივე ზემოთ თქმულიდან.

არც ერთ პოლიტიკურ რაპორტში, კონტროლის პალატის არც ერთ მოხსენებაში ეს საქმე არ მოხვდებოდა. რატომ? რეპრესიებს უკვე კარგა ხანია ატარებს პრეზიდენტი და მისი ოჯახი საქართველოს მოსახლეობის მიმართ. ჩემი ინფორმაციით, შევარდნაძე ველარ აკონტროლებს თავისი ოჯახის წევრების მადას. პრეზიდენტის საოჯახო საბჭოში სულ უფრო გადამწყვეტი ხდება მისი მეუღლის ხმა. იგი იღებს გადაწყვეტილებებს. ხშირად მსმენია ამა თუ იმ ჩინოვნიკზე, — საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ პრეზიდენტის მეუღლემდე მიაღწია და გადარჩაო...



**გიორგი გაჩეჩილაძე**, ეკონომიკის მინისტრი: საგანგებოდ ცდილობენ მეტალურგიულ ქარხანაში გაუგებრობა და არეული სიტუაცია რომ იყოს, ქარხანას პატრონი რომ არ ჰყავდეს და მისი ქონება განიავდეს. იქ არის წიდასაყარი, ჯართი... ეს ყველაფერი იჭრება და ნაწილ-ნაწილ გადის. ამით გარკვეული ჯგუფი სარგებლობს.

**— რომელი ჯგუფი?**

— ვინც ყველაზე მეტად აქტიურობს, არ გვინდა თურქები, გერმანელები გვინდაო, ალბათ ისინი. თურქულ-ამერიკული კონსორციუმი ძალიან სერიოზული პარტნიორია, მასში „ჩუქუროვა ჰოლდინგი“, ელდემირის სახელმწიფო მეტალურგიული კომბინატი და ამერიკული „იუესსტილი“ შედიან. ამ კონსორციუმის საწესდებო კაპიტალი 100-ჯერ მეტია საქართველოს ბიუჯეტზე. თურქულ-ამერიკულ კონსორციუმთან მოლაპარაკება დაწყებული იყო, როცა შვეიცარიული საშუამავლო ფირმა „კონალაგე“ გამოჩნდა რადგანაც შვეიცარიელები დაგვპირდნენ, — ისეთ ინვესტორს მოვიყვანთ, რომელიც მეტალურგიულ ქარხანაში 350 მილიონ დოლარს დააბანდებსო, თურქებთან შეწყდა მოლაპარაკება. შვეიცარიელებმა გერმანული „ფუქსის“ წარმომადგენლები მოიყვანეს საწარმოში. დაიდო ხელშეკრულება და ერთადერთი, რაც მოვითხოვეთ, იყო 7 მლნ დოლარის საგარანტიო წერილი. როცა ინვესტორი 350 მილიონის დაბანდებას აპირებს, რატომ ვერ უნდა მოგცეს 7 მლნ დოლარის გარანტია? პირდაპირ გეტყვით, ეს ქართული მხარის მოტყუების მცდელობა იყო. არაერთ ინვესტორს დაუხატავს ლამაზი ბიზნესგეგმები, ჩვენც დაგვიჯერებია და ამ „დაჯერების“ შედეგია, რომ უმსხვილესი საწარმოები გაძარცულ-დაქცეულია და გაკოტრების პირას არის მისული.

**— მაშინ რატომ არ მოითხოვეთ საგარანტიო წერილი თურქებისგან?**

— თურქები ჩვენ, მთავრობამ მოვიწვიეთ. ისინი პრემიერ-მინისტრის საგარანტიო წერილით მოვიდნენ. ახლა სასაცილო და არადელიკატური იქნება, ვუთხრათ, მოსვლით კი მოხვედით ჩვენი თხოვნით, მაგრამ საგარანტიო წერილი მოგვეცითო. ეს უკვე სცილდება ბიზნესის სფეროს, ეს პოლიტიკური ურთიერთობაა. შეურაცხმყოფელი იქნება პრემიერ-მინისტრის გამოგზავნილ ხალხს ეჭვით დავუწყოთ ყურება.

**— მაგრამ შვეიცარიელები აცხადებენ, თურქებისადმი კეთილგანწყობა უანგარო არ არის, ჩვენმა კონკურენტებმა ქრთამი გაიღესო.**

— არ ვიცი... ასეთი სიბინძურის სროლა ბევრ ცუდ ადამიანს შეუძლია. რით ადასტურებენ თავიანთ ნათქვამს?



გიორგი გაჩეჩილაძე

**— თქვენს წინამორბედ მინისტრზეც ითქვა, არც ის იყო უანგარო, როცა თურქებს ლობირებდაო.**

— არ გამიგია. მაშინ რა გამოდის, არც მე ვლაპარაკობ უანგაროდ? ყველამ უნდა აგოს პასუხი თავის ნათქვამზე და ბრალდებებიც ფაქტებით უნდა დაამტკიცოს.

**— თურქებთან თანამშრომლობით მეტალურგიულმა კომბინატმა უკვე 13 მლნ ვალი დაიდო, რა გარანტიაა, რომ ისევ არ დავზარალდებით...**

— დაზარალებული ქართული მხარე კი არა, „ჩუქუროვა“ აღმოჩნდა. 3 მლნ დააბანდა საწარმოში, ქართულმა მხარემ კი არაფრად ჩააგდო, ვალდებულებები არ შეასრულა და თურქები მოატყუა. ბიზნესში ველური კანონებია, თუ არ იყოჩაღებ, გადაგივლიან, პროფესიონალი თუ არ ხარ, დაიღუპები. თურქებმა თავიანთი ინტერესი პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოში დაიცვეს. სხვათა შორის, ეს პუნქტიც ხელშეკრულებაში იდო, დაზარალებულს პარიზის არბიტრაჟისთვის უნდა მიემართა.

**— ქართულ მხარეს თავისი ინტერესები სასამართლოში არ დაუცავს...**

— მერე ეს „ჩუქუროვას“ ბრალია თუ ქართველების? „ჩუქუროვას“ ბრალია, რომ ქართულ მხარეს უნიათო და კორუმპირებული ადამიანები ჰყავს?

**— ე.ი. არ უარყოფთ, რომ მაქინაცია იყო...**

— რასაკვირველია. მაქინაციების გამოა, რომ ქარხანას 101 მლნ დოლარი ვალი აქვს. მაგრამ საქმე ის არის, რომ დღესაც იგივე ადამიანები არიან ქარხანაში, რომელთა წყალობითაც ვალებშია საწარმო ჩაფლული. მხოლოდ დირექტორია ახალი, მთავარი ინჟინერი, მოადგილეები, ისევ ძველები დარჩნენ... გული მოგიკვდებათ მეტალურგიულ ქარხანაში რომ შეხვიდეთ. სასაფლაოს, ჯართის საყრელს ჰგავს...

უსაფუძვლოა შიში, იგივე ხომ არ მოგველისო. ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული. თუ გამჭვირვალე ხელშეკრულება დაიდება და მისი პირობები შესრულდება, არაფერი გვემუქრება.

**— ფიქრობთ, ამ გზით მოხერხდება კლანებისა და კრიმინალური ძალებისგან ქარხნის დახსნა?**

— შეცდომის უფლება არ გვაქვს. ქარხანა გაკოტრების რეჟიმშია. გაკოტრების კანონის თანახმად, 2-ჯერ შეიძლება საწარმოში სარეაბილიტაციო გეგმის ამოქმედება. „კონალაგემ“ არ გაამართლა, ბოლო შანსი თურქულ-ამერიკული კონსორციუმია. თუ ახლაც არაფერი გამოვიდა, ქარხანა ლიკვიდირებული იქნება — ჯართად გაყიდიან. რეალიზაციიდან აღებულ თანხას კი მოვალეები წაიღებენ.

***იზო რიკაძე***

# აქციების ქვეყანა მაქციების ხელში...

აქციებმა მოიცვა მთელი საქართველო.

ვინ აღარ მართავს მას — უდენობით შეწუხებული მოსახლეობა, უპენსიოდ დარჩენილი მოხუცები თუ ცხელი წყალშეწყვეტილი, გაოფლილი სპორტსმენები.

მაგრამ მათ შორის სერიოზულობით რა თქმა უნდა, ორი სახისა და მიმართულების აქცია გამოირჩევა.

პირველი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, პანკისის ხეობის მიმდებარე სოფლებსა და ახმეტაში მიმდინარეობს.

მეორემ კი თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა, რის კატალიზატორად გასულ კვირას მდ. ენგურის ხიდთან დაწყებული სახალხო შეკრება იქცა.

თუკი კახეთში მძევლების განთავისუფლებისა და პანკისის ხეობაში ქვეყნის იურისდიქციის აღდგენას მოითხოვენ, სამეგრელოში შემდეგ პირობებს აყენებენ აქციის მონაწილეები: კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების გაყვანა და ქართული ოფიციალური სამხედრო დანაყოფების კოდორის ხეობაში დატოვება.

ძნელია იმის წინასწარგანჭვრეტა, როგორ გაგრძელდება ზემოხსენებული აქციები, ან რითი დამთავრდება, მაგრამ ფაქტია: ენგურის ხიდთან შეკრებილებს სოლიდარობას უცხადებენ მთელ დანარჩენ საქართველოში მიმოფანტული დევნილები, რომელთა ნაწილი ავტობუსებით მიემართება ენგურისკენ. დანარჩენები კი ადგილზე იწყებენ მხარდამჭერ აქციებს — კეტავენ მაგისტრალებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის კონფლიქტის ზონიდან საკმაო დაშორებითაც.

რა დადებითი შედეგი შეიძლება მოიტანოს ამან?

ენგურის ხიდთან შეკრებილებმა ჭუბურხინჯისკენ მიმავალ გზაზე საველე ბანაკი დასცეს და არ ატარებენ გალისკენ რუს „ცისფერჩაფხუტიანებსა“ თუ გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს, რითაც აქტიურ პროტესტს უცხადებენ მათ ცალმხრივობასა და უმოქმედობას. ეს გასაგებია.

მაგრამ ცოტა ძნელი დასაჯერებელია, ფოთიდან მომავალი გზის გადაკეტვამ ან მარნეულთან ანალოგიურმა საქციელმა რაიმე სასიკეთო მისცეს საერთო საქმეს. ეს დაახლოებით იმას ემსგავსება, როდესაც 11-12 წლის წინ სამტრედიასთან რკინიგზის ხაზს კეტავდნენ რუსეთის „ბლოკადაში“ მოსაქცევად.

დავუბრუნდეთ საკმაოდ მრავალრიცხოვან აქციას ენგურის ხიდთან. მისი ძირითადი მოთხოვნა პარლამენტის იმ გადაწყვეტილების შესრულებაა, რომელიც დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების ეგიდით მყოფი რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ აფხაზეთიდან და სამეგრელოდან საერთოდ გაყვანას მოითხოვს.

სიმართლე რომ ითქვას, საზოგადოება შეიძლება არცთუ ისე უსაფუძვლოდ ეჭვობს, რომ აქციების „ჩუმი“ ორგანიზატორები, როგორც პანკისის ხეობასთან, ისე ენგურის ხიდთან, თავად ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არიან. თავიდან მათ იქნებ გარკვეული იმედი ჰქონდათ, რომ სახალხო დიპლომატიისა თუ აქციების სახით გაახმაურებდნენ იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელთა განცხადება დღევანდელ ხელისუფლებას არ შეუძლია.


როდის გაუღებენ რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ ამ შლაგბაუმს ქართველ დევნილებს აფხაზეთში დასაბრუნებლად?..

არ შეუძლია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 1994 წლიდან ოფიციალურად ხელი აქვს მოწერილი იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა შესრულებას აქტიურად მოითხოვს არა მარტო სეპარატისტთა მხარე, არამედ თვით გაეროც.

გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის რამდენიმე დღის წინანდელი მოხსენებაც სწორედ ამის ნათელი მაგალითია. იგი თავის მოხსენებაში საკმაოდ მკაცრად მოითხოვს, ოფიციალურმა ქართულმა მხარემ შეასრულოს შემდეგი ძირითადი საკითხები: გაუგრძელდეს მანდატი რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ და გამოყვანილ იქნეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები კოდორის ხეობიდან.

აქ ლაპარაკია საკუთარი ინტერესების გამოვლენაზეც — შეიძლება გაეროში სულაც არ აწუხებთ, დალის ხეობაში 300 მეავტომატით მეტი იქნება თუ ნაკლები. მთავარია სხვა — რუსი „ცისფერჩაფხუტიანებისთვის“ მანდატის გაგრძელება. რაღა დასამალია და, გაეროს ფინანსურად ძალიან უჭირს (რაც ალბათ გაეროს უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატის ბრალია, რომელსაც რჩენა უნდა). ამას ბოლო ხანს დაემატა სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება ავღანეთშიც.

არადა აფხაზეთში სამშვიდობო დანაყოფების გამოგზავნაზე რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის უკრაინაც, არ იტყოდა უარს, ოღონდ ერთი პირობით — ეს სამშვიდობო ოპერაცია გაერომ უნდა დააფინანსოს.

ამ დროს მოსკოვი გაეროს ასეთ რამეს სთავაზობს — მე არ მინდა თქვენი ფინანსები, ჩემს „ცისფერჩაფხუტიანებს“ აფხაზეთში ჩვენვე შევინახავთ, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით — რუსეთის ფედერაციას ჩამოაჭერით იმ გადასახადის გარკვეული ნაწილი, რაც წესით, ყოველწლიურად გაეროს ფონდში უნდა შევიტანოთო.

გაეროში ფიქრობენ, — რუსეთს ჩვენი ისედაც უზარმაზარი ვალი აქვს, რომლის გადახდის იმედი თითქმის გადაწურულია, ეგებ სჯობდეს, რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა“ კვლავ განაგრძონ თავიანთი მისია აფხაზეთში, სადაც კონფლიქტის მოწესრიგება დიდი ხნის წინ ვიკისრეთო.

მერე რა, რომ ორ ასეულ ათასზე მეტი დევნილი არ დაბრუნებულა თავის საცხოვრებელ ადგილებზე — გაეროსთვის მთავარია, „გაყინული“ კონფლიქტის ზონაში არ ისროდნენ და არ ხდებოდეს მსხვილი შეიარაღებული კონფლიქტი.

ყოველივე ეს ძალზე კარგად გამოჩნდა 1998 წლის მაისში, გალის მოვლენების დროს და 2001 წლის შემოდგომაზე კოდორის ხეობაში, როდესაც გაეროს სამხედრო დამკვირვებლები გულგრილად შეხვდნენ ქართული მხარის ინიციატივას. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებთ, რომლის მოწმე ამ სტატიის ავტორი გახლდათ. იდგა 1993 წლის 19 სექტემბერი. სეპარატისტებმა სამი დღის წინ დაარღვიეს მორიგი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და სოხუმს შეუტიეს. MBO-ს სანატორიუმში საერთაშორისო შტაბი იყო განთავსებული. შტაბის რუს და უცხოელ წევრებს ევალებოდათ, თვალყური ედევნებინათ 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების — ჯარების დაშორიშორებისა და მძიმე ტექნიკის საბრძოლო მოქმედების ზონიდან გატანის პროცესისთვის. იმ დღეს ამაოდ ვეკითხებოდი როგორც რუს, ისე უცხოელ სამხედროებს, თუ რატომ დაარღვიეს ხელშეკრულება სეპარატისტებმა. ყველა თავისთვის დაბორიალობდა და რაღაც დოკუმენტებს აგროვებდა. ოციოდე წუთში კი შტაბში, სადაც მანამდე შეღწევა ჭირდა, მარტოდმარტო დამტოვეს უზარმაზარ ოპერატიულ რუკასთან — ყველა სადღაც გაშპა, ანუ ხელები დაიბანა!

გასაგებია, რომ დაახლოებით მსგავსი საქციელის გამეორებას უფრთხის ქართული მხარე, როდესაც დალის ხეობიდან სამხედრო დანაყოფების გამოყვანას აყოვნებს. სოხუმის დაცემისა არ იყოს, ფოთში გადმოტანილი ტანკებისა და ჰაუბიცების უკან, აფხაზეთში ჩატანა და ქალაქის დაცვა ვეღარ შევძელით, რადგან იქვე, ეშერასთან და ახალ ათონთან გადამალული საბრძოლო ტექნიკით მოწინააღმდეგემ შეძლო სოხუმის ბლოკადაში მოქცევა. ჩვენი ტექნიკის გარკვეული ნაწილი მათ ალაფის სახით ახალ კინდღთან იგდეს ხელთ, როდესაც ქართული დამხმარე ძალები ცდილობდნენ (რამდენად გულმოდგინებით, ცალკე თემაა) ოჩამჩირიდან შეტევით გაეკაფათ გზა მდ. კოდორის ხიდისკენ.

ოფიციალური თბილისი ქვეყნის მოსახლეობაზე ნაკლებად როდი ხვდება, რომ რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის მორიგი გაგრძელებით დევნილთათვის სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი რუსეთთან დიდი ჩარჩო-ხელშეკრულების დადების წინ ნამდვილად არ მოითხოვს რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ გაძევებას კონფლიქტის ზონიდან.

ოფიციალური თბილისი ცდილობს, უფრო „ეშმაკური“ ვარიანტი აღმოაჩინოს, რითაც არც მწვადი დაწვას და არც შამფური. სახელისუფლო სტრუქტურებიდან უკვე გაისმის წინადადებები — ჩვენ გავუგრძელებთ მანდატს რუს სამშვიდობოებს, თუკი ისინი მდ. ენგურიდან თავიანთ საგუშაგოებს მდ. ღალიძგამდე გადაიტანენო.

ასეთი რამ არც ერთ ხელშეკრულებაში არ წერია და ამიტომაც ბუნებრივია, ამას არც გაერო, არც რუსები და მით უმეტეს, არც აფხაზი სეპარატისტები არ დაეთანხმებიან.

სიმართლე რომ ითქვას, ამის მომხრე არც მდ. ენგურის ხიდთან გამართული აქციის მონაწილეები არიან. რეალურად თუ განვსჯით, ეს ქვეყნისთვის ცუდი ვარიანტი სულაც არ უნდა იყოს. გალის რაიონში, სადაც თითო-ოროლა აფხაზი თუ ცხოვრობს, დაბრუნდება ათასობით ქართველი, მათი დიდი ნაწილი პერიოდულად ისედაც ჩადის თავის სოფლებში, მაგრამ ყოველთვის უფრთხის აფხაზური მილიციისა თუ რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ სადამსჯელო რეიდებს, განსაკუთრებით კი თხილისა და მანდარინის აღების პერიოდში. ერთგვარი საზღვრის მდ. ღალიძგამდე გადაწევის შემთხვევაში ისინი ამ სადამსჯელო თავდასხმებს აცდებიან, რაც უკვე გარკვეული წარმატებაა, მაგრამ ყველაზე დიდი მიღწევა ამ შემთხვევაში ენგურჰესის მთლიანად ქართულ იურისდიქციაში გადასვლა იქნება. დღეისათვის სეპარატისტების ხელშია ენგურჰესის მართვის პულტი, ამიტომაც სეპარატისტულ აფხაზეთს ელექტროდენი არ აკლია, უფრო მეტიც, ისინი მას კრასნოდარის მხარეში ყიდიან და აღებული თანხებით აძლიერებენ თავიანთ ხელისუფლებას, მათ შორის იარაღსაც ყიდულობენ.

რას უნდა ველოდოთ ენგურის ხიდთან მიმდინარე აქციისგან?

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მათ უახლოეს დღეებში დემონსტრაციული სამშვიდობო სვლა განახორციელონ გალის მიმართულებით. თუკი, ასე ვთქვათ, ათიათასიან უიარაღო ხალხის კოლონას თან ათობით ჟურნალისტიც (მათ შორის უცხოელებიც) გაჰყვება, ძნელი დასაჯერებელია, სეპარატისტებმა მათ ცეცხლი გაუხსნან.

ამგვარ საშიშროებაზე სეპარატისტების წარმომადგენლებს ჭუბურხინჯის გასული ხუთშაბათის ტრადიციულ შეხვედრაზე მთლად აშკარად არ უსაუბრიათ, მაგრამ ამის შესაძლებლობას რომ არ გამორიცხავენ, ერთი საინტერესო ნიუანსითაც დასტურდება — ჭუბურხინჯთან აფხაზებმა სახანძრო მანქანები მიაყენეს: მშვიდობიანი მოსახლეობის დაშლისთვის ტყვიის ჯერი სულაც არ არის საჭირო, ამისთვის სახანძრო მანქანების ბრანდსპოიტებიდან მოშვებული გაყინული წყლის ჭავლიც კმარა.

სხვა ვერსიით, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების მოხშირებული სატელეფონო საუბრების დროს შეიძლება მიღწეულ იქნეს ერთგვარი საიდუმლო შეთანხმება — მოსკოვი თავისი „ცისფერჩაფხუტიანების“ დახმარებით უზრუნველყოფს დევნილების ეტაპობრივ დაბრუნებას გალის რაიონში, რის სანაცვლოდაც ოფიციალური თბილისი რუსეთის სპეცსამსახურებსა და შეიძლება სპეცდანიშნულების რაზმებსაც კარტბლანშს აძლევს — პანკისის ხეობაში აყვანილ იქნეს რამდენიმე ოდიოზური ჩეჩენი საველე მეთაური და განიარაღებული იქნეს იქ არსებული შეიარაღებული ჩეჩნური დაჯგუფებები. ეს პუტინის ხელისუფლებას უმაღლეს პროპაგანდისტულ მოგებას მისცემს და ამასთან, შეასუსტებს მთიანი ბილიკებით თოვლის დადნობის შემდეგ დამატებითი ჩეჩნური დაჯგუფებების ჩეჩნეთის სამხრეთ რაიონებში გადასვლის შესაძლებლობას.

31 იანვარს გაიმართება გაეროს უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა, სადაც აფხაზეთის საკითხი და პირველ რიგში, მათი გენერალური მდივნის ამასწინანდელი მოხსენება იქნება განხილული. ეტყობა, გაეროს უშიშროების საბჭო გაიზიარებს კოფი ანანის მოსაზრებებს და ქართულ მხარეს ოფიციალურად მოსთხოვს მათ შესრულებას.


ჟურნალი თქვენთვის!

## „უკრაინელი „სოკოლები“ თბილისის თავზე

შარშანდელმა საჰაერო დაბომბვებმა საქართველოს მოქალაქეები ისე შეაშფოთა, რომ ცაში გამოჩენილ ყოველ თვითმფრინავს ეჭვის თვალით უყურებენ — ემანდ, მაგანაც ბომბები არ დაგვაყაროსო!

ამიტომაც, თბილისელებს რომ სცოდნოდათ, გასულ კვირას მათ თავზე უცხო ქვეყნის სამხედრო პილოტები და თანაც საბრძოლო მოიერიშე თვითმფრინავით დაფრინავდნენ, შეიძლება კვლავ ქართველი მეზენიტეებისათვის გაეგზავნათ ერთიორი ყურსაამო სიტყვა...

მაგრამ ამჯერად არავინ აპირებდა საქართველოს დედაქალაქის ხელყოფას, პირიქით, ჩვენ ფრენას ვასწავლიდით სხვა ქვეყნის გამოცდილ მფრინავებს!

ეს მფრინავები მეგობარი უკრაინის წარმომადგენლები გახლდნენ და პირველად აითვისეს ქართულ-ებრაული Су-25КМ „სკორპიონი“.

„კვირის პალიტრის“ მკითხველს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, ოპერატიულად ადევნოს თვალი „სკორპიონის“ შექმნასა და ფრენის პროგრამას, ისევე როგორც ექსკლუზიურ რეპორტაჟებში ლე ბურჟედან.

„სკორპიონი“ საერთაშორისო ასპარეზზე გადის, ებრაელი და ქართველი მფრინავების შემდეგ მასთან ურთიერთობას სწავლობენ უკრაინელი პილოტები.

თბილისის ცაში მონავარდე უკრაინელ პილოტებზე — პოლკოვნიკ ვიქტორ როსოშჩონსკისა და პოდპოლკოვნიკ მიხაილ ლამპიკზე ვერავინ იტყვის, ახლბედები არიანო. ორივე მფრინავი-გამომცდელია და უკრაინის შეიარაღებული ძალების სახელმწიფო საავიაციო სამეცნიერო-საცდელი ცენტრის წარმომადგენელი და „უკრაინსკი სოკოლის“ წევრია.

ორივე უკრაინელმა პილოტმა იოლად განახორციელა პირველი გაფრენა „სკორპიონით“ და თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს როგორც „თბილავიამშენის“ ხელმძღვანელობას, ისე ებრაული ფირმების — „ელბიტისა“ და „ელგადის“ წარმომადგენლებს.

ძალზე საინტერესო იყო ცაში მონავარდე „სკორპიონიდან“ პირდაპირი სატელევიზიო გადაცემა მართვის ცენტრში, აეროდრომზე. კომპაქტური ვიდეოკამერა პილოტის კაბინის წინა ნაწილშია დამონტაჟებული და მიწაზე გადმოცემს იმ გამოსახულებას, რასაც პილოტი ფრენის კურსის მიმართულებით ხედავს.

გაგრძელება იხ. გვ. 9

# პენტაგონი რეკორდზე მიდის

## მას იმხელა ბიუჯეტი აქვს, რომ მთელ რუსეთს იყიდის



ამერიკელი სამხედროები ხელფასების გაზრდით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავენ

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კიდევ ერთხელ გააოცა მთელი მსოფლიო — რამდენიმე დღის წინ ამერიკელ ვეტერან სამხედროებთან შეხვედრისას განაცხადა, — 2003 წლის სამხედრო ბიუჯეტს კიდევ 48 მლრდ დოლარით გავზრდიო. ამის შემდეგ მან შეიძლება 380 მლრდ დოლარს მიაღწიოს.

ეს უზარმაზარი თანხაა და ბევრად აღემატება ყველა პოსტსაბჭოური რესპუბლიკის ბიუჯეტს რუსეთის ჩათვლით (წლეულს რუსეთის მთელი ბიუჯეტი 69 მლრდ დოლარი იქნება). პრეზიდენტ ბუშის ნათქვამმა სამხედროების აღფრთოვანება და მხურვალე ტაში გამოიწვია, მით უმეტეს, რომ დამატებული მილიარდებიდან საკმაო ნაწილი თავად სამხედროების ხელფასებს დაემატება.

მაგრამ პრეზიდენტმა ბუშმა განმარტა ის სამი პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა დაფინანსებასაც მოხმარდება ახალი ბიუჯეტის ლომის წილი. ეს არის ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა, მაღალი სიზუსტის იარაღის სახეობების სრულყოფა და მომავლის ჯარისკაცის აღჭურვა.

ამერიკელები იქცევიან ისე, როგორც მოიქცევა ნებისმიერი ძალზე მდიდარი კაცი, თუკი მის სიახლოვეს ქურდობასა და ძარცვაში ეჭვმიტანილი მეზობლები ცხოვრობენ. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთ მეზობელს შორსმსროლელი სნაიპერული შაშხანა აქვს, ხოლო დანარჩენებს — პატარა პისტოლეტები. ბუნებრივია, ეს მდიდარი ყოველი შემთხვევისთვის, ადრე თუ გვიან ჯავშანჟილეტსა და ჩაფხუტს იყიდის.

სწორედ ჯავშანჟილეტის ასოციაციას ქმნის ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა, ისევე როგორც შორსმსროლელი სნაიპერული შაშხანის პატრონი საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტებით აღჭურვილ რუსეთთან ასოცირდება.

ჭეშმარიტებაა, როდესაც ამბობენ: „საუკეთესო თავდაცვა — თავდასხმააო“. ამიტომაც თეთრი სახლი მარტო თავდაცვით რაკეტსაწინააღმდეგო პროგრამაზე როდი ზრუნავს. უზუსტესი მართვადი რაკეტები და ბომბები ეფექტური თავდასხმის საუკეთესო საშუალებაა, რასაც პენტაგონი ბოლო თერთმეტი წელია დაჟინებით ამტკიცებს. გლობალური სანავიგაციო სისტემა GPS-ით აღჭურვილმა მართვადმა ბომბებმა და რაკეტებმა რევოლუცია მოახდინეს სამხედრო საქმეში და გარკვეულწილად ჩრდილში მოაქციეს ბირთვული იარაღი. რა საჭიროა ბირთვული ბალისტიკური რაკეტის სროლა, რითაც მთელი მსოფლიოს გულისწყრომას გამოიწვევ და თანაც მიზანს 200-300 მ-ს დააცილებ, თუკი შეიძლება 5-10 მ სიზუსტით ჩვეულებრივი ტროტილით სავსე პატარა მართვადი ბომბით გაანადგურო მიზანი?!

ამიტომაც დღეს პენტაგონი მონდომებით იღვწის რაკეტებისა და ბომბების მინიატურიზაციისა და მეტი სიზუსტისკენ — ფეხბურთის ბურთის ზომის ბომბი 1-2 მ სიზუსტით ხვდება მიზანს!

მაგრამ რაგინდ უზუსტესი დარტყმები მიაყენო მოწინააღმდეგეს, ადრე თუ გვიან მისი ტერიტორიის გასაკონტროლებლად ქვეითი დანაყოფები უნდა შეიყვანო — სწორედ ამიტომაც არის ლაპარაკი გაზრდილ სამხედრო ბიუჯეტში ჯარისკაცის ულტრათანამედროვე შეიარაღებასა და აღჭურვილობაზე. „კვირის პალიტრის“ ორი კვირის წინანდელ ნომერში მომავლის ჯარისკაცის აღკაზმულობას ჩვენ დაწვრილებით შევეხეთ და ამიტომაც აღარ გავიმეორებთ.

ამერიკელები პრაქტიკული ხალხია და ფულს ხარჯავენ მხოლოდ იმ პრიორიტეტულ საკითხებში, რაც ქვეყნის შემდგომ სრულყოფასა და გაძლიერებას ემსახურება.

# „უკრაინელი „სოკოლები“ თბილისის თავზე

დასაწყისი იხ. გვ. 8

ამის გარდა, მართვის ცენტრში რეალური დროის მასშტაბში გადმოიცემა ფრენის ყველა პარამეტრი (ლე ბურჟეში „სკორპიონი“ ახალი მოდის შემომტანად იქცა — მისი კაბინიდან წარმოებული ვიდეოგადაცემა აეროდრომზე მდგარ უზარმაზარ სატელევიზიო ეკრანზე აისახებოდა, რასაც ათასობით დამთვალიერებელი დიდი ინტერესით უყურებდა). ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია არა მარტო ის, ისწავლეს თუ არა მეგობარი ქვეყნის პილოტებმა „სკორპიონის“ მართვა, არამედ რა საფრენოსნო შეფასებას მისცემენ ისინი ახალ მოიერიშეს კიევში დაბრუნებისას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალებს დარჩა ჩერტკოვის სამხედრო აეროდრომზე მდგარი Су-25 მოიერიშეების ერთი საავიაციო პოლკი, რომელშიც 34 თვითმფრინავი მაინც იქნება. ბუნებრივია, ქართული და ებრაული მხარეები დაინტერესებულნი არიან, უკრაინელმა სამხედროებმა თავის ხელისუფლებას შესთავაზონ თავიანთი Су-25-ების „სკორპიონამდე“ მოდერნიზაციის პროგრამის მიზანშეწონილობა. ისე, ეს თავად უკრაინელებსაც უნდა უნდოდეთ, რადგან შედარებით მცირე დანახარჯებით მიიღებენ მოდერნიზებულ მოიერიშეს, რომელიც დღე-ღამის ნებისმიერ დროს და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც შეძლებს უზუსტესი საჰაერო დარტყმა მიაყენოს მოწინააღმდეგის კარგად დაცულ ობიექტს. ამასთან, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „სკორპიონს“ არ გააჩნია რადიოლოკაციური სადგური და რადიომართვადი რაკეტები (დამიზნება ძირითადად ლაზერული სისტემით ხდება), მის წინააღმდეგ რადიოელექტრონული ბრძოლის კომპლექსის გამოყენება ნაკლებეფექტიანი იქნება.

სანამ უკრაინელები ფიქრობენ, მათ შეიძლება თურქმენებმა დაასწრონ. შპს „თბილავიამშენმა“ უკვე კაპიტალურად გაარემონტა თურქმენეთის სამხედრო-საჰაერო ძალების 24 მოიერიშე Су-25. აპირებენ დარჩენილი 22 მოიერიშის გარემონტებასაც. არ არის გამორიცხული, აქედან არანაკლებ 6 თვითმფრინავისა, შეიძლება „სკორპიონის“ დონემდე იქნეს მოდერნიზებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ეს Су-25 1989 წლის დასაწყისამდე ავღანეთში ინტენსიურად იბრძოდა და დღესაც, კაპიტალური რემონტის შემდეგ, სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია — თურქმენბაშის არც საავიაციო საწვავი უჭირს და არც საკუთარი არმიის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება ავიწყდება.

და ერთიც — უკრაინელები ერთადერთი უცხოელები არ არიან, ვისაც ბოლო დროს თბილისის ცაში უფრენიათ. ზუსტად იმ დღეს, როდესაც რუსული ბომბდამშენები პანკისის ხეობას ბომბავდნენ, თბილისის თავზე Су-25 მოიერიშეები დანავარდობდნენ. ვინმეს შემთხვევით პილოტები კაბინაში რომ დაენახა, გაოცებისგან ენა ჩაუვარდებოდა — ასეთი „შავგვრემანი“ მფრინავები ალბათ არავის უნახავს! კონგოელმა პილოტებმა თბილისში აითვისეს Су-25, რათა თავიანთ სამშობლოში იფრინონ იმ ოთხი მოიერიშით, რომლებიც 1999 წლის ბოლოს თბილისიდან კინშასაში გაიგზავნა.



უკრაინელი ასი „სკორპიონით“ პირველი გაფრენისთვის ემზადება

# არსენალი

# ორთაბრძოლა რადიოეთერში

## რადიომართვადი ფუგასები — პარტიზანებისა და ტერორისტების საყვარელი იარაღი

ადამიანებმა ერთმანეთისთვის თავის გაჩეჩქვა ქვით დაიწყეს და ბოლოს რაკეტამდე მივიდნენ. თუმცა ყველა იარაღს მისგან დასაცავი საშუალებაც მოეძებნა — ქვას — თავის შეფარება, ტყვიას — ჯავშანჟილეტი, ხოლო მართვად „ჭკვიან“ რაკეტას — მისი დამიზნების სისტემის „ჭკუისამრევი“. მას შემდეგ, რაც საუკუნის წინ ინფორმაციის უსადენოდ გადაცემის ხერხი აღმოაჩინეს, გამუდმებით იხვეწება რადიოგადაცემის საშუალებები და მასთან ბრძოლის მეთოდები. ცოტა ხნის წინ მილიონობით ადამიანი ინდივიდუალური რადიოტელეფონების — მობილური ტელეფონების მეპატრონე გახდა. სწორედ ჩვეულებრივი მობილური ტელეფონი აღმოჩნდება რადიოელექტრონული ბრძოლის ხელსაწყო, თუკი მას უშუალოდ კომპიუტერთან ან ტელევიზორთან ავამუშავებთ.

რადიოელექტრონული ბრძოლის მეთოდებიც ამ პრინციპზეა დამყარებული — მაღალი სიხშირის რადიოგამოსხივებით მოხდეს სხვა რადიოტალღების ჩახშობა. თავდაპირველად ამ მეთოდს უცხო ქვეყნების დაზვერვები მოწინააღმდეგის რადიოკავშირის ჩასახშობად იყენებდნენ — კავშირგაბმულობისა და, შესაბამისად, ჯარების მართვის მოშლა საბრძოლო ოპერაციაში დამარცხებას ნიშნავს. ამის ნათელი დასტური აფხაზეთის ომიცაა, როდესაც მოწინააღმდეგე ხშირად უსმენდა ქართულ რადიოსადგურებს და საჭიროების შემთხვევაში ახშობდა კიდეც მას.

თანამედროვე ომების პრაქტიკიდან გამომდინარე, რადიოელექტრონული ბრძოლის მეთოდებმა უფრო ფართო გასაქანი მიიღო. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ძირითადი შეიარაღებული კონფლიქტები — სპარსეთის ყურეში, ყოფილ იუგოსლავიასა თუ ავღანეთში, უზუსტესი იარაღის გამოყენებით მიმდინარეობდა. ამ იარაღის — რაკეტებისა თუ თვითმფრინავების მიერ მიზნის უზუსტესი დაზიანება, რთული რადიოელექტრონული მოწყობილობების საშუალებით ხდება.

მათ შორის კი ერთ-ერთი მთავარია საფრენი აპარატების იმპულსური რადიოლოკატორები. ადრე შეუძლებელი იყო ღამით ან რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ზუსტი საჰაერო თავდასხმების განხორციელება. იგი მოხერხდა მხოლოდ ეფექტური საბორტე რადიოლოკატორების შექმნის შემდეგ. ასეთი კომპაქტური რადიოლოკატორი მოთავსებულია თვითმფრინავის ცხვირის ნაკვეთურში. იგი გზავნის რადიოსხივებს წინ. დაბრკოლებასთან შეხვედრისას რადიოტალღები აირეკლება და უკან ბრუნდება, რომელსაც იღებს საბორტე რადიოლოკატორის მიმღები ანტენა; რის შემდეგადაც თვითმფრინავის წინ არსებულ საჰაერო ვითარებას ეკიპაჟი სპეციალურ ინდიკატორებში აკვირდება. ამავე რადიოლოკატორის რადიოტალღებს შეიძლება გაჰყვეს რა-



დიომართული რაკეტაც.

რადიოელექტრონული ბრძოლის მთავარი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებების საბორტე რადიოლოკატორების მუშაობის შეფერხება ან საერთოდ ჩახშობა. ყველასთვის ცნობილია „სტელსის“ ტექნოლოგია, რომლის გამოყენებითაც შექმნილია ამერიკული F-117 და B-2 ბომბდამშენი თვითმფრინავები. ისინი ე.წ. პასიური რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებას წარმოადგენენ, რადგან მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის რადიოლოკატორების გამოსხივებულ რადიოტალღების ნაწილს „შთანთქავენ“, ნაწილს კი გარდატეხენ ანუ უკან რადიოლოკატორს მხოლოდ უნიშვნელო რაოდენობის არეკლილი რადიოტალღები უბრუნდება, რაც ძალზე ართულებს „სტელსების“ შორ მანძილზე აღმოჩენას.

ამასთან ერთად, არსებობს რადიოელექტრონული ბრძოლის აქტიური საშუალებები, რომლებიც იმავე დიაპაზონის სიხშირეზე გამოასხივებენ რადიოტალღებს, რომლებზეც მოწინააღმდეგე მუშაობს. მკითხველისთვის უფრო ადვილად გასაგები რომ იყოს, მაგალითს ჩვენი რეალობიდან მოვიყვანთ — შარშან შემოდგომაზე პანკისის ხეობაში, სოფ. ტბათანასთან ვაკუუმური ბომბები ღამით იმ საბრძოლო თვითმფრინავებმა ჩამოყარეს („კვირის პალიტრის“ გამოკვლევით, ეს რუსული Су-24М ტიპის საფრონტო ბომბდამშენები იყო), რომლებიც სიბნელეში სამიზნეზე რადიოლოკაციური დამიზნების კომპლექსით გავიდნენ. ქართულ საჰაერო თავდაცვას იმ ადგილებში რომ ჰქონოდა და ჩაერთო მძლავრი რადიოელექტრონული გამოსხივების წყარო (რომელიც ბომბდამშენის რადიოლოკატორების სიხშირეზე იმუშავებდა), მაშინ პილოტებს თავგზა აებნეოდათ.

მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის შეიარაღებაშია რადიოელექტრონული ბრძოლის დანაყოფები. ამავე დანიშნულების სამხედრო დანაყოფი საბჭოთა დროიდან ქართულ არმიასაც დარჩა დუშეთში, თუმცა დღეს მისი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება ძალზე საეჭვოა. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ-ერთ შედარებით თანამედროვე რადიოელექტრონული ბრძოლის მობილურ კომპლექს СПН-4-ს, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის თვითმფრინავების მიერ უზუსტეს საჰაერო დარტყმაში ხელის შესაშლელად, თუკი ეს თვითმფრინავები იმპულსურ რადიოლოკატორებსა და ამ უკანასკნელების მიერ მართულ რაკეტებს იყენებენ.

СПН-4 მაღალგამავლობის „კამაზის“ ძარაზეა დამონტაჟებული და 3 სმ სიგრძის ტალღაზე 580 კვტ სიმძლავრის გამოსხივებას იძლევა. მას შეუძლია ერთდროულად 50 თვითმფრინავის რადიოლოკატორის მუშაობა შეაფერხოს, თუკი ისინი 30 მ-დან 30 კმ-მდე სიმაღლეებზე ნებისმიერი მიმართულებიდან მოფრინავენ.

ბოლო დროს რადიოელექტრონული ბრძოლის მეთოდებმა სხვა მიმართულება მიიღო, რადგან სხვადასხვა მცირე ინტენსივობის კონფლიქტებში გახშირდა რადიომართული ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენება.

სურათი მარტივია — ჩეჩნეთი. ხეობაში რუსების ჯავშანკოლონა მიდის. ჩასაფრებული ჩეჩნები რადიოსიგნალებით მოულოდნელად აფეთქებენ გზაზე შენიღბულ ორ ფუგასს კოლონის თავსა და ბოლოში, ხოლო შემდეგ ყუმბარსატყორცნებით ანადგურებენ კოლონის დანარჩენ მანქანებს.

რადიოფუგასი ჩვეულებრივი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმისგან განსხვავებით, ტანკის განმნაღმველი ტრალის გადავლისასაც არ ფეთქდება, იგი ამოქმედდება მხოლოდ რადიოსიგნალის მიღების შემდეგ. ასეთი რადიოსიგნალის გაგზავნა შეუძლია ტყეში მიმალულ პატარა რადიოგადამცემით აღჭურვილ ერთ მებრძოლსაც კი.

დაახლოებით ამგვარი სქემით რამდენჯერმე ააფეთქეს ქართველმა პარტიზანებმა გალის რაიონში აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებული ჯგუფი. მცირეკალიბრიან საავიაციო ბომბზე დამაგრებული რადიოამფეთქი სიგნალის მიღებისთანავე იწყებდა მოქმედებას.

ჩეჩნეთის მეორე ომში რუსეთის ფედერალურმა ძალებმა რადიოელექტრონული ბრძოლის მეთოდების გამოყენება გროზნოშიც დაიწყეს. მათ ჯავშანტრანსპორტიორები აღჭურვეს დამატებითი რადიოსადგურებით, რომლებიც რადიოსიგნალს ავტომატურად უცვლიდა სიხშირეს. ჯავშანტრანსპორტიორებს აყენებდნენ კოლონის თავში და ბოლოში. როგორც კი კოლონა დანაღმულ ადგილს მიუახლოვდებოდა, ჩეჩენი მებრძოლი რადიოპულტიდან გზავნიდა სიგნალს რადიომართულ ფუგასზე, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ფეთქდებოდა და მხოლოდ მაშინ ამოქმედდებოდა, როდესაც რუსული კოლონა სამშვიდობოს იყო გასული. დაბნეულმა ჩეჩნებმა მხოლოდ მოგვიანებით, ისევ მთვრალი რუსი ოფიცრისგან შეიტყვეს საიდუმლოება — თურმე, როდესაც კოლონა მოძრაობდა ჯავშანტრანსპორტიორებზე დაყენებული რადიოელექტრონული ბრძოლის მოწყობილობა თავისი მუდმივი გამოსხივებით ფარავდა იმ სიხშირეს, რომელზეც უნდა მიეღო აფეთქების სიგნალი რადიომართვად ფუგასს. შემდგომში ჩეჩნებმა ჭკუა ისწავლეს და ფუგასებს რადიოსიგნალით კი არა, სადენებით აფეთქებდნენ.

დაახლოებით იმავე საშიშროების წინაშე, ოღონდ ამჯერად ტერორისტების მხრიდან, დგანან სახელმწიფოთა პირველი პირები. მათი დაცვის სამსახურები ყოველთვის უფრთხიან რადიომართულ ასაფეთქებელ მოწყობილობებს.

თუმცა რაღა შორს წავიდეთ, როდესაც ორი ამ სახის აფეთქება თავის დროზე თბილისშიც მოხდა. 1992 წელს ტროტილით სავსე „ზაპოროჟეცი“ მას შემდეგ აფეთქდა, რაც მას გვერდზე ჩაუარა მაშინდელი სახელმწიფო საბჭოს წევრის ჯაბა იოსელიანის ავტომობილმა. მეორე შემთხვევა 1995 წლის 29 აგვისტოს მოხდა. როდესაც სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის კორტეჟი ყოფილი „იმელის“ შენობის უკანა ეზოდან გამოდიოდა. იქვე, ავტოსადგომზე მდგარ „ნივაში“ მიმართული აფეთქების МОН-50 ტიპის ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები ამოქმედდა. ორივე შემთხვევაში აფეთქების ინიცირება იმ რადიოსიგნალებმა გამოიწვია, რომლებიც მიმალულმა პიროვნებებმა პორტატიული რადიოგადამცემებით გაგზავნეს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დაცვის სამსახურები, როგორც წესი, იყენებენ რადიოელექტრონული ბრძოლის მეთოდებს. ჩეჩნეთში რუსი სამხედროების კოლონებისა არ იყოს, ქვეყნის პირველი პირების კორტეჟებში აუცილებლად შედის ის ავტომობილი, რომლის საბარგულში მოთავსებულია რადიოშემფერხებელი სადგური. იგი წამის მეასედში ცვლის რადიოტალღების გამოსხივების დიაპაზონს, რითაც ამცირებს ალბათობას — ტერორისტის გაგზავნილმა რადიოსიგნალმა მიაღწიოს „ჯოჯოხეთის მანქანამდე“.

ზემოხსენებული რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალების მოქმედების გამოვლინება არც ისე რთულია — თუკი გამოსახულება უფუჭდება თქვენს ტელევიზორს, ხმა ეხშობა რადიომიმღებს და „ჭკუას“ კარგავს მობილური ტელეფონი, ე.ი. თქვენს ახლოს ქვეყნის პირველი პირი და მისი კორტეჟი იმყოფება.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# დიდი სტუმრის პაწარა ფათერაკები

ათი წლის წინანდელი თაობა ეპოქალური მოვლენების, ანუ საბჭოთა კავშირის ნგრევის მოწმე გახდა. ოცდაათი წლის წინ კი ბევრი მათგანი დაბადებულიც არ იყო. არ ვიცი, რას ფიქრობდნენ საქმეში უფრო კარგად ჩახედულები, მაგრამ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვეულებრივი ადამიანის, უფრო სწორად, რიგითი საბჭოთა მოქალაქის თვალთახედვით, „განვითარებულ სოციალიზმს“ ნგრევისა არაფერი ეტყობოდა და იმდენად მტკიცედ იჯდა უმრავლესობის ფსიქოლოგიაში მითი საბჭოეთის მარადიული არსებობის შესახებ, რომ ცხვირის დაცემინებისას ასეთი შეძახილიც კი არსებობდა — კოლექტივის დაშლამდე და კომუნისტების წასვლამდე არაფერი გეტკინოსო. ვინ იფიქრებდა, რომ ოცი წლის შემდეგ, ანუ 1991 წელს კოლექტივიც ჭირს მოგვჭამდა და მას თან მიჰყვებოდა ჯერ კიდევ დაუმყარებელი, მაგრამ კომუნისტების საოცნებო კომუნიზმი. მანამდე კი...

...1971 წელს ჩვენს ქვეყანას გასაბჭოების, ანუ რუსეთის მიერ დაპყრობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე უნდა ეზეიმა. ჩვენამდე ეს თარიღი საბჭოების კონგლომერატში ძალად შეყრილმა თითქმის ყველა რესპუბლიკამ დიდი ზარზეიმით აღნიშნა. მაგრამ როგორც ასეთ მასობრივ ღონისძიებებს სჩვევია, თითქმის ყველგან შეინიშნებოდა, ასე ვთქვათ, ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებები. უფრო მეტიც, თბილისში ხმა დაირხა, ერევანსა თუ ბაქოში საზეიმო ტრიბუნის წინ კაცი მოკლესო. არადა, ამ ტრიბუნაზე არც მეტი, არც ნაკლები საბჭოთა კავშირის პირველი კაცი — ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი იდგა. სწორედ ამის გამო, ღონისძიება თებერვლის ნაცვლად (გაიხსენეთ სიმღერა — „თებერვალში გაგვითენდა გაზაფხული“), მაისში გადმოიტანეს. თებერვლიდან მაისამდე კი მთელი სამი თვის მანძილზე პარტიული, საბჭოთა და ძალოვანი უწყებების ზედა ეშელონებში, რა თქმა უნდა, კრემლის მეთვალყურეობით, მუშავდებოდა „მაღალი სტუმრის“ („ვისოკოგო გოსტია“) მიღება-გაცილების დეტალური გეგმა. იმთავითვე უნდა გამორიცხულიყო ყოველგვარი შესაძლო გართულება, რაც უპირველესად ბრეჟნევის პირად უსაფრთხოებას გულისხმობდა.


საპატიო ესკორტი „მაღალი სტუმრისთვის“

ამ ღონისძიებაში თქვენი მონა-მორჩილიც, იმ დროს ახალგაზრდა ლეიტენანტიც მონაწილეობდა. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ იმას გიამბობთ, რაც პირადად ვნახე და განვიცადე, მაგრამ წერილი რომ უფრო შინაარსიანი გამოსულიყო, ჩემს მაშინდელ შეფს, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის უფროსს, ბატონ რობინზონ თუშურაშვილსაც ვთხოვე იმ დღეების გახსენება. ასე რომ, ეს წერილი ორი რესპონდენტის მონათხრობის მიხედვით მომზადდა.

## „დობრო პოჟალოვატ, ანუ ვიეზდ ზაპრეშჩიონ!“

**რობინზონ თუშურაშვილი:** — ჩვენს თაობას კარგად ახსოვს, რომ ხრუშჩოვის გამო, რუსის ხსენებაზე, მეტი რომ არა ვთქვათ, ალერგია გვჭირდა. ეს კი ამ კაცის საქართველოსა და ქართველების მიმართ სიძულვილმა განაპირობა. აი, ქართველების ბრეჟნევისადმი დამოკიდებულება კი ბევრად უფრო თბილი და ზომიერი იყო, რადგან გენსეკი თვითონ იყო ლოიალურად განწყობილი ჩვენი ქვეყნის მიმართ.

მახსოვს, როცა ბრეჟნევის „მცირე მიწა“ გამოვიდა, მლიქვნელებმა მისი ავტორი ყველა დროის უდიდეს მწერლად გამოაცხადეს და მსოფლიოს ამცნეს, ამ ნაწარმოებთან ახლოსაც ვერ მივა ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობაო“.

რა თქმა უნდა, ამის თავად ბრეჟნევის მეხოტბეებსაც არ სჯეროდათ. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ამ წიგნში სახეირო მხოლოდ ის იყო, რომ მისი გამოცემის შემდეგ, ფაქტობრივად, მთელი სისრულით წარმოჩინდა გენერალ კონსტანტინე ლესელიძის მხედრული ნიჭი და მისი ღვაწლი მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. რამდენადაც მახსოვს, ბრეჟნევი ამ მხედართმთავრის საუკეთესო თვისებებს მისი ქართველობით ხსნიდა და ეს იყო ერთგვარი კომპენსაცია ხრუშჩოვის პერიოდში სტალინის გამო ქართველთა გამუდმებული ძაგებისა. გარდა ამისა, ამავე წიგნში მოხსენიებული იყო ლეონიდ ილიჩის თანამებრძოლი კიდევ ერთი ქართველი, გვარს ვერ ვიხსენებ, მაგრამ თუ არ ვცდები, სახელად მგონი შალვა ერქვა. იგი იმ დროს გორში ცხოვრობდა და იქვე, საშუალო სკოლაში ასწავლიდა. აი, ეს ბატონი შალვა იმ დღეებში გორიდან სასტუმრო „ივერიაში“ გადმოასახლეს. თვითმფრინავის ტრაპთან ბრეჟნევისათვის მას უნდა მიერთმია მხედრული საჩუქარი — ძვირფასი თვლებით მოჭედილი ვერცხლის, ულამაზესი ქართული ხმალი, რომლის კეთებას რამდენიმე თვე მოანდომეს საუკეთესო ქართველმა იუველირებმა.

დადგა ბრეჟნევის ჩამოფრენის დღე. ყველაფერი გათვლილია, ყველა წვრილმანი გათვალისწინებული. ყველამ თავისი საქმე იცის და იმ დროს, როცა თვითმფრინავის დაშვებას თითქმის აღარაფერი აკლია, საპარადოდ გამოწყობილ ბატონ შალვას გაახსენდა, რომ ხმალი სასტუმროში დარჩა. არადა, მოგეხსენებათ, გზები ისეა შეკრული, ბუზი ვერ გადაფრინდება. ვიღაცამ — ამ საქმეს მხოლოდ ავტოინსპექცია თუ უშველისო და, მე მომადგნენ. მართალია, მაშინ მობილურები არ გვქონდა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირგაბმულობის სისტემა „ალტაი“ შეფერხების გარეშე მუშაობდა. სასწრაფოდ, მანქანიდან დავურეკე ქალაქში ჩვენს ერთ-ერთ თანამშრომელს და ხმალი იმ დროს მივაჩეჩეთ ბატონ შალვას, როცა ბრეჟნევმა ტრაპი ჩამოათავა და ის იყო პერსონალურ, თითქმის რიტუალად ქცეულ ხვევნა-კოცნას იწყებდა. ასე გადავურჩით პირველ პოლიტიკურ კურიოზს.

**ვაჟა გავაშელი:** — ბატონო რობინზონ! თქვენ კი უარობთ, მაგრამ რასაც ახლა ვიტყვი, ამას იმდენი მოწმე ჰყავს, რომ აუცილებლად უნდა გაგახსენოთ. იმ ახალი, ეგრეთ წოდებული „კანარეიკებიდან“, ანუ ავტოინსპექციის საპატრულო „გაზ-24“-ებიდან, რომლებიც თქვენი მეცადინეობით სპეციალურად ამ დღისათვის მოგვცა მოსკოვმა, ერთზე მე, მაშინ თბილისის ავტოინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების ინსპექტორი, დამსვეს და რეზერვში ამიყვანეს. თქვენ კოლონას ედექით სათავეში. ბოლოს მას დედაქალაქის ავტოინსპექციის უფროსი ზურაბ ხატელიშვილი კეტავდა, ჩემი მანქანა კი მისი მოადგილის, ზურაბ ჩაჩიბაიას განკარგულებაში იყო, ისე, ყოველი შემთხვევისათვის.


ბატონი შალვა ქართულ ხმალს გადასცემს თავის ფრონტელ მეგობარს

მას შემდეგ, როცა ლეონიდ ილიჩი და მისი თანმხლები პირები მოსკოვიდან წინასწარ ვაგონებით ჩამოტანილ მანქანებში მოკალათდნენ, თქვენი მანქანა არ დაიძრა. საქართველოს კგბ-ის იმდროინდელმა შეფმა ალექსი ინაურმა, რომელიც, წესით და რიგით, თქვენ უკან იდგა, არც აცია, არც აცხელა, დაადო თავი და დიდი სიჩქარით დაუყვა აეროპორტი-თბილისის სპეციალურად ამ დღისათვის გაკეთებულ გზას. იმწამსვე მივიღეთ თქვენი ბრძანება — როგორმე მოახერხეთ და კოლონის თავში მოექეცითო, მაგრამ ეს ასე იოლი როდი იყო. მოგეხსენებათ, ინაური დიდი სიჩქარით მიქროდა, რაც ბუნებრივია, ხელს აძლევდა ბრეჟნევის პირად დაცვასაც, რადგან ამ დროს ნაკლებია მანქანაზე დამიზნებისა და მოხვედრის შანსი. სამაგიეროდ, იზრდებოდა ავარიის ალბათობა, რაზეც პასუხს ავტოინსპექცია აგებდა. ახლაც ყურში ჩამესმის ინაურის მჭახე — „ბისტრეი“ და იქვე თქვენი მშვიდი — „ტიხო“, — თუმცა, ეს „ტიხოც“ — ასოც-ასორმოც კილომეტრს ნიშნავდა ქალაქის პირობებში. რა უნდა გვექნა, მართალია, საპატრულო მანქანით მივდიოდით, მაგრამ კოლონის უშუალოდ იმ ზოლზე გადასწრებას, რომელსაც კორტეჟი მიჰყვებოდა, შესაძლო იყო დაცვისაგან ჩვენი მისამართით სროლაც მოჰყოლოდა. არადა, იმ დღისათვის ამ გზის მხოლოდ ცალი მხარე იყო დამთავრებული, მეორე კი საბოლოოდ მეოთხე თუ მეხუთე დღეს, ბრეჟნევის წასვლის დღისათვის დაასრულეს მშენებლებმა. მართალია, გზის ცალკეული მონაკვეთები უკვე მზად იყო მოასფალტებისათვის, მაგრამ ამ დაუჯდომელ ღორღზე მანქანა საჭეს არ ემორჩილებოდა, ხან ერთ მხარეს ვაწყდებოდით, ხან მეორეს. აქა-იქ დიდი თვითმცლელებით მოზიდული გაუშლელი ღორღის გროვები ეყარა. იძულებული ვიყავი, მაქსიმალური სიჩქარით „ამეღო“ ეს წინააღმდეგობები, თორემ ღორღში ჩავრჩებოდით. თანაც ამ დროისთვის უკვე დაღამებულია, ბნელა. მანქანას ზემოდან აცვიოდა ქვა და ღორღი. ერთ ადგილზე კი რკინის იმხელა მილი ეგდო გარდიგარდმო, შიშისაგან ტანში გამცრა, ვიფიქრე, ამას კი ვეღარ ავუვლი გვერდს-მეთქი, მაგრამ მოხდა სასწაული და გავძვერით. ეგრეთ წოდებული რესტორან „პეპელას“ მიდამოებში, უფრო სწორად, მესამე მასივის საცხოვრებელ კორპუსებთან მისულებმა გიპატაკეთ, რომ კოლონას თავში მოვექეცით და ყველამ შვებით ამოისუნთქა. ამას წინათ, ოპერატიული ჯგუფის მაშინდელმა წევრმა, რამაზ კაპანაძემ, რომელიც თავის კოლეგებთან ერთად მოტოციკლით მიჰყვებოდა საპატიო ესკორტს, გამახსენა — ყოველ წუთს ველოდი, აგერ, ახლა გადატრიალდება, აგერ, ახლა მოექცევა მანქანის ქვეშ-მეთქი, მაგრამ რაღაც ძალამ გიხსნაო...

სხვათა შორის, სანიმუშო ოპერატიულობისა და მოქმედებისათვის „დამაწინაურეს“ და რეზერვიდან ძირითად შემადგენლობაში, ანუ კოლონის ბოლო მანქანაზე დამსვეს. და კიდევ ერთი: მეტრო „ისნის“ ზემოთ, მშრალი ხიდის ქვეშ, მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა გამოგვევლო, იმ ადგილას მაშინაც და ახლაც შესაბამისი საგზაო ნიშანი — „შესვლა აკრძალულია“ ჰკიდია. სწორედ იმ ღამით საგზაო ნიშნის თავზე „თბილქალაქგაფორმების“ სამსახურს გაუკრავს პლაკატი წარწერით — „დობრო პოჟალოვატ“... რა გამოვიდა? რაც გამოვიდა, ამის შესახებ ორი კვირის შემდეგ გვამცნო საკავშირო იუმორისტულმა ჟურნალმა „კროკოდილმა“, სადაც დაიბეჭდა ფოტო წარწერით: „საქართველოს დედაქალაქში ასე ხვდებიან სტუმრებს!“. ყველაფერ ამას კი ამშვენებდა სრულიად გამართლებული სათაური — „დობრო პოჟალოვატ, ილი ვიეზდ ზაპრეშჩიონ!“

## „ბევრი ვეცადე შენთვის, ძლივს მოვახერხე ჩემთვის!“

**რობინზონ თუშურაშვილი:** — სხვათა შორის, ბრეჟნევის ჩამოსვლა მაშინ სასიკეთოდ გამოიყენეს რესპუბლიკის იმდროინდელმა ხელმძღვანელებმა. მაშინ გაკეთდა სპეციალურად ამ საქმეებისათვის გამოყოფილი ფულით ის საავტომობილო ტრასა აეროპორტსა და ქალაქს შორის. იმ დროს აშენდა აეროპორტის შენობა და მთლიანად შეიცვალა თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი ზოლი. ვერაზე გაიხსნა ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. იშვიათი შემადგენლობის ასფალტით დაიფარა რუსთაველის პროსპექტი და დღემდე ინარჩუნებს სიმყარეს. განახლდა ხაშური-ბორჯომის საავტომობილო გზის ასფალტის საფარი. რეკონსტრუქცია გაუკეთდა საქართველოს სამხედრო გზას მცხეთიდან ლარსამდე და ასე შემდეგ. რაკი ინაური ვახსენეთ, მინდა გითხრათ, რომ ეს იყო შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე. ოღონდ ეგ იყო, ვიდრე შენს კომპეტენტურობაში არ დარწმუნდებოდა, არაფერს დაგიჯერებდა. მეორე დილით, როცა ბრეჟნევი და მისი ამალა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციიდან წამოვიყვანეთ, გეგმის მიხედვით დამტკიცებული მარშრუტის ნაცვლად, გორგასლის ქუჩით (რომელიც მაშინაც ცალმხრივი იყო), მტკვრის სანაპიროთი მოინდომა ქალაქის ცენტრში შესვლა. ვიცოდი, რომ სანაპირო ქუჩა ავტობუსებით და სატვირთო მანქანებით იყო ჩახერგილი. ბოლოს და ბოლოს, ამ საგზაო სქემებზე მე ვაწერდი ხელს და, ბუნებრივია, არ დავეთანხმე. ამის გამო წავკამათდით კიდეც. როგორც კი დარწმუნდა, რომ მართალი ვიყავი, ყველაფერი ხუმრობაში გამიტარა და შინაგან საქმეთა მინისტრთან, ედუარდ შევარდნაძესთან „მიჩივლა“, — ეს თუშურაშვილი რა ჯიუტი ვინმე გყოლია, ამას როგორ უძლებო, — და ამით დამთავრდა ყველაფერი. იმ დღეებში ინაურს ჩემთვის მარშრუტის შეცვლა აღარ მოუთხოვია.

## ვის უკრავდა ტაშს რუსთაველის პროსპექტი?!

**ვაჟა გავაშელი:** — თქვენ ბრძანეთ, რომ დიდუბეში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ბრეჟნევის მიყვანა უაზრობა გახლდათ, რადგან იქ სანახავი არაფერი იყოო, მე კი მაშინ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ბრეჟნევს ანახვეს ის, რაც მას ყველაზე მეტად აინტერესებდა, ანუ ოჯახური თონე, სამფეხასკამებიან დაბალ სუფრაზე გაწყობილი ცხელცხელი შოთები, ჭყინტი ყველი, ქორფა მწვანილი, დოქით ღვინო და ალალი მასპინძელი, ქართველი კაცი. ჰოდა, გენსეკი ერთი საათის ნაცვლად, მგონი, სამი თუ ოთხი საათი დარჩა იქ. ამასობაში ვიღაცამ ამბავი მოიტანა, დიდუბის მეტროსთან მუხათგვერდის სასაფლაოზე მიმავალი რამდენიმე სამგლოვიარო პროცესია გაიჭედაო. არ მეშლება, ხუთშაბათი იყო, დასაფლავების დღე. მერე და მერე ამ პროცესიათა რაოდენობამ იმატა და პანიკაში გადაიზარდა. მიცვალებულებს არ ატარებენ — ჯერ ბრეჟნევმა უნდა გაიაროსო, — მოგვიანებით კი რაციაშიც გაისმა — თუშურაშვილმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და ყველანი გაატარაო. შვებით ამოვისუნთქეთ, მაგრამ მერე იმის შეგვეშინდა, ამ ლოთბაზარა ბრეჟნევს არ წამოუაროს და არ წამოდგეს სუფრიდან, თორემ დავიღუპებით-თქო.

**რობინზონ თუშურაშვილი:** — რა თქმა უნდა, ეს დიდი რისკი იყო, მაგრამ რომელი ქართველი შეხედავს გულგრილად გზაში გაჩერებულ სამგლოვიარო პროცესიას?

...დანის პირზე სიარული ამით არ დამთავრებულა. გამოფენიდან ბრეჟნევი და მისი ამალა დიღომში, მევენახეობის საცდელ მეურნეობაში უნდა წაგვეყვანა, მაგრამ, როგორც ჩანს, სუფრასთან მჟავანაძემ წაიტრაბახა: ვაკე-საბურთალოზე ახალგაჭრილი გზის შესახებ და ბრეჟნევმაც მისი ნახვის სურვილი გამოთქვა. არადა, საბურთალო არც ერთ სქემაში არ იჯდა და სწორედ მაშინ გამომადგა „შავი დღისათვის“ ჩემთვის გადამალული ასი მოტოციკლისტი, რომლებმაც თხუთმეტ წუთში „შეკრეს“ ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, გააძლიერეს დაცვა, სამაგიეროდ, ნახევრად დაუცველი დარჩა რუსთაველის პროსპექტი. ახლაც მაკანკალებს, იმ დღეს რომ ვიხსენებ. რუსთაველზე გავდივართ... იმდენად მოშიშვლებულია იქაურობა, კაცმა არ იცის, რომელი მხრიდან გამოიქროლებს ჭკუაშეთხელებული ავტომოჯირითე, თუმცა მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. საექსპორტო მოტოციკლების დანახვისთანავე, წამსვე ივსებოდა ტროტუარები და ისეთი ტაშითა და ჟრიამულით გვაცილებდნენ, გამიკვირდა კიდეც. ასეთი მისალმება იქ არ ხერხდებოდა, სადაც ამისათვის სპეციალურად მოჰყავდათ ხალხი და აქ, ამჟამად ყველაზე არაორგანიზებულ უბანზე რა ხდება-მეთქი, ვფიქრობდი. გავიხედე და რას ვხედავ. მოტოციკლისტების წინ, პროსპექტის ცენტრალურ ხაზზე, გარბის ერთი გაჩხინკული მურა ძაღლი და ეს ტაშიც, ეს ყიჟინაც და მხიარულებაც მას ეკუთვნის. ვილას ახსოვს ბრეჟნევი?! მთელი პროსპექტი ძაღლს ესალმება და არის ერთი ტაშის ცემა და სიცილ-კისკისი. მოტოციკლისტებს გადავულაპარაკე, არ გასრისოთ-მეთქი და რამდენიმე მათგანმა სცადა კიდეც მოძრაობისას ხელში აეყვანა ძაღლი, მაგრამ ყველას გაუსხლტა და ვიდრე ჯორჯაძის ქუჩაზე სპეციალურად მისთვის კორიდორი არ გავაკეთეთ, ძაღლი ვერაფრით მოვიშორეთ თავიდან. წაძუნძულდა მურია და თან გაიყოლა ოვაციები. ბრეჟნევი კი ამ დროს ალბათ სიამოვნებისაგან ნეტარებდა — ნახეთ, როგორ ვყვარებივარ საქართველოშიო.

სხვა ისეთი, მნიშვნელოვანი არაფერი მახსენდება, გარდა თელეთის კომპლექსში გამართული გამოსამშვიდობებელი ბანკეტისა, როცა ქართულმა სუფრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სხვათა შორის, სხვა რესპუბლიკებმა, ანალოგიური ღონისძიებების არასათანადო დონეზე ორგანიზაციისათვის მოსკოვის საყვედურები დაიმსახურეს, — საქართველომ კი ქება და დიდება. განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურებმა, რამაც, ვფიქრობ, შემდგომში დიდად განაპირობა ჩვენი მაშინდელი მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის კარიერის აღმასვლა.

## ჩაროზი გენსეკისათვის

**ვაჟა გავაშელი:** — მე კიდევ ერთი მწარე მოგონება მაკავშირებს იმ დღეებთან და არ შემიძლია, არ გავიხსენო. ბრეჟნევის ჩამოსვლის მესამე თუ მეოთხე დღეს მისი ამალა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მიგვყავს. ტროტუარები, როგორც ყველგან, აქაც მსხვილი ბაწრებითაა შეკრული და თითო მოქალაქეს კგბ-ის თითო გადაცმული თანამშრომელი დარაჯობს. როგორც ჩანს, ვიღაც გაჭირვებული, რომელსაც ბრეჟნევისათვის წერილის გადაცემა უნდოდა (სადაც ალბათ ადგილობრივი ხელმძღვანელობისათვის სახეირო არაფერი ეწერებოდა), მანამ შეაკავეს, ვიდრე კოლონა გაივლიდა, მაგრამ ეტყობა, ცოტა ადრე გაუშვეს ხელი და უცებ კოლონის ბოლოში დიდი სიჩქარით მიმავალი ვხედავ, რომ ბაწარს ერთბაშად გადმოევლო ვიღაც მამაკაცი წერილით ხელში და ჩემს მანქანას გადაუდგა წინ. ამ შემთხვევაში მხოლოდ დამუხრუჭება არ იკმარებდა. ერთბაშად მარცხნივ გადავუხვიე და კრწანისის მოედნის სიღრმეში რომ წითელი აგურის სკოლაა, იმის წინ კარგა დიდ ჭადარს დავაჯახე მანქანა. ვიდრე გონს მოვეგებოდი, უცნობი მამაკაცი გააქრეს. თხუთმეტი თუ ოცი წუთის შემდეგ ახალი მანქანა მოგვიყვანეს, დამტვრეულის სანაცვლოდ.

რაც შეეხება თელეთის ბანკეტს, ღამის მიუხედავად, ჩვენ, „წვრილფეხობა“, გაგვაფრთხილეს, ბუჩქებში დაიმალეთო. ვახშმად კი სამი-ოთხი დღის გამხმარი აბაზიანი ხაჭაპური მივირთვით. მერე თეთრი ხელთათმანებიც დავრეცხეთ, ამას დღეში რამდენჯერმე ვაკეთებდით, როგორც კი ამის შესაძლებლობა გვეძლეოდა. იმ დღეებში სახლში წასასვლელად არ გვეცალა, არადა, ორი წყვილი ხელთათმანი, თითოეულ ჩვენგანს რომ მოგვცეს, უცებ გვიჭუჭყიანდებოდა. ამიტომ იძულებული ვიყავით გზადაგზა გვერეცხა. ჰო, თელეთურ ბანკეტზე ვლაპარაკობდი... მთვარიანი ღამე იყო და ნაშუაღამევს, შავი მანქანით ერთი ძალიან ლამაზი ქალბატონი ამოაბრძანეს, უეჭველია „მაღალი სტუმრისათვის“, ასე ვთქვათ, ჩაროზად (ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ბრეჟნევი იმ დროისთვის ძალიან ჯანმრთელად გამოიყურებოდა). ქალის გარეგნობით თუ ვიმსჯელებდით, ქართველობისა არაფერი ეცხო — ქერა თმა და ვიწრო, მაგრამ ძალიან ლამაზი თვალები უფრო მის სლავურ-მონგოლურ წარმომავლობაზე მიანიშნებდა.

*ვაჟა გავაშელი*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „ეს ესტრადაა“ მოვიდა...

დღევანდელი ახალგაზრდები რომ არიან განებივრებული ნაირ-ნაირი სატელევიზიო-მუსიკალური გადაცემებით, ამ ოციოდე წლის წინ კვირაში ერთხელ თუ ვნახავდით საესტრადო გადაცემებს. ძალიან პოპულარული იყო გადაცემა „ეს ესტრადაა“, რომელიც ყველასათვის საყვარელ მუსიკათმცოდნეს ევგენი მაჭავარიანს მიჰყავდა. ამ გადაცემით გაიცნო ქართველმა მაყურებელმა მსოფლიო ჯაზმენები — კომპოზიტორები, მომღერლები და შემსრულებლები. მოკლედ, „ეს ესტრადაა“ ძალიან პოპულარული გახლდათ და მისი ეთერში გასვლა დღესასწაული იყო მუსიკის მოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის.



ერთ ზაფხულს ტელევიზიის ერთ-ერთ თანამშრომელს ახლობელი გარდაეცვალა სამეგრელოში და დაკრძალვაზე მუსიკალური რედაქციის მთელი შემადგენლობა გაემგზავრა.

თბილისიდან ჩასული სტუმრები დიდი პატივით მიიღეს. დადგა მისამძიმრების დროც. ერთმანეთის მიყოლებით მიდიან ტელევიზიის მუშაკები, და როცა კარის ზღურბლზე ფეხი ბატონმა ევგენი მაჭავარიანმა შედგა, უნდა გენახათ მოტირალი ქალების „ერთსულოვანი“ შეკივლება:

— ტიტუუ, ტიტუუ! შე საცოდავო, ნახე, ვინ მოვიდა, ეს ესტრადაა მოვიდა, ეს ესტრადაა მოვიდაააა!..

„სატირლად“ ჩასული ხალხი ერთმანეთს ასწრებდა....

***„კვირის პალიტრის“ მემატიანე***

## ასეც ხდება...



ერთი ჩემი ახლობელი მუშაობდა რუსთავში. მეუღლემ ჩვეულებისამებრ დილით ავტოსადგურში მიიყვანა. ცოლ-ქმარი გაცხარებული კამათობდა, ქმარმა მანქანა გააჩერა, ქალმა კარი გააღო და... გაუჩინარდა. გაოგნებულ ქმარს სალანძღავი სიტყვები პირზე შეაშრა, აზრზე ვერ მოსულიყო, სად გაქრა ცოლი. ახლომახლო მდგომი ხალხი უცნაური სახით ასფალტს დაჰყურებდა. კაცი სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან და რას ხედავს — მისი მეუღლე საკანალიზაციო ჭაში გამავალ დიდ მილზე შემომჯდარა, როგორც უნაგირზე და შველას ითხოვს, ამომიყვანეთო. კაცი სიცილით ჩაბჟირდა და ძლივსღა მოიფიქრა ცოლის ამოყვანა ჭიდან. თურმე მანქანა ახდილ ლუკთან გაუჩერებია და ქალი პირდაპირ შიგ ჩაუშვია. ცოლს დიდხანს არ სჯეროდა, რომ ეს განაწყენებული ქმრის მოწყობილი არ იყო.

***გიორგი ხომასურიძე, თბილისი***

## ფული მირჩევნია, ფული!..



იოსკა ხუსკივაძემ ახალი მერსედესი „დაასველა“ და სახლისკენ ღიღინით ბრუნდებოდა გვარიანად ჩაბუჟბუჟებული. ბალახვანში ჩაუსტვინეს. მეტი რა გზა ჰქონდა, გაჩერდა. ინსპექტორი მანქანას მოადგა:

— რა დავაშავე უფროსო? — ამოიღიღინა იოსკამ.

— უნომრო მაშინით რომ დაბრძანდები ამხელა ქალაქში, არაა მაგი დანაშაული?!

— კაი ახლა, ხვალე ევიღებ ნომრებს, ვერ მოვასწარი დღეს ყველაფერი, ჩემო ძმაო!

ინსპექტორმა სალონში ღრმად შეჰყო ცხვირი.

— აუ, შენ ბიჯო მთვრალიც ხარ, აქანა?! — შეიკრა კოპი.

— რაცხა ორი ბოთლი მაქ დალეული, ჩემო ძმაო, მეტი კი არა!

— ხოდა! — ოქმის ბლანკი დააძრო ინსპექტორმა, — თუ ორის მეტი არ დაგილევია, მაშინ აირჩიე: ან ხუთასი ლარი ან ორწლიანი „პრავის“ ჩამორთმევა!

— ფული მირჩევნია, უფროსო, ფული, დღეს მომცემ თუ ხვალ მოგაკითხო? — გაეხარდა იოსკას.

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## ამბავი, რომელიც არავის სჯერა...



ეს ამბავი ამ ცოტა ხნის წინ ჩემს ორ ახლობელ ქალს გადახდა და კარგა ხანს თავად არ სჯეროდათ, თორემ ჩვენ რომ გვიყვებიან, ახლაც არ გვჯერა.

...„ბასტი-ბუბუს“ მორიგი საახალწლო კონცერტის დამთავრების შემდეგ ვაკის პარკიდან ღონისძიების ორგანიზატორთა „ორკაციანი ჯგუფი“, ე.ი. ჩემი ნაცნობი ქალბატონები გაჩერებასთან იდგნენ და ტაქსის ელოდნენ. რატომღაც კარგა ხანს თავისუფალი მანქანა არ გამოჩნდა. ამასობაში ქალების გვერდით ხანში შესული მამაკაცი დადგა, რომელიც ასევე ტაქსით აპირებდა წასვლას.

სად იყო და სად არა, ერთი ჯანიანი, კარგად ჩაცმული 30-ოდე წლის ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, რომელსაც ხელში ავტომანქანის მომძვრალი საჭე ეჭირა.

— ტაქსის ელოდებით? — ჯიქურ ჰკითხა ქალბატონებს.

— დიახ, — მიუგეს მათაც დაუფიქრებლად.

— დაბრძანდით, წაგიყვანთ(!!).

როცა მომლოდინეთ ყოყმანი შეატყო, ჯიბიდან რევოლვერი დააძრო და მკაცრი ხმით ბრძანება გასცა:

— ახლავე ჩაჯექით!

რა ექნათ საბრალო ქალებს, დაუდგნენ უკან „ტაქსის მძღოლს“, ქალებს მოხუციც შეუერთდა და „ეკიპაჟი“ დაიძრა.

„მძღოლი“ მშვიდად მიდის, შუქნიშნის წითელ ფერზე ჩერდება და კმაყოფილია. გაოგნებული ქალები და მოხუცი კაცი ძლივსღა მილასლასებენ. უნივერსიტეტის პირველ კორპუსს რომ მიაღწიეს, ერთ-ერთმა ქალმა მოიფიქრა და დამფრთხალმა წამოიკნავლა:

— გააჩერეთ, თუ შეიძლება, უნივერსიტეტთან ჩავდივართ!..

მძღოლი შედგა და გამომცდელად შეათვალიერა მგზავრები. მერე კი ათი ლარი გადამიხადეთო, მოჭრით თქვა.

ქალებმა ათი ლარი მოაგროვეს და გაუწოდეს. თან იფიქრეს, ამ მოხუცსაც „გამოვიხსნითო“ და მიმართეს:

— თქვენც ხომ აქ უნდა ჩამოსულიყავით, ბატონო?

— არა, ქალბატონებო, მე ორთაჭალაში მივდივარ... — მშვიდად უპასუხა დაბნეულმა თუ მძღოლის თანამზრახველმა მოხუცმა და „ეკიპაჟმაც“ გზა გააგრძელა...

***ციალა გ., თბილისი***

## „გურულების ხუმრობაო...“



აგვისტოს პაპანაქება სიცხეა, იწვის თბილისი. ხალხით და ბარგით სავსე ოზურგეთი-ჩოხატაურის ავტობუსი ავტოსადგურიდან გასასვლელად ემზადება. მძღოლმა ახალთახალი „ლაზი“ დაქოქა და სიცხით გატანჯულმა გურულებმაც შვებით ამოისუნთქეს. ახლა ჯერი მძღოლზეა: გადატვირთული ავტოსადგურიდან გასვლა ფრიად საგმირო საქმეა (თანაც უკუსვლით).

— გაიწიე ერთი, თუ კაცი ხარ, სარკეში ჩამახედე, სარკეში! — შესძახა მძღოლმა ერთ ზორბა მგზავრს, რომელიც უადგილო ადგილას გახიდულიყო.

— ნენა, რა დროის სარკეში ჩახედვა და გაპრანჭვაა, დევიწვით ხალხი, წაი ახლა დროზე, წაი!.. — მუდარით გადაუდგა მძღოლს ერთი მოხუცი ქალი...

***„მუსტანგერი“, მცხეთა***

## ხერხი სჯობია ღონესა!..



თბილისის „დინამოს“ აყვავების პერიოდში მორიგ მატჩზე მაგვიანდებოდა და მანქანა აკრძალულ ადგილას დავაყენე. ვიცი, რომ წინა ნომერს მომიხსნიან, მეც ავდექი და მოვლენებს დავასწარი, მოვხსენი წინა ნომერი, სალონში შევინახე, მინაზე კი მივამაგრე ბარათი: „თქვენს ნომერს მიაკითხეთ ინსპექციაში!“

მატჩის დამთავრების შემდეგ (სხვათა შორის იმ დღეს „დინამომ“ მოიგო და ძალიან გახარებულმა დავტოვე სტადიონი) ვხედავ, რომ ათეულობით მანქანას წინა ნომერი მოხსნილი აქვს და ბარათები კი მინაზე მიკრული.

მე მშვიდად მივედი ჩემს მანქანასთან, სალონიდან შენახული ნომერი ამოვიღე, დავაყენე და გზა მშვიდობისა ვუსურვე ჩემს თავსაც და გაცურებულ ინსპექტორებსაც...

ამაზე იტყვიან, ხერხი სჯობია ღონესაო...

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## მკითხველის — — საყვარელი ანეკდოტი

სვანეთში ასფალტი დააგეს.

— ახლა ჩვენ სადღა ვიაროთ?

— გაგიჟდნენ სვანები.

***ვ.ჩ., ქუთაისი***





ხევსურს გურულის გული გადაუნერგეს. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ცოლი ეუბნება:

— ახლა ხომ კარგად ხარ, ცხორს წადი!

— ცხორ აღარ მინდის, გული პარლამენტისკენ მიმიწევს!

***ვოვა ჩისტოპრუდოვი, ქუთაისი***

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი

დუელში გამოწვეული ჯანო ონიანი ფარ-ხმალს არ ყრის!



დათიკო — თიკოს და
დვარეცი — ორი რეციდივისტი
დვაინოი — ორი უცხო
დაკარი — დაარტყი
დედალი — კასიუს კლეის ბაბუა
მელნიცა — ცარცი ნიციდან
მერკური — მერიკოს ქათმები
მედალიონი — დილის თაფლი
მონიტორი — მონის მუშტი
მარადიორი — სულ ორიანს რომ იღებს
მალიუტკა — პატარა იხვის ჭუჭული
მეომარი — მე ომარი ვარ
მირანდა — მშვიდობა ანდა... (მუქარა)
მელაკუდა — საით, მელიავ
მარინადი — მარის ნადი (მომხმარენი)
მილიონი — საყვარელი ონი (რაჭა)

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

ბოლო ჟამს

# ზესახელმწიფოთა აწმყო და მომავალი

## ამერიკელი ამერიკელთა შესახებ

**ჯენის ჯლონსონი** (ჟურნალისტი): გვწამს, რომ უფალი ჩვენზე უფრო მეტად განიცდის მომხდარს. მაგრამ ყოველივე, რაც შეგვემთხვა, ჩვენივე ბრალია. უფალი განგვეშორა, რადგან ჩვენ თვითონვე უარვყავით იგი. თანმიმდევრობით მივადევნოთ თვალი ყოველივეს. თავიდანვე მივიჩნიეთ, რომ ლოცვა სკოლებში საჭირო არ არის. შემდეგ სკოლებში წმიდა წერილის სწავლაც აკრძალეთ, რის გამოც ჩვენს შვილებს მოაკლდათ მარადიული ფასეულობანი.

ამის შემდეგ თანამედროვე ფსიქოლოგები და ფსიქიატრები, დოქტორ ბენჯამენ სპოკის მეთაურობით, ერთხმად აცხადებენ, რომ დღეს ბავშვები ოჯახში დამოუკიდებლად და თავისუფლად, შეუზღუდავად უნდა იზრდებოდნენ. დოქტორმა სპოკმა თავად იგემა ბავშვის ამგვარი აღზრდის ნაყოფი — მისმა ვაჟმა სიჭაბუკეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა...

შემდეგ თანამედროვე ექიმებმა და იურისტებმა ბევრი იბრძოლეს, რათა მოეპოვებინათ უფლება ჩვენი საბრალო, დაუცველი გოგონებისათვის, რათა მათ დაუსჯელად, მშობლების დაუკითხავად და მათი გვერდით ავლით, შესძლებოდათ აბორტის გაკეთება. ხოლო ვაჟებს სკოლაში საკუთარი ხელით დავურიგეთ პრეზერვატივები, „ჰუმანური" საბაბით — გაერთონ უსაფრთხოდ, რათა დაცულნი იყვნენ შიდსისაგან. მაშინ არავინ ზრუნავდა მომავალი თაობის ზნეობაზე. მსგავსი საკითხით ყველგასულ ახირებად მიგვაჩნდა; „ახლა სულ სხვა დროა", — ვინუგეშებდით თავს და დაგვავიწყდა, რომ უფლის მცნებებს ვადა არ გასდით, ისინი, როგორც თავად უფალი, მარადიულია. შემდეგ ჩვენმა უზნეობამ უმაღლეს ეშელონებამდე მიაღწია. ჩვენ მივიჩნიეთ, რომ მთავარია, თუ როგორ მუშაობს ადამიანი, ხოლო მისი პირადი ცხოვრება, რაც არ უნდა სკანდალური ხასიათისა იყოს იგი, ჩვენ არ გვეხება; ეს მცდარი იდეოლოგიაც დამღუპველი აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოებისათვის.

ამავე ხანებში დემოკრატიამ მოითხოვა შიშველი ქალების ფოტოების დაბეჭდვა ჟურნალ-გაზეთებში, რასაც პორნო-ეროტიკული შინაარსის ფოტოსურათები და პუბლიკაციები მოჰყვა. ულტრამოდერნისტები კი მცირეწლოვანთა სექსით დაინტერესდნენ და ამის შესახებ ინფორმაციები ინტერნეტშიც კი მოათავსეს, რათა ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ჩვენ კი გვიხაროდა, რომ



გვაქვს „სიტყვის თავისუფლება". ეს ინდუსტრია მალე გაფართოვდა; შეიქმნა ფილმები და სატელევიზიო გადაცემები, რომლებშიც იყო დაუფარავი პროპაგანდა ძალადობისა, ღვთის გმობისა და გაუკუღმართებული სექსისა. ჩაიწერა მრავალი ახალი სიმღერა, რომელთა შინაარსიც პირდაპირ და ქვეცნობიერად მოუწოდებდა ნარკოტიკების ხმარების, გაუპატიურების, მკვლელობის, თვითმკვლელობის და ეშმაკის სატანიზმისკენ. და ჩვენ, ყველას, გვეგონა, რომ ეს მხოლოდ თამაშია. მარტოოდენ კადნიერი შემეცნება ბოროტ ძალებთან. და ყოველივე ამის შემდეგ, რატომ გვიკვირს, თუ ჩვენს შვილებს არ აწუხებთ სინდისი, თუ მათ არ ძალუძთ გაარჩიონ კეთილი და ბოროტი, თუ რატომ სჩადიან ისინი სასტიკ მკვლელობებსა და თვითმკვლელობებს. პასუხი ცალსახაა: რაც დავთესეთ, იმას ვიმკით

## რა მელის რუსეთს?!

### (რუს მამათა წინასწარმეტყველება)

**მამა სერაფიმე** (გარდაიცვალა 1949 წ.): „...როდესაც აღმოსავლეთი ძალებს მოიკრებს, ყოველივეს რყევა მოიცავს. რიცხობრიობა მათ მხარეზეა, მაგრამ არა მარტო — მათ ჰყავთ ფხიზელი და შრომისმოყვარე ადამიანები, ჩვენკენ კი ლოთობაა და ვაი, როგორი ლოთობა...

დადგება დრო, როდესაც რუსეთს დაფლეთენ ნაწილებად. ჯერ დაინაწილებენ, მერე დაიწყებენ მისი სიმდიდრეების დატაცებას. დასავლეთი ყოველმხრივ ხელს შეუწყობს რუსეთის რღვევას და გარკვეულ დრომდე მის აღმოსავლეთ ნაწილს გადასცემს ჩინეთს. შორეულ აღმოსავლეთს ხელს გამოჰკრავენ იაპონელები, ციმბირს — ჩინელები, რომლებიც გადმოსახლდებიან რუსეთში, მოიყვანენ რუს ცოლებს და ბოლოს და ბოლოს, ეშმაკობითა და ცბიერებით დაიპყრობენ ციმბირის ტერიტორიას ურალამდე. ხოლო, როდესაც ჩინეთი მოისურვებს უფრო ღრმად შეჭრას, დასავლეთი შეეწინააღმდეგება ამას და არ დაუშვებს.

ბევრი ქვეყანა აუმხედრდება რუსეთს. ეს ომი, რომლის თაობაზეც მოგვითხრობენ წმიდა წერილი და წინასწარმეტყველები, გახდება კაცობრიობის გაერთიანების მიზეზი. ადამიანები მიხვდებიან, რომ შეუძლებელია ასე ცხოვრება მომავალში და აირჩევენ ერთიან ხელისუფლებას — ეს იქნება ანტიქრისტეს გამეფების კარიბჭე.

თუ რუსი ხალხი არ მივა სინანულამდე, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კვლავ აღდგება ძმა ძმაზე. მოვა დრო, როდესაც არა დევნა, არამედ ფული და ამქვეყნიური სიამენი განაშორებენ ხალხს ღმერთისაგან და გაცილებით მეტი სულიერი დაიღუპება, ვიდრე გაცხადებული ღვთისმებრძოლობის დროს. ერთის მხრივ, აღიმართება ჯვრები და მოოქროვდება ტაძრის გუმბათები, ხოლო მეორეს მხრივ — დადგება სიცრუისა და ბოროტების მეუფება. ჭეშმარიტი ეკლესია ყოველთვის დევნილი იქნება. ხსნა შესაძლებელი გახდება მხოლოდ გაჭირვებითა და განსაცდელით".

**მამა დიონისე:** „გავიხსენოთ ძველი ისრაელის ისტორია. როდესაც ისრაელის ხალხი განუდგებოდა ხოლმე ღმერთს კერპთაყვანისმცემლობით, ღმერთი ჩამოაჭრიდა ხოლმე მიწებს მათ ქვეყანას და აძლევდა წარმართებს. თუ ერი არ ინანიებდა, იგი მიჰყავდათ ტყვედ, ინგრეოდა ტაძრები, მაგრამ მეოხება ღმრთისა იყო ხალხზე.

თუ ჩვენ არ მოვეგებით გონს და არ დავუბრუნდებით ჩვენს ფესვებს — მართლმადიდებლურ რწმენას, ლოგიკურია ველოდოთ, რომ ტერიტორიები, რომლებიც არ იქნება გამოყენებული, მიეცემა სხვა ხალხს, ვისაც ის სჭირდება.

ვფიქრობ, რომ ჩინელებით რუსეთის დასახლება მოხდება თანდათანობით... იმიტომ, რომ ჩინელებმა იციან და სურთ კიდეც მუშაობა და მიწა არ ჰყოფნით. ხოლო რა ხდება ჩვენთან? ბაიკალისპირეთში არის დიდი ხნის წინ დანგრეული ტაძრები, რომლებსაც აუწმინდურებს იქვე საბალახოდ გასული ნახირი და არავინ ფიქრობს ლატანი მაინც მიაჭედოს, რათა როგორღაც წინ აღუდგეს ამ უმსგავსობას. ხალხი ლოთობს, არ მუშაობს. დიახ, პრობლემა ჩვენს საკუთარ თავშია. რუსები კი დადიან, როგორც აჩრდილები, როგორც ადამიანები, რომლებსაც სული ამოაცალეს. შთაბეჭდილება რჩება ასეთი, მაგრამ თუ ობიექტურნი ვიქნებით, მათ ხომ სინამდვილეშიც ამოაცალეს სული!



## რას გვეტყვი, მამაო?

**— რა შეფასებას აძლევს მართლმადიდებელი სარწმუნოება დაპყრობითი ხასიათის ომებს?**

— ქრისტიანული სარწმუნოება ომს დასაშვებად მიიჩნევს, როდესაც მას წარმართავენ სამშობლოსა და ხალხის დასაცავად. დაპყრობითი ომები კი ცოდვითი ხასიათისაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიზნად ისახავენ სხვა ხალხის დამორჩილებას.

**— მართალია თუ არა, რომ სასულიერო პირი, თუ ბერი არ იქნა, ვერ დადგინდება ეპისკოპოსად?**

— მართალია. საეპისკოპოსო თანამდებობაზე წარდგენილი ყოველი კანდიდატი აუცილებლად ბერი უნდა იყოს.

**— რატომ არის ცნობილი იესო ნაზარეველად, თუკი მაცხოვარი ბეთლემში დაიბადა?**

— დედა ღვთისმშობელი იოსებ დამწინდველთან ერთად ცხოვრობდა ნაზარეთში, მაგრამ სახალხო აღწერის გამო, მოუხდათ ნაზარეთიდან ბეთლემს ჩასვლა, იქ, სადაც ჩაწერილი იყო იოსები და სწორედ ბეთლემში დაიბადა იესო მაცხოვარი.

**— რატომ არის მართლმადიდებლურ ტაძრებში მიუღებელი ორგანითა თუ სხვა მუსიკალური ინსტრუმენტებით წირვა-ლოცვის თანხლება და თუ არ იყენებდნენ ეკლესიაში მუსიკალურ თანხლებას, რატომ?**

— მართლმადიდებელ ეკლესიაში ორგანისა და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლება აკრძალულია იმიტომ, რომ ამგვარი მუსიკალური შესრულება ხელს უშლის მორწმუნეთა ლოცვით განწყობილებას და ღვთისმსახურებაში მთელი არსებით ჩართვას, განსაკუთრებით, როდესაც მუსიკალურ ინსტრუმენტებზე შესრულება იღებს საკონცერტო და საერო ხასიათს. ამას მლოცველები მიჰყავს უსაგნო ოცნებისაკენ, სიამოვნებისკენ. წარმართულ ემოციებს არაფერი აქვთ საერთო რელიგიურ განწყობილებასთან და ღვთისმსახურებაში ქმედით მონაწილეობასთან. ნიშანდობლივია, რომ თვით გალობაც, ყოველგვარი ორგანის გარეშე, შეიძლება ღვთისმსახურების მიზნებს ასცდეს, როდესაც ის, მიუხედავად ლიტურგიკულ ტექსტთან შესაბამისობისა, მეტისმეტად საკონცერტოდ და თეატრალურად ჟღერს. ასეთი გალობა მიუღებელია ეკლესიაში, მეექვსე მსოფლიო კრების 75-ე წესის თანახმად.




## მამა ტიხონი

### დიეტა

ერთხელ მამა ტიხონს ეწვია ძალიან მსუქანი სამოქალაქო პირი და შესჩივლა, რომ ძლიერ ხორციელ ვნებებს განიცდის და არაწმინდა აზრებით არის შეპყრობილი.

— შვილო ჩემო, — უთხრა მას მისიყვარულე ბერმა, — თუკი მე, ცოდვილს, დამიჯერებ, ანგელოზად გაქცევ! დაიწყე მკაცრი მარხვა ლოცვით: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". იხმიე მხოლოდ პური და წყალი. ღამით ასორმოცდაათჯერ შეასრულე მუხლმოდრეკა და ყოველდღიურად იკითხე ღვთისმშობლის კანონი, ერთი თავი სახარებიდან და ცხოვრება იმ წმინდანისა, რომლის ხსენებაც არის იმ დღეს. შაბათ-კვირას შეგიძლია მიიღო ზეთზე დამზადებული მცირედი საკვები და ამ გზით წარმართული ორმოცი დღის შემდეგ განიკურნები!

ეს ადამიანი ორმოცი დღის შემდეგ კვლავ ეწვია მამა ტიხონს და ბერმა ველარ იცნო იგი. აღარსად იყო მისი პირვანდელი სიმსუქნე და იგი უკვე დაუბრკოლებლივ შემოდიოდა ეკლესიის ვიწრო კარებში. გაკვირვებულმა ბერმა ჰკითხა:

— როგორ ცხოვრობ ახლა, შვილო ჩემო?

სტუმარმა ხალისიანად უპასუხა: — ახლა მე მართლაც ანგელოზად ვგრძნობ თავს, მამაო, სულ გამიქრა ვნებიანი აზრები!

### ზომიერი გარჯის შესახებ

ერისკაცთაგან განსხვავებით, რომლებიც ბევრს მუშაობენ და ამიტომ საჭმელსაც ბევრს გეახლებიან,. ბერის საქმეა — ლოცვა და მარხვა, მუხლთა დრეკა და სინანულის ცრემლები არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ ყველასათვის, ვინც ცოცხალია და ვინც უკვე აღესრულა. ამიტომაც შრომა მოეთხოვებათ იმდენი, რამდენიც იმისათვის არის საჭირო, რათა სხვას არ დააწვნენ ტვირთად. უკეთუ ბევრი საქმისა და საზრუნავისაგან ადამიანი ივიწყებს ღმერთსა და საკუთარ დანიშნულებას.

— ფარაონი ბევრ სამუშაოს აძლევდა ისრაელიანთ, — ხაზგასმით აღნიშნავდა ბერი ტიხონი, — რათა მათ ბევრი ეჭამათ და ამის გამო დაევიწყებინათ თავიანთი ღმერთი.



## ჩვენ გვწერენ

### „ერთი დღის" გამოძახილი...

*„ჩემო უსაყვარლესო „კვირის პალიტრა", ძალიან მინდა სუყველას მოგეფეროთ. თქვენი გაზეთი ხომ ძალიან ბევრ ადამიანს უნათებს სულს ამ უღიმღამო წუთისოფელში..."*



ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაული თენდებოდა. ბურუსჩამოწოლილი სოფლები მიმაცილებდნენ წმინდა სტეფანეს ეკლესიისაკენ.. შორიდანვე წამოიმართა V საუკუნის, ძველისძველი ტაძარი. კარები შევაღე და თითქმის სვეტიცხოვლის სიმაღლე ტაძარში აღმოვჩნდი. ჯერ კანტიკუნტად მოჩანდა მრევლი, ღვთისმსახურები კი უკვე იქ იყვნენ. აი ისინიც: ეკლესიის მოძღვარი, ორი ბერი (მათ შორის ერთი ამერიკელი), მგალობლები და სტიქაროსნები (მათ შორის ბავშვებიც). გამაოცა ამერიკელი ბერის გალობამ. ის თითქოს ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა ამხელა ეკლესიაში, თითქოს არც იყო ჩვენს შორის. მერე წყლის კურთხევის რიტუალიც ჩატარდა, სულიერად ბედნიერები ვტოვებდით ტაძარს. გარეთ გამოსულებს ცხრათვალა მზე გვიცინოდა, საოცარ ფერებად იშლებოდა კავკასიონის თოვლიან მწვერვალებზე მზის სხივები. „ნათელი გზით ატაროს ქართველი ხალხი უფალმა ღმერთმა გადასარჩენად". უკვე მერამდენედ ვიმეორებდი გულში ამ ლოცვას. საქართველო კი კვლავ ჩაჩოქილია და ყოველწუთს. მათრახს ურტყამენ. სისხლიც კი აღარ ჟონავს მისი ტკივილებადქცეული სხეულიდან. ქართველები კი, ეჰ... აგერ, ჩემი სახლის სიახლოვეს „ბირჟა" გაუმართავთ და ჯოკერით, სეკით ირთობენ თავს. ყველა თავისი „კუჭით" და ოჯახით შემოიფარგლება, იმის იქით არც ხატის სწამთ და არც რჯულის.

ჩემი ფანჯრებიდან გავყურებ კავკასიონს და მასთან მუსაიფით ვირთობ თავს. ყველაფერი ღვთის ნებაა, უკვე მერამდენედ ლოცვით დაღლილი ვავედრებ ჩემს საქართველოს, ჩემს ძუძუებდაჭრილ სამშობლოს, ისევ მასლა თუ შეუძლია თორემ, ჩვენ რაღა...

მზე გომბორისკენ გადაიხარა, ცოტაც და მთებს იქით ჩაესვენება, მე კი მომავალი თაობის მჯერა. იმიტომ რომ მანდილოსნებით სავსე ეკლესიაში მხოლოდ 12-14 წლის ბიჭები თუ არღვევდნენ ერთფეროვნებას. მე მათი მლოცველი თვალების მჯერა. ეს რწმენაში მდგარი თაობა თუ შეძლებს დანაწევრებული მამულის გაერთიანებას. მიყვარხართ, ახალწვერულვაშაყრილო ჭაბუკებო. ჩემი გიორგის თაობის პატარა სტიქაროსნებო. შენც, ლამაზი ლექსის შემქმნელო ლაზარე.

ნუ გეშინია, ჩემო საქართველოვ, ეს თაობა ღმერთის ნებით დაამარცხებს ურჩხულს და დაგიბრუნებს ძველ დიდებას. ისინი მოდიან, ისინი გამოჩნდნენ და იქნებ „პატარა კახიც" ჩვენს შორისაა უკვე. ჩვენი ჯიში ხომ ისე ძლიერია... „სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს".

„შენი გუთნის და შენი აკვანის,
შენი ქართული ოდის,
შენი თბილისის მადლი რომ იცის,
სწორედ ის ბიჭი მოდის!"

*P.S. დიდი სიყვარულით გიორგი ბარათაშვილს*

***ერთგული მკითხველი***

გულითდი განდობანი

## ეკლესიის ეზოში გასროლილი თოფი

ეს ამბავი გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა. საქართველოს ერთ-ერთი პატარა კუთხის ერთ პატარა მთიან სოფელში მდებარეობს უძველესი ეკლესია (სოფელს შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან ის ადამიანები, ვისაც ეს ამბავი ეხება, დღესაც ცოცხლები არიან), სადაც მორწმუნეები საქართველოს მრავალი კუთხიდან ყოველწლიურად იკრიბებიან ღვთისმშობლობის დღესასწაულზე. ბევრი მათგანი მსხვერპლშეწირვის ტრადიციიდან გამომდინარე, წირავს მსხვერპლს.

ერთხელ ამ სოფლის მკვიდრი ორი მამაკაცი ეკლესიის მახლობლად მდებარე ვენახში მუშაობდა, საიდანაც დაინახეს ეკლესიის ეზოში შეწირული მამალი. ერთ-ერთმა მათგანმა თოფი ესროლა მამალს, ხოლო მეორემ, სანამ მამალი მოკვდებოდა, ხელით თავი წააწყვიტა. იმავე დღეს ის კაცი, რომელმაც თოფი ესროლა მამალს, იმავე თოფით თავის ცოლს კლავდა, რომელიც მეზობლებმა გადაარჩინეს. ხოლო მეორეს, რომელმაც თავი წააწყვიტა მამალს, ის ხელი გაუშეშდა. არავითარმა წამალმა არ უშველა, მხოლოდ მისი ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა დაიჭირა თავის ეზოში დიდი მამალი, იმ კაცთან ერთად დაიჩოქა ეკლესიის წინ და პატიება შესთხოვა უფალს იმ კაცისათვის და მამალი ეკლესიის ეზოში გაუშვა. სახლში მისვლისთანავე იმ კაცს ხელმა თანდათან დაუწყო მოძრაობა.

## ნუ ვიქნებით უცხონი საკუთარ ქვეყანაში

ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ცნობიერი თუ ქვეცნობიერი პრობლემები რაღაც კრიტიკულ ზღვარს აღწევს... ცხოვრების ამ ტალღამ მეც შემომიტია ამ ორიოდე წლის წინ. ქვეცნობიერ გაურკვევლობას ბოლო არ უჩანდა... ველოდი რაღაცას, რას მეც არ ვიცოდი, დრო გადიოდა... და გამოჩნდა გზა, გზა, რომელმაც ტაძარში მიმიყვანა. ჩემს სახლთან ახლოს წმინდა მიხაილ ტვერელის სახელობის ეკლესიაა, მისი არსებობა აქამდეც ვიცოდი. აქამდეც ვხედავდი სალოცავად მიმავალ მრევლს, მაგრამ რაღაც მაკავებდა. ღმერთმა ჩემი დახმარება ისურვა, გამოცდა მომიწყო და ჩამაბარებინა — ამ ეკლესიის მრევლი გავხდი.

მახსოვს, როცა მამა ზაქარიას (ჩემს მოძღვარს) პირველად აღსარებას ვაბარებდი, მიკვირდა, ჩემი გულის ნადებს უთქმელად ხვდებოდა, ვიდრე მე ვიტყოდი, თვითონ სწორედ მას მეკითხებოდა. შემდგომ მივხვდი, რომ სულიერი მოძღვარი მართლაც ღვთიურ მადლს ფლობს და უსიტყვოდაც ყველაზე მეტ სათქმელს ხვდება, ხვდება და გირჩევს, გირჩევს და გეხმარება, გეხმარება, რომ გაპოვნინოს ჭეშმარიტება. გინერგავს რწმენას, რწმენას იმისას, რომ ყოველი დღე მომდევნო დღის განმგებელია, მოგეზღვება იმ საწყაოთი, რითაც სხვას მიუზღავ. ამიტომ საჭიროა დაუკვირდე ყოველ სიტყვას, ქმედებას და ფიქრსაც კი.

მინდა ჩემი გულითადი განდობა დამაფიქრებელი იყოს ყველა მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ცხოვრების გზაჯვარედინზეა და ვერ გაუგია, საით წავიდეს, დაფიქრდნენ. არსებობს ხსნა და ეს შანსი გამოვიყენოთ. ამისთვის ხომ წარმოუდგენელი ძალისხმევა არ არის საჭირო — ცოტა მონდომება, ცოტა დათმობა, ცოტა მოთმინება და დიდი მადლი. ჩვენი რეალობა მრავალი პრობლემის გადაჭრას მოითხოვს, რომლის უნარიც რწმენას, ლოცვა-ვედრებას მოკლებულია. სწორედ ის დროა, იმ ცოდვებს ვინანიებდეთ, რამაც აქამდე მიგვიყვანა, სხვაგვარი ქმედებაა საჭირო, თუ გვინდა, რომ მომავალი გვქონდეს. თორემ წარმოუდგენელი არაფერია, ჩვენზე უფრო დიდი ისტორიის ქვეყნები ყოფილან და... ჩვენი თაობის ხელშია ქვეყნის მომავალი, ჩვენ უნდა ვიყოთ ის ხიდი, რაც ახლანდელ და მომავალ საქართველოს დააკავშირებს.

ნუ ვიქნებით უცხონი საკუთარ ქვეყანაში, ნუ დავივიწყებთ ჩვენს ტრადიციებს და უცხოურ „მწარეს" ტკბილად ნუ ვიგემებთ, ნუ დავთმობთ წუთიერი სიამოვნებისთვის ბევრ არდასათმობს, ნუ გადავიხვეწებით მხოლოდ ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად ოჯახისაგან შორს და ნუ დავივიწყებთ მთავარს — ჩვენი გასაკეთებელი აქ, ერთმანეთის გვერდით ვაკეთოთ, თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად ჩვენი ქვეყნის მომავალზე ვიფიქროთ. ერთმანეთს გავუგოთ და დავეხმაროთ. ასეთები ღმერთსაც ვეყვარებით და შედეგიც არ დააყოვნებს — ჩვენ გადავრჩებით...

***თეა ცერცვაძე***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის" ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხილეთ გაზეთის ბოლო გვერდზე.**

***გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა***



# წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, მოსახლეობას — იანვარში

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა უკანასკნელად 1989 წელს ჩატარდა — დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე. მას შემდეგ, აღწერათა შორის მიღებულ, ჩვეულებრივ ათწლიან შუალედში საქართველომ დიდი ცვლილებები განიცადა — მეყსეულად დაინგრა 70 წლის მანძილზე ნაშენი სახელმწიფოც და მისი მორალური (თუ ამორალური...) ფასეულობებიც. ვნახეთ სამამულო ომში დამარცხების სიმწარე და სამოქალაქო ომის საშინელებები, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილობა და ევროპაში იაფ მუშახელად ემიგრაცია. განვლილ ათწლეულში ყაჩაღობაც ვიგემეთ, სიბნელეც და სიცივეც... თუმცა, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, საქართველოსთვის მოსახლეობის საყოველთაო აღწერას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს — თუნდაც მხოლოდ მცირე ტერიტორიასთან შეფარდებით ძალზე მრავალეროვნული მოსახლეობის ყოლის გამო. 2002 წლის 17-24 იანვარს თავისუფალ საქართველოში მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა. ვესაუბრებით სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ **სოსო არჩვაძეს**:

**— საქართველო გაეროს აღწერათაშორის ათწლიან ინტერვალში ვერ ჩაეტია. ამ მხრივ რაიმე საერთაშორისო ვალდებულება არსებობს?**

— მკაცრად განსაზღვრული ვალდებულება არ არსებობს, თუმცა, გაეროს სპეციალიზებული ინსტიტუტები ქვეყნებს რეკომენდაციას უწევენ მოსახლეობის აღწერის რეგულარულად (10 წელიწადში ერთხელ მაინც) ჩატარებაზე. მოსახლეობის აღწერის სავალდებულო ხასიათი 10-წლიანი პერიოდულობით შეტანილია აშშ-ის კონსტიტუციაში. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოზე მდიდარ და ძლიერ ქვეყნებსაც კი უჭირთ შესაბამისი რესურსების მობილიზება (თუმცა მათში აღწერის ჩაუტარებლობას არავინ არ მიიჩნევს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სისუსტედ). მაგალითად, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოსახლეობის ბოლო აღწერა 1987 წელს ჩაატარა; შვედეთს, ფინეთს, საფრანგეთს, ნორვეგიას და შვეიცარიას აღწერა არ ჩაუტარებიათ 1990 წლის შემდეგ. მთლიანობაში, მსოფლიოს 220 ქვეყნიდან 30-ოდე ქვეყანაა დარჩენილი, რომლებსაც საქართველოზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ თუ არ ჩაატარეს მოსახლეობის აღწერა.

**— ჩვენთვის რამდენად აუცილებელი იყო ამ ღონისძიების ჩატარება?**

— საქართველოსათვის აღწერის ჩატარების ფაქტის კონსტატირებაც კი უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს და მას ჩვენი ქვეყნისათვის პრაქტიკულად ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორც ქვეყნის ჰიმნს, გერბს, დროშას, ეროვნულ ვალუტას და ა.შ. 2002 წლის დასაწყისისათვის ყოფილი სსრკ-ის 15 წევრი რესპუბლიკიდან აღწერაჩაუტარებელ ქვეყნად რჩებოდა მხოლოდ 4 (საქართველო, მოლდოვა, რუსეთი, უზბეკეთი).

ნავთობსადენების, გაზსადენებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარების კუთხით, აღწერას საქართველოსათვის საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ლოგიკა მარტივია: სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია თავის ტერიტორიაზე ასეთი მნიშვნელოვანი და ძვირად ღირებული ღონისძიების ჩატარება, სარგებლობს ქვეშევრდომთა ნდობით; ხასიათდება სამთავრობო სტრუქტურების მეტ-ნაკლებად გამართული ფუნქციონირებით და შესწევს უნარი უზრუნველყოს მიზანმიმართული და პროგნოზირებადი ეკონომიკური პოლიტიკა.

ნებისმიერ ხელისუფლებას ნორმალური, ეფექტური პოლიტიკის გატარებისათვის თავისი მთავარი სიმდიდრის — ადამიანური რესურსების შესახებ სჭირდება ინფორმაცია, რათა ამის საფუძველზე თავისი სამოქმედო პროგრამა განსაზღვროს.

**— ალბათ, ასეთი ღონისძიების ჩატარება დიდ თანხებს მოითხოვს...**

— საქართველოში ბოლო ათწლეულში განვითარებული უამრავი ახალი მოვლენისა და პროცესის სრული შესწავლისათვის მართებული იქნებოდა კითხვარის მოცულობა ამჟამინდელთან შედარებით გაცილებით დიდი და სრული ყოფილიყო, მაგრამ ყოველივე ეს პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული შესაბამის რესურსულ უზრუნველყოფაზე. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ისეთი ავტომობილის აწყობა, რომელსაც ძალიან პატარა ძარა და უზარმაზარი სალონი ექნება? სწორედ ამისი მსგავსი იყო სტატისტიკოსთა მუშაობა, როდესაც მწირი დაფინანსების პირობებში აღწერის კითხვარს ამზადებდნენ. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ხარჯები ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მხოლოდ 0,8 დოლარს შეადგენს (თითქმის 4-ჯერ ნაკლებს შვედი ექსპერტების მიერ 1996 წელს საქართველოსათვის შედგენილი აღწერის პროგრამითა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ პარამეტრთან შედარებით...) მაშინ, როდესაც, მაგალითად, აშშ-ის მოსახლეობის 2000 წლის აღწერა 1 სულზე 23 დოლარი დაჯდა. მარტო მოსახლეობის აღწერის ჩატარებისთვის აშშ-მა 6,5 მილიარდი დოლარი დახარჯა — საქართველოს 2 წლის მთლიანი შიდაპროდუქტის ღირებულებაზე მეტი თანხა. აღწერის სრულად დაფინანსების იმედი მხოლოდ ყველაზე განუვითარებელ, უკიდურესად ღარიბ ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ. ამ მხრივ საქართველო გარკვეული დილემის წინაშე იდგა: იგი არც ისე მდიდარია, რომ უმტკივნეულოდ ეტვირთა აღწერის ხარჯები და არც ისე ღარიბი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას თავის თავზე აეღო შესაბამისი ხარჯების სრულად დაფარვა (როგორც ეს იყო მაგალითად, 1978 წელს ავღანეთში)... თუმცა, საქართველოს ამ მხრივ მეტ-ნაკლებად გაუმართლა, განსაკუთრებით კი მის დამამთავრებელ ეტაპზე — გაეროს განვითარების პროგრამამ საქართველოში კოორდინაცია გაუწია დონორების შესაბამის დახმარებას და გასული წლის ბოლოს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა პროექტი, რომელიც აღწერის მომზადების, ჩატარების და ინფორმაციის დამუშავების პროცესში 845 ათასი დოლარის დახმარებას ითვალისწინებს. აღნიშნულის გამო, თუ მთელ მოსამზადებელ პერიოდში დონორების წილად აღწერისათვის გაღებული ხარჯების 5,5% მოდიოდა, უშუალოდ აღწერის დაწყების მომენტიდან მთელი მასალების გამოქვეყნებამდე, დონორები საჭირო ხარჯების თითქმის ნახევარს დაფარავენ.



**— მოსახლეობის აღწერა საქართველოდან უმაგალითო ემიგრაციის პირობებში ჩატარდა...**

— ემიგრაციამ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურად ყველა რეგიონი და სოციალური ფენა მოიცვა. გასულთა შორის განსაკუთრებით მაღალია შრომისუნარიანი ასაკის და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა. მაგალითად, თუკი 20-50 წლის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 40%-ია, გასულთა შორის ისინი 85%-ს შეადგენენ; უმაღლესი განათლების მქონენი მოსახლეობაში შეადგენენ 20%-ს, მაშინ როდესაც უკვე გასულთა შორის იგი 33%, ხოლო გასვლის მსურველთა შორის 36%-ია. მიგრანტთა 70% წასულია სამუშაოდ, ყოველ მესამეს კი უკვე მიღებული აქვს შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეობა. საქართველოში დაბრუნებას აპირებს მხოლოდ 63%, თუმცა ამას ალბათ კიდევ უფრო ნაკლები მოახერხებს. აღსანიშნავია, რომ მცირდება საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრებისა და გასულების ეკონომიკური კავშირები. ყოველ მეოთხე მიგრანტს ოჯახთან არავითარი ეკონომიკური კავშირი აღარ გააჩნია...

**— სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქისა და სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აღწერის წინ არანაირი პროპაგანდა და სარეკლამო კამპანია არ ჩატარებულა...**

— ამჟამინდელ აღწერაში დიდი როლი ენიჭებოდა მასობრივ-განმარტებით სამუშაოებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ წინა აღწერებთან შედარებით მოსახლეობის ინფორმირებულობა განუზომლად დაბალი იყო. 2001 წლის დეკემბერში თბილისში ჩატარებული მოსახლეობის შერჩევითი გამოკითხვით, აღწერის თარიღის შესახებ გამოკითხულთა მხოლოდ 39% იყო ინფორმირებული (აღწერამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე!), კიდევ 15%-მა იცოდა, რომ ტარდებოდა აღწერა, კონკრეტული თარიღის გარეშე, 46%-მა, ანუ თითქმის ნახევარმა განაცხადა, რომ არ იცოდა აღწერის ჩატარების შესახებ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისში საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით გაცილებით მაღალია საზოგადოებრიობის ინფორმირებულობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ რეგიონების მიხედვით მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო. აღწერის კითხვებზე პასუხის გაცემის მზადყოფნას გამოხატავდა აბსოლუტური უმრავლესობა — 88%, თუმცა საგრძნობი ნაწილი, თითქმის ყოველი მეოთხე ეჭვობდა ან უნდობლობას გამოხატავდა მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის შენარჩუნებაზე. ეს ადასტურებს, რომ საზოგადოების წევრთა მოქალაქეობრივი სიმწიფე გაცილებით მაღალია, ვიდრე მათივე ნდობა ხელისუფლებისადმი. ზოგიერთმა მასობრივმა ინფორმაციის საშუალებამ ამგვარი არაკომერციული ინფორმაციის გაშუქებისაგან თავი შეიკავა, ხოლო აღწერის რეკლამაში ჩვეულებრივი სარეკლამო ნიხრით გადასახადი მოითხოვა, თითქოს საქმე სოციალური მოვლენის გაშუქებას კი არა, გაყინული ქათმების რეკლამას ეხებოდა. მთლიანობაში, არც მაინცდამაინც პოლიტიკურ პარტიებს და მოძრაობებს გამოუდიათ თავი აღწერის მხარდაჭერაში — ისინი უფრო ერთმანეთში ურთიერთობების გარკვევით იყვნენ დაკავებულნი. მათი აღწერით დაინტერესება აპრიორულად ვიწრო და პრაგმატული იყო: აღწერის ჩატარება ამომრჩეველთა ზუსტი რიცხოვნობის დასადგენად. თუმცა ამ მიზნით სულაც არ იყო საჭირო ასეთი ძვირად ღირებული ღონისძიება, რადგან თანამედროვე მეთოდური აპარატი იძლევა საშუალებას მხოლოდ მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის საფუძველზე ამომრჩეველთა კონტინგენტის მაქსიმალურად ზუსტი (არა უმეტეს 2-3%-ის ცთომილებით) რიცხოვნობის დასადგენად.

***დაჩი გრძელიშვილი***

# ჰეროინის კუსტარულად დამზადების პანკისური მეთოდები...



***დასაწყისი იხ. გვ. 5***

მათ დასტურის ნიშნად თავი დამიქნიეს და აი, რა მიამბეს: იურის, ნარკორეალიზატორს, იმ ადგილზე დაბარებული ჰყოლია სხვა მყიდველებიც. ისინი ათასი ლარის ჰეროინის ყიდვას აპირებდნენ, მაგრამ ადგილზევე გაუსინჯავთ წამალი და არ მოწონებიათ. თურმე მყიდველები გამოცდილი ნარკომანები ყოფილან, — მანქანიდან უმალ ერთი სუფრის კოვზი და ერთჯერადი ნემსები ამოუღიათ, ჰეროინი იქვე სანთებელაზე წამოუდუღებიათ, უჩხვლეტიათ, მერე კი იური უხარისხო ჰეროინის გაყიდვაში დაუდანაშაულებიათ. იურის თავის მართლება დაუწყია, კაცობას ვფიცავარ (ქისტისათვის კაცობის დაფიცებაზე წმინდა არ არსებობს), არაფერი გამირევია, იმას ვყიდი, რაც ჩამოვიდაო. კამათი კინაღამ ხელჩართულ ბრძოლაში გადასულა. საბოლოოდ შეთანხმებულან, რომ ორი დღის შემდეგ იური ხარისხიან ნარკოტიკს მიჰყიდდა. ქათამამ დამამშვიდა — ორი დღის მერე ყველაფერი წესრიგში იქნებაო. ქათამა გამიშინაურდა. მეც ამით ვისარგებლე და ყველა კითხვაზე პასუხი გავაცემინე.

**— ორი დღის შემდეგ საიდან იშოვის ხარისხიან ჰეროინს?**

— ახალ კასრს (ბოჩკას) გახსნის და ამოიღებს.

**— მაშაყირებ, კასრში რა უნდა ჰეროინს?**

— შენ ხომ არ გგონია, რომ პანკისში ჰეროინის ლაბორატორიებია? (შემომიბრუნა კითხვა ქათამამ).

**— როგორც ვიცი, მთიდან შემოაქვთ, არა?**

ქათამამ დამიდასტურა, რომ ყაყაჩო მთიდან ჩამოაქვთ და ჰეროინის მომზადების პროცესიც ამიწერა... ეს პროოცესი დაახლოებით ამგვარია: მთიდან ჩამოტანილი ყაყაჩოთი ავსებენ კასრებს, ასხამენ ძმარმჟავას და ისე ხუფავენ, რომ ჰაერი შევიდეს (საჭირო ყოფილა რეაქციისთვის. — თ.ხ.). ხუთი-ექვსი დღის მერე კასრებს ხსნიან — კასრებში ძმარმჟავასაგან შეჭმული ყაყაჩოა ჩარჩენილი, რომლისგანაც ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი მიიღება, ე.წ. „შავი“. (საგულისხმოა, რომ კასრებში ძირიან ყაყაჩოებს ყრიან). კასრში დარჩენილ, მაზუთივით შავ ყაყაჩოს ზედ აყრიან კირივით თეთრ სპეციალურ ფხვნილს, კარგად შეფუთავენ და მზეზე აშრობენ. აი, სულ ეს არის მთელი ლაბორატორია. პანკისი რომ კოლუმბია იყოს, მაშინ რა თქმა უნდა, ლაბორატორიებიც იქნება და ქარხნებიც — იქ დამზადების მეთოდები გაცილებით მაღალია, ჰეროინს უსინჯავენ ნარკოტიკის შემცველობას, სისუფთავეს და ა.შ. ამას კი იმიტომ აკეთებენ, რომ ნარკომაფია ევროპასა თუ ამერიკაში გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე საქართველოში. აქ ყველამ კარგად იცის, რომ ხშირად ქართველი ნარკომანები ყველა სიბინძურეს „იჩხირავენ“ და თავს აღარ იწუხებენ...

**— როცა კასრში დალექილი ყაყაჩო უთავდებათ?**

— ყაყაჩოთი სავსე ერთი კასრი უზარმაზარი რაოდენობის ჰეროინს იძლევა. თანაც მასში ათასგვარ საშუალებას ურევენ და წონაში ზრდიან. თვითონ ყაყაჩო მთებში, მიუვალ ადგილებშია დათესილი. იქ მოსავლის აღების დროს ადიან ხოლმე. თუკი ყაყაჩო გაუთავდებათ, მეზობელ სოფლებში რომელიმე ნარკორეალიზატორისგან ისესხებენ. რა თქმა უნდა, თუ სარფიანი მყიდველი გამოჩნდა — ეს უკანასკნელი კი საქართველოში დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

P.S. არ ვიცი, რამდენად მართალია ქათამას ნაამბობი, მაგრამ ერთი კი ცხადია, — ტყუილის თქმის მიზეზი ნამდვილად არ ჰქონდა. მისი საუბრიდან ირკვევა, რომ პანკისში პრიმიტიული და უსუფთაო წესით დამზადებული ჰეროინი იყიდება, რომელსაც, სამწუხაროდ, უამრავი მომხმარებელი ჰყავს.

***თამაზ ხაბეიშვილი***

# სააკაშვილის ადგილი ბუფეტში ყოფილა...

გასულ კვირას ჩვენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სასადილო-ბუფეტების რაოდენობა ერთით შეუმცირეს. არ გეგონოთ, მიზეზი პარლამენტართა ფიგურისთვის ზრუნვა იყოს, ან — კონკურენციის ველური კანონები, სწორედ ისეთი, ამ ბოლო დროს საქართველოში რომ დამკვიდრდა... დამშეულ დეპუტატებსა და ხაჭაპურის მისართმევად მისულ თანამშრომლებს შენობის მე-5 სართულზე მდებარე პატარა ბუფეტი ერთ მშვენიერ დღეს ჩარაზული დახვდათ.

დაახლოებით ერთი წლის წინ ეს ბუფეტი ასევე მოულოდნელად დაკეტეს. მაშინ მიზეზი დავალიანება აღმოჩნდა. ნისიად წაღებული საკვების ფული დროულად არ მიჰქონდათ და პარლამენტის აპარატი იძულებული გახდა დროებითი „სადამსჯელო“ ოპერაცია განეხორციელებინა, თუმცა შიმშილის დასაოკებელი ეს პატარა, მყუდრო ოთახი მალე კვლავ პარლამენტართა სამსახურში ჩადგა.

ამჯერად საქმე ცოტა უფრო რთულადაა. ბუფეტის დაკეტვის, უფრო სწორად კი გაუქმების მიზეზთა მიზეზი, არც მეტი, არც ნაკლები, მიშა სააკაშვილის ფრაქცია აღმოჩნდა. რეფორმატორებმა დაახლოებით თვე-ნახევრის წინ ჩამოაყალიბეს ფრაქცია, ოფიციალურადაც გაფორმდნენ, მაგრამ პარლამენტის შენობაში კუთვნილი ნავთსაყუდელის მოპოვებას ვერა და ვერ ეღირსნენ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აპარატში ბევრი იფიქრეს, ცოტა იფიქრეს და ბოლოს მოიფიქრეს: ნაციონალისტებს მეზობელ ზემოაღნიშნულ ბუფეტში მიუჩინეს „ბინა“. ფრაქციებსა და კომიტეტებში ინფორმაცია დაგვიდასტურეს — აქ ბუფეტი აღარ იქნება, სააკაშვილის ფრაქცია გადმოჰყავთო. ამ ფაქტმა დეპუტატებსა და ჟურნალისტებში მცირედი უკმაყოფილება გამოიწვია. „კვირის პალიტრა“ „დამნაშავე“ ფრაქციის ერთ-ერთ ლიდერს, დეპუტატ **პეტრე ცისკარიშვილს** დაუკავშირდა.

— სიმართლე გითხრათ, ამ ბუფეტის გაუქმებით მეც უკმაყოფილო ვარ, საკომიტეტო მოსმენებისას შუალედებში ხანდახან შევივლიდი ხოლმე. მაგრამ მე მგონი ფრაქციების მუშაობა უფრო პრიორიტეტულია. ერთი ბუფეტი გაუქმდა, მერე რა? პარლამენტში ამის გარდა კიდევ 4 სასადილოა. ისე არ მოხდება, რომ დეპუტატები და ჟურნალისტები მშივრები დარჩნენ.

**— ბუფეტის გარდა სხვა ოთახი ვერ გამოგიძებნეს?**

— რა ვიცი, ეტყობა, ვერ გამოძებნეს. ბოლო დროს, მოგეხსენებათ, პარლამენტში ძალიან ბევრი ახალი ფრაქცია შეიქმნა. ოთახებით ყველა ხომ უნდა დაეკმაყოფილებინათ!

**— ისე, მაგ ოთახში კაფელით მოპირკეთებული კუთხე და სველი წერტილიც არის. შიდასამზარეულოს ხომ არ მოაწყობდით?**

— *(იცინის)* კი, კი, შეიძლება ამაზეც ვიფიქროთ. აპარატში სამუშაოდ კარგ დიასახლის გოგონებს ავიყვანთ და საკუთარი ფრაქციის წევრების გამოკვებაზე თავადვე ვიზრუნებთ.

P.S. „ახალი ნაციონალისტების“ ახალი ინიციატივა საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება. მთავარია მათ სხვებმაც არ მიბაძონ. უფრო სწორად, მთავარია კიდევ უფრო მეტი ფრაქცია არ შეიქმნას, თორემ... პარლამენტში ბუფეტებზე გაცილებით მეტი... მხოლოდ საპირფარეშოებიღა დარჩა — კეთილმოწყობილი საპირფარეშოები(!).

***ნინო ნიშნიანიძე***



# როგორ წნეხს ქართველ ჯუჯას რუსი გოლიათი



**ანტიტერორისტული ომით აფორიაქებულ კასპიის რეგიონში ერთი საშიში კონფლიქტი ღვივდება, რომელმაც შესაძლებელია დიდი გავლენა მოახდინოს ევროპულ უშიშროებაზე.**

სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი დასავლეთის შუამავლობის გარეშე ძნელად თუ მოგვარდება. საქართველო რუსეთს ნეოიმპერიალისტობას სწამებს. მოსკოვი აფხაზეთში სეპარატისტებს უჭერს მხარს, ფეხს ითრევს საქართველოში თავისი სამხედრო ბაზების გაუქმებაზე და აფერხებს ალტერნატიული ნავთობსადენი მილების მშენებლობას კასპიის ზღვიდან დასავლეთისკენ. საქართველო თავის პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობასაც რუსეთს აბრალებს, ხოლო პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამბობს, — კრემლი სარგებლობს იმით, რომ საქართველო ენერგომატარებლებით რუსეთზეა დამოკიდებული და აიძულებს, დარჩეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ხოლო სავიზო რეჟიმი ქართული ეკონომიკისთვის ძირის გამოსათხრელად შემოიღესო. რუსეთი საქართველოს ჩეჩენი ბოევიკების მფარველობას აბრალებს. აღშფოთებულია საქართველოს ნატოში შესვლის და აფხაზეთში გაეროს ჯარების შეყვანის სურვილით. რუსეთისთვის, რომელიც იძულებული შეიქნა, დასავლეთის საზღვრებზე ნატოს მიახლოებას შეგუებოდა, სამხრეთატლანტიკური ალიანსის დსთ-ის სამხრეთისაკენ გაფართოებას ნამდვილად ველარ აიტანს. ამბობენ, სწორედ ამის გამო გადაემტერნენ ერთმანეთს შევარდნაძე და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიო. ამ უკანასკნელს ჯერაც ვერ უპატიებია საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისთვის სსრკ-ის დაშლა.

აქაც, ისევე როგორც ყველა მსგავს კონფლიქტში, სიმართლე შუაშია მოქცეული. რეგიონში დამოუკიდებელი დამკვირვებლებიც კი, მაგალითად, ისეთი, როგორიც გერმანელი დიპლომატი დიტერ ბოდენია, თვლის, რომ რუსეთის მშვიდობისმყოფელების გამოყვანა აფხაზეთიდან ახალი ძალადობის დასაწყისი იქნება. კოსოვოს მსგავსად, აფხაზეთიც დე ფაქტო დამოუკიდებელია. საქართველოს ძალზე სუსტი ჯარი ძალით ვერ დაიბრუნებს სეპარატისტულ რეგიონს, პოლიტიკური თანხმობა კი აქ თორმეტი წელია, აღარ არის. ნატოს სახელმწიფოები შუამავლობას ვერ შეძლებენ, მათი სამხედრო ძალები ბალკანეთსა და ავღანეთშია თავმოყრილი. მოსკოვი კი ამასობაში ნამდვილად სარგებლობს აფხაზეთში სეპარატისტული კონფლიქტით ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთში, რათა არ დაუშვას საქართველოს სვლა დასავლეთისკენ.

არავის ეეჭვება, რომ საქართველოს ჩრდილოეთით, მიუვალ მთებში, პანკისის ხეობაში მართლა აფარებდნენ თავს რუსეთის ჯარს გამოქცეული ჩეჩენი ბოევიკები და არაბი ტერორისტები. საქართველოს სამართალდამცავებს კი მათ გამოსაძევებლად ძალა არ შესწევთ.

ორივე მხარემ, რუსეთმაც და საქართველომაც, სცადეს, ესარგებლათ აშშ-ში 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტით, რათა აფხაზურ ან ჩეჩნურ სეპარატიზმთან დაკავშირებული პრობლემები მოეგვარებინათ. საქართველოს ძალოვნებმა ჩუმად, საიდუმლოდ გადაისროლეს ჩეჩენი ბოევიკები აფხაზეთში, რათა იქ აფხაზ სეპარატისტებთან ბრძოლის პროვოცირება გამოეწვიათ. ამის შემდეგ შევარდნაძემ პასუხისმგებელი მინისტრები დაითხოვა. აფხაზებმა თავდასხმა მოიგერიეს, რასაკვირველია, რუსეთის სამხედროთა მხარდაჭერით. ოქტომბერში, როდესაც აშშ-ის გამანადგურებლები თალიბების პოზიციებს ბომბავდნენ ავღანეთში, რუსეთის საბრძოლო შვეულმფრენები ტყვიებს უშენდნენ ჩეჩენ ბოევიკთა შესაძლო პოზიციებს კოდორის ხეობაში. 90-იან წლებში დაწყებული ევროპის კავშირის მცდელობა, დაემყარებინა ეკონომიკური თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსა და შუა აზიის ქვეყნებს შორის, ჯერჯერობით უშედეგო აღმოჩნდა. პუტინმა დაუყოვნებლივ გადაიბირა ინვესტორები რუსეთში, თუმცა სწორედ ევროპის გრძელვადიანი პოლიტიკური მონაწილეობა არის საფუძველი კავკასიის რეგიონში ეკონომიკის განვითარებისა და მშვიდობის დამყარებისა.

***დი ველტი***

# ქართულ-აფხაზური დიალოგისთვის
## კარი დახურული რჩება

ამას წინათ ნიუ-იორკში გამოქვეყნდა გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება, რომელიც ეხებოდა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. კოფი ანანი აღნიშნავს, — კონფლიქტის ზონაში დროებით სიწყნარეაო და საქართველოსა და აფხაზეთს მოლაპარაკებას ურჩევს. ამის საფუძველი, მისი აზრით, უნდა გახდეს საქართველოში გაეროს საგანგებო წარმომადგენლის დიტერ ბოდენისა და „გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის" მიერ შედგენილი დოკუმენტი თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილების განსაზღვრის საბაზო პრინციპებზე, იმპულსი კი — საქართველოს ჯარების კოდორის ხეობიდან გამოყვანაა.



მაგრამ მოლაპარაკებაზე ფიქრი ჯერ ადრეა, საქართველო, ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობა, არ აღიარებს სოხუმის სუვერენიტეტს, აფხაზეთი კი თავს საქართველოს ნაწილად არ მიიჩნევს. ქართული და აფხაზური მხარეები სხვადასხვანაირად შეხვდნენ გაეროს გენერალური მდივნის მოწოდებას. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილემ შალვა ფიჩხაძემ განაცხადა, რომ საქართველომ კოდორის ხეობიდან ჯარის გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება ეროვნული უშიშროების გათვალისწინებით უნდა მიიღოს და ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტს და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აქვთ. პარლამენტის დეპუტატებმა კი განაცხადეს, — საქართველო თავის მიწა-წყალზე თავის ჯარებს სადაც უნდა, იქ განალაგებსო.

არაერთმნიშვნელოვნად აღიქვა კოფი ანანის ეს მოწოდება აფხაზეთმაც. აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ თქვა, — მზად ვართ საქართველოსთან დიალოგის გასაგრძელებლად, რათა დარეგულირდეს კონფლიქტი, მაგრამ მხოლოდ ქართული ჯარების კოდორის ხეობიდან გამოყვანის შემდეგო. ხოლო გაეროს დადგენილების თაობაზე აღნიშნა, — ამ დოკუმენტს არათუ განვიხილავთ, ხელშიც არ ავიღებთ. ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელმწიფოთაშორისო კავშირზეო.

გაერო განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ ეს დოკუმენტი მხოლოდ ოდნავ შეაღებს კარს კონფლიქტის დარეგულირებაში, მაგრამ აფხაზეთს ეს ფორმულირება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. კოფი ანანმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ მიუხედავად გაეროს სპეციალური წარმომადგენლების და რუსეთის მცდელობისა, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ უარყო ყველა წინადადება, რაც აფხაზეთს საქართველოს ნაწილად აღიარებს და არ მიიღო არც დოკუმენტი და არც მისი თანმხლები წერილი.

არ არის გამორიცხული, რომ ასეთი რეაქცია ქართულ მხარეს პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტისაკენ უბიძგებს, ამიტომ, გაეროს მოხსენება აფრთხილებს „ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს, რომელიც არ გამორიცხავს სამხედრო ვარიანტს".

საქართველოსა და აუღიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტები ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებენ. შევარდნაძისა და არძინბას პოზიციების გამოაშკარავებამდე, გაეროს მოწოდების მიუხედავად, დიალოგის კარი თბილისსა და სოხუმს შორის დაგმანულია.

***სტრანა რუ***

# თურქები მოვიდნენ...



ცნობილი გახდა, რომ მალე საქართველოში დაფუძნდება თურქეთის სამხედრო ბაზა. ბაზის განლაგება დაგეგმილია მარნეულის რაიონში, სადაც, ძირითადად თურქეთის მონათესავე აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. საბჭოთა კავშირის დროს აქ იყო სამხედრო აეროდრომი და იდგა საჰაერო სივრცის დამცავი პოლკი. ბოლო ხანს თურქებმა ასაფრენი ბილიკი გააკეთეს მძიმე, სტრატეგიული ბომბდამშენებისა თუ სატრანსპორტო თვითმფრინავების იოლად დასაჯდომად.

საქართველოს მთავრობა ამას „ნატოს სტანდარტებთან მიახლოებას" უწოდებს.

ყოვლად გაუგებარია, რატომ არ აცხადებს ოფიციალურ პროტესტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. მოქმედი საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, რუსეთის საზღვრების უშუალო სიახლოვეს ნატოს სტრატეგიული ბომბდამშენების განლაგება დაუშვებელია, მაგრამ დაურღვეველი შეთანხმება არ არსებობს. სიტუაციას ისიც ამძაფრებს, რომ რუსეთს იმ რეგიონში არ გააჩნია სათვალთვალო თანამგზავრები. მართალია, ერთი თანამგზავრი კავკასიონის თავზე კიდია, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს აპარატი საკმაოდ დიდი ხნისაა და აღარ შეუძლია ინფორმაციის რეალური დროის რეჟიმში გადმოცემა; თანაც ის განუწყვეტლივ ამოწმებს ჩეჩნეთს. ამიტომ, რუს სამხედროებს არ შეუძლიათ მარნეულის ოპერატიული თვალთვალი.

სამაგიეროდ, მომხდარმა საკმაოდ გააცხარა სომხეთი, სადაც თურქებსა და აზერბაიჯანელებს მთლად კარგი თვალით არ უყურებენ. ამიტომ, ერევანში საქართველოს გადაწყვეტილება მძიმე დარტყმად მიიღეს. ამაში მათ არც საქართველოში მცხოვრები სომხები ჩამორჩებიან. ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა, ეთქვა, — დაუშვებელია რუსეთის ბაზის ახალქალაქიდან ნაჩქარევად გაყვანაო. საქართველოს მთავრობას თავის მართლებამ მოუწია. ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ განაცხადა, რომ „უსაფუძვლოდ მიაჩნია ერევნის შეშფოთება, თითქოს მარნეულის აეროდრომს თურქები სომხეთის ინტერესების წინააღმდეგ გამოიყენებენ".

მამალაძე, რა თქმა უნდა, მართალია. ერევანს შესაშფოთებელი არაფერი აქვს. აფხაზეთი კი, რომლის კვლავ დაბრუნებაზე თბილისი დიდი ხანია ოცნებობს, უნდა დაფიქრდეს. ერთი წლის წინ ფართო საზოგადოებას უკვე წარუდგინეს ასეთი დაბრუნების გეგმა: რამდენიმე დღის განმავლობაში ტრაპიზონისა და ინჯირლიყის ბაზებიდან აფრენილ თურქეთის თვითმფრინავებს აფხაზეთი უნდა დაებომბათ. შემდეგ საქმეში ჩაერთვებოდა საზღვაო არტილერია და რაკეტები, რომლებიც უკვე ზღვიდან დაუშენდნენ აფხაზეთის სანაპიროს, სამხედრო მოქმედებას დაასრულებდა სტრატეგიულ წერტილებში დესანტის გადმოსხმა.

თუკი შევარდნაძე მიაღწევს რუსეთის მშვიდობისმყოფელების გაყვანასა და მათ ნაცვლად ნატოს ჯარების ჩაყენებას, როგორც ჩანს, მაშინ ამ სცენარის განხორციელებას დიდი დრო აღარ დასჭირდება.

***ვერსია №2***

# აფხაზეთის ტყვეები

## ახალი თავდასხმა გაზაფხულზეა მოსალოდნელი



გალისა და ზუგდიდის რაიონების საზღვარზე, დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა პოსტების ტერიტორიაზე, გაეროს ეგიდითა და ინიციატივით გაიმართა მორიგი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება. ეს შეხვედრა შედეგიანი გამოდგა: მიღწეულ იქნა შეთანხმება 1 თებერვლიდან კოდორის ხეობიდან ქართული ჯარების გამოყვანის შესახებ.

ამ პოზიტიურ ფონზე სხვა ინფორმაციაც არსებობს: აფხაზეთის სპეცსამსახურების ცნობით, გაზაფხულზე მოსალოდნელია ახალი თავდასხმები რესპუბლიკაზე, პანკისის ხეობაში კვლავ განახლდა ჩეჩენ ბოევიკთა გადაბირება.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საქართველოს საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და აფხაზეთის პირველი ვიცე-პრემიერი რაულ ჰარჯინბა. გაეროს წარმომადგენელმა საქართველოში **დიტერ ბოდენმა** მოკლე ინტერვიუ მისცა „ობშჩაია გაზეტას":

**— თქვენ მხარს უჭერთ აფხაზეთის მოთხოვნას, საქართველოს ჯარების ხეობიდან გაყვანის შესახებ?**

— დიახ, ეს შეესაბამება მოსკოვის 1994 წლის მოლაპარაკებას ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეების დაშორიშორების შესახებ.

**— თუ გაქვთ მონაცემები იმისა, რომ გაზაფხულზე აფხაზეთში შეჭრა შეიძლება განმეორდეს?**

— ამიტომაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, რომ ამგვარი არაფერი მოხდეს.

რაულ ჰარჯინბამ კომენტარისაგან თავი შეიკავა, **მალხაზ კაკაბაძემ** კი განაცხადა:

— თუ შარშანდელ ოქტომბრის მოვლენებს გავიხსენებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორმაგი სტანდარტის პრინციპის გამოყენება არ ივარგებს. ეს სახიფათოა ყველასთვის და უწინარესად, რუსეთისთვის. სხვათა შორის, ვისაც ოქტომბერში ტერორისტებს უწოდებდნენ, იყვნენ პიროვნებები, რომელთაც ცხრა წლის წინ აფხაზეთის გმირობა მიანიჭეს. როგორ ფიქრობთ, ნორმალურია ეს?

**— გელაევს გულისხმობთ?**

— არა მარტო მას.

**— ამბობენ, შარშან ბოევიკებმა შეუფერხებლად გაიარეს საქართველოს ტერიტორია, რადგან მათ ცნობილი პირები ახლდნენო. მართალია?**

— შეიძლება.

**— მათი თანმხლებნი საქართველოს ძალოვან სტრუქტურათა ინტერესების გამტარებელნი ხომ არ იყვნენ?**

— არა, ეს გამორიცხულია.

სავარაუდოა, რომ გელაევის ლაშქრობა ხელს აძლევს როგორც აშშ-ს, ასევე რუსეთს და მათ პარტნიორებს. რესურსების მხრივ საქართველო საინტერესო არ არის, მაგრამ როგორც სატრანზიტო ტერიტორიას, გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც დასავლეთს მისი ერთგული ერთიანი და სტაბილური საქართველო სჭირდება. აფხაზეთის მეთაურთა პრორუსული პოზიცია არაფრით ესადაგება ამ სქემას. სწორედ აქედან გამომდინარეობს გაეროს გულმოდგინება, რომელთა წარმომადგენლები დაჟინებით არწმუნებდნენ აფხაზებს თბილისთან მოლაპარაკების აუცილებლობაში.

რა გამორჩენას ნახულობს რუსეთი? შემოდგომის მოვლენებმა ცხადყო, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც თავს აფარებენ ტერორისტები, ამიტომ თბილისის ყოველ დემარშს მოსკოვის მიმართ კონტრპასუხი ელის. ეს ხელს უწყობს თბილისსა და სოხუმს შორის დაძაბულობის შენარჩუნებას, რათა მათ შორის არავითარი დაახლოება არ მოხდეს. საქართველოს აფხაზეთის დაბრუნება უნდა, რუსეთს კი — საქართველოსი (გავლენის სფეროდ მაინც); ამიტომ აფხაზეთი რუსეთს სჭირდება სატყუარად და ამას რესპუბლიკაში ყველა ხვდება.

ჩეჩნეთის ომმა და შარშანდელი შემოდგომის მოვლენებმა მკვეთრად შეცვალა ბევრი აფხაზის დამოკიდებულება მოსკოვის მიმართ. მართალია, ორიენტირება კვლავინდებურად რუსეთზე აქვთ, მაგრამ უფრო ფრთხილობენ. ალაპარაკდნენ ზესახელმწიფოთა პოლიტიკაზე, ვისი მძევლებიც ხდებიან პატარა ქვეყნები და ხალხები.

***ობშჩაია გაზეტა №4***

# მოკლედ

**გაეროში** რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ანდრეი გრანოვსკიმ განაცხადა, — თუ თბილისი უმოკლეს დროში არ გადაწყვეტს დსთ-ის კოლექტიური მანდატის საკითხს, მშვიდობისმყოფელებს გაიწვევენ საქართველოდანო. მისი აზრით, ქართულ-აფხაზურ ზონაში შექმნილ ისედაც რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს მშვიდობისმყოფელების მიმართ ქართული პარტიზანული დაჯგუფებების — „თეთრი ლეგიონისა" და „ტყის ძმების" გაუთავებელი მუქარა.

**ევროპამ ჩეჩნეთი აღიარა**

ასლან მასხადოვის ემისარი აჰმედ ზაკაევი სტრასბურგში ჩავიდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი მეთაურის ლორდ რასელ-ჯანსტონის მიწვევით. 23 იანვარს ასამბლეამ რუსეთისათვის გაუგონარი რეზოლუცია მიიღო, რომლის მიხედვითაც ჩეჩნეთის რესპუბლიკა აღიარებულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. რუსეთის დელეგაციის მეთაურის დმიტრი როგოზინის აზრით, საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებამ ცხადყო, რომ ევროპა „საერთოდ არ არის მზად რუსეთის პრობლემის გასაგებად და ჩანს, ტერორიზმის პრობლემას კიდევ კარგა ხანს ვერ შეიგრძნობს, მაგრამ როდესაც თავად ამას წააწყდებიან — უკვე გვიან იქნება".

# საქართველოს ტერიტორიაზე შარიათის კანონი მოქმედებს

პანკისის ხეობის მცხოვრებთა ცნობით, ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხეობაში კრიმინოგენული მდგომარეობის გამოსასწორებლად. აქ ამჟამად 10 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მათგან ნახევარი ეთნიკური ჩეჩენი — ქისტია, მეორე ნახევარი კი ჩეჩენი ლტოლვილი.

სასამართლოს თავისი განაჩენი გამოაქვს მომჩივნის საჩივრის საფუძველზე ან ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე. შარიათის სასამართლოს შეუძლია დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ციხეში ჩასვას დამნაშავე, ან მიუსაჯოს დახვრეტა. ამჟამად „ციხეში" 15 ადამიანი ზის — ადგილობრივები და ლტოლვილები, რომლებიც გაასამართლეს საქონლის ქურდობის, ძარცვისა და ნარკოტიკების გაყიდვის გამო.

შარიათის სასამართლოს გაწკეპვლაც შეუძლია მიუსაჯოს დამნაშავეს. მინიმალურია 20 დარტყმა, მაქსიმალური — 80, თვითმხილველთა ცნობით, ასეთი ეგზეკუციის შემდეგ ადამიანი კვდება. აღსანიშნავია, რომ შარიათის სასამართლოში „საქმე" ადამიანის მოტაცების შესახებ ჯერ არ შესულა. მაგრამ ამ სახის ბოროტებასთან აქტიურ ბრძოლას აპირებენ.

***პდრ პრესი***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვინიღნიხნ

ბებია დაღონებულია, ეტყობა, რაღაც აწუხებს.

— ბებო, რა გტკივა?! — ეკითხება **პატარა ვანიკო**.

— სახსრები! — კვნესის ბებია.

— ფული? — უკვირს ვანიკოს.

***

**3 წლის ნიკა ხარაიშვილი** არემარეს წივილ-კივილით იკლებს.

— ბებია, ჩქარა წამოდი, ჩვენი ღორები გაეროში შევიდნენ (ღორები გარემოში, ანუ ეზოში შესულიყვნენ).

***

**3 წლის ილია ბეჟაშვილი** უყურებს გადაცემას „ვის უნდა ოცი ათასი?“ დუტა სვამს კითხვას:

— ვინ მოკლეს წიწამურთან: ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი.

მოთამაშე პასუხობს:

— ილია.

— ილია არა, რეზიკო! რეზიკო! (რეზიკო მისი ძმაა).

***

**3 წლის მარიამ აფციაური** ეუბნება ბიძას:

— დღეს ფანჯრიდან დაგინახე, მანქანიდან რომ ამოჯექიო.

***

**პატარა გვანცა ქალიაშვილი** ძმას ეკითხება:

— რა ფერის თვალები აქვს დედიკოს?

— არ ვიცი.

— დედიკოს ყავისფერი თვალები აქვს, იმიტომ რომ ყავა უყვარს, — ამაყად წარმოთქვა გვანცამ.





მოძებნე ქვემოთ მოცემული ფრაგმენტები ნახატში



მიიყვანე კუ პალმასთან

Ⅰ რებუსი





შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ, ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ბაჯბაჯა თაფლიჭამიას, ტყე ურჩევნია გალიას“.

Ⅱ



## იპოვე 13 განსხვავება





დანომრე სახლები მშენებლობის თანამიმდევრობის მიხედვით



ნიმუში



დააწყვილე საგნები



ისე გააფერადე ქუდები, რომ ყველა ერთნაირი იყოს

## ჭიაკოჩხეი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კუნძული | ჭრილობა ანუ... | კაცი ინგლისურად | გერბი, ჰიმნი ... | კარგი ... დედის გულის ვარდიაო (ანდ) | საკათედრო ტაძარი თბილისში | |
| ... „ტორტილა“ | ციცინათელების მზეთუნახავი | „... შეჭამა ვენახი“ | კვერცხების შესალები მცენარე | „იყო ... მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“ | ტბა თბილისში | ქალაქი რაჭაში |



ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# ბაია დვალიშვილი: ჩემმა მშობლებმა ფერადი, სანუკვარი სამყარო მაჩუქეს

**შეიძლება ზუსტად არავინ იცოდეს, რა არის ბედნიერება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ ადამიანს საყვარელი საქმე აქვს, თანაც ამ საქმეს კარგად აკეთებს, მისთვის უცხო არ იქნება ეს გრძნობა... კიდევ რა შეიძლება ინატრო? — მყუდრო ოჯახი, სათნო ადამიანები შენს ირგვლივ. არ იფიქროთ, ზღაპრულ ცხოვრებაზე გელაპარაკებოდეთ...**



**მე სულ სხვანაირი ვარ და სხვანაირ ქალებს ვთამაშობ — ავებს, კაპარჩხანებს, უხასიათოებს. ძალიან სასიამოვნოა მათი განსახიერება. ერთხელ „შოკოლადის მიკროფონში" მიმიწვიეს. შინ რომ მოვბრუნდი, ვიღაც კაცმა დარეკა: ქალბატონო ბაია, როგორ მესიამოვნა, მე თქვენზე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა და სულ სხვანაირი ყოფილხართო.**

ყველაფერი ეს რეალობაა და ქალბატონ ბაია დვალიშვილისთვის ალბათ ბუნებრივი გარე სამყარო. ვინც მის მშობლებს — ქალბატონ მარინე თბილელს და ბატონ აკაკი დვალიშვილს იცნობს, ვისაც ბაიას ნათამაშები როლები უნახავს რუსთაველის თეატრში, თეატრალურ სარდაფსა თუ ფილმებში, დამეთანხმება — გაზვიადებული არაფერია. საუბარი ბაიას შემოქმედების ირგვლივ დავიწყეთ:

**— ალბათ თქვენი ოჯახის წევრები დიდ სიხარულს განიცდიან თქვენი შემოქმედების გამო..**

— ჩვენს ოჯახში ყოველთვის ცოტა რთულად ეკიდებოდნენ ჩემს შემოქმედებას. არასოდეს ვყოფილვარ განებივრებული ხოტბით — ხომ აქებენ ხოლმე შვილებს, სჯერათ მათი განსაკუთრებული მონაცემებისა... ხშირად დამწყვეტია გული, როცა გამიგია, როგორ მოსწონთ, ამაყობენ სხვები თავიანთი შვილების საქმიანობით. მე პირიქით, მშობლები მაკრიტიკებენ, შენიშვნებს მაძლევენ... დედა უფრო რბილია, მამაჩემი კი სულ ერთსა და იმავეს მიმეორებს: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს — შენ თუ იცი და შეგიძლია რამე, ნუ გეშინია, არ დაიკარგებიო.

**— მართალს ბრძანებს ბატონი აკაკი, თქვენ მართლაც არ დაკარგულხართ არც შემოქმედებითი გზის დასაწყისში და არც ბევრისთვის კრიზისულ, არეულ პერიოდში. პირველად, როგორც ვიცი, ბატონ მიშა თუმანიშვილთან დაიწყეთ მუშაობა კინომსახიობთა თეატრში.**

— მე მომსწრე ვარ, როგორ დაარსდა ეს თეატრი, იმიტომ, რომ იგი მამაჩემის დაარსებულია. მაშინ მამა კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. გვერდით მას რეზო ჩხეიძე ედგა. ხმამაღლა შემიძლია ვთქვა — თუ არა მამაჩემი, ეს თეატრი არ იარსებებდა. ბატონი მიშა რომ თეატრის გარეთ დარჩა, მამამ ეს დიდ უსამართლობად მიიჩნია და ყველაფერი იღონა, რომ მიხეილ თუმანიშვილის თეატრი შექმნილიყო. ბევრ წინააღმდეგობასთან და სირთულესთან იყო ყველაფერი დაკავშირებული, მაგრამ მამამ თავისი გაიტანა და ეს მშვენიერი საქმე, რასაც კინომსახიობთა თეატრი ჰქვია, კეთილად დაგვირგვინდა. ორი წელიწადი ვიყავი მეც ბატონი მიშას ფრთებქვეშ. იმ ორმა წელიწადმა გაცილებით მეტი მომცა, ვიდრე ინსტიტუტი და წიგნიერი განათლება აძლევს ადამიანს.



შემოდგომა

**— შემდეგ იყო რუსთაველის თეატრი, რომელიც თქვენივე სურვილით დატოვეთ.**

— მე, ასე ვთქვათ, ოთხმოცდაათი გრადუსით ვცვლი ჩემს ცხოვრებას და არასოდეს გული არ მწყდება ამის გამო, ბევრჯერ რადიკალურად შემიცვლია რაღაც ჩემს ცხოვრებაში. საერთოდ, უნდა შეგეძლოს, რაღაცას გამოეთხოვო, როცა ის რაღაც მთავრდება. ადრე აკადემიურ თეატრში თუ მიგიღებდნენ, პენსიამდე იქ უნდა ყოფილიყავი. მერე ხდები პრეტენზიული — ეს ჩემი ოთახია, ეს ჩემი საგრიმიორო. მერე გიჩნდება ეჭვი, რომ ვიღაცამ „შენი" ოთახის კარი შეაღო, იქ ვიღაც დაჯდა და ისმის ფრაზა: ცხოვრება ამ თეატრს შევალიე! რაღაც დაყვედრებასავით ჟღერს. არადა, არავის არ სჭირდება ეს „ცხოვრების შელევა". უნდა იბრძოლო შენი ადგილისთვის ცხოვრებაშიც, ხელოვნებაში... იმის შეგრძნება, რაკი თეატრში მიმიღეს, აქ დავბერდებიო — ძალიან აჩლუნგებს კაცს. დრომ მოიტანა ერთი ჯანსაღი რამ — შეგრძნება იმისა, რომ თეატრში ყველაფერი შენია ისევე, როგორც სხვისი და ყველაფერი დროებითია. რაკი დროებით ვარ, უნდა ვეცადო, კიდევ ერთხელ ვიყო ამ სცენაზე... იმისი თქმა მინდა, რომ კონტრაქტების სისტემა რთულია, სარისკო, მაგრამ ჯანსაღი. თორემ მე ისიც კი მინახავს, როლების განაწილებას რომ გვაცნობდნენ, ზოგს ეზარებოდა კიდეც: ახლა ამის რეპეტიციები მინდაო?!

**— უკვე გასაგებია, თეატრალური სარდაფისკენ რატომ გაგიწიათ გულმა. მაინც როგორ შეეგუეთ რუსთაველის თეატრის შემდეგ ამ სრულიად განსხვავებულ თეატრს?**

— ოთხი წლის წინ პირველად მიმიწვიეს სარდაფში „სამგროშიან ოპერაზე". მაშინ რუსთაველის თეატრში ვმუშაობდი. გავაფრთხილე ბატონი რობერტი და დავთანხმდი ამ მიწვევას. როცა პრემიერის დღე დადგა და მივხვდი, რომ გავდივარ სცენაზე, სადაც მაყურებელი ზის ნახევარ მეტრში, დავიზაფრე. ასე არასოდეს მინერვიულია. მეგონა, რომ გული ყელში მიცემდა და სადაც იყო, ამომვარდებოდა. საშინელება იყო: ვიფიქრე, ოღონდ ახლა ეს სპექტაკლი დამამთავრებინა და ჩემი ფეხი არ იქნება აქ-მეთქი. რაღაც შეიცვალა: 14-15 წელი შეგუებული ვიყავი რუსთაველის თეატრის სცენას და უცებ აქ მოვხვდი... მერე დავრწმუნდი, ყველა დარბაზს თავისი ხიბლი აქვს — სარდაფსაც. არაფრის გამო პოპულარობაც არ არსებობს. როგორც ჩანს, თეატრალურმა სარდაფმა დაიმსახურა წარმატება, თუმცა უსათუოდ უნდა აღვნიშნო: რუსთაველის თეატრის დარბაზი მაგიაა. იქ ყველაფერი სხვა განზომილებაში ხდება. სცენაზე რომ გადიხარ, გგონია, მფრინავ თეფშში ზიხარ, ჰაერში დადიხარ. მსგავსი სცენა არსად მინახავს... შარშან, დედა 80 წლის რომ გახდა, სარდაფში აღვნიშნეთ. ძალიან გაკვირვებული დარჩა. ასეთი ტიპის თეატრი მისთვის უცხოა. იცით, რა მითხრა, პირველად რომ ჩავიდა თეატრალურ სარდაფში? — თელავშიც კი, ჩემს ბავშვობაში თეატრი ამაღლებული ადგილი იყო, ეს კიდევ რა არისო...

**— კინოროლებზე რას იტყვით?**

— საერთოდ, მე სულ სხვანაირი ვარ და სხვანაირ ქალებს ვთამაშობ — ავებს, კაპარჩხანებს, უხასიათოებს. ძალიან სასიამოვნოა მათი განსახიერება. ერთხელ „შოკოლადის მიკროფონში" მიმიწვიეს. შინ რომ მოვბრუნდი, ვიღაც კაცმა დარეკა: ქალბატონო ბაია, როგორ მესიამოვნა, მე თქვენზე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა და სულ სხვანაირი ყოფილხართო. დიდი მადლობა-მეთქი, დავკიდე ყურმილი და მივხვდი, იმ კაცს აშარი დედაკაცი ვეგონე. აბა, რა იქნებოდა... „ნეილონის ნაძვის ხე", „ბანდიტი აგურის ქარხნიდან" ექნებოდა ნანახი და...

**— განსაკუთრებით რომელ კინორეჟისორებთან მუშაობას გამოყოფდით?**

— გაუთავებლად შემიძლია სერგო ფარაჯანოვზე ვილაპარაკო, მით უმეტეს, ახლა, როცა თოჯინების კეთება დავიწყე. არიან ადამიანები, რომელთა არყოფნას, რაც დრო გადის, უფრო განიცდი. ისე მინდა, რომ სერგო ახლა ცოცხალი იყოს, ისე მჭირდება... როცა ასეთი ადამიანები არიან გვერდით, ძალიან იზრდები. როცა ასეთები არ არიან, ბრძოლა გიწევს, რომ გაიზარდო. უცნაური თვალი ჰქონდა. სულ სხვანაირად უყურებდა ადამიანს. იტყოდა: შეხედე, შეხედე, როგორი ბერძნული თავი აქვსო. შევხედავდი, ჩვეულებრივი კაცი იდგა. დავაკვირდებოდი, მართლა ელინს არ ჰგავდა?! სერგო ფარაჯანოვმა საოცრად კარგი რამეების ჩუქება იცოდა. აზერბაიჯანის ახლოს, სოფელ შექიში გვქონდა „აშულ ყარიბის" გადაღება. დამიძახა, — მოდი, რაღაც უნდა გაჩუქოო და ხელში ნივთი ჩამიდო, თან მეუბნება: „Это Турция. XVIII век" გავშალე ხელი და — საყურე. გავოგნდი — ასეთ ძვირფას საჩუქარს, ვერაფრით მივიღებ-მეთქი... ის კი დაჟინებით მიმეორებდა: „Бери, бери... Это подарок." ათასი მადლობა გადავუხადე, საღამოს გამოვედი გადასაღებ მოედანზე. ჩვენი მხატვარი — ეკა მაღალაშვილი დავინახე — ზუსტად ჩემნაირი საყურე უკეთია... ცოტა ხანში გამოვიდა მოხუცი გრიმიორი, მასაც ასეთივე სამკაულით დაუმშვენებია ყური. ეკას ჩუმად ვკითხე, — ეს საყურე საიდან გაქვს-მეთქი? შენ მაშინ აქ არ იყავი, გადაღებებზე რომ წავედით ბაქოში, იქ სალონში ვიყიდეთო. გავბრაზდი, ეს როგორ მოვუტყუებივარ-მეთქი... გავიდა დრო. კიდევ მაჩუქა რაღაც და მითხრა: „Фаберже... Это XIX век"... ცივად გადავუხადე მადლობა (კარგად მახსოვდა საყურის ოინი) და გამოვართვი... მართლა ფაბერჟე არ გამოდგა?! — უძვირფასესი ნივთი. არაჩვეულებრივი იყო სერგო ფარაჯანოვი.

**— თქვენი უმშვენიერესი თოჯინები ახსენეთ. ისინი ისე უხდებიან თქვენს სამყაროს... ბატონმა აკაკიმ მითხრა, — როცა ბაია შინ არ არის, ოთახში შემოვალ, ამ თოჯინებს შევხედავ და თითქოს ჩემი გოგონა აქვეაო...**

— ეს ერთადერთია, რაც მამას ძალიან მოსწონს ჩემი. თვითონაც გაკვირვებული ვარ. არანაირი სამხატვრო განათლება მე არ მაქვს. ღამით რომ დავამთავრებ მუშაობს, დილით კარს გავაღებ და მიკვირს — ნუთუ ეს მე გავაკეთე? ძალიან ვამაყობ ამ თოჯინებით. ავად მოსაგონარი თბილისის ომის შემდგომ პერიოდში, როცა არაფერს ვაკეთებდი, მე და ჩემი მეგობარი მივხვდით, თუ რაიმე გამოსავალს არ ვიპოვიდით, დავიღუპებოდით. სწორედ მან, ნინიკო არსენიშვილმა (ბატონი გიას ქალიშვილია) შემომთავაზა: მოდი, თავს ვუშველოთ, თოჯინები გავაკეთოთ და გავყიდოთო... მაშინ ყოფილ პეროვსკაიას ქუჩაზე იბარებდნენ ჩვენს თოჯინებს. ასე დაიწყო. იღბლიანები გამოდგნენ ეს თოჯინები. იმ მძიმე წლებში მათ გადაგვარჩინეს. მერე გამოფენებზეც „გვყავდა", ზოგიერთი უცხოეთშიც „გავათხოვეთ"...

**— ახლა მინდა წარსულში დავაბრუნოთ... თქვენი თვალით დანახულ ქალბატონ მარინე თბილელზე, ბატონ აკაკიზე გვიამბეთ...**

— ყველაზე ძვირფასი, იცით, რა არის ჩემთვის? დედაჩემისა და მამაჩემის ყოველი დღე იწყებოდა სხვებზე ზრუნვით. ამას აბსოლუტურად უანგაროდ აკეთებდნენ. დედაც და მამაც დილიდანვე მიდიოდნენ ვიღაცის საქმეზე, ხან საავადმყოფოში, ხან მთავრობაში, რა ვიცი, სად აღარ... ერთხელ დედაჩემმა, რომელიღაც საბავშვო სახლში, დაკარგული შვილი აპოვნინა ქალს... მე ვიცი, რომ მამაჩემს ბევრი უმადლის ცხოვრებაში გზის გაკვლევას. შვილისთვის იმაზე დიდი მემკვიდრეობა არ არსებობს, ვიდრე მშობლების მიერ გაკეთებული სიკეთეა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უძრავ-მოძრავი ქონება, აურაცხელი სიმდიდრე... მიუხედავად იმისა, რომ დედა ძალიან დაკავებული იყო: დილით რეპეტიცია ჰქონდა, საღამოს — სპექტაკლი, არ მახსოვს, ჩემთვის ყურადღება მოეკლო. დედა იმდენად არაორდინარული და გამორჩეული იყო, რომ სულ ყურადღების ცენტრში ექცეოდა. თვითონ უთქვამს — რომ ამბობდნენ, მარინე ლამაზიაო, მე ლამაზი კი არა, ეფექტური ვიყავიო. არ ვიცი... სილამაზე ცოტა რთული ცნებაა, მაგრამ მე მგონი, დედა ორივე ერთად იყო, ლამაზიცა და ეფექტურიც, თანაც ჰქონდა გადამდები ნიჭი სიცოცხლის სიყვარულისა. ისეთი ენერგიული და დადებითი ემოციების მატარებელი იყო, რომ ყველა აღნიშნავდა: მარინეს რომ შევხვდებოდით, მთელი დღე კარგ გუნებაზე ვიყავით, სულ გვინდოდა, სიკეთე გვეკეთებინაო. ბავშვობის დროინდელ მოგონებებზე მკითხეთ... დედაჩემი ფერადად მახსოვს. ახლა მოხუცდა, ტემპერამენტიც ჩაუქრა, მაგრამ ადრე მართლა ფერადი იყო! დღეს ქალაქი ჩაყამებულია. მძიმე ცხოვრებაა და ალბათ იმიტომ, მაგრამ ადრეც ასე იყო, უფრო მუქი ფერები მოსწონთ ქართველებს. დედა კი ყოველთვის გამორჩეულად იცვამდა: ყვითელს, კვასკვასა წითელს, ხასხასა მწვანეს. დილას სიმღერით იწყებდა, მზის ამოსვლა უხაროდა, თუ მზე არ იყო, წვიმას შეჰხაროდა, ყველაფრით კმაყოფილი იყო. ეს ხომ ნიჭია, როცა შეგიძლია, მადლიერი იყო იმისი, რომ ჯანმრთელად ხარ, ცოცხლობ, რომ მზე ამოვიდა, რომ თოვლი მოდის... არაჩვეულებრივ ატმოსფეროში ვიზრდებოდი.



ქართველი ქალი დაირით

მამაჩემი უსაზღვროდ კარგი პიროვნებაა. სხვათა შორის, ის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა და ძალიან კარგადაც. III კურსიდან მიატოვა და სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩააბარა. მასთან სწავლობდნენ მიხეილ თუმანიშვილი, ლილი იოსელიანი... უკითხავდა გიორგი ტოვსტონოგოვი. დღესაც გვაქვს ოჯახში გიორგი ტოვსტონოგოვის ლექციების მამაჩემისეული ჩანაწერები. მე ვერ მოვესწარი, მაგრამ ამბობენ, მამა ძალიან კარგ რეჟისორად ითვლებოდაო. რუსთაველის თეატრში მას ორი-სამი კარგი სპექტაკლი აქვს დადგმული, მაგრამ მაშინ ამ სპექტაკლებს არასასურველი რეზონანსი ჰქონდათ... კონკრეტულად „ჩვენებურებმა" კი კონფლიქტური სიტუაცია გამოიწვია რუსთაველის თეატრში.

**— თეატრის მუზეუმში დაცულია ოქმი, რომელიც „ჩვენებურების" განხილვისას შედგა. იქ არის ასეთი ფრაზები: „კრიტიკა ყველასი და ყველაფრისა შეიძლება. ფორმაციის გაკრიტიკება არ შეიძლება, ამხანაგებო!" ან კიდევ: „პერსონაჟი ამბობს: გამოყოფენ კომისიას და ათას ცილს დამწამებენ. დაუფიქრდით ამას! ვინ გამოყოფს კომისიას? — რაიკომი და აღმასკომი. და ეს კომისია ათას ცილს დასწამებს?" ეს იყო კონფლიქტი, რომლის გამოც ბატონმა აკაკიმ გადაწყვეტილება მიიღო...**



**დედაჩემი ფერადად მახსოვს. ახლა მოხუცდა, ტემპერამენტიც ჩაუქრა, მაგრამ ადრე მართლა ფერადი იყო!**

**მე ვიცი, რომ მამაჩემს ბევრი უმადლის ცხოვრებაში გზის გაკვლევას. შვილისთვის იმაზე დიდი მემკვიდრეობა არ არსებობს, ვიდრე მშობლების მიერ გაკეთებული სიკეთეა.**

— მამა პრინციპულად მიუდგა საკითხს და დატოვა თეატრი. არ ვიცი, რამდენად სწორი იყო ეს სამომავლოდ. ძალიან მწყდება გული იმიტომ, რომ ვიცი, მასაც ძალიან სწყდება გული, თეატრში რომ აღარ დაბრუნდა. თუმცა კულტურის სამინისტროში მუშაობდა, პარალელურად ხან მარჯანიშვილის, ხან ოპერის თეატრის დირექტორი იყო, ხან კინოს მესვეური... ეს მაინც სხვაა...

**— თქვენი ოჯახის ბევრი საინტერესო სტუმარი გეხსომებათ...**

— ვინ აღარ მახსოვს! ხშირად ვიხსენებ ვასო გოძიაშვილს, მუგუზალივით შავი თვალები ჰქონდა. პატარა ვიყავი, მგონი, 4 წლისა. გასასვლელში, ჩვენს სახლში, დედას ვეჭირე ხელში. ვასო ძალიან ხმამაღლა ჩხუბობდა. ისე შევშინდი, კივილი დავიწყე. გავიდა წლები. დედამ მითხრა: გახსოვს, ვასოსი რომ შეგეშინდა? მაშინ რიჩარდ -ის მონოლოგს კითხულობდაო. მარჯანიშვილის თეატრიდან რომ წამოვიდა დედა, 13 წლისა ვიყავი. მანამ სულ დავყვებოდი გასტროლებზე: მოსკოვში, ლენინგრადში, ბათუმში. მახსოვს კატუშა ვერულეიშვილი, ხომ ისეთი სახასიათო გარეგნობა ჰქონდა, თითქოს ლამაზიც კი იყო. მახსოვს სესილია თაყაიშვილი.... თეატრალურში სწავლა რომ გადავწყვიტე, ერთი წელი მეჩიჩინებოდა, — არ გინდაო. მერე რომ არ გაუვიდა არაფერი, მამეცადინებდა, გამოცდებისთვის მამზადებდა. გადის დრო და წარსულს ვუბრუნდები... ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა ასეთი დედ-მამა მარგუნა, ასეთ ხალხთან დამაკავშირა. ჩემმა მშობლებმა მართლაც ფერადი, სანუკვარი სამყარო მაჩუქეს.

**— ორი ხელოვანის ოჯახში გაზრდილი, თუ გრძნობთ თქვენს მსგავსებას რომელიმე მშობელთან განსაკუთრებულად?**

— დედასთან შედარებით ყოველთვის ფერმკრთალი ვიყავი. დედას ცნობდნენ, ყველა ელაპარაკებოდა, ყველას უხაროდა... მე კი მოწყენილი ვიდექი და ველოდი. შეხვედრები და მოკითხვები არ მთავრდებოდა. ჩემს დანახვაზე კი ყველას არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა... დედას ეუბნებოდნენ, სულ არა გგავსო... ბაზარში რომ მივყავდი, მთელი ბაზარი უკან დასდევდა. ამიტომ იყო, რომ მე სულ ვეკარგებოდი, დაიწყებდა მერე ყვირილს, ძახილს, ძლივს მიპოვიდნენ. საოცრად მორცხვი ვიყავი, რატომ უნდა ვყოფილიყავი მარინე თბილელის შვილი ასეთი, არ ვიცი... მით უმეტეს, რომ ოჯახში არ მაკომპლექსებდნენ, პირიქით... ახლაც მორცხვი ვარ. მგონი, მამას ვგავარ, ისიც ძალიან მოკრძალებული იყო ყოველთვის...

**— ცოტა მიკვირს, მსახიობი ბრძანდებით და ასეთი სიმორცხვე ხელს არ გიშლით?**

— რას ბრძანებთ! ეს სულ სხვა რამეა. ყველაზე კარგად თავს სცენაზე ვგრძნობ. სხვაგან ყველგან უხერხულობას განვიცდი, ვწვალობ. სრული ბედნიერება და ბუნებრივი თავისუფლების აღქმა სცენაზე მენიჭება.

**ლელა ჯიყაშვილი**

CMYK

# მითრიდატე VI, პომპეუსი და საქართველო

- რესპუბლიკური რომი კოლხეთს და იბერიას უპირისპირდება.
- „აბრეშუმის დიდი გზის“ კვანძი მცხეთაში იკვრებოდა...
- ციცერონს აზიის სიმდიდრე იზიდავს...
- რომაელი ისტორიკოსი აპიანე კოლხ მეომრებს ადიდებს.
- რომის პოზიცია – „დივიდე ეტ იმპერა!“ („გათიშე და იბატონე!“)...
- სომხების სულსწრაფი მეფე ტიგრანი მარცხდება.
- მითრიდატე ტრიუმფალურ თაღქვეშ „ტრიუმფით“ გავლას სიკვდილს ამჯობინებს.
- რა ეროვნებისა იყო მითრიდატე...
- იბერიის მეფე არტაგი პომპეუსს ღირსეულად ხვდება...
- პლუტარქემ იბერიელებთან ომს „დიდი ბრძოლა“ უწოდა.
- ომში იბერიელი ქალებიც იბრძოდნენ.
- ამორძალების სიყვარულის ორი თვე...
- რომაელები იბერიელებს დაუზავდნენ.
- რომაელები კოლხებს ამარცხებენ...

## რომს თვალი იბერიასა და კოლხეთზე უჭირავს

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველოს მრავალი მტერი ჰყოლია. დიდ თუ პატარა მეტოქეთა შორის ჩვენი წინაპრები მსოფლიო იმპერიებისგან არა მარტო იცავდნენ თავს, არამედ ღირსეულ ბრძოლებსაც უმართავდნენ. ასე იყო ჩვ.წ.აღ.-მდე პირველ საუკუნეშიც. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო ამერ-იმერად არის დაყოფილი.

დასავლეთ საქართველო კოლხეთს, ანუ ეგრისის სამეფოს მოიცავს, აღმოსავლეთში კი ქართლის სამეფო, ანუ როგორც ბერძნები უწოდებენ — იბერია კვლავ ანგარიშგასაწევი ძალაა. ამ ორ სახელმწიფოს დაუპირისპირდა რესპუბლიკური რომი. საქართველოში ფეხის მოკიდება უძლეველი რომის იმპერიისთვის სტრატეგიულ საკითხად იქცა. ჯერ ერთი, აქ გაბატონება ნიშნავდა კავკასიონის უღელტეხილებზე გაბატონებას — ამით დაიცავდნენ რომის აზიურ პროვინციებს ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ნომადი (მთიდან ბარში და სტეპიდან სტეპებში მოთარეშე) ტომების თავდასხმებისგან. მეორეც, მდიდარი პროვინციების შემატებასთან ერთად, გააკონტროლებდნენ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო — ე.წ. „აბრეშუმის დიდ გზას“.

## საქართველო „აბრეშუმის გზის“ ღერძი

აბრეშუმის დიდი გზა, რომლის აღორძინება სადღეისოდ მეტად აქტუალურია, ქრისტემდე მესამე საუკუნიდან მაინც მოქმედებდა. ძველი ბერძენი გეოგრაფოსი და სწავლული სტრაბონი აღნიშნავდა: “იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბებითაც — ისე რომ, აქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი“. აქ გამავალი გზა ევროპას აკავშირებდა ჩინეთთან, საიდანაც შემოჰქონდათ აბრეშუმი. სტრაბონი იუწყება, რომ ჩინეთისა და ინდოეთის საქონელი ჯერ ოქსუსით (დღევანდელი ამუ-დარია) იგზავნებოდა გირკანის (კასპიის) ზღვაზე, იქიდან მდინარე კირით (მტკვარი) და ფასიდით (რიონი) ანტიკური პერიოდის სოვდაგრები ევქსინის პონტოში (შავ ზღვაში) გადადიოდნენ (ბუნებრივია, მტკვრიდან რიონამდე ძვირფასი ტვირთი საქარავნო გზით გადაჰქონდათ)...

უფრო ნათელი სურათი ალგვიდგება მსოფლიო სავაჭრო გზაზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ შორეულ დროს ამუ-დარია ერთვოდა არა არალის, არამედ კასპიის ზღვას. მდინარეებიც გაცილებით წყალუხვი იყო, რაც აადვილებდა ინდოეთიდან და ჩინეთიდან ევროპაში მოგზაურობას. თვით რიონზე, სტრაბონის ცნობით, ფაზისიდან შორაპნამდე 120 ხიდი ყოფილა. ამ გზაზე ერთ-ერთ საკვანძო ადგილად ითვლებოდა იბერიის დედაქალაქი მცხეთა, რომლის სავაჭრო გზაჯვარედინით არა მარტო ჩინეთიდან და ინდოეთიდან გადიოდა ევროპაში აბრეშუმის გზა, არამედ სამხრეთის ქვეყნები (მცირე აზიისა და სირია-სომხეთის სახელმწიფოები) არაგვის ხეობითა და ალანთა კარით ჩრდილო კავკასიის სტეპებისკენ მიემართებოდა.



პომპეუსის ბიუსტი

## რომი მცირე აზიით დაინტერესდა

აზიის სიმდიდრე რომაელ წარჩინებულებს იზიდავდა. „აზია რომის სახელმწიფო ხაზინის ძირითადი სასიცოცხლო წყაროა“ — აცხადებდა მარკუს ტულიუს ციცერონი. მცირე აზია-კავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან ელინისტური პერიოდის სახელმწიფოები — პონტოს სამეფო, დიდი და მცირე არმენია, პართია, კავკასიის ალბანეთი, იბერია, კოლხეთი. და იწყება რომის შემოტევა აღმოსავლეთიდან. ძვ. წ.აღ.-ის 88 წელს პონტოს მეფემ მითრიდატე VI ევპატორმა ადვილად შეძლო რომის წინააღმდეგ მეზობელი ქვეყნების დარაზმვა. ომი შესვენებებით მეოთხედ საუკუნეს გაგრძელდა. მითრიდატეს სამეფოში იმ დროისათვის შესუსტებული კოლხეთიც შედიოდა, ხოლო კოლხი მეომრები მხედრული ღირსებებით საყოველთაოდ განთქმულნი იყვნენ. რომაელი ისტორიკოსი აპიანე აღნუსხავს, რომ მითრიდატეს ელჩი პელოპიდე ჯერ კიდევ ომამდე მუქარით მიმართავდა რომაელ მხედართმთავრებს, რომ პონტოს მხედრებს შეემატათ ისეთი უებრო მეომარი ხალხი, როგორიც კოლხებია...

რომი ტრადიციულ მაღალ დიპლომატიურ დონეზე უპირისპირებს ერთმანეთს აზიის სახელმწიფოებს და მიმართავს ნაცად პოლიტიკას — „დივიდე ეტ იმპერა!“ („გათიშე და იბატონე!“).

მდგომარეობაც იცვლება. მითრიდატე პონტოელი რომაელთა სარდალმა ლუკულუსმა დაამარცხა. დევნილი მითრიდატე სომხეთში თავისი ქალიშვილის ქმარს ტიგრანს მიადგა, ათიათასიანი ლაშქარი გამოსთხოვა და პონტოში გამობრუნდა. თუმცა კი სიძე დაარიგა — რომაელებთან გენერალურ ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, პარტიზანული ომი გაემართა, გაეჭიანურებინა და ამასობაში თვითონაც გამარჯვებული იმედოვნებდა მობრუნებას.

## ტიგრან მეფეს სულსწრაფობა ღუპავს

ტიგრანმა უზარმაზარი ლაშქარი შეკრიბა, რომელშიც იბერიელთა და ალბანელების რაზმებიც იყო. სომხეთის მეფეს განსაკუთრებით ეიმედებოდა მამაცი და უშიშარი მებრძოლების — იბერიელი შუბოსნებისა. მაგრამ თავისივე სულსწრაფობამ საქმე გაუფუჭა — ტიგრანმა დაივიწყა რომაელებთან ბრძოლაში გამობრძმედილი სიმამრის, მითრიდატეს დარიგება და ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო — რომაელთა სიმცირით გათამამებულმა, გენერალური ბრძოლა გაუმართა მათ. ისტორიკოსებმა შემოგვინახეს ეს ეპიზოდი. როდესაც ტიგრანს რომაელთა მცირერიცხოვანი ჯარი დაუნახავს, ირონიულად წარმოუთქვამს: „თუ ელჩები არიან — ძალიან ბევრნი წამოსულან, თუ მტრები — მეტისმეტად ცოტანი!“ ეს იყო ჩვ.წ.აღ.-მდე 69 წლის 6 ოქტომბერს... ამ ომში ლუკულუსმა სასტიკად დაამარცხა ტიგრანის ლაშქარი და ტიგრანაკერტიც აიღო. თუმცა არნახული ყინვიანი ზამთრის გამო, გამარჯვება ბოლომდე ვერ მიიყვანა.

ასეთ ვითარებაში რომმა მთავარსარდალი შეცვალა. ლუკულუსის ნაცვლად დაინიშნა გნეუს მაგნუს პომპეუსი, რომლის დიპლომატიის „წყალობით“ აზიაში მდგომარეობა მეტად რთულდება. სამეფოებში შინააშლილობაა...

## კეთილშობილმა მითრიდატემ ღალატი შვილსაც არ აპატია...

მითრიდატე VI-ს ქვეშევრდომებმა ევპატორი — კეთილშობილი შეარქვეს. პონტოს ერთ დროს უძლეველ ხელმწიფეს მრავალი შვილი ჰყავდა, მისი სახელმწიფოც არაერთ ქვეყანაზე ბატონობდა, მათ შორის კოლხეთიც იყო...

მითრიდატეს ერთ-ერთი ვაჟი მითრიდატე მცირე დაუახლოვდა კოლხებს და იმდენად მოიხიბლა მათი რაინდობით (თანაც კოლხებმა თავიანთი მეფობაც შესთავაზეს უცხო ქვეყნის უფლისწულს), რომ თანხმობა მისცა მამამისისთვის მისი მეფედ კურთხევის წყალობა გამოეთხოვათ.

მითრიდატემ ამ ამბავში კოლხთა თავისუფლებისკენ სწრაფვა დაინახა, საკუთარ შვილზეც იეჭვიანა, შეიპყრო და ოქროს ბორკილები დაადო. განრისხებული ამასაც არ დასჯერდა და შვილი თავისსავე უძლეველობას ანაცვალა. მაგრამ მრისხანებამ და დასჯის ულმობელმა მეთოდმაც ვერ დაიფარა მითრიდატეს უძლეველობა. მას სხვა შვილებმაც გამოჰკრეს სარმა — ფარნაკმაც უღალატა, პომპეუსის მხარეზე გადავიდა მახარეც... (წყაროებში ცნობილი არ არის, თუ რატომ დაარქვა მითრიდატემ თავის ერთ-ერთ ვაჟს ქართული წარმოშობის სახელი — მახარე. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, მითრიდატეს მრავალრიცხოვან ცოლთაგან რომელიმე ქართველი ყოფილიყო და შვილისთვისაც დედას შეერჩია სახელი...).

## მითრიდატეს საწამლავი ვერ ერევა...

ჩვ.წ.აღ.-მდე 66-65 წლები მითრიდატემ კოლხეთში გაატარა. ამაო გამოდგა მისი ცდა დაებრუნებინა ძალაუფლება. პირიქით, რომის გარდაუვალი ტყვეობის წინაშე აღმოჩნდა. იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რომ პომპეუსი მას რომში, როგორც დამარცხებულს, სხვა ტყვეებთან ერთად ტრიუმფალური თაღის ქვეშ „ტრიუმფით“ გაატარებდა. გამოსავალი თვითმკვლელობა იყო. მითრიდატეს, მართალია, ვაჟებმა უღალატეს, მაგრამ მისმა ორმა ქალიშვილმა მითრიდატისმა და ნისამ მამის გვერდით სიკვდილი არჩიეს ტყვეობას (თუმცა კი მითრიდატეს დანარჩენ ორ ქალიშვილს, როგორც დამარცხებულთ, მაინც მოუწია ტრიუმფალური თაღის ქვეშ გავლა რომში). საწამლავი პირველებმა ქალებმა დალიეს, ხოლო შემდეგ — მამამ. მაგრამ საწამლავმა მამაზე არ იმოქმედა (იმ ცნობილი ფაქტის გამო, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მითრიდატე მცირე დოზით იღებდა საწამლავს)... უსულოდ მიყრილი ქალიშვილების შემყურე უბედური მეფის უკანასკნელი სურვილი მისივე თხოვნით ერთგულმა მსახურმა აღასრულა და რომაული მახვილით — გლადიუსით მოუსწრაფა სიცოცხლე თავის მბრძანებელს...

## იყო თუ არა მითრიდატე ქართველი?

ეს მეტად პოპულარული კითხვა დღესაც ისმის — რა ეროვნებისა იყო მითრიდატე? გადაჭრით პასუხის გაცემა ძნელია, რადგან წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მის მიერ აგრერიგად დაწინაურებული პონტოს სამეფო, რომელიც ძლევამოსილ რომსაც კი უწევდა მეტოქეობას, მდებარეობდა შავი, ანუ პონტოს ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. იქ, სადაც ცხოვრობდნენ როგორც ქართული, ისე არაქართული ტომები. ანტიკური ავტორები ასახელებენ აქ მოსახლე ქართულ ტომებს — ლაზებს, ხალიბებს, მუშკებს, მოსინიკებს, კოლხებს... ადვილი შესაძლებელია, მითრიდატე რომელიმე ამ ტომის წარმომადგენელიც ყოფილიყო. ამის თქმის სურვილს მითრიდატეს ჩვენამდე მოღწეული გამოსახულებაც აღგვიძრავს (მის მიერ მოჭრილი მონეტიდან), სადაც ვხედავთ ახალგაზრდა მითრიდატეს კავკასიური ძლიერი პროფილით, ტალღოვანი თმით, არწივისებური მზერითა და ოდნავ კეხიანი ცხვირით... დიდია ცდუნება მითრიდატეს ქართველობის აღიარებისა, მაგრამ აქ შევჩერდეთ, ნუ ავყვებით ზოგიერთი ხალხისთვის დამახასიათებელ აკვიატებულ მისწრაფებას — თავის თვისტომად გამოაცხადოს ესა თუ ის გამოჩენილი პიროვნება...



ამ მონეტაზე გამოსახულია მითრიდატე VI ევპატორი (კეთილშობილი)

## პომპეუსი და არტაგი (პომპეუსი მცხეთაში)

...რომაელთა სარდლის პომპეუსის საბრძოლო არეალი დღითიდღე ფართოვდება. რომს ემორჩილება პონტოს სამეფო, სომხეთი, ალბანეთი... ასე რომ, მსოფლიო იმპერიის — რომის ლეგიონებისა და სახელგანთქმული სარდლის პომპეუსის წინააღმდეგ მარტონი აღმოჩნდნენ ქართლი, ანუ იბერია და ეგრისი, ანუ კოლხეთი და არა მხოლოდ მარტო, არამედ ცალ-ცალკე მოუწიათ ბრძოლა...

ქრისტემდე 65 წელია. ქართლში ამ დროს მეფობდა არტაგი. მაშინ, როდესაც პომპეუსს თითქმის ყველა მახლობელი, მეზობელი ქვეყანა დამორჩილებული ჰყავდა, ხისტად შეხმა სტრატეგიულადაც და ტაქტიკურადაც გაუმართლებელი იყო. არტაგმა და წარჩინებულებმა პომპეუსს დესპანები აახლეს, ზავი და მეგობრობა შესთავაზეს.

განვითარებული მოვლენების შესახებ ცნობებს რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიოსი გვაწვდის. ცხადია, იგი დაინტერესებული პირია და ამიტომ ამართლებს პომპეუსის ეჭვს, რომ ქართლის მეფეს ეს მოლაპარაკება ძალების მოსაკრებად უნდოდა. ამიტომაც პომპეუსი ანაზდეულად დაიძრა ქართლის შუაგულისაკენ და მცხეთას მოულოდნელად მოადგა. მეფე არტაგი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადავიდა და ხიდი დაწვა. არმაზ-ციხის გარნიზონი კი, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო განლაგებული და თავგამოდებით იბრძოდა, ცხადია, ვერ გაუმკლავდა მოზღვავებულ რომაელთა კოჰორტებს. რომაელები მტკვრის მეორე ნაპირზეც გადავიდნენ და იბერთა ლაშქარს არაგვის, ანუ პელორას ხეობაში (როგორც ბერძნები უწოდებდნენ) შეუტიეს. იბერიელთა თავდადების შესახებ კვლავ ანტიკური ხანის ისტორიკოსები მოგვითხრობენ. პლუტარქემ მას „დიდი ბრძოლა“ უწოდა და აღნიშნავდა: “გასაოცარი იყო ქართველთა თავდადება სამშობლოს თავისუფლებისათვის“.

## ომში იბერიელი ქალებიც იბრძოდნენ, ანუ ამორძალების სიყვარულის ორი თვე...

ომში მამაცურად იბრძოდნენ იბერიელი ქალებიც. დამარცხების მიუხედავად, პარტიზანულ ბრძოლას ისინიც აგრძელებდნენ ქართველთა გამორჩეული ხერხით — მაღალ ხეებზე აცოცდებოდნენ და იქიდან ისართა წვიმას უშენდნენ რომაელებს. მაგრამ უპირატესმა ძალამ თავისი გაიტანა — ბრძოლის ველზე ცხრა ათასი იბერიელი დაეცა, ხოლო ათი ათასი ტყვედ ჩაიგდეს. მათ შორის ქალებიც მრავლად იყვნენ.

... ქართველი ქალების მონაწილეობა სამშობლოს დაცვაში არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. როგორც ჩანს, ამ ფენომენს ღრმა გენეტიკური ფესვები აქვს. ცნობილია ანტიკური თქმულებანი ამორძალების, ანუ ამაზონელების შესახებ. ამორძალებზე საუბრობს „ისტორიის მამა“ — ჰეროდოტე, აგრეთვე ჰიპოკრატე, სტრაბონი, პლუტარქე... ამაზონელთა საცხოვრისად მოიაზრება მცირე აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი... სტრაბონი კი მათ სამშობლოდ კავკასიას მიიჩნევს და წერს, რომ ამორძალები ყველა სამუშაოს თვითონვე ასრულებენ, თოხნიან, თესავენ, უვლიან საქონელს და განსაკუთრებით ცხენებს, მისდევენ მონადირეობას და სამხედრო საქმეს. ბავშვობაში მათ ამოუწვავდნენ მარჯვენა ძუძუს, ისრის სროლისას რომ ხელი არ შეშლოდათ. ამორძალები შეიარაღებულნი იყვნენ მშვილდისრით, ორპირი ცულითა და ნახევარმთვარისებრი ფარით.

... წელიწადში ორ თვეს კი ბრძოლებისგან გადაღლილნი სიყვარულს „უთმობდნენ“. ისინი ამ პერიოდში გადადიოდნენ სასაზღვრო მთაზე, სადაც ხვდებოდნენ მეზობელ რაინდებს — გარგარელებს... გარგარელები კავკასიის ალბანეთის შემადგენელი ტომები იყვნენ. მათ ალბანელთა ბედი გაიზიარეს — როგორც ცნობილია, ჩვ.წ.აღ.-ის X საუკუნეში ალბანეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი გათურქდა და აზერბაიჯანულ ეთნოსს შეერწყა, მეორე ნაწილი კი ასევე შეერწყა კახელებს, მთიანი ყარაბაღის სომხებსა და დაღესტნის მოსახლეობას...

ამორძალებისა და გარგარელების „ორთვიანი სიყვარულის“ შემდეგ დაბადებული ბავშვებიდან გოგონებს ამორძალები იტოვებდნენ, ვაჟები კი გარგარელებს მიჰყავდათ. ვერაფერს იტყვი, საინტერესო მითია...

კიდევ უფრო აკონკრეტებს ამორძალთა საცხოვრისს პლუტარქე, როდესაც აღწერს პომპეუსის ლაშქრობას კავკასიაში, იგი აღნიშნავს, რომ მდინარე ალაზანთან შეტაკებაში ამორძალებიც მონაწილეობდნენ.

ლეგენდა ლეგენდად დარჩეს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია. ეს რომანტიკული პასაჟები სხვა არაფერია, თუ არა მცხეთა-არაგვთან მომხდარი მსგავსი ბრძოლების მითებად ქცევა და მათი იდუმალების საბურველით შემოსვა...

## რომაელები და იბერიელები ზავდებიან, პომპეუსი კოლხეთს ამარცხებს...

არტაგმა კვლავ მოლაპარაკებას მიმართა. მან პომპეუსს მძევლად შვილები გაუგზავნა და ძვირფასი საჩუქრებიც აახლა. უბრწყინვალესი ძღვენი — ოქროს საწოლი, ოქროსვე ტახტი და მაგიდა ამავე დროს ხელოვნების ნატიფი ნიმუშებიც გახლდათ.

არტაგმა პომპეუსის შემოსევისას დანგრეული ხიდი ადრევე აღადგინა. ეს ხიდი შემდგომ პერიოდშიც მრავალგზის დაინგრა და აღდგა. წყაროებში მას ხან „ქართლის ხიდს“, ხან „მოგვთა ხიდს“, ხან კიდევ „მცხეთის ხიდს“ უწოდებენ. ხალხი კი მის დღემდე შემორჩენილ ნაშთს — ერთმალიან ქვიტკირის ფრაგმენტს დღესაც „ბომბოას ხიდს“, ანუ „პომპეუსის ხიდს“ უწოდებს...



„პომპეუსის ხიდი“ მცხეთაში დღეს

რომაელები ითვალისწინებდნენ ქართლის სტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, ხელი აიღეს მის სრულ დამორჩილებაზე, მეფობა არტაგს შეუნარჩუნეს, ქვეყანა კი „რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ“ გამოაცხადეს. იბერიას კავკასიონის უღელტეხილების შეკვრა და იმერკავკასიელი ტომების შეკავება დაეკისრა.

იბერიიდან პომპეუსი დასავლეთ საქართველოში — კოლხეთში გადავიდა. სასტიკ ბრძოლებში დაამარცხა კოლხები. დატყვევებული სკეპტუხი (ერისთავი) ოლთაკი რომში წაიყვანეს, ხოლო კოლხეთი დაპყრობილ ქვეყნებს მიათვალეს, უშუალოდ რომის იმპერიას შეუერთეს, მმართველად კი არისტარქე კოლხელი დანიშნეს.

ასე აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში იბერია და კოლხეთი მსოფლიო მოვლენების ცენტრში.

***ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებთან ერთად ნოდარ შოშიტაშვილი***

CMYK

# კლიპის გადაღების იდეა მაცდუნებელი იყო



მე პირველი ქართველი ვარ, ვინც პარიზის „ოლიმპიის" დარბაზში იმღერა

*„მე თბილისელი ბიჭი ვარ..." ამ სიმღერით წარდგა ტელემაყურებლის წინაშე წარსულში პოპულარული მომღერალი* ***სულიკო კოროშინაძე*** *ახალწლის ღამეს. და როგორც ჩვენი დედ-მამის, ისე, წარმოიდგინეთ, ზოგის ბებია-ბაბუის სახეზე მონატრებული ღიმილი გააჩინა. ჩემი თაობის ბევრი წარმომადგენლისათვის კი, ეს სახელი და გვარი იმ ღამით გახდა ცნობილი. ბატონ სულიკოს ინტერვიუსთვის ვეწვიე.*

**— იმ ღამით გადაცემაში ძალიან ბუნებრივად გაიკვირვეთ, მე ვინა ვარო? როცა დაცვამ ტელევიზიაში შესვლაზე უარი გითხრათ და ვინაობა გკითხათ. წარსულში ალბათ მსგავსი პრობლემები არ გქონდათ.**

— ჩვენ როცა ტელევიზიაში მივდიოდით ჩასაწერად თუ პირდაპირ ეთერში სამღერლად, მაშინ ყველა გვცნობდა, თანაც ამხელა შენობა არ ჰქონდა ტელევიზიას, მაღლა, მთაწმინდაზე, ანძის ქვეშ იდგა ერთი პატარა ოთახი და იქ ვმუშაობდით. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიის დაარსებამდეც მე და ჩემი თაობის რამდენიმე მომღერალს უკვე გვიცნობდა ხალხი, ტელეეკრანებზე გამოჩენამ კიდევ უფრო ცნობილები გაგვხადა. მაშინ დიდი ყურადღება ექცეოდა პროფესიონალური, მაღალი დონის მუსიკის პოპულარიზაციას. ახლა კი ტელევიზიის ეთერი ძირითადად დაბალი დონის თინეიჯერულ მუსიკას ეთმობა, ძნელად თუ დაიჯერებს ვინმე, რომ ქართველები მაღალი კულტურისა და ხელოვნების შემოქმედი ერი ვართ. შეხედეთ აფიშებს — ვინ არიან ე.წ. შოუბიზნესის ვარსკვლავები. ნახეთ რა გვარებია ჩამოთვლილი — არანაირი მუსიკალური სკოლა ამ ხალხს არ აქვს გავლილი. 17 წლის ნეკა სეფისკვერაძეს უკვე ვარსკვლავობაზე აქვს პრეტენზია. ეს არ შეიძლება, ჯერ დიდ სცენაზე მისი მოღვაწეობა ადრეა. მარტო ნეკაზე არ ვამბობ ამას.

**— თქვენ დროს როგორ ხდებოდა მომღერლის, მუსიკოსის ჩამოყალიბება?**

— ჯერ უმაღლესი სასწავლებლების სცენაზე ვმუშაობდით, მერე კლუბებში, ვიხვეწებოდით, მერე ფილარმონიაში ხდებოდა „დაღვინება". საბოლოოდ, ვინც გამოირჩეოდა, ის მართლაც საოცარი იყო. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ჩვენ საუკეთესოები ვიყავით.

**— თქვენ მეტად პრესტიჟულ სცენებზე გიმღერიათ უცხოეთში. თუნდაც ერთი გაიხსენეთ.**

— უბედნიერესი ადამიანი ვარ, საფრანგეთში, პარიზის „ოლიმპიის" დარბაზში ვიმღერე. მე პირველი ქართველი ვარ, ვისაც ეს პრივილეგია თუ პრესტიჟი ხვდა წილად. „ოლიმპია" ესტრადის მომღერლისთვის იგივეა, რაც ლა სკალა — ოპერის მომღერლისთვის.

**— ამბობენ, რომ თავის დროზე საესტრადო ხელოვნებასაც სიფრთხილით თუ უნდობლად ხვდებოდა საზოგადოება. მართალია?**

— ალბათ გარკვეულწილად კი. სამთავრობო კონცერტებზე სულ ოპერა და სუხიშვილების ანსამბლი იყო წარდგენილი. საესტრადო სიმღერების მიმართ ინტერესი მოგვიანებით გაჩნდა. მაშინ, როცა ჩამოყალიბდა კომპოზიტორების სკოლა, რომლებიც საესტრადო ჟანრისთვის სპეციალურად წერდნენ სიმღერებს. შესანიშნავი მომღერლები იყვნენ საქართველოში. უცხოელი ვარსკვლავებიც კი ხშირად თავს ხრიდნენ ჩვენი ნაკლებად ცნობილი მომღერლების წინაშე. მექსიკელი ვარსკვლავი ლოლიტა ტორესი იყო ჩამოსული თბილისში, სახელმწიფო ორკესტრის რეპეტიციებზე მოიყვანეს მოსასმენად. შესანიშნავმა მომღერალმა ნაზი დუმბაძემ იმღერა მაშინ. აღფრთოვანებული ლოლიტა კინაღამ უმღერლად გაიქცა — აქ სად ჩამომიყვანეთ, ასეთ მომღერლებში მე ვინ მომისმენსო. დღეს კი რადიო „ფორტუნაში" კროსვორდის შესავსებად მეკითხებიან მომღერალი ნ. დუმბაძე ვინ არისო. არ შეიძლება ასე დაივიწყო წარსული. თანაც, რა მნიშვნელოვანი წარსული.

**— თქვენ დროს თუ მომხდარა ისე, რომ გაზეთებში დაბეჭდილი კრიტიკული წერილების გამო კონცერტები ჩაგშლიათ.**

— რა თქმა უნდა. მომხდარა ასეთი რამ. ამის მერე ჩვენ უფრო მეტად ვხვეწდით ჩვენს ოსტატობას, რომ მარცხი აღარ განმეორებულიყო.

**— საახალწლო გადაცემაში „ძილისწინელ" ლამაზმანთან მარეხთან ერთად კარგი მუსიკალური კლიპიც გამოგივიდათ.**

— არ მინდოდა ვინმეს ეთქვა, ვა, სულიკო როგორ შეცვლილა და გაჭაღარავებულაო, ამიტომაც თავიდან არ მინდოდა გადაცემაში მონაწილეობა, მაგრამ მუსიკალური კლიპის გადაღების იდეა იმდენად მაცდუნებელი იყო, რომ საბოლოოდ უარი ველარ ვთქვი, როგორც იტყვიან, დავინტრიგდი და უკმაყოფილოც არ დავრჩენილვარ ჩემი გადაწყვეტილებით.

*ეკა ლომიძე*






ოთხშაბათი · სამშაბათი · ორშაბათი · კვირა · შაბათი · პარასკევი · ხუთშაბათი





*ქართული მხატვრული ფილმის, „ორმაგი სახის" ტელეეკრანებზე გამოჩენის შემდეგ, მთავარი გმირის (ალბათ ყველას გახსოვთ მამა, რომელიც ღვთის წინაშე საკუთარი ცოდვების მონანიებისათვის, მიტევების ნიშნად დიდ ჯილდოს იღებს, მისი დავრდომილი შვილი იკურნება) შემსრულებელი გიო გურგულია, მიუხედავად პოპულარობისა, სულ მალე საზოგადოების მხედველობის არიდან თითქმის გაქრა. თუმცა ეს არავის გაუკვირდებოდა, რადგან „გაუჩინარება" თუ „იძულებითი შესვენებები" დღეს ქართულ კინოსთან დაკავშირებული ყველა შემოქმედის პრობლემაა. როგორც შევიტყვეთ, სულ ახლახან გიო გურგულიას დაუმთავრებია მუშაობა რუსულ ფილმში, სადაც ჩეჩენი საველე მეთაურის როლს ასრულებს.*

— „ორმაგი სახის" გადაღების შემდეგ, ვმუშაობდით ფილმზე, რომელიც რუსების დაკვეთით კეთდებოდა გოდერძი ჩოხელის ნაწარმოების მიხედვით. სამწუხაროდ, გადაღება შეწყდა. მერე ქართველმა კინორეჟისორმა კახა კიკაბიძემ სერგეი ბალაბანოვს შესთავაზა ჩემი კანდიდატურა ფილმისათვის, სადაც გადამიღეს კიდეც და 15 თებერვალს მოსკოვში შედგება პრეზენტაცია. ფილმს „ომი" ჰქვია. ერთი სიტყვით, სანამ რუსეთში ჩეჩნების თემა პოპულარული იქნება, მეც მექნება საქმე. როგორც ჩანს, ტიპაჟში ვჯდები...

**— თქვენა ხართ სტუდია „1, 2, 3"-ის ხელმძღვანელი, სადაც სარეკლამო და მუსიკალური კლიპები იქმნება. პროფესიით მსახიობსა და კინორეჟისორს ეს საქმე თუ გინაზღაურებთ იმ დანაკლისს, რაც ქართულ კინოში წამოჭრილმა პრობლემებმა წარმოქმნა?**

— მიყვარს ჩემი საქმე და იმდენად მინდა კინოს გადაღება, რომ თუ საშუალება მაქვს, ჩემს სარეკლამო რგოლებში აუცილებლად გავურევ ხოლმე კინოელემენტებს. ოცნებად მქონდა, გადამეღო ფილმი, რომელსაც თავად დავაფინანსებდი. ძნელია, როცა სხვაზე ხარ დამოკიდებული — იძულებული ხარ, ანგარიში გაუწიო დამკვეთს.

ამ ოცნების ასრულებას ერთი რამ სჭირდება — ფული, რომელსაც ვშოულობ კიდეც, მაგრამ ვერ ვინახავ.

**— ვიცი, რომ კარგად ხატავთ და წერთ კიდეც?**

— ვწერ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს, მაგრამ არასდროს გამომიქვეყნებია და არც გამოვაქვეყნებ. ლექსი ძალიან ინტიმური რამაა, ადამიანის უფაქიზეს სამყაროს ეხება. როცა მე აღარ ვიქნები, ჩემს შვილებს დარჩებათ და თუ ისურვებენ, ისინი გამოამზეურებენ ჩემს ლექსსა თუ ნახატს.

**— ინოლა გურგულიას ძმიშვილი, სიმღერის ნიჭით თუ დაემსგავსეთ მას?**

— არა, სულ გავურბოდი მუსიკოსობას, თუმცა მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი ვარ, თანაც ინოლას გამო. საოცარი ადამიანი იყო. უმძიმესი ავადმყოფი იქით ამხნევებდა ყველას. გარდაცვალების წინ შვილებს, იას და მამუკას დაუწერა სამახსოვროდ — „როცა გარდავიცვლები. მე ვიქნები ყველაფერში, ყვავილში, ხეში, წვიმაში, ქარში". ეს იმას ნიშნავდა, რომ შვილებს ყველაფრის მიმართ სიყვარულის გამომჟღავნებას სთხოვდა.

**— თქვენი მეუღლის მამაზე, ბატონ მორის ფოცხიშვილზე რამეს ხომ არ მოიგონებდით?**

— ბატონი მორისი საოცარი ადამიანი იყო — იმთავითვე გაგებით მოეკიდა ჩემსა და თამრიკოს ურთიერთობას, ერთხელ მეუღლესაც სთხოვა — ახალგაზრდებს ყოველმხრივ ხელი შეუწყვეო. საინტერესო მოსაუბრე იყო. მახსოვს, ერთხელ ურჩხულის დამმარცხებელზე ვიკამათეთ. არის ასეთი ჩინური ზღაპარი — ბიჭი ურჩხულს მოკლავს და უცებ აღმოაჩენს, რომ მისი ისევე ეშინიათ, როგორც ურჩხულისა ეშინოდათ. მე ბატონ მორისს ვუმტკიცებდი, ურჩხულის დამმარცხებელი, თავადაც ურჩხულია-მეთქი. ბოროტებას რომ ბოროტებას დაუპირისპირებ, — ბოროტებაა.

**— „ორმაგი სახის" გადაღების დროს ალბათ ძალზე გამოგადგათ ის, რომ ქუჩის სამყაროს კარგად იცნობდით.**

— ქუჩა დიდი რამეა. აქ ყველაზე უკეთ შეგიძლია გაიგო ერთგულებისა და ღალატის ფასი. ქუჩაში მიღებული გამოცდილება მართლა გამომადგა ფილმის გადაღებისას.

**— ფილმში ნარკომანიის პრობლემა იყო და საკმაოდ მწვავედაც, წამოჭრილი. თქვენ თუ გაგისინჯავთ წამალი?**

— გამისინჯავს, უდიდესი დანაშაულია მისი მოხმარება — ერთიანად გიმონებს. მაგრამ მარტო ნარკოტიკის მოხმარებაც არ არის ნარკომანია, სიგარეტიც, სასმელიც ერთგვარი ნარკოტიკია.

**— მიუხედავად იმისა, რომ ფილმი ჩვენი თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებს შეეხო, დამეთანხმებით ალბათ, რომ იგი მაინც არ იყო სრულყოფილი...**

— ფილმს 7 წლის მანძილზე ვიღებდით. მარტო ერთ ეპიზოდზე 6 თვეზე მეტხანს ვმუშაობდით. მსახიობისათვის ეს დიდი დროა — გავიწყდება ბევრი რამ, გრძნობებს ერთხელ უკვე განცდილი სიმძაფრე აკლდება, ერთ ეპიზოდში სხვა ჯინსით შევდივარ ოთახში და უკან სულ სხვანაირით ვბრუნდები. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ფილმს სასიკეთოდ ვერ წაადგებოდა. მოხდა ისე, რომ გადაღების დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მესამე სართულიდან გადმოვვარდი და უმძიმესი ტრავმა მივიღე. ასე რომ, ჩემთვის ფილმზე მუშაობა მძიმეც იყო.

— შესანიშნავი გადამღები ჯგუფი გვყავდა. ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით. მახსოვს, ცხვრის ეპიზოდის გადაღებისას ათი ცხვარი შემოგვეჭამა....

**— ფილმის ფინალური სცენით ცოტა გაურკვეველია, რა ბედი ეწია მთავარ გმირს?**

— სცენარი წავიკითხეთ თუ არა, ყველას ერთი სურვილი დაებადა — მთავარი გმირი ცოცხალი დარჩენილიყო. ამიტომაც რეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ სცადა ერთგვარად გაურკვევლობის ბურუსში გაეხვია ფინალი. საფიქრალი დავუტოვეთ მაყურებელს. თუმცა, როცა პატარა ბიჭი მამას ეძახის, კაცი შეირხევა — ალბათ ესეცაა იმის ნიშანი, რომ მამაც გადარჩა.

*ეკა ლომიძე*

## მოზაიკა

...არნოლდ შვარცენეგერს ეტყობა მოსწყინდა მსახიობობა და გუბერნატორის სავარძელზე დაიწყო ოცნება... წამოაყენა კიდეც თავისი კანდიდატურა, მაგრამ „კეთილისმსურველებმა" იმდენ ცოდვაში დასდეს ბრალი და გაზეთებში იმდენი მაკომპრომატირებელი სტატია დაიბეჭდა, რომ „ტერმინატორმა" საარჩევნო მარათონის დატოვება გადაწყვიტა.

....მადონამ ახალ წელს ახალი ცხოვრების დაწყება გადაწყვიტა. ამიერიდან იგი თავისუფალი ქალი იქნება — გაი რიჩი, თავისი მეუღლე, სახლიდან გააძევა და თანაც როდის, შობა ღამეს! ამის მიზეზი გაის ყოფილი საყვარლის, ტანია სტრეკერის გრძელი ენა ყოფილა — ტანიას საქვეყნოდ განუცხადებია — მალე გაის მეც ვაჩუქებ შვილსო.

ყველაზე საშინელი კი ის იყო მადონასთვის, რომ გაი რიჩს არც უცდია ამის უარყოფა.

...მარტინ სკორსეზე ლეგენდარული მხედართმთავრის, მაკედონელის ცხოვრების ეკრანიზაციას აპირებს. სცენარი ძველი ანტიკური მწერლებისა და ისტორიკოსების მასალების მიხედვით შეიქმნა. მაკედონელის როლში ლეონარდო დი კაპრიო მიიწვიეს — საამისოდ მსახიობი თურმე მკაცრ დიეტაზე გადასულა. მაგრამ ერთი გარემოება უშლის ხელს ლეონარდოს დიდი მხედართმთავრის როლის განსახიერებისათვის. როცა გაიგო, რომ სცენარში აღწერილია მაკედონელის სასიყვარულო ურთიერთობა თავის მეგობარ მამაკაცთან, ქალების კერპი შეშფოთდა — მას სულაც არ სურს თავისი იმიჯის შელახვა.

ღეში რამდენი ადამიანის ხმით საუბრობს, ხანდახან ვერც კი ითვლის. შეიკეტება პატარა ჯიხურში და ხან გვადალუპეს ტექსტს კითხულობს, ხან ელენის, ხან კაროლინას, ხან ლუზინედის... მხოლოდ პირველი ორი დღე გაუჭირდა ცოტა. მერე ალღო აუღო და პერსონაჟების ხასიათების მიხედვით იცვლის ინტონაციებს, ხანდახან ერთ-ორ სიტყვას თავისასაც ჩაურთავს ხოლმე ტექსტში... სერიალების და რეკლამების გახმოვანება **ეკა ჩხეიძისთვის** მეორეხარისხოვანი საქმეა. პირველი კი მისთვის თეატრია — ჯადოსნური სამყარო, რომლის გარეშეც არსებობა ვერ წარმოუდგენია. ეს არც არის გასაკვირი — სხვა რა პროფესიაზე უნდა ეფიქრა მედეა ჩახავას შვილიშვილს და თემურ ჩხეიძის შვილს? თუმცა მისთვის ახლა ყველაზე მთავარი ისაა, რომ მეუღლესთან და თორმეტი წლის ქალიშვილთან ერთად მოუთმენლად ელის ოჯახის ახალ წევრს, რომელიც ოთხ თვეში უნდა მოევლინოს ქვეყნიერებას... მათ, ვისაც ეკა ჩხეიძის ხმის გარეშე ვერ წარმოუდგენია „რუსთავი 2“-ის სერიალები, იგი ჰპირდება, რომ „ბაბილონის გოდოლის“ შემდეგ მხოლოდ ერთ სერიალს გამოტოვებს, მერე კი კვლავ დაუბრუნდება „მშობლიურ ჯიხურს“... ამ „გაუგებრობაში“ კი ასე მოხვდა:

— „რუსთავი 2“-ში „გვადალუპეს“ გასახმოვანებლად დასჭირდათ ქალის ხმა. იმ პერიოდში „სარდაფში“ ვმუშაობდი დუტასთან ერთად. მთხოვა სინჯებზე წავყოლოდი. აღმოჩნდა, რომ ჩემი და დუტას ხმები ძალიან მოუხდა ერთმანეთს — უამრავი მსურველიდან ჩვენ აგვარჩიეს. უკვე მეხუთე სერიალს ვახმოვანებ. შემდეგ „ჯორჯია ონლაინი“ დაინტერესდა ჩემით და რამდენიმე რეკლამა გავახმოვანე. ეს სამსახური ჩემთვის შემოქმედება ნამდვილად არ არის, უბრალოდ შემოსავლის წყაროა, ჩემი საკუთარი ჯიბის ფული მაქვს...

**— ალბათ, მოსაწყენია ერთი და იმავე საქმის კეთება. თანაც თუ არ ვცდები, ყველა პერსონაჟ ქალს შენ ახმოვანებ. არ გიჭირს ხმის შეცვლა?**

— კარგა ხანია მივეჩვიე და მექანიკურად ვაკეთებ. ჩემს პარტნიორთან ერთად ვზივარ ჯიხურში და ვკითხულობ ტექსტს. მთავარია ალღო აულო, პერსონაჟის ხასიათი დაიჭირო, მერე ყველაფერი თავისით მიდის...

**— თუ უცნიხარ ვინმეს ქუჩაში ხმით?**

— არა, ხმით ქუჩაში ვერ მცნობენ. თუმცა, ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა: მეგობართან ვიყავი სტუმრად, სამზარეულოში ვისხედით და ვჭორაობდით. ოთახში ტელევიზორი იყო ჩართული — „რუსთავი 2“-ზე სერიალი გადიოდა. ჩემი მეგობრის მეუღლეს, რომელმაც იცოდა, რომ მათთან ვიყავი და რომელიც სერიალებს არ უყურებს, უცებ ჩემი ხმა შემოესმა: ალფრედო, არ წახვიდე, არ მიმატოვო... გაგიჟებული გამოვარდა, ვერ მიხვდა ვის ვემუდარებოდი, ვინ იყო ალფრედო... სამაგიეროდ, „ჯორჯია ონლაინის“ რეკლამის შემდეგ მცნობენ ქუჩაში. ერთი ქალი ბაზარში მომადგა და მკითხა — კიევში როგორ უნდა დავრეკოო. რეკლამის ტექსტი გავუმეორე. მერე კიევის კოდი მკითხა. ძლივს ავუხსენი, არ ვიცი ყველა ქალაქის და ქვეყნის კოდიმეთქი...

**— შენ ტელესერიალებს ახმოვანებ, შენი ბებია — ქალბატონი მედეა ჩახავა კი თვითონ მონაწილეობს ტელესერიალში „ძილის წინ“. თუ უყურებთ და აფასებთ ერთმანეთის ნამუშევარს?**

— რატომაც არა! მართალი გითხრა, სერიალების მოყვარული არ ვარ, მაგრამ ბებიას ვუყურებ ხოლმე, ალბათ ხანდახან ისიც მისმენს. მალე უფრო ხშირად მომიწევს ტელევიზორთან ჯდომა — ბავშვს ველოდები და სამსახურს დროებით უნდა გამოვეთხოვო.

**— ბატონი თემური თუ უყურებს, უფრო სწორად, თუ უსმენს შვილის ნამუშევარს?**

— ალბათ უსმენს, რადგან მას ყოველთვის აინტერესებს რას და როგორ აკეთებს მისი ოჯახის თითოეული წევრი.

**— ეკა, მოღვაწეობა კინომსახიობთა თეატრში დაიწყე...**

— მიხეილ თუმანიშვილის სტუდენტი ვიყავი და მერე მის თეატრში მივედი — პირველი როლი „ზაფხულის ღამის სიზმარში“ შემომთავაზა. ახლაც ამ თეატრის შტატში ვარ. მახსოვს, პირველ როლზე რომ დამიძახა, მთხოვა — არავის უთხრა, თეატრში რომ მე მოგიყვანეო. ძალიან უცნაური და საყვარელი ადამიანი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ „სარდაფშიც“ ვითამაშე.

**— თუმცა, როგორც ყველასათვის ცნობილია, ბატონი მიშას თეატრის დასის წევრებს ნაკლებად უჩნდებოდათ სხვა თეატრში მოღვაწეობის სურვილი...**

— სურვილი ალბათ ჰქონდათ, მაგრამ თვითონ ბატონ მიშას არ უყვარდა, მისი მსახიობები სხვა თეატრების მიწვევაზე რომ თანხმდებოდნენ. ერთხელ მამამ მიმიწვია მარჯანიშვილის თეატრში „სეილემის პროცესზე“. მოწვევა უნდა გამეფორმებინა და მივედი ბატონ მიშასთან. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ და მხოლოდ თემურის ხათრით დამთანხმდა — მამაც მისი მოწაფე იყო, ძალიან უყვარდა და გულშემატკივრობდა, თორემ ვიგრძენი, როგორ არ ესიამოვნა. ახლა სხვა დრო მოვიდა — თუ კარგი რეჟისორი კარგ თეატრში კარგ როლს გთავაზობს, რატომ არ უნდა დათანხმდე? ეს ხომ ძალიან საინტერესო და მრავლის მომცემია მსახიობისათვის.

**ვისაც ეკა ჩხეიძის ხმის გარეშე ვერ წარმოუდგენია სერიალები, ჰპირდება, რომ „ბაბილონის გოდოლის“ შემდეგ მხოლოდ ერთ სერიალს გამოტოვებს, მერე კი კვლავ დაუბრუნდება „მშობლიურ ჯიხურს“...**

**— ერთ დროს ბევრი მითქმა-მოთქმა იყო იმაზე, რომ ბატონმა თემურმა დედამისი — ქალბატონი**



**მედეა როლიდან მოხსნა... შვილს როგორ ექცეოდა რეპეტიციებზე?**

— სულაც არ მექცეოდა ისე, როგორც შვილს. მამა თავისი ოჯახის წევრებისადმი განსაკუთრებით მომთხოვნია. თუ სხვას არ აპატიებს რეპეტიციებზე დაგვიანებას, შვილს ან დედას რატომ უნდა აპატიოს? ერთხელ სრულიად გულწრფელად ვუთხარი — მუშაობის დროს მამას ვერ დაგიძახებ და ბატონობით რომ მოგმართო, შაყირში ხომ არ ჩამითვლი-მეთქი. მედეა კი საოცრად არაპუნქტუალურია — ყოველთვის ყველა რეჟისორთან ყოველ რეპეტიციაზე აგვიანებდა და ვერ მიხვდა, შვილთან რატომ არ უნდა დაეგვიანებინა. ამაზე გაბრაზებულმა თემურმა მოხსნა როლიდან. შემდეგ მამას ასეთი ფუნაგორია მოუგონეს — „როლიდან დედამოხსნილოო“...

**— თუ არ ვცდები, ბატონი რეზო ესაძე გიღებს ფილმში...**

— უფინანსობის გამო ძალიან გაჭიანურდა ფილმზე მუშაობის პროცესი. „ჭერი“ თითქმის დასრულებულია. თუ არ ვცდები, ასლების დაბეჭდვაღა დარჩა. ვინც მასალა ნახა, ძალიან მოეწონა... ალბათ ოდესმე მაყურებლამდეც მივა ჩვენი ფილმი.

**— ეკა, შენ და ბებიას ერთი და იგივე პროფესია გაქვთ, ხომ არ ფიქრობ, რომ მის დროს თითქოს უფრო უყვარდათ თეატრი და უფრო აფასებდნენ მსახიობებს.**

— ახლაც ყოველთვის გვყავს მაყურებელი. ცარიელ დარბაზში არასდროს მითამაშია. ყოველი სპექტაკლის შემდეგ გვიკრავენ ტაშს, ხანდახან ოვაციებსაც გვიმართავენ, გვთხოვენ ავტოგრაფებს, გვჩუქნიან ყვავილებს, მაგრამ მართლაც ეს ის არ არის, რაც მედეასგან მაქვს მოსმენილი. ხშირად უთქვამს, მაყურებელი ორი-სამი საათი გველოდებოდა თეატრთან სპექტაკლის შემდეგ და ხელში ატაცებულებს გვატარებდნენო. ხანდახან ზღაპარი მგონია... იქნებ იმ დონის სპექტაკლები აღარ იდგმება, იქნებ კინომ და ტელევიზიამაც წაართვა თეატრს მაყურებელი. მაგრამ ისეთი ფანატიზმი მაინც წარმოუდგენელია ჩემთვის.

**— ერთი ცნობილი მსახიობი ამბობდა — ყველაფერი ყოფითი წვრილმანების გამო გაუფასურდა. მაყურებელი პურის რიგში მდგარ ან გავსებულ ტროლეიბუსზე ჩამოკიდებულ მსახიობს რომ დაინახავს, მის თვალში პეწი ეკარგება, რაგინდ ნიჭიერი არტისტი იყოსო.**

— ისე, პურის რიგზე გამახსენდა — მედიკომ დღემდე არ იცის, სად იყიდება პური. არასდროს ჩასულა მაღაზიაში პროდუქტებზე. დღემდე ანეკდოტად დადის ერთი ამბავი. მისი უმცროსი შვილი ივიკო ერთხელ ვლადივოსტოკში იყო გასტროლებზე. უკან გამომგზავრების დღეს მედიკომ თბილისიდან დაურეკა — რომ ჩამოფრინდები, სანამ აეროპორტიდან სახლამდე მოხვალ, მაღაზიაში შეიარე და პური წამოიღეო...

**— ქალბატონი მედეა ერთდროულად ორ შვილთაშვილს ელოდება — ნატო მურვანიძის და შენს შვილებს, ამავე დროს არაჩვეულებრივად გამოიყურება...**

— ღმერთმა ჯანმრთელობა მისცეს — როცა შვიდი შვილთაშვილი გყავს და ასეთი ახალგაზრდული შემართებით შრომობ, არ კარგავ მომხიბლაობას, ასაკი ვერაფერს გაკლებს — ეს დიდი ბედნიერებაა. იცი, თვითონ არის ასეთი ნათელი — არასდროს ყოფილა გულჩახვეული, შურიანი. შენ გგონია არ განიცდის, თეატრში რომ აღარ არის? მაგრამ თუ სევდა ან რაიმე მძიმე განცდა დაეუფლა, მაშინვე ცდილობს, ძირფესვიანად ამოძირკვოს, კვალიც კი არ დაიტოვოს... სერიალში მონაწილეობაზეც ამიტომ დათანხმდა. ამ მხრივ ცოტათი მეც ვგავარ. ახლა სხვანაირი დროა — ჯუნგლის კანონი მოქმედებს — თუ შენ არ შეჭამე, შენ შეგჭამენ. მაგრამ სულ ვცდილობ იქ არ ვიყო, სადაც ცუდად ვიგრძნობ თავს, მუდამ იმ ადამიანების გვერდით ვარ, ვისგანაც სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ და მეც ვცდილობ, ყველას მოვეფერო. ამიტომ არ ვივსები ბოღმით და ამიტომ არ მიჩნდება ჭაღარა. ინტრიგებს და ბოროტებას იუმორით თუ შეხედავ, ვერაფერს დაგაკლებს... ახლა მეორე შვილის გაჩენა გადავწყვიტე და ათმაგად ბედნიერი ვარ...

**— შენი უფროსი გოგონა უკვე თორმეტი წლისაა, ამჯერად ვის ელოდებით, გოგოს თუ ბიჭს?**

— არ ვიცი და არც ვნერვიულობ მთავარია, ჯანმრთელი იყოს და გინდა გოგო იყოს და გინდა ბიჭი...



— თუ შენი ტანსაცმელი არ ჩაიცვეს, რა საჭირო ხარ? მაშინ დაჯექი და ხატე...

**— ამ ცოტა ხნის წინ თქვენ განაწყენებული ტონით განაცხადეთ, რომ აპირებთ საქართველოდან წასვლას, რასაც პრესის მხრიდან საოცარი რეზონანსი მოჰყვა...**

— ამას მართლაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. მე წავალ გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს არ იქნება გაბრაზებული წასვლა. საქართველოს სამუდამოდ ვერ დავტოვებ, რადგან მე მაღიარა იმ ხალხმა, სადაც ვცხოვრობ — ჩემთან იცვამენ, საზოგადოების უმეტეს ნაწილს ვუყვარვარ... მაშინ აღელვებული ვიყავი და არ მოვაწყვე ჩვენება. ეს იყო პროტესტი იმ არეული სიტუაციის გამო, რაც საერთოდ მოდაში ხდებოდა, ყველამ აიგდო ჩვენებები, უნიჭობა და არაპროფესიონალიზმი წამოვიდა წინა პლანზე. ამას ვერასდროს შევეგუები... ჩემდა სასიხარულოდ, არც ერთ გაზეთს თუ ჟურნალს ჩემ მიმართ უარყოფითი სტატია არ გამოუქვეყნებია... მოვიდნენ ის ადამიანებიც, ვისაც ვაცმევ და მითხრეს — ახლა შენი საქართველოდან წასვლა ღალატი იქნებაო... მე უბრალოდ, მთელი სულით და გულით მინდა, რომ ყველა ჩვენება მაღალ დონეზე ჩატარდეს და ამას დაერქვას სახელი — ქართული მოდა. მოდაში მეცენატებმა უნდა ჩადონ ფული, დაეხმარონ მოდის მსახურთ.

**— როგორ ირჩევთ მანეკენებს?**

— ხასიათის მიხედვით. ტესტინგს ვატარებთ და რომელიც მოგვეწონება და გვჭირდება, ვირჩევთ. ფაქტობრივად, ერთი და იგივე გოგონები მონაწილეობენ ჩვენებებში, მაგრამ რამდენიმე ახალი სახე ყოველთვის გვყავს.

**— თუ გაქვთ ნამუშევარი, რომელიც თავად განსაკუთრებულად მოგწონთ?**

— რამდენიმე მაქვს. ეს სამოსი იმ ადამიანთა კერძო კოლექციებში ინახება, ვისთვისაც არის შექმნილი.

**— სხვა დიზაინერთა ჩვენებებზე თუ დადიხართ?**

— დავდივარ, როგორც კრიტიკოსი და არა როგორც მაყურებელი. უკვე ერიდებიან ჩემს დაპატიჟებას.

**— საკუთარი თავის მიმართ თუ ხართ კრიტიკული?**

— ძალიან, რადგან მოდა ის სფერო არ არის, რომელიც შეიძლება „აიგდო“. მოაწყო ჩვენება — ერთია და, მეორეა — საჭირო იყო. შენი ტანსაცმელი თუ არ ჩაიცვეს, რა საჭირო ხარ? მაშინ დაჯექი და ხატე... რაღაც პერიოდში შენი მოდელი უნდა მოგწონდეს, სხვანაირად ვერ შექმნი... გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება კრიტიკულად შეხედო. მოდა ცვალებადია... უნდა გაითვალისწინო, ამ დროს რა იყო მოდაში, რა განწყობა გქონდა და ასე შემდეგ...

**ყველამ აიგდო ჩვენებები, უნიჭობა და არაპროფესიონალიზმი წამოვიდა წინა პლანზე. ამას ვერასდროს შევეგუები... გულით მინდა, რომ ყველა ჩვენება მაღალ დონეზე ჩატარდეს და ამას დაერქვას სახელი — ქართული მოდა...**

**— ვისი კომპლიმენტი გაგახარებთ ყველაზე მეტად?**

— მე ყველას კომპლიმენტი მსიამოვნებს, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა აზრიც ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა. ბედნიერი ვიყავი, როცა ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი საახალწლო საღამოზე ჩემი მოდელით მობრძანდა. მისი შეფასება ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო... შემდეგ სპექტაკლზე დამპატიჟა... მხოლოდ ძალიან სუფთა ადამიანებს შეუძლიათ დაგანახვონ, რა ხარ და რას წარმოადგენ...

**— სად აპირებთ წასვლას?**

— ცოტა ხნით იტალიაში. ეს საჭიროა ჩემთვის. ყველა დიზაინერი მოგზაურობს და აჟიოტაჟი რატომღაც ჩემზე ატყდა...

**— წელიწადის დროების მიხედვით თუ არჩევთ ფერებს?**

— ეს დამოკიდებულია მოდაზე. წელს ზამთარში შავი ფერია მოდაში, შარშან — ვარდისფერი იყო. ვარდისფერ პალტოს ჩვენში ძალიან ცოტა თუ ჩაიცვამს... უფრო პრაქტიკულისკენ ვიხრები ხოლმე.

**— არის თუ არა მართებული გამოთქმა — მოდაშია ის, რაც გიხდება...**

— ნამდვილად. ვერ ვიტან, როცა ადამიანს აცვია ის, რაც მოდაშია და საშინლად არ უხდება.

**— საკუთარი თავის დიზაინერი თვითონ ხართ?**

— მე ვირჩევ სტილს, ყოველთვის ვიცი, რა ჩავიცვა, მაგრამ ყოველთვის ჩემი მოდელები არ მაცვია. არც იმის პრეტენზია მაქვს, რომ მაინცდამაინც გამორჩეულ კუტურიეთა ტანსაცმელი მეცვას, თუმცა მათი ნახელავიც მრავლად არის ჩემს გარდერობში. ქართველი დიზაინერების არაფერი მაქვს, რადგან ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია. ფეხსაცმელი კი ყოველთვის თათა ვარდანაშვილის მაცვია და ძალიან მომწონს.

**— ჭორებზე როგორ რეაგირებთ?**

— ჩემამდე არასდროს მოსულა ჭორი, რომელიც გამაღიზიანებდა.

***ეკა მახარაშვილი***

# დედის აღსარება – „შვილი მე მოვკალი და ვიტანჯები, მაგრამ არ ვნანობ!..“

თამარ ბ-ძე 68 წლისაა. 40 წელზე მეტხანს ასწავლიდა სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას. 7 წელია პენსიაზე გავიდა და... ვაჭრობა დაიწყო. სააფთიაქო ბაზიდან წამლები გამოაქვს, კარდაკარ შემოივლის მთელ ქალაქს... პენსია 14 ლარი აქვს. შინ რძალი და ორი სტუდენტი შვილიშვილი ჰყავს.

— რძალიც პედაგოგია, კარგი გოგოა, 24 წელია ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და უბატონოდ ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის. შვილობაც მაგან გამიწია და დობაც. გაიხარა მისმა გამზრდელმა. შვილებიც შესანიშნავი დაზარდა — გვანცა და გურანდა. პედაგოგიურ ფაკულტეტს ამთავრებენ და ძალიან მიხარია — სკოლა მიყვარს! სკოლა ცოცხალი ორგანიზმია, იქ თუ სიყვარულით არ მიხვედი, ისე არაფერი გამოვა — თავსაც დაიტანჯავ და ათობით ბავშვს სულს დაუმახინჯებ, ბავშვს გაზრდა უნდა...



**— მაგრამ...**

— ვიცი, მეტყვი — შენ შენი ვერ გაზარდე და სხვისაზე რა პრეტენზია გქონდაო?!. ხომ გაგიგონიათ, მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამაც არ უშველა! მაგრამ თუ ეს სიბრძნე საკუთარ ტყავზე არ გამოსცადე, ისე არ დაიჯერებ... სტუდენტი ვიყავი, როცა მომიტაცეს. ბავშვი 19 წლისამ გავაჩინე. ჩემი პატარა ოჯახით ცალკე ვცხოვრობდი. ქმარმა ხელოსნობა დაიწყო და თითქმის სულ წასული იყო შინიდან. ოჯახს რჩენა უნდოდა. ერთი წელი აკადემიური შვებულების აღებაც დამჭირდა ინსტიტუტში, მაგრამ ძალიან მინდოდა სწავლა და 6 თვის გია ბაგა-ბაღში მივიყვანე. ჭირვეულობდა. მასწავლებლები მეუბნებოდნენ — „მოკვდება ბავშვი, მთელი დღე ტირის და ვერ ვაჩერებთ, ასეთი ან სწავლა რად გინდა, ან სიცოცხლეო!..“ ქმარიც მეჩხუბებოდა. დაუსწრებელზე გადავედი, მაგრამ ახლა სამუშაოდან მომთხოვეს ცნობა (მაშინ ასეთი კანონი იყო, გინდოდა თუ არა, უნდა გემუშავა)... პიონერთა ხელმძღვანელად მიმიღეს იმ სკოლაში, სადაც მერე ორმოც წელზე მეტი ვიმსახურე. გიას მხოლოდ ორი საათით ვტოვებდი ბაღში, მაგრამ მაინც ნერვიული ბავშვი იყო. მკურნალობამაც დიდი შეღავათი არ მისცა. ღამითაც კი რამდენიმეჯერ იღვიძებდა ტირილით, მაიძულებდა, მის საწოლთან მჯდარს გამეთენებინა ღამე. გვერდითაც არ მიწვენდა — „დაგეძინება, მე კი მარტოს მეშინიაო!..“ სკოლაში რომ შევიყვანეთ, პირველკლასელიც კი იპარებოდა გაკვეთილებიდან, სწავლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. პატარა ტირანად იქცა. მამამისი სცემდა კიდეც, მაგრამ არც ეს „შველოდა“... ქუჩაში ხეტიალი უყვარდა. სკოლიდან წამოსული შინ გვიანობამდე არ მოდიოდა და თავს გვაძებნინებდა: 9 წლის იყო, სიგარეტის წევაზე წავასწარი. რას არ დავპირდი — არაფერმა გაჭრა, ვერ მოვაშლევინე მოწევა. ჩემი მეუღლე გაგიჟებული იყო — ეს რა გველის წიწილი გაგვიჩნდა, რა შევცოდეთო. ხანდახან თავს ვერ იკავებდა და ქამრითაც სცემდა, რამაც უფრო გააბოროტა გია. ხშირად ჩავმდგარვარ მამა-შვილს შორის, ყველაზე მეტად კოლეგებს ვეცოდებოდი, რა ექნათ, იმათაც სისხლი გაუშრო ჩემი შვილის უზნეობამ. ბოლოს გადაწყვიტეს — ოღონდ სკოლაში ნუ მოიყვან, ისე მოგცემთ ატესტატსო.

სწავლით თავს არ იკლავდა და რა აზრი ჰქონდა მის სკოლაში სიარულს. თორმეტპირველ საათამდე ეძინა, მერე ისადილებდა და გავიდოდა ბირჟაზე. იქაც შარს ეძებდა, კვირაში ერთხელ მაინც გალახული და ტანსაცმელშემოფხრეწილი ბრუნდებოდა შინ... ჩაცმა კი უყვარდა. რაც კი შემოვიდოდა მოდაში, უნდა გვეყიდა. 15 წლისას შევამჩნიეთ, რომ ფულს გვპარავდა. გაგიჟდა ჩემი ქმარი. მალე სმაც დაიწყო. 18 წლისა კი მარტოც დაჯდებოდა და სვამდა, თანამესუფრე არაფერში სჭირდებოდა. განრისხდა ჩემი ქმარი და დაამსხვრია სარდაფში ღვინით სავსე ბოცები, რისთვისაც გიამ ხელიც შეუბრუნა, როცა გასაშველებლად მივვარდი, მეც მიმაყოლა... ჩემი ქმარი ამ შეურაცხყოფამ ლოგინად ჩააგდო და მალევე გათავდა კაცი! რომ დავასაფლავეთ, ისეთ სასოწარკვეთილებას ვგრძნობდი, თავის მოკვლა მინდოდა.

ჯარშიც კი არ წაიყვანეს. არ ვიცი, რა გააკეთა ასეთი, როგორ მოაჩვენა ექიმებს თავი, რომ „თეთრი ბილეთი“ მისცეს, ფსიქიკურად გაუწონასწორებლად მიიჩნიეს. მე კი იმედი მქონდა, იმ ორ წელიწადს მაინც დავისვენებდი, თან — იქნებ გამოსწორდეს-მეთქი, ვფიქრობდი...

20 წლისამ მოიტაცა მეზობელთან სტუმრად ჩამოსული 16 წლის ნანა. იმათაც მიეცათ ჩვენი ცოდვა, ვინც ხელი შეუწყო ამ საქმეში, რად უნდოდა ჩემს შვილს ცოლი!...

ერთი თვეც არ შეარჩინა ახალგაზრდა ცოლს გათხოვების და სიყვარულის ბედნიერება. სულ მთვრალი დადიოდა. ღამღამობით მესმოდა საძინებლიდან ნანას ტირილი, მაგრამ ცოლ-ქმრის ოთახში შესვლის უფლებას არ ვაძლევდი თავს. პირველად მაშინ დავკარგე წონასწორობა, როცა 8 თვის ფეხმძიმე ცოლი სცემა. გვანცა ნაადრევი მშობიარობის შედეგად დაიბადა, ძლივს გადავარჩინეთ. ნანა და ჩვილი ბავშვი ჩემს ოთახში დავაბინავე და ძაღლივით კართან ვდარაჯობდი, ცოლ-შვილს არაფერი დაუშავოს-მეთქი. გვიჭირდა, მარტო მასწავლებლის ხელფასი არ გვყოფნიდა. გიამ შინიდან ნივთების გატანა დაიწყო, ტელევიზორიც კი გაგვიყიდა...

ნანას ეშინოდა მისი. ვერც მშობლებს უმხელდა, რა დღეშიც იყო. არც კი ვიცი, როდის დაფეხმძიმდა მეორედ, გია სულ მთვრალი იყო, მეშინოდა, ავადმყოფი ბავშვი არ გასჩენოდათ. რომ ნახა, ისევ ფეხმძიმედ იყო, ურცხვად გვითხრა: — თუ სხვაგვარად ვერ ვიშოვით ფულს, ბავშვს გავასხვისებ, მოსურნე უკვე ნაშოვნი მყავს, შეძლებული ოჯახიაო.

ნანა კინაღამ გაგიჟდა. ვამშვიდებდი: — ჩვენი შეშინება უნდა, თორემ შვილს როგორ გაყიდის, თანაც აქ არა ვარ, მილიციას შევატყობინებ-მეთქი!..

7 თვის ფეხმძიმე იყო ნანა, ორი ქალი რომ მოგვადგა — თქვენი მეუღლისაგან ვიცით, რომ ბავშვის გაშვილებას აპირებთ და იმიტომ მოვედით, რომ ჩვენი პირობები წამოგიყენოთ... დღეიდან მშობიარობამდე ჩვენთან უნდა იყოთო. გული წაუვიდა ნანას და მოწყვეტით დაეცა, ისევ ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. არ გვეგონა, თუ ბავშვი სულს შეინარჩუნებდა ან ნორმალური იქნებოდა...

ორი ღამე სამშობიაროში გავათენე. შინ მობრუნებულს გია გალეშილი დამხვდა და საცემრად გამოიწია ჩემზე — ვინ გეკითხება ჩემი კახპა ცოლის პატრონობასო?! წამოვავლე ხელი იატაკის საწმენდ ჯოხს და გამეტებით ჩავცხე თავში... რომ გამოვფხიზლდი, უკვე მკვდარი იყო... ავკივლდი, შემოცვივდნენ მეზობლები. არ დამიმალავს, მე მოვკალი-მეთქი. მათაც იცოდნენ ჩვენი ამბავი. მკვლელობაზე ლაპარაკი ამიკრძალეს, ნანასა და შვილიშვილებზე იფიქრეო და ხმა გაავრცელეს — ღვინოში გაიგუდაო. დავასაფლავეთ მიცვალებული.

**— ნანამაც არ იცის სიმართლე?**

— არასოდეს ვლაპარაკობთ ამაზე, მაგრამ მგონი ხვდება... გიას სიკვდილის შემდეგ მოვისვენეთ, ადამიანურ ცხოვრებას ველირსეთ. ნანამ ინსტიტუტიც დაამთავრა, შვილებიც ანგელოზები დაზარდა და მეც დედას მეძახის. ისეთი სიმწარე ნახა ჩემი შვილის ხელში, გათხოვებას მეტად ვერც ვუხსენებდით, არადა რამდენს ვეხვეწებოდი. 19 წლისაც არ იყო, რომ დაქვრივდა!..

**— მკვლელობა მძიმე ცოდვაა...**

— მეც ვიტანჯები, რომ ასე აეწყო ჩემი ცხოვრება, მაგრამ არ ვნანობ... გია სატანა იყო, რომელიც ჩემი წიაღიდან იშვა და მე უნდა დავსჯილიყავი, მაგრამ ნანამ და ბავშვებმა რა დააშავეს?!. ოღონდ ისინი იყვნენ ბედნიერები და მე ყველაფერს ავიტან, მით უმეტეს, რომ ერთი ჯოჯოხეთი უკვე გავიარე!..

***ინგა ჯაყელი***

# ვინ ხვდება უგემოვნოდ ჩაცმულ ქალთა სიაში?



ჟულიეტ ბინოში კამილა პარკერი ბიორკი

მოდის მიმდევართათვის კარგად ცნობილმა მისტერ ბლეკველმა ჟურნალ People-ს ფურცლებზე მსოფლიოში სახელგანთქმული ქალების რეიტინგი გამოაქვეყნა. 1960 წლიდან ის რეგულარულად აქვეყნებს ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ქალბატონთა სიას. ამჯერად ამ ნუსხას სათავეში ჩაუდგა ინგლისური შოუს წამყვანი 57 წლის ენ რობინსონი, თვით უგემოვნო ბრიტნი სპირსი, ჟულიეტ ბინოში, კამილა პარკერ ბოულზი და მომღერალი ბიორკიც კი, რომლებიც მას ფეხდაფეხ მიჰყვებიან, მაინც მასზე უკეთესი ჩაცმულები აღმოჩნდნენ. გასულ წელს მისტერ ბლეკველმა მომღერალ სელინ დიონის კოსტიუმზე განაცხადა — ის, რაც სელინს აცვია, უკუღმა ჩაცმულ სმოკინგს ჰგავს, ისე რომ ძნელი გასაგებია მაყურებლისთვის — დიონი სცენაზე გამოვიდა თუ პირიქით — უკან გადისო. მან არც დედოფალ ელისაბედი დაინდო, სახალხოდ განაცხადა — დიდი ბრიტანეთის დედოფალი ხან საახალწლო ნაძვის ხეს ჰგავს, ხან სასახლის კარის მასხარასო. ალბათ იმას გულისხმობდა, რომ ასაკოვანი დედოფალი მეტისმეტად მჭახე და ერთმანეთთან შეუხამებელი ფერის ტანსაცმელს ხმარობს.

2000 წელს მომღერალი ბრიტნი სპირსი უგემოვნოთა რეიტინგის თავში იდგა, ახლა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ეს მნიშვნელოვანი პროგრესია. მისტერ ბლეკველმა მასზე თქვა — ბრიტნი მადონას დაწუნებულ მაისურებს ასაღებსო. რაც შეეხება მადონას, ისიც იყო ბლეკველის სიაში, თუმცა წლეულს პირველ სამარცხვინო ათეულში აღარ მოხვდა.



# გვეკითხებიან...

**— ქურქის ყიდვა გადავწყვიტე, რომელი ბეწვი უფრო გამძლეა?**

— **თეთრი მელიის** ქურქი სულ ცოტა შვიდ ზამთარს გაგატარებინებთ;

**წავი** — 20 ზამთარს გაუძლებს;

**კურდღლის** ბეწვი — ორ-სამ წელს;

**კრავილის ქურქს** ხუთ-შვიდ წელიწადს ატარებთ;

**სიასამური** — ათ ზამთარს ძლებს, ამდენივეს — **შავი მელა**.

**— როგორი სახის კანს უხდება ორთქლის აბაზანა?**

— ცხიმიან კანს, ორ კვირაში ერთხელ, ხანდახან კი ყოველკვირეული ორთქლის აბაზანა სჭირდება, მაგრამ თუ თქვენ მშრალი და არცთუ ახალგაზრდა კანი გაქვთ, უარი თქვით აბაზანებზე, რადგან კანი კიდევ უფრო გამოგიშრებათ. ორთქლის აბაზანები უნდა დაივიწყოთ იმ შემთხვევაშიც, თუ სახეზე წითელი კაპილარები გაგიჩნდათ — სითბოსაგან უფრო გაფართოვდება.

**გახსოვდეთ:** ორთქლის აბაზანის შემდეგ უცებ გარეთ გასვლა არ შეიძლება.

# ტესტი
## ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ...



გაიგებთ თუ უპასუხებთ „დიახ“ (4 ქულა), „შეიძლება“ (3 ქულა), „არა მგონია“ (2 ქულა), „არა“ (1 ქულა).

1. მე მას ყველაფერში ვენდობი;
2. ნდობას არ იმსახურებს;
3. ის მხოლოდ მე მეკუთვნის;
4. იგი ყველაზე კარგი მამაკაცია (მშვენიერი ქალია);
5. ჩვენი სიყვარულისთვის ყველაფერზე წავალ;
6. ვისურვებდი მისნაირი ვყოფილიყავი;
7. მხოლოდ მას გავუზიარებ ჩემს წუხილს;
8. ჩვენ სულიერად ვგავართ ერთმანეთს;
9. პასუხს ვაგებ მის ყოველ მოქმედებაზე;
10. ყველა ჩემს ახლობელს მოსწონს;
11. გიჟდება ჩემზე;
12. ძალიან ჭკვიანი ადამიანია;
13. ვერ წარმომიდგენია ცხოვრება უიმისოდ;
14. ჩვენ ხასიათიც ერთნაირი გვაქვს.

**14-დან 28 ქულამდე — ურთიერთსიყვარულის იმედი ნუ გექნებათ;**

**29-დან 42 ქულამდე — ბედნიერება განა მარტო სიყვარულშია;**

**43-დან 56 ქულამდე — აი, აქ კი სიყვარული დაბუდებულა.**

# ამონაწერი ოქმიდან...

**„გუშინ ქალაქის ცენტრში ორნი დააკავეს: სერჟანტი სამჭკუაშვილი — მოქალაქე თამარა ღ-ს გაუპატიურების მცდელობისთვის და მოქ. თამარა ღ., რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომელს“.**

# სილამაზე ცქერით წოდი გაცვდება

ლია ელიავა
(1934-1998)



ქართულ კინოს მრავალი მსახიობი ამშვენებს. ლია ელიავა ერთ-ერთი მათგანია — მოხდენილი, თვალწარმტაცი, სათნო, კეთილშობილი.

როგორ ჰგავნან ერთმანეთს მისი პირველი გმირი პირიმზისა და შვლის ნუკრი, პირიმზისას კალთაში რომ უზის...

ქართველი მაყურებელი მას დღემდე ბაში-აჩუკის ტყუპ დასთან აიგივებს.

მსახიობი, ნებსით თუ უნებლიეთ, თავის გმირებში ყოველთვის დებდა საკუთარი სულის ნაწილს, ინტელექტს. ლია ელიავას მიერ განსახიერებულ როლებში ცხადად ჩანს მსახიობის პიროვნული ხიბლი და სულიერი სიმდიდრე. მისი ჭეშმარიტი ქალური სინაზით აღსავსე გმირები ქართული კინოს საგანძურს ამდიდრებენ... და რა დასანანია, რომ ამ დიდებულ მსახიობს ასე ცოტა როლის შესრულება ხვდა წილად, თუმცა, სჯობს ცოტა და კარგი...

ლია ელიავა დიდებული ოჯახის შთამომავალი იყო. მისი დიდი პაპა, ივანე კერესელიძე, მე-19 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გახლდათ პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალის, „ცისკრის“ პირველი რედაქტორი. პაპისეული დახვეწილი გემოვნება და მხატვრული სიტყვის სიყვარული ლიასაც გამოჰყვა...

მამამისი, ცნობილი რევოლუციონერი, უკლონისტად წოდებული შალვა ელიავა, 1937 წლის ქარიშხალს შეეწირა, დედა გადაუსახლეს...

ბედნიერი იყო მისი სიყვარული — ლიამ და ოთარ კობერიძემ ერთმანეთი „ბაში-აჩუკის“ გადაღების დროს გაიცნეს. ძალიან უხდებოდა ერთმანეთს — ორი შეუდარებელი ქართველი!

ლია უსათნოესი, ღვთისნიერი ადამიანი იყო. ერთმა თვითმხილველმა მიამბო, როგორ უყვარდათ ერთმანეთი მსახიობსა და მაყურებელს:

„ლია ელიავა ეკლესიიდან გამოვიდა. თვალებიდან სიყვარული და სითბო ეღვრებოდა. კარიბჭესთან ჩამწკრივებული მათხოვრების თუ ღვთის გლახების ხელები ისრებივით მიებჯინნენ და შეჰვედრეს:

— განგვიკითხეთ, ქალბატონო...

წუხილი დაეტყო. ათრთოლებული ხელებით სწრაფად გახსნა ჩანთა და საფულე ამოიღო.

— პირიმზისა!..

ამოიკვნესა ერთმა. მის ნაწამებ სახეს სიხარულის სხივი დაადგა.

უმალ დაეშვა მავედრებელი თუ მთხოვარი ხელები. ვიღაცას ხურდა დაებნა. სიჩუმეში გაიწკრიალა ფილაქანზე დაფანტულმა გროშებმა.

— არა, თქვენ არა! — ამოიძახა ვიღაცამ და ხელები გაასავსავა.

ლიას მწარედ გაეღიმა. შვლის თვალები ცრემლით აევსო და რომ არავის შეემჩია, სწრაფად გაერიდა იქაურობას...“

სამშობლოს ბედი გულს უკლავდა.

გულმა უღალატა...

სათაყვანებელი მეუღლის მკლავზე დალია სული...

მართლაც გულწრფელად შეიძლება გავიმეოროთ ლია ელიავას მიმართ ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი დიდი გოგლას სტრიქონები:

„შენ სილამაზის იქით ბინდდება,
დაიხურება ცისკრის კარედი,
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე ვარდსაც რომ ძლივს იკარებდი...“

მისი ხიბლი და ძალა, მის მიერ განსახიერებული გმირები კი გვამცნობენ, თუ როგორია ქართველი შემოქმედი — მამულიშვილი, კეთილშობილი, წიგნიერი... უბრალოდ, ლამაზი მანდილოსანი...

***მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა***

CMYK

**რუბრიკის პრემიერა**

**„კვირის პალიტრამ“ თქვენთვის ახალი, ორიგინალური რუბრიკა, „ტესტერვიუ“ შემოიღო. იმედია, მოგეწონებათ.**

# რამდენად მგრძნობიარე ხართ?

***პიროვნების ხასიათსა და ქცევას სხვა თვისებებთან ერთად მგრძნობიარობაც განსაზღვრავს. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ეს გრძნობა ზედმეტად აქვთ განვითარებული, ან პირიქით, შეიძლება ზოგიერთის ხასიათში გულგრილობა სჭარბობდეს. ამ ტესტის საშუალებით შეგიძლიათ განსაზღვროთ, რამდენად მგრძნობიარე ხართ და როგორი დამოკიდებულება გაქვთ ცხოვრებასთან.***

***ტესტერვიუ ჩაუტარდა საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილ ადამიანებს, რომლებმაც თავისებური პასუხები გასცეს ჩვენს შეკითხვებს, თუმცა ჩვენი თხოვნით ტესტის კონკრეტული ვარიანტებიც ამოირჩიეს.***





**1. დღე იყო საშინლად დაძაბული. საღამოს, სახლში დაბრუნებულმა, გადაწყვიტეთ მოდუნება, ამისათვის რას აკეთებთ?**
*ა) ჩაწვებით თბილ აბაზანაში. ბ) ჩამოჯდებით რაფაზე და მზის ჩასვლით დატკბებით. გ) მთელ საღამოს გაატარებთ ტელევიზორთან.*

**მედეა: კონკრეტული ვარიანტი — ბ** ხშირად დავბრუნებულვარ სახლში დაღლილ-დაქანცული, მაგრამ საკმარისია შევხედო, დაველაპარაკო და გავეხუმრო ჩემს შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს, რომ ყველანაირი დაძაბულობა მეხსნება. ძალიან მიყვარს პატარა შვილიშვილთან, კოტე მახარაძესთან ურთიერთობა. მას ძალიან უნდა, რომ ბაბუასავით ჭკვიანი და ნიჭიერი იყოს.

**ლიკა: კონკრეტული ვარიანტი — ა** დაძაბული დღის შემდეგ ვწვები თბილ ლოგინში, ცოტა ხანი ვუყურებ ტელევიზორს და მალევე ვიძინებ. შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან მგრძნობიარე ვარ დაღლილობის მიმართ, ასეთ შემთხვევაში ერთი სული მაქვს როდის მივალ სახლში და როდის მივიღებ ჰორიზონტალურ მდგომარეობას.

**2. თქვენი აზრით, სასიამოვნო ხელშესახებია:**
*ა) შალის ქსოვილი. ბ) აბრეშუმის ქსოვილი. გ) ნატურალური ბეწვი.*

**მედეა: გ** ჩემი აზრით, ბეწვი ძალიან სასიამოვნო ხელშესახებია. მე მყავს საყვარელი ფისო, რომლის მოფერებაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**ლიკა: ბ** ძალიან მიყვარს აბრეშუმის ქსოვილი. ამ ქსოვილისაგან შეკერილი ნებისმიერი ტანსაცმელი სასიამოვნოდ მოქმედებს რეცეპტორებზე და კარგ შეგრძნებას ტოვებს.

**3. თუ თქვენ გადაწყვიტეთ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა, პირველ რიგში მიმართავთ:**
*ა) მასაჟისტს. ბ) პარიკმახერს. გ) მოიწესრიგებთ ფრჩხილებს.*

**მედეა: გ** მნიშვნელობა არა აქვს, სახლში ვარ თუ სადმე მივდივარ სტუმრად, ვცდილობ, რომ თითები და ფრჩხილები წესრიგში მქონდეს. დარწმუნებული ვარ, არავის სიამოვნებს მოუწესრიგებელი ხელების დანახვა.

**ლიკა: ბ** ამ ბოლო დროს ვცდილობ სულ ფორმაში ვიყო. საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა სიამოვნებასაც კი მანიჭებს. წესრიგში მომყავს ფრჩხილებიც, თმაც და მასაჟისტსაც მივმართავ.

**4. მენიუდან რომელ კერძს ამოირჩევდით:**
*ა) შემწვარ კარტოფილს. ბ) ბუტერბროდს კარაქითა და ხიზილალით. გ) ნაყინს შოკოლადის მინანქრით.*

**მედეა: ბ** თქვენი მენიუდან არ მეჭმევა ნაყინი, რომელიც ძალიან მიყვარს. შემწვარ კარტოფილს ხიზილალის ბუტერბროდი მირჩევნია. საერთოდ ნებისმიერი საჭმლის მიმართ ნორმალურად ვარ განწყობილი.

**ლიკა: ა** საერთოდ არა ვარ პრეტენზიული მჭამელი, მიყვარს ყველაფერი, რაც გემრიელია. თქვენ მიერ შემოთავაზებული მენიუდან კი შემწვარ კარტოფილს ამოვირჩევდი.

**5. რომელი ფილმის ყურებისას გევსებათ თვალები ცრემლით?**
*ა) ფესვები. ბ) მონანიება. გ) ღვინის ქურდები.*

**მედეა: ა** ფილმი „ფესვები“ ძალიან მიყვარს და თითქმის ყოველთვის ვტირი მისი ყურებისას. ჩემნაირ მაყურებელს პირდაღებული მაყურებელი ეწოდება. როდესაც მარტო ვუყურებ ტელევიზორს, საკუთარ თავს ვიჭერ, ხან გაღიმებულს, ხან დამწუხრებულს და მერე ჩემს თავზე მეცინება ხოლმე.

**ლიკა: ა** თქვენ მიერ შემოთავაზებული სამივე ფილმი ძალიან მიყვარს. „ღვინის ქურდებზე“ მარტო სიცილია შესაძლებელი, აი „ფესვები“ და „მონანიება“ კი ძლიერ ემოციებს აღძრავს ჩემში.

**6. თუ გაგიჩნდათ ბუნებასთან ურთიერთობის სურვილი:**
*ა) გადიხართ ქალაქგარეთ. ბ) სეირნობთ წყლის პირას. გ) კითხულობთ ჟურნალებს ან წიგნებს ბუნებაზე.*

**მედეა: ა** ბუნება ძალიან მიყვარს, მაგრამ წელიწადში ერთხელ თუ ვახერხებ ქალაქგარეთ დასასვენებლად წასვლას და ისიც ზაფხულში. გაზაფხულის პერიოდს ფანჯრებიდან ვადევნებ თვალს და ესეც მაკმაყოფილებს, ზამთარში კი დასასვენებლად წასვლა უკვე ოცნებად მექცა.

**ლიკა: გ** ბავშვობისას იმდენად ხშირი ურთიერთობა მქონდა ბუნებასთან, რომ ახლა ძალიან იშვიათად მიჩნდება სურვილი, რომ ამ მიზნით ქალაქგარეთ გავიდე. შეიძლება ითქვას, რომ ბუნება აღარ მიტაცებს.

**7. თქვენი საყვარელი მუსიკაა:**
*ა) როკ-ენ-როლი — ამ მუსიკაზე ცეკვას თავდავიწყებამდე მიჰყავხართ. ბ) კლასიკა — იგი აღვიძებს თქვენში წარმოსახვის უნარს. გ) პოპულარული — თქვენ ღიღინებთ და თავს მშვენივრად გრძნობთ.*

**მედეა: ბ** რა თქმა უნდა, რომ კლასიკა მოსასმენად უფრო შთამბეჭდავია. როკ-ენ-როლი და ძალიან თანამედროვე მუსიკა ცოტა არ იყოს მაღიზიანებს, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეგუება. მე მუდამ ახალგაზრდების გარემოცვაში ვიმყოფები და სადაც არ უნდა ვიყო, სადაც არ უნდა მივიდე, ყველგან მუსიკაა ჩართული.

**ლიკა: გ** მიყვარს კლასიკა და პოპულარული მუსიკა. ძალიან ხშირად ვუსმენ და ჩემთვისაც ვღიღინებ. ხანდახან ისეთ ხასიათზე ვარ, რომ თუ მაგნიტოფონი ბოლო ხმაზე არ უკრავს, ვერანაირ სიამოვნებას ვერ ვიღებ, ხან კი მუსიკის ოდნავ ზედმეტად აწეული ხმაც მაღიზიანებს.

**8. თქვენ თვლით, რომ თმა:**
*ა) ქალის სიამაყეა, რომელიც მუდამ დავარცხნილი და მოვლილი უნდა იყოს. ბ) თმა მიუთითებს ადამიანის შინაგან სამყაროზე, განსაზღვრავს პიროვნების ინდივიდუალურობას. გ) თმა უმნიშვნელო წვრილმანია, არ ღირს მასზე ყურადღების გამახვილება.*

**მედეა: ბ** თმას აუცილებლად სჭირდება ყურადღება. მათი გარეგნული მხარე აუცილებლად განსაზღვრავს ადამიანის შინაგან სამყაროს. შეიძლება თმა არ იყოს საპარიკმახეროში დავარცხნილი, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს სუფთა, ჯანმრთელი და მოვლილი.

**ლიკა: ა** ვთვლი, რომ თმა ქალის სიამაყეა, იგი მუდამ მოვლილი და დავარცხნილი უნდა იყოს. მეც ვცდილობ თმას კარგად მოვუარო. რადგანაც ხშირად მიწევს შეღებვა, ვხმარობ სპეციალურ ზეთებს, ბალზამებს, რათა თმამ დაიბრუნოს სინაზე და არ იყოს უხეში.

**9. ზაფხულის საღამოს, როდესაც ცოტათი აგრილდება, თქვენ ჩაიცვამთ:**
*ა) გრძელმკლავებიან საზაფხულო სვიტრს. ბ) ორ მოკლემკლავიან მაისურს. გ) თხელ ქურთუკს.*

**მედეა: ბ** სიგრილეს ძალიან კარგად ვიტან და ზაფხულის გრილ საღამოს არაფერს არ შემოვიცვამ. ამით ძალიან დიდ ყურადღებას ვიქცევ, ყველა მთხოვს, რომ რაიმე მოვიხურო, რათა არ შემცივდეს.

**ლიკა: ა** ამ ბოლო დროს ძალიან მცივანა გავხდი. შეიძლება ორი მაისური ჩავიცვა, ზემოდან გრძელმკლავებიანი სვიტრი შემოვიცვა. თუ კიდევ შემცივდება, ქურთუკზეც აღარ ვიტყვი უარს. არ მიყვარს სიცივე და ვცდილობ, არ მციოდეს.

**10. სამოგზაუროდ რომელ ტრანსპორტს ამოირჩევდით?**
*ა) მანქანას. ბ) თვითმფრინავს. გ) ველოსიპედს.*

**მედეა: ა** მოგზაურობა, თუნდაც შორ გზაზე, მანქანით მირჩევნია. ასე უფრო კარგად აღიქვამ გარემოს. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა ტრამვაით მგზავრობა. საერთოდ ნებისმიერი მგზავრობის წინ, იქნება თვითმფრინავით თუ მანქანით, რაღაც გაურკვეველი შიში და ფორიაქი მაქვს ხოლმე. გემში ჩაჯდომა კი ვერასოდეს გავრისკე.

**ლიკა: ბ** თუ არჩევანის წინაშე დამაყენებენ, ქალაქგარეთ მანქანით გავისეირნებდი, ისე კი შორ გზაზე თვითმფრინავი მირჩევნია. საერთოდ მოგზაურობა ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით ეგზოტიკურ ქვეყნებში. 16 წლის ვიყავი, როდესაც ირანში კინოფესტივალზე წავედით, ყველაზე ბედნიერად ეს მოგზაურობა მახსენდება.

**11. შეყვარებულთან დაკავშირებით ყველაზე ამაღელვებელი მომენტი იყო:**
*ა) პირველი კოცნა. ბ) ნაზი გამოხედვა, რომელმაც მიგახვედრათ, რომ ის „ის“ არის. გ) ხელის შეხება.*

**მედეა: გ** ყველა აუცილებელია, მაგრამ შეხება ძალიან დიდ რამეს ნიშნავს. პირველად შეხებისას საოცარი ნაპერწკალი ჩნდება. რაც შეეხება გამოხედვას, მე ასეთი რამ შემემთხვა — ვიყავი სტუდენტი, ვიჯექი ავტობუსში. უნივერსიტეტთან დავინახე სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი. ეს არ იყო უბრალო გამოხედვა. მე ის პიროვნება იმ მზერის გამო ქვეცნობიერად შემიყვარდა. საბოლოოდ ის ბიჭი ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. მე იგი სურათით ვიცანი. ასეთი ტრაგიკული მოგონება მაქვს გამოხედვასთან დაკავშირებით.

**ლიკა: ა** არასოდეს დამავიწყდება ჩემი მეუღლის ნაზი გამოხედვა, რომელმაც მიმახვედრა, რომ ის „ის“ არის, მერე იყო ხელის შეხება, მაგრამ ყველაზე ამაღელვებელი იყო პირველი კოცნა. შემიძლია გითხრათ, რომ გათხოვებამდე შეყვარებული არ მყოლია.

**12. ადამიანის გარეგნობაში ყველაზე მნიშვნელოვანია:**
*ა) სიმაღლე. ბ) აღნაგობა. გ) თვალები.*

**მედეა: გ** უპირატესობას ალბათ მაინც თვალებს მივანიჭებდი.

**ლიკა: გ** ჩემი აზრით, ადამიანის გარეგნობაში თვალები მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანია.

## ცხრილის მიხედვით შეაჯამეთ ქულები.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 6 | 2 | 10 | 2 | 10 | 2 | 6 | 6 | 2 | 2 | 10 | 2 |
| ბ | 10 | 10 | 6 | 10 | 2 | 10 | 10 | 10 | 10 | 6 | 6 | 6 |
| გ | 2 | 6 | 2 | 6 | 6 | 6 | 2 | 2 | 6 | 10 | 2 | 10 |

**ახლა უპასუხეთ კიდევ სამ შეკითხვას, რომლებიც კონკრეტულ პასუხებს: „ჰო“-ს ან „არა“-ს მოითხოვს. ყოველ დადებით პასუხზე დაიწერეთ ხუთი ქულა, უარყოფითზე — ნული.**

1. მინაზე მეტალის ფხაჭუნს გამოყავხართ მდგომარეობიდან? მედეა — 5 ლიკა — 0;
2. გიყვართ სეირნობა ზაფხულის თბილ, წვიმიან ამინდში? მედეა — 5 ლიკა — 0;
3. გიხარიათ კარგი ინფორმაციის მოსმენა? მედეა — 5 ლიკა — 5;

**თუ დააგროვეთ 52 ან ნაკლები ქულა:** *თქვენ ძალიან სერიოზული დამოკიდებულება გაქვთ ცხოვრებასთან. ამით უამრავ სიამოვნებას აკლებთ საკუთარ თავს. იმისათვის, რომ გაიზარდოს თქვენი ემოციურობის კოეფიციენტი, უფრო მეტი ყურადღება დაუთმეთ ბუნებას. ხანდახან მოუსმინეთ მუსიკას, იარეთ გამოფენებზე და, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში უარი არა თქვათ სიყვარულზე. შეძლებისდაგვარად ისიამოვნეთ და დატკბით ყვავილების სურნელით, უფრო ნაზად მოეპყარით გარშემომყოფებს და ძალიან მალე დარწმუნდებით, რომ ეს სამყარო არც ისე ცუდი ყოფილა, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა. მიხვდებით, რომ ირგვლივ უამრავი საინტერესო და ლამაზი სანახაობაა, და, რომ ადამიანებიც არ არიან ისეთი უხეშები, როგორც ეს ადრე გეჩვენებოდათ.*

**53-დან 81 ქულამდე:** *პირველმა სიყვარულმა თქვენს ფსიქიკაზე სერიოზული კვალი დატოვა. შესაძლებელია, რომ თქვენ ამას ვერც აცნობიერებდეთ, მაგრამ ის ჭრილობა დღემდე აისახება თქვენს ემოციურ მდგომარეობაზე, ნუ შეშინდებით, ამის გამოსწორება არც ისე რთულია. სწორედ ახლაა დრო დაივიწყოთ წარსული, იცხოვროთ აწმყოთი და იფიქროთ მომავალზე. მოერიეთ შიშს, ხშირად ჩაიხედეთ სარკეში და კომპლიმენტი უთხარით საკუთარ თავს. მიეცით მზის სხივებს თქვენი გათბობის საშუალება, ხოლო წუხილი ნიავს გაატანეთ და სულ ცოტა ხანში მიხვდებით, რომ თქვენი ცხოვრება საკმაოდ საინტერესოა.*

**82-დან 110 ქულამდე:** *თქვენ მშვენივრად იცით, როგორ „დაითრიოთ“ საუკეთესო ლუკმა ნებისმიერი სიტუაციიდან, მაგრამ ამას იმდენად ბუნებრივად აღწევთ, რომ გარშემომყოფებს პრეტენზია არ უჩნდებათ. ამასთანავე იმასაც ახერხებთ, რომ ცხოვრებისაგან ეს ყველაფერი ზედმეტი ხარჯების გარეშე მიიღოთ. მაგალითად, რომანტიკული საღამოსათვის შეიძლება იკმაროთ ზაფხულის თბილი ღამე, ხოლო სუფრა ლამაზი მინდვრის ყვავილებით დაამშვენოთ. მაგრამ ძალიან ღრმადაც ნუ შეტოპავთ, თორემ შეიძლება რეალურ მიზნებსა და ცხოვრებისეულ აუცილებლობებს ასცდეთ.*

**111 ქულა და მეტი:** *შეიძლება ითქვას, რომ თავს გრძნობთ, როგორც თევზი წყალში. ყველაფერი, რაც გარშემო გახვევიათ, სიამოვნებას განიჭებთ. მზად ხართ, სიყვარული და სითბო ყველას გაუნაწილოთ. ყოველგვარ წვრილმანს, იქნება ეს ალერსიანი მზის სხივები, აბრეშუმის ქსოვილი თუ სუნამოები, თქვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამგვარმა მგრძნობიარე ბუნებამ შეიძლება ბევრ ცხოვრებისეულ სიტუაციაში შეგიშალოთ ხელი, თქვენი წყენინება ძალიან ადვილია. მიაქციეთ ამას ყურადღება და არ აჰყვეთ ნერვებს.*

**მედეა ჩახავამ 99 ქულა დააგროვა, ლიკა ქავჟარაძემ — 81 ქულა.**

**ინგა სიჭინავა**




# ჩინგიზ-ყაენის სამარხი უამრავ საიდუმლოებას ახდის ფარდას!



## სავარაუდო ოქროს ურდო?

ბოლო დროს ერთობ საინტერესო ცნობები ვრცელდება მონღოლეთიდან — ქვეყნიდან, რომელიც ჩვენს ეპოქაში იშვიათად თუ იპყრობს ხოლმე საყოველთაო ყურადღებას. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო და მონღოლთა ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა აზიასა და ევროპას. ბოლოდროინდელი ცნობები ც მონღოლთა წარსულს ეხება. როგორც მონღოლი და ამერიკელი არქეოლოგები იუწყებიან, შესაძლოა უკვე მიაგნეს ადგილს, სადაც „ოქროს ურდოს“ სახელით ცნობილი მონღოლეთის იმპერიის დამაარსებელი და კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი ჩინგიზ-ყაენია დასაფლავებული. ეს ვარაუდი უაღრესად საინტერესო და საიმედო ისტორიულ ფაქტებსა და წყაროებზეა დაფუძნებული!

## მაგრამ სად?

1227 წელს, როცა ჩინგიზ-ყაენი გარდაიცვალა, მონღოლებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ მთელი ციმბირი, რუსეთი, ჩინეთი, შუა აზია, სპარსეთი და კავკასიისა და უკრაინის გავლით, აღმოსავლეთ ევროპაში აპირებდნენ შეჭრას. მათ კავკასიის მაშინდელი უმძლავრესი სახელმწიფო საქართველო 1235 წლამდე არ დაუპყრიათ, მიუხედავად იმისა, რომ 1220-1221 წლებში სამჯერ დალაშქრეს, ვოლგისპირეთში გადავიდნენ და იქიდან აპირებდნენ დასავლეთისკენ ლაშქრობის გაგრძელებას. ამის შესახებ 1227 წელს ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალების შესახებ ცნობებშიცაა მოცემული. ყაენის ვაჟიშვილებმა და სხვა მხედართმთავრებმა ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალებისთანავე შეწყვიტეს ლაშქრობა და უკან დაბრუნდნენ ახალი ყაენის საკურთხევლად და ცხადია, როცა მონღოლეთს ჩააღწიეს, ჩინგიზ-ყაენი უკვე დასაფლავებული დახვდათ, მაგრამ სად?

## იდუმალი სავანე

საფლავის მოძიებას ხელს უშლის წერილობითი წყაროების სიმწირე, თუმცა ყველაზე საიმედო წყაროდ რჩება მონღოლთა საიდუმლო ისტორია, რომლის თანახმად, ჩინგიზ-ყაენი დედაქალაქიდან ჩრდილოეთისკენ წაასვენეს. სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეებს გზად შემხვედრი არც ერთი სულიერი ცოცხალი არ დაუტოვებიათ. ჩინგიზ-ხანის დაკრძალვა 50 მეომარს დაევალა. დაკრძალვისთანავე ეს მესაფლავენი სხვა 50-მა მეომარმა დახოცა, შემდეგ კი ესენიც სხვებმა აჩეხეს. არქეოლოგთა თქმით, სწორედ იმ ადგილს, რომელსაც ახლა იკვლევენ, უხსოვარი დროიდან 100 მეომრის საფლავს უწოდებენ. ეს ადგილი მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 300 კმ-შია და მრავალი ასპექტით იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ჯერ ერთი, ახლოს მდებარეობს ჩინგი-ყაენის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პუნქტებთან და მეორეც: საქმე ეხება ბორცვს, რომელიც 3 მ სიმაღლის მძლავრი ქვითკირის კედლითაა გარშემორტყმული და ყველანაირად მიანიშნებს, რომ ერთი ან რამდენიმე დიდგვაროვნის სამარხი უნდა იყოს.

არის კიდევ ერთი საინტერესო გარემოება: ჩინგიზ-ყაენის მიერ ნაალაფარი ძვირფასეულობა და ხელოვნების ნიმუშები არსად გამოჩენილა მსოფლიოს რომელიმე მუზეუმში და მოსალოდნელია, ეს საარაკო რაოდენობის უძვირფასესი ნივთები ჩინგიზ-ყაენს საფლავში ჩააყოლეს.

მოკლედ, მსოფლიოს სამეცნიერო სამყარო მოუთმენლად ელის ამ ვარაუდების ფაქტებად ქცევას, რადგან ჩინგიზ-ყაენის სამარხის აღმოჩენა უდიდესი მოვლენა იქნება არა მარტო მონღოლებისთვის, არამედ მრავალი ქვეყნისა და ხალხისთვის, რამეთუ სამარხმა ამ ქვეყნებთან დაკავშირებულ უამრავ ინფორმაციასა და ექსპონატს უნდა მოჰფინოს ნათელი, ფარდა აეხდება შუა საუკუნეების არაერთ საიდუმლოს.

***დასავლეთის პრესის მიხედვით***

# კატაპულტები და ბალისტები



ლეგიონები ჩრდილოეთისკენ ფრთხილად მიიწევდნენ. მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, — წინ გალების კარგად გამაგრებული დასახლებააო. ჯარისკაცებმა მაშინვე დაიწყეს თავდასხმისათვის მზადება და რამდენიმე საათის შემდეგ მტრის სიმაგრეს დაუშინეს ქვები, მორები და შუბები.

ხის გიგანტური კონსტრუქციები ასობით მეტრის მანძილზე ისროდნენ უზარმაზარ ლოდებს, საწვავით სავსე კასრებს და შიშის ზარს სცემდნენ ალყაშემორტყმული ქალაქების მოსახლეობას. მოისარნი გულს უგმირავდნენ ჯარისკაცებს, ფილაკვნები ისროდნენ რკინით დასალტულ მორებს, ამას ემატებოდა კედლის სანგრევი მანქანები. ვინ იცის, კიდევ რა მექანიზმებით აღარ იყო აღჭურვილი რომაელთა არმია!

## კატაპულტა ჩვენ შორის

კატაპულტას იყენებდნენ შუა საუკუნეებამდე. ასე რომ, მძიმედ შეაბჯრულმა რაინდებმა საკუთარ თავზე იწვნიეს, რას ნიშნავდა უსულო მექანიზმების მიერ გამოტყორცნილი მძიმე მორი.

ძლიერი დარტყმის შედეგად აბჯარი იმსხვრეოდა და რაინდი საშინელი ტანჯვით კვდებოდა. კატაპულტას ტენიდნენ ქვის ბადროთი ან საწვავით სავსე ჭურჭლით.

საყურადღებოა, რომ კატაპულტა დღესაც გამოიყენება შეიარაღებაში. მაგალითად, თანამედროვე ამერიკულ ავიამზიდებზე თვითმფრინავები ჰაერში საგანგებო კატაპულტის მეშვეობით გაიტყორცნება. ავარიის დროს პილოტი თვითმფრინავს სწორედ მისი გამოყენებით ტოვებს. ამჟამად მუშაობენ კოსმოსური ხომალდებისთვის ელექტროკატაპულტების შესაქმნელად.

## სიკვდილის მომტანი ბალისტა

ძველი რომის არმიაში ყოველ ლეგიონს ჰქონდა სხვადასხვა კალიბრის ბალისტის ქვედანაყოფი. ისინი შეიძლება თანამედროვე ჰაუბიცას შევადაროთ.

ბალისტები შეუცვლელი იყო ციხესიმაგრის იერიშის დროს. ისინი საწვავით სავსე ჭურჭელს გადაისროდნენ მაღალი კედლების მიღმა და ქალაქში ხანძარი ჩნდებოდა.

## „კატიუშას“ წინაპარი

კატაპულტა მორებს ისროდა, მანქანა „სკორპიონი“ — გრძელტარა ისრებს და „დროტებს“ და წააგავდა ლეგენდარულ „კატიუშას“, რომელიც საარტილერიო მზადების დასაწყებად წერტილოვან დამანგრეველ დარტყმას აყენებდა მოწინააღმდეგის ციტადელს.

რომაელები ბრძოლისას ძირითადად სკორპიონს იყენებდნენ, ხოლო შუა საუკუნეებში უპირატესობას კატაპულტას ანიჭებდნენ.

***ვოტ ტაკ! №36***

# ცოცხალი ქალღმერთი



ეს პატარა გოგონა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ქალღმერთია. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ ესტუმროთ ნეპალის დედაქალაქ კატმანდუს, სადაც დგას სამსართულიანი სასახლე-ტაძარი კუმარი გჰარი — ცოცხალი ქალღმერთის კუმარის საცხოვრებელი.

თუ ბუდისტი არა ხართ, ტაძარში არ შეგიშვებენ, მაგრამ თუ რამდენიმე რუპიას შესწირავთ, მაშინ პატარა ეზოში მოხვდებით და ხმამაღლა უნდა თქვათ ნეპალურად: „ო, ჩემო ქალღმერთო!“ როგორც კი ამ მოწოდებას გაიგონებს, კუმარი სარკმლიდან გამოიხედავს, მაგრამ მისი ფოტოგრაფირება არ შეიძლება, ეს შესაძლებელია წელიწადში მხოლოდ ერთხელ, სექტემბერში, ინდრა ჯატრას დღესასწაულის დროს, როცა მორთულ-მოკაზმული ეტლით კუმარს ქალაქის ქუჩებში დაასეირნებენ.

...ნეპალში, ლეგენდის თანახმად, დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ღმერთები ადამიანებს შორის ცხოვრობდნენ, ერთი ქალღმერთი მეფესთან ხშირად მიდიოდა სასაუბროდ და გასართობად. მეფეს შეუყვარდა ქალღმერთი, თავს ვეღარ მოერია და მის საალერსოდ გაიწია. შეურაცხყოფილმა ქალღმერთმა ადამიანები მიატოვა, მაგრამ შემდეგ გული მოულბა, აპატია მეფეს ეს თავხედობა, თუმცა ამის შემდეგ მათ მხოლოდ პატარა, უმანკო გოგონას სახით ესაუბრებოდა. სწორედ ეს გოგონა გახლავთ კუმარი და ასეთად რჩება იმ დრომდე, სანამ მისი სხეულიდან ერთი წვეთი სისხლიც მაინც არ გამოვა. შეიძლება ეს იყოს უბრალო განაკაწრი, ანდა ბუნებრივი ფიზიოლოგიური პროცესი.. როგორც კი მოსახდენი მოხდება, კუმარი კარგავს ქალმერთის სტატუსს და ჩვეულებრივ მოკვდავ ქალიშვილად გადაიქცევა. მის ადგილს კი ახალი ქალღმერთი იკავებს.

შერჩევა ძალიან მკაცრია. გოგონა უნდა იყოს 2-5 წლისა, აუცილებლად შაკის ნაკარის კლანის წამომადგენელი, სავსებით ჯანმრთელი, უხინჯო, მუქთვალებიანი, შავთმიანი და ლამაზ კბილებჩაწიკწიკებული.

მომავალმა ქალღმერთმა მძიმე გამოცდას უნდა გაუძლოს. მას რამდენიმე დღით კეტავენ ბნელ ოთახში, სადაც დგას საშინელ ურჩხულთა ქანდაკებები, ისმის საზარელი ხმები, რამდენიმე დღის შემდეგ კი შემოცვივდებიან ნიღბოსნები და იწყებენ როკვას.

ასეთ მდგომარეობას ასაკოვანი მამაკაცებიც კი ვერ უძლებენ, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე გოგონა, რომელიც იმარჯვებს, მას კუმარად ირჩევენ და მთელი ნეპალის სამეფოს მფარველი ხდება.

მასთან განუწყვეტლივ მოედინებიან მომლოცველები, ეთაყვანებიან უბრალო ადამიანებიც და მეფეც თავისი გარემოცვით.

კუმარს უსიხარულო ბავშვობა აქვს. ის სასახლეში ცხოვრობს. მასთან ხანდახან კი მოდიან თანატოლები, მაგრამ მხოლოდ უწყინარი სათამაშოებით ერთობიან. გოგონა თითქმის ყოველთვის სევდიანია. კუმარის მშობლები არანაირი უპირატესობით არ სარგებლობენ.

ადრე თუ გვიან კუმარი ოჯახში ბრუნდება და მას საკმაოდ პროზაული ამოცანის გადაჭრა უწევს — გათხოვება. ეს კი საკმაოდ რთულია, რადგან ხალხში არსებული რწმენის თანახმად, ის, ვინც კუმარს შეირთავს ცოლად, მალე მოკვდება. ამიტომ ყოფილ ქალღმერთთა უმეტესობა გაუთხოვარი რჩება.

***ვერსია №38***

# ალექსანდრ ლუკაშენკოს ძალიან უყვარს ქალები



ამბობენ, რომ ბელორუსის თავკაცის სიფიცხის ერთ-ერთი მიზეზი ბოშური სისხლიც არისო. მისი ცოლი წუწუნებდა თურმე, იმდენად ჭირვეულია, რომ დიდხანს არსად აჩერებენო და ამიტომაც თქვა უარი სოფლიდან მინსკში გადასვლაზე, როცა ახალგაზრდა ლუკაშენკო დედაქალაქში გადაიყვანეს სამუშაოდ.

თუმცა ალექსანდრ ლუკაშენკომ მშვენივრად იცის, როდის და სად იჭირვეულოს. ვიდრე ელცინი — ელცინობდა, ლუკაშენკო სულ ეფიცებოდა, — ჩემი უფროსი ძმა ხარო და გაუთავებლად ეხვეოდა. როგორც კი „ბატკამ“ იგრძნო, რომ რუსეთის „ლომს“ კლანჭები დააცვდა, მის ოპონენტებთან დაიწყო ცუნცული. ვლადიმირ პუტინთან, ჯერჯერობით, თავშეკავებულად იქცევა, „თქვენობით“ მიმართავს, თუმცა ერთი სული აქვს, ძმაბიჭურად მოუთათუნოს მხარზე ხელი. შიგადაშიგ, რუსეთის მთავრობას ვითომ ლანძღავს კიდეც — ხელს უშლიან რუსეთ-ბელორუსის კავშირის შექმნასო. მაგრამ მერე ვითომც არაფერი, ჩადის მოსკოვში და აცხადებს — თქვენს იქით გზა არა მაქვსო. გავა ერთი კვირა და წამოაყრანტალებს — თაღლითებთან, მათ შორის რუსეთთან, რა საქმე მაქვსო. ალექსანდრ გრიგორიევიჩი სულ იმის მცდელობაშია, როგორ დასცინცლოს ფული მოსკოვს ბელორუსის ეკონომიკისათვის, მაგრამ რესპუბლიკაში რუსული ბიზნესის შეშვება არ სურს. რუსეთი თვალს ხუჭავს მის უცნაურობებზე, რადგან ასეა თუ ისე, ლუკაშენკო მაინც რუსეთისკენ იწევს.

ვინც რა უნდა თქვას, ბელორუსებს უყვართ თავიანთი „ბატკა“, განსაკუთრებით, ქალებს. პრეზიდენტს ცოლი სადღაც სოფელში ჰყავს „გადამალული“, ქორწინების ბეჭედიც კი არ უკეთია. ამბობენ, ცოლს შეუთვალა — გავიყაროთო, მაგრამ უარი მიიღო. მის სასიყვარულო თავგადასავლებზე ხომ გაუთავებლად ჭორაობენ — ლამაზ ქალს გულგრილად ვერ ჩაუვლისო. თუმცა ეს ყველაფერი ლუკაშენკოს პოპულარობას მატებს.

დასავლეთი მაინცდამაინც არ წყალობს ბელორუსის პრეზიდენტს და რუსეთი ცხრაპირ ტყავში ძვრება, რომ როგორმე შეარბილოს ევროსაბჭოს დამოკიდებულება ბელორუსის მიმართ.

***არგუმენტი ი ფაქტი №1***

# როგორ გაჩნდა შამპანურის ბოკალი



ლეგენდის თანახმად, შამპანურის კლასიკური ბოკალი, რომელიც ბევრს სანაყინე ლარნაკი ჰგონია, შექმნილია საფრანგეთის დედოფლის მარია-ანტუანეტას მკერდის ფორმის მიხედვით.

ეს ქალბატონი საფრანგეთში XVIII საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა. მან მიატოვა სამშობლო და მამა, ავსტრიის იმპერატორი ფრანცი, რათა ცოლად გაჰყოლოდა ლუდოვიკო XV-ს. მარია-ანტუანეტა მშვიდი ხასიათით არ გამოირჩეოდა და სამეფო კარის ტრადიციების თანახმად, ინტრიგებს ხლართავდა, არც მიჯნურებს იკლებდა. იგი განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდა საფრანგეთის რევოლუციის დაწყების შემდეგ. სწორედ მარია-ანტუანეტა გახდა კონტრრევოლუციური შეთქმულებისა და ინტერვენციის სულისჩამდგმელი, რის გამოც საკადრისი მიეზღო. 1793 წელს 38 წლის დედოფალმა სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა.

ჩვენამდე მოაღწია მარია-ანტუანეტას ცხოვრების არაერთმა ფაქტმა. ზუსტადაა ცნობილი, რომ მარია გასართობად საარაკო თანხებს ხარჯავდა, საფრანგეთის ბიუჯეტს წყალი შეუყენა, რის გამოც მას „ქალბატონი დეფიციტი“ შეარქვეს. ხოლო მინისტრებმა — ტრიუგომ და ნეკერმა, რომლებმაც მოინდომეს ანცი დედოფლის შეჩერება და ფინანსური რეფორმების გატარება, კინაღამ ადგილები და თავები დაკარგეს.

სამაგიეროდ, დედოფლის შემწეობით ქვეყანაში აღორძინდა მეღვინეობა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა შედარებით ახალი ცქრიალა ღვინო — შამპანური, რომელიც ლხინში მდინარესავით მოედინებოდა.

ერთ-ერთი ასეთი თავშეუკავებელი ლხინის შემდეგ ვილაცამ მოისაზრა — შეექმნათ შამპანურისათვის საგანგებო სასმისი. ახალი სასმისის საფუძვლად გამოიყენეს დედოფლის მკერდი, რომლისგანაც ზედმიწევნით ზუსტი ასლი გადაიღეს და ნატიფი ფეხიც დაუმატეს.

იმ დღიდან შამპანურის სმა ახალი, ორიგინალური სასმისით დაიწყეს.

***ლიზა №3***

# სანელებელი – ბუნების საოცრება

**ჯერ კიდევ 5 ათას წელზე მეტი ხნის წინ ინდოეთში საჭმლის გემოს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მიაჩნდათ, რომ გემოს შეგრძნებით ტვინი იღებდა „ენერგიას“, რომელიც ზემოქმედებდა ადამიანის ინტელექტუალურ და ემოციურ მდგომარეობაზე. ძველად 150-ზე მეტი სახეობის სანელებლის მეშვეობით შეეძლოთ ემოქმედათ ადამიანის გრძნობებსა და ხასიათზე, მის გუნება-განწყობილებაზე, განეკურნათ სნეულებებისგან.**

**მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლური სურნელოვანი მცენარეები ყოველთვის ძვირი ღირდა, მათ მაინც დაიპყრეს მსოფლიო. ვერ მოძებნით დედამიწაზე ეროვნულ სამზარეულოს, სადაც არ იყენებდნენ წიწაკას, დაფნას, მიხაკს, დარიჩინსა და ა.შ. გარდა იმისა, რომ სანელებლები საჭმელს კარგ გემოს აძლევს, მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, რომელთაც ანტიოქსიდანტური და ანტიმიკრობული თვისებები ახასიათებთ.**




**კოჭა (ჯანჯაფილი, იმბირი)** უძველესი დროიდან ითვლებოდა შავი ჭირისაგან დამცველ საშუალებად, მას იყენებდნენ მუცლის ტკივილის, კუჭის აშლილობისა და პირღებინების დროს. კოჭა ააქტიურებს საჭმლის მონელებას, აუმჯობესებს ნაღვლის გამოყოფას და გულის მუშაობას, ხსნის ნაწლავების სპაზმებს. აფართოებს სისხლძარღვებს, ამცირებს სისხლის შედედებასა და ქოლესტერინს. მისი ფესვებით დამზადებული პრეპარატები გამოიყენება სახსრების დაავადებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების დროს, როგორც ანთებსაწინააღმდეგო საშუალება.

**მიხაკი** შეიცავს დიდი რაოდენობით ანტისეპტიკური თვისების მქონე ნივთიერებას ევგენოლს, რომელიც გამოიყენება სველი ხველებისა და ასთმის დროს. გამხმარი მიხაკის კოკრები, ისე როგორც სხვა სანელებლები, ზემოქმედებს საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე და აქვს ანტისეპტიკური თვისებები. აუმჯობესებს მხედველობასა და ტვინის მუშაობას. მიხაკის ეთეროვან ზეთს იყენებენ სტომატოლოგიაში ღრძილების სამკურნალოდ და კბილის ტკივილის გასაყუჩებლად.

**კვლიავი** იცავს ორგანიზმს ბაქტერიებისაგან. ამ თვისებას აძლევს მასში შემავალი ფენოლი (ორგანული ნაერთი). ოდითგანვე კვლიავის ნახარში გამოიყენებოდა სასუნთქი გზების დაავადებისას, როგორც ამოსახველებელი, ანთებსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. იგი ათხელებს ლორწოს და აუმჯობესებს სუნთქვას, ხოცავს ბაქტერიებს.

ნაყენი: 15 გ კვლიავს (1ს/კ) დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, 10 წუთი გააჩერეთ და გაწურეთ. მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 3-ჯერ დღეში.

**როზმარინის** ნაყენს იყენებენ ხახისა და პირის ღრუს ანთების დროს — გამოსავლებად. როზმარინის ეთეროვან ზეთს კი — რევმატიზმისა და რადიკულიტის დროს — დასაზელად.

**სალბის** ნაყენი ან ნახარში გამოიყენება ყელის ტკივილის დროს — გამოსავლებად. ასევე კარგად მოქმედებს მუცლის ტკივილისა და მეტეორიზმის დროს, აძლიერებს მადას.

**მწარე წიწაკა** არა მარტო აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, არამედ ამარცხებს ტიპურ სეზონურ დაავადებას — ბრონქიტს.

ნივთიერება კაპსაცინი, რომელსაც შეიცავს მწარე წიწაკა, აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონესა და მაღალ წნევას. ახასიათებს ტკივილგამაყუჩებელი თვისება (რევმატიზმის, რადიკულიტისა და ნევრალგიის დროს).

**დარიჩინის** გამხმარი ქერქი აძლიერებს მადას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას.

**ილს** ანტიკური ხანიდან იყენებენ საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, შაკიკისა და თირკმლების ტკივილის დროს, ხველების საწინააღმდეგოდ.

დღესაც ეს სანელებელი გამოიყენება ასთმისა და თავის ტკივილის დროს, მადის გასაუმჯობესებლად.

***ლიზა №1***

# მუცლის ტკივილის ბუნება და მექანიზმი



ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც ერთხელ მაინც არ ასტკივებია მუცელი. ჩვენს შინაგან ორგანოებში ძალიან ბევრი ტკივილის შემგრძნობი რეცეპტორია, სწორედ მათი გაღიზიანება იწვევს თავის ტვინის ცენტრში მტკივნეულ იმპულსებს. ზოგჯერ მუცლის ტკივილი ნიღბავს სხვადასხვა ფსიქოგენურ დაავადებას, რომლის დროსაც მცირდება საკუთარი ნეირომედიატორების გამომუშავება, რომელთაც გაუტკივარების ეფექტი ახასიათებს. მაგრამ ხშირად მუცელში ტკივილს იწვევს საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადება (კუჭის წყლული, ნაწლავის ჩაჭედვა, სისხლის მიმოქცევის დარღვევა და ა.შ.). თუმცა, ხშირად ტკივილის სინდრომი ვითარდება კუჭ-ნაწლავის მოტორული ფუნქციის დარღვევისას, რაც დაკავშირებულია ტკივილის გადამცემი რეცეპტორების ანატომიურ განლაგებასთან. ტკივილის რეცეპტორები ლოკალიზებულია საყლაპავ მილში, კუჭში, ნაწლავებში, ნაღვლისა და პანკრეასის სადინარებში, ანუ ღრუ სადინარებში, კუნთოვანი გარსის კედლებში, ღვიძლში, თირკმელსა და ელენთაშიც კი. ამიტომაც, ხშირად მუცლის ღრუს ორგანოები არ რეაგირებს გამღიზიანებელზე, რომელიც იწვევს ტკივილს კანზე. იმ დროს, როდესაც შინაგანი ორგანოების კაფსულების ან კედლების დაჭიმულობას და მათი კუნთოვანი ფენის მეტისმეტ შეკუმშვას თან სდევს ძლიერი ტკივილის იმპულსები, რომელთა გამომწვევიც არის მეტეორიზმი, დიარეა (კუჭის აშლილობა), ყაბზობა, შეიძლება მივიღოთ ისეთი ენტეროსორბენტები, რომლებიც შეამცირებს გაზების დაგროვებას, მაგალითად, აქტივიზებული ნახშირი.

საყლაპავი მილის, ნაღვლისა და პანკრეატიტის სადინარების ტკივილისას კი ანატომიური სფინქტერები — რგოლისებრი კუნთები — იკუმშება და ამით კეტავს ან ავიწროებს რომელიმე ორგანოს გასასვლელს და იწვევს ძლიერ ტკივილს. ამ დროს რეკომენდებულია ნოშ-პა, სპაზმოლი, დროტავერინი, მეტეოსპაზმილი, სპაზმომენი და სხვ. თუმცა, აქვე გაფრთხილებთ, რომ აღნიშნული პრეპარატები დიდხანს არ უნდა მიიღოთ, რადგან ისინი მოქმედებენ პრაქტიკულად მთელ გლუვ კუნთებზე და შეუძლიათ გამოიწვიონ სხვა ორგანოების დაავადებანი.

***ლიზა №1***

## ტესტი

# უძილობისას რა ნიშნების მიხედვით უნდა მივმართოთ ექიმს?

1. ხშირად გიძნელდებათ დაძინება?
2. ხშირად იღვიძებთ დილით იმ დროს, როდესაც კიდევ შეიძლება გეძინოთ?
3. ღამით თუ გეღვიძებათ, გიძნელდებათ ჩაძინება?
4. დილით, გაღვიძებისას, ხშირად გრძნობთ დაღლილობასა და გამოუძინებლობას?
5. ღამის ცუდი ძილი მოქმედებს თუ არა დღისით თქვენს გუნება-განწყობილებაზე (გაღიზიანებული, დაძაბული, დათრგუნვილი ან დეპრესიაში ხართ)?
6. ღამის ცუდი ძილი ახდენს თუ არა ზემოქმედებას დღის განმავლობაში თქვენს შრომისუნარიანობაზე (ამჩნევთ თუ არა მეხსიერების, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითებას)?

**თუ უპასუხეთ „დიახ“ 2 ან მეტ შეკითხვას, ან მხოლოდ მესამე შეკითხვას, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს.**

# რატომ გვაწუხებს ვენები?



საღამოობით გრძნობთ, როგორ გიყუჟით (საბას ლექსიკონით, ჩუმ ტკივილს ჰქვია) ფეხები, შემდეგ ჩნდება კაპილარული ვარსკვლავები, ვენები იბერება და გარედან ეკიდება კანზე. ეს არის ვარიკოზი...

ბევრ ადამიანს დაბადებიდან ვენების სარქვლების სიმცირე აწუხებს. ეს სარქვლები განაგებენ სისხლის მოძრაობასა და ვენების შიდაწნევას. ამას მოჰყვება სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ვენის კედლების გაგანიერება და თავად ვენების შეცვლა.

ეს დაავადება უფრო უვითარდებათ მათ, ვისაც უმეტესად უწევთ ფეხზე ტრიალი ან ჯდომა, კერძოდ, გამყიდველებს და კომპიუტერის ოპერატორებს. იგი ნაკლებად აწუხებთ მამაკაცებს. მიზეზი რამდენიმეა. ბოლო გამოკვლევების თანახმად, დადგინდა, რომ ვენების მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები და ძალზე პოპულარული ჰორმონშემცველი თერაპია კლიმაქსის პერიოდში. ასევე ვარიკოზული დაავადების რისკი იზრდება ფეხმძიმობის დროს. ნაყოფის ზრდის პერიოდში ირღვევა ვენებში სისხლის მოძრაობა. ამიტომ მომავალმა დედებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ფეხმძიმობის ბოლო თვეებში, როცა ნაყოფი უკვე დიდია, აუცილებლად ატარონ ანტივარიკოზული კოლგოტები ან მაღალყელიანი წინდები.

## ვარჯიში ვარიკოზის დროს

1. დაჭიმეთ და მოადუნეთ თეძოების კუნთები, ამ დროს მოღუნეთ და გაშალეთ ფეხები მუხლებში (5-ჯერ);
2. ღრმად ჩაისუნთქეთ, გამობერეთ მუცელი, ამოისუნთქეთ (3-4-ჯერ);
3. ნელა ასწიეთ ხელები ზემოთ — ჩასუნთქვა, ჩამოსწიეთ — ამოსუნთქვა (3-4-ჯერ);
4. მოღუნეთ და გაშალეთ ფეხის თითები (10-ჯერ, ნელა);
5. მოიკალათეთ სკამზე. ფეხი ფეხზე გადაიდეთ და გააკეთეთ წრიული მოძრაობა მოდუნებული ტერფით ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ (გაიმეორეთ 10-12-ჯერ თითოეული ფეხით).

## როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელი ვენები

1. ცურვა — ვარიკოზის საუკეთესო პროფილაქტიკაა;
2. ფეხების დაღლილობა წყლის პროცედურებით მოიხსენით. 38-40$^{0}$-იან წყალში გახსენით ზღვის მარილი და ფეხები შიგ გააჩერეთ 5-10 წუთი.
3. ძალიან კარგია გვირილის, სალბის, ფარსმანდუკის აბაზანები;
4. აუცილებლად გაიკეთეთ კონტრასტული შხაპი (ფეხებისათვის);
5. მიირთვით მეტი მწვანე ხახვი, ჭარხალი, საქონლის ღვიძლი, ზეითუნის ზეთი. ერთი სიტყვით, E ვიტამინის შემცველი პროდუქტები, რომელიც ვენებს ელასტიკურობას ჰმატებს, აგრეთვე, A ვიტამინის შემცველი პროდუქტები და, რა თქმა უნდა, C ვიტამინი.

***მედიცინა №1***

# შეკითხვა ექიმს



**ჩემს ქმარს, რომელიც ჯერ ისევ ახალგაზრდაა, ჰქონდა რადიკულიტის შეტევა, რომელმაც ორ კვირაში გაუარა. არის თუ არა საშიშროება, რომ შეტევა ისევ განმეორდეს და როგორ დავიცვათ თავი, რომ დაავადებამ ქრონიკული სახე მიიღოს?**

***მაია ხახვიაშვილი***

მამაკაცებს გაცილებით უფრო ხშირად აწუხებთ ზურგში ტკივილი, ვიდრე ქალებს. მაგრამ ქალბატონებიც არ არიან დაზღვეულნი მსგავსი მდგომარეობისაგან. არსებობს უამრავი მიზეზი, რომელიც შეიძლება იწვევდეს ტკივილს ზურგის ქვედა ნაწილში და მათ შორისაა: ოსტეოქონდროზი, სპონდილოზი (ხერხემლის სახსრების უმოძრაობა) და სპონდილოპათია (ხერხემლის არაანთებითი დაავადება).

ის, რომ ტკივილმა ორ კვირაში გაიარა, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ დაავადება ქრონიკული არ გახდება. უნდა ისწავლო სწორი ჯდომა და ძილი. დასაჯდომად უმჯობესია სავარძელი მაღალი საზურგით, რათა შესაძლებელი იყოს პერიოდულად ხერხემლისა და ზურგის კუნთების განტვირთვა და მოდუნება. თუ ხანგრძლივი ჯდომის შემდეგ გიჭირთ ადგომა, მაშინ ყოველ საათში ერთხელ 10-15 წუთით უნდა დადგეთ კედელთან ზურგით და მიეყრდნოთ მას კეფით, ბეჭებით, კუდუსუნით და ქუსლებით.

არასოდეს დაიხაროთ სწრაფად — ეს მოძრაობა მხოლოდ ნელ-ნელა შეასრულეთ. უნდა გეძინოთ მაგარ საწოლზე, თუმცა ამის გაკეთება ბავშვობიდანაა უკეთესი.

**ვარ ძალიან მსუქანი და თანაც უნებისყოფო ადამიანი. მეგობრები მირჩევენ, რომ გავიკეთო პლასტიკური ოპერაცია (ლიპოსაქცია). მათი თქმით, ასე შემიძლია 20 და მეტი კილოგრამის დაკლება. სიმართლეა თუ არა ეს?**

***ნათია ბ.***

მცდარი აზრია ის, რომ ლიპოსაქცია გახდომის ერთ-ერთი მეთოდია. ლიპოსაქციის მეშვეობით შეუძლებელია ზედმეტი წონის მოშორება და მით უმეტეს, სიმსუქნისაგან განკურნება, რადგან ეს ოპერაცია უპირველეს ყოვლისა მიმართულია ფიგურის კოსმეტიკური კორექტირებისაკენ. ცხიმი 3-4-ჯერ მსუბუქია წყალზე. ამიტომ 10 ლიტრი ცხიმის ამოღებისას, ადამიანი 3 კგ-ს დაიკლებს.

გარდა ამისა, სიმსუქნე ორგანიზმის ზოგადი დაავადებაა, რომელიც ნივთიერებათა ცვლის დარღვევით მიმდინარეობს და ცხიმის მექანიკური მოშორება იქნებოდა მხოლოდ შედეგთან ბრძოლა, ხოლო მიზეზი კვლავ იარსებებს და სულ მცირე ხანში შედეგი ისევ განმეორდება.

**სასარგებლოა თუ არა გასტრიტის დროს სამკურნალო შიმშილობა?**

***თინა მგალობლიშვილი, თბილისი***

გასტროენტეროლოგები (კუჭ-ნაწლავის სპეციალისტები), როგორც წესი, არ არიან შიმშილის მომხრე. დასაშვებია მხოლოდ განტვირთვის დღეები. საჭმლის მონელების ფიზიოლოგია ისეთია, რომ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ყველა ორგანო გარკვეულ რიტმში მუშაობს. რისთვისაა საჭირო ნაღვლის ბუშტში დაგროვილი ნაღველი? რა თქმა უნდა საჭმლის მოსანელებლად. როცა ადამიანი ხანგრძლივად შიმშილობს, მისი ნაღვლის ბუშტი ივსება ნაღვლით. დღე-ღამეში გროვდება 1,5 ლიტრამდე ნაღველი. ალბათ გასაგებია, რომ ადრე თუ გვიან ნაღველი სადღაც უნდა გადმოვიდეს ან რამედ უნდა გარდაიქმნას. თუ ნაღველი არ მონაწილეობს საჭმლის მონელებაში, მაშინ იწყება სხვა პროცესი — კენჭების წარმოქმნა. გასტროენტეროლოგიაში შიმშილობა გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მწვავე პანკრეატიტის (კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება) დროს და ისიც 1-2 დღით. ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში ავადმყოფისათვის უმჯობესია ხშირი, რაციონალური კვება, მცირე ულუფებით.

***თამარ მამაცაშვილი***

# კრიალოსანი შველის ნევროზს...



ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეამჩნიეს ესკულაპებმა, რომ კრიალოსნის დამარცვლა კურნავს ნევროზს, შველის უძილობასა და სტრესს. მართალია, ძველად კრიალოსანი ითვლებოდა მხოლოდ რელიგიური კულტის ატრიბუტად — ითვლიდნენ ლოცვებს, მაგრამ ამ უვნებელი კოჭების პოპულარობა რელიგიური და მაღალი წრის ადამიანთა შორის მხოლოდ ამით არ აიხსნებოდა. ადრევე შემჩნეული იყო, რომ კრიალოსანი პატრონზე გასაოცარ ზეგავლენას ახდენდა — ეხმარებოდა ყურადღების მოკრებაში, მობილიზებაში, ნერვული სისტემის დამშვიდებაში.

— აქ არაფერი სასწაული არ ხდება, — გვიხსნიან რეფლექსოთერაპევტები, — უძველესი დროიდანვე კრიალოსნის მარცვლების დასამზადებლად იყენებდნენ: ქარვას, ძვალს, გიშერს, რქას, ძვირფასი ჯიშის ხესა და ძვირფას ქვებს. სანდალოზის, კიპარისის ან მალაქიტის კოჭების ენერგია თითების კანის მეშვეობით აღწევს ორგანიზმში და ამდიდრებს მიკროელემენტებით — ფიტონციდების, ბიოლოგიურად აქტიური ზეთებისა და მეტალების შემცველობის ანგარიშზე.

კრიალოსანთან შეხებისას ხელის თითები ელექტროვდება, საიდანაც ჩვენი სხეული იღებს სუსტ ელექტრონულ მუხტს.

ასე ვიტარებთ რეფლექსოთერაპიას.

***ტრუდ-7 №216***

# გამოიგონეს ხელოვნური თვალი...



ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორის მაკოტო ასაშიმას ხელმძღვანელობით მკვლევართა ერთმა ჯგუფმა დიდი შრომის შედეგად შეძლო შეექმნა ბაყაყის თვალის კაკლები — თვით მისი ჩანასახის უჯრედიდან. მიღებული ორგანოები შესანიშნავად შეესისხლხორცა ბაყაყების ემბრიონებს. პროფესორი ასაშიმა ვარაუდობს, რომ ეს ცდები მომავალში დაეხმარება მედიკოსებს, მხედველობა აღუდგინონ ადამიანებს.

*ლიზა №1*

# უცნაური საკვები

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არცთუ იშვიათად იყენებენ თიხას საკვებად. ძირძველი ციმბირელები სიამოვნებით მიირთმევდნენ კაოლინისა და რძისგან დამზადებულ ფაფას — კაოლინი ეწოდა თიხას, ჩინეთის პროვინციის კაოლინის მიხედვით, სადაც იგი აღმოაჩინეს და დაადგინეს მისი სამკურნალო თვისებები.

*ოტდოხნი! №1*

# ჯანაექიმი გვიჩრევს...

**უძილობის დროს:** თანაბარი პროპორციის ხორბლისა და ჭვავის პური წვრილად დააქუცმაცეთ, დაამატეთ რამდენიმე კოვზი მჟავე კიტრის წვენი, ნახევარი მჟავე კიტრი და 1 ს/კ მჟავე რძე. კარგად აურიეთ და ეს ფაფა დაიდეთ შუბლზე (დილა-საღამოს), 10-15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

**ანგინის დროს:** მდუღარე რძეში ჩადეთ თეთრი პურის პატარა ნაჭერი, როდესაც პური გაიჟღინთება რძით, ამოიღეთ, გააგრილეთ ოთახის ტემპერატურაზე და შეჭამეთ. გაიმეორეთ 3-ჯერ დღეში.

**კუჭის ტკივილის დროს:** შეწვით თეთრი პურის პატარა ნაჭერი 1 ჩ/კ კარაქში. გააციეთ და ნახევარი საათით ჩადეთ წყლიან ჭიქაში. ნაყენი დალიეთ 3-4-ჯერ დღეში.

**კანის ანთების დროს:** ხორბლის პური დააქუცმაცეთ, შეურიეთ წყალს, დაუმატეთ თაფლი მანამდე, სანამ არ მიიღებთ ფაფისებურ მასას. ნარევი დაიდეთ მტკივან ადგილზე 15-20 წუთით 3-4-ჯერ დღეში.

**ასთენიისა და დეპრესიის დროს:** 2 ჩ/კ მარილი გახსენით 1 ლ წყალში და დილაობით დაიზილეთ ტანი.

**გაციების დროს:** კარგად გააცხელეთ მარილი ტაფაზე, ჩაყარეთ ბამბის პატარა პარკებში და დაიმაგრეთ ფეხებზე. ზევიდან ჩაიცვით შალის წინდები.

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.



სისხლში შაქრის საზომი აპარატები
კომპლექტი 95ლ
ავტომატური საჩხვლეტი
50 ც. ნემსით 14ლ
შპს „კონტრასტი", ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55



ჰომეოპათიური მკურნალობა
ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი
თორნიკე ალაშვილი
აწარმოებს მიღებას
წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)
ალ. ჭავჭავაძის ქ.№2
№13 პოლიკლინიკა
სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65

ისრაელ-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი"
გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა
☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.



ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.
მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე აღმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# ფურუნკული უმიზეზოდ არ ჩნდება



ფურუნკულოზი — კანის ჩირქოვანი დაავადებაა. გამომწვევი არის ე.წ. კოკური ინფექცია — სტრეპტოკოკები, სტაფილოკოკები, რომლებიც ყველგან გვხვდება: ჰაერში, კანზე, საგნებზე და ა.შ.

ფურუნკულის ფორმირების რამდენიმე სტადია არსებობს. დასაწყისში, ინფექციის შეჭრის ადგილას, ვითარდება ე.წ. პირველადი ანთება. ამ დროს მიკრობების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთვება ორგანიზმის დამცველობითი სისტემა — კერძოდ, ლეიკოციტები და ლიმფოციტები. კანზე მოწითალო ფერის ლაქა ჩნდება, რომელიც თანდათან მკვრივდება და შუპდება, ჩნდება ტკივილის შეგრძნება. შემდეგ ვითარდება ადგილობრივად ტემპერატურის მატება. ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთვება ნეიტროფილები, უჯრედები, რომელიც ნთქავს დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს. ცოცხალი და დახოცილი უჯრედების გროვა, კოკებთან ერთად, წარმოქმნის ჩირქს. იწყება ნახეთქის ფორმირება. ანთების კერა შემაერთებელქსოვილოვანი კაფსულით შემოიფარგლება, რომელიც ჩირქს არ აძლევს საშუალებას უფრო ღრმად და ფართო ზედაპირზე გავრცელდეს. მაგრამ ფურუნკულის შიგთავსი თანდათან მაინც აწვება კაფსულას და ხდება ჩირქოვანი ღრუს გაფართოება. ფურუნკული დიდდება, კანის ზედაპირიდან ზემოთ იწევს, რომლის შუაში ნათლად ჩანს თეთრი თავი. ჩირქი თანდათანობით არღვევს ქსოვილებს, ჩნდება სივრცე, ხვრელი და ჩირქი გარეთ გამოდის. ეს მდგომარეობიდან გამოსვლის იდეალური საშუალებაა. მაგრამ ფურუნკული შესაძლოა სიღრმეშიც გავრცელდეს და სიგანეშიც. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია მისი მკურნალობა.

ფურუნკულის განვითარების საწყის ეტაპზე ის შესაძლოა გაიწოვოს. არსებობს გამოცდილი და ეფექტური მეთოდები — ფიზიოთერაპია (მაგნიტურ-ლაზერული, UVC). ექიმი ასევე გირჩევთ, შეწითლებული ადგილი ანტისეპტიკით დაიმუშაოთ — ბრილიანტის მწვანით, ფუკორცინით, ანტიბიოტიკის რომელიმე მალამოთი, პოლივიტამინების რომელიმე კომპლექსით, თუ ანტიბიოტიკით. თუკი ხდება ნახეთქის ფორმირება, ამ სტადიაში უკვე ასეთი მკურნალობა არაეფექტურია და საჭიროა სხვა მეთოდი. როგორც კი ჩნდება ჩირქი, ფურუნკული უნდა გაიხსნას, სადაც კონსერვატიული, არაქირურგიული მკურნალობა არ სჭრის, საჭირო ხდება სკალპელით მოქმედება.

თუკი ჩირქგროვა არ გაიხსნება, ჩნდება ანთებითი პროცესის გავრცელების საშიშროება — პათოლოგიურმა პროცესმა შესაძლოა გვერდითი ქსოვილები ჩაითრიოს. ფურუნკული შესაძლოა გადაიზარდოს ფლეგმონაში, რომელიც ძალიან საშიშია და მკურნალობასაც ძნელად ემორჩილება.

ფურუნკულოზის ხშირი შემთხვევებია — საოფლე ჯირკვლების ანთების სახით — ჰიდრადენიტი. მისი მკურნალობა მხოლოდ ქირურგიულია. დაავადებისადმი უყურადღებობამ შესაძლოა ქრონიკული პროცესის ფორმირებას (სეფსისი) შეუწყოს ხელი, რომლის პროგნოზი ძალიან სერიოზულია.

ქრონიკული პროცესის დროს, ორგანიზმის იმუნური ძალები დაქვეითებულია და საჭიროა ბაქტერიოლოგიური დათესვა ფურუნკულის შიგთავსისა, რათა გაირკვეს, კერძოდ რომელი ინფექციაა დაავადების გამომწვევი. ჩირქოვანი ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტურია ფტორქინალონების ჯგუფის ანტიბიოტიკები.

არ შეიძლება: 1. თვითნებურად ანტიბიოტიკების მიღება. მათი გამოყენების შემდეგ ბაქტერიოლოგიური დათესვა არაინფორმაციული იქნება და ვერ დადგინდება ფურუნკულოზის გამომწვევი.

2. ფურუნკულის შეთბობა და ორთქლით დამუშავება — ინფექციის გავრცელებას უწყობს ხელს.

3. ზეწოლა — შეიძლება ძალზე მარტივად დაარღვიოთ შემაერთებელქსოვილოვანი კაფსულა, რომლის შემდეგ ინფექცია მთელ ორგანიზმში ვრცელდება. განსაკუთრებით საშიშია ცხვირის ფურუნკული, ასევე ცხვირ-ტუჩის სამკუთხედში გაჩენილი პათოლოგიური წარმონაქმნი, სახის ეს ნაწილი ვენოზური სისტემით დაკავშირებულია თავის ტვინთან. როდესაც ირღვევა კაფსულის მთლიანობა, შეიძლება ინფექციამ სისხლის გავლით თავის ტვინამდე მიაღწიოს და გამოიწვევს თავის ტვინის გარსის ანთებას.

საჭიროა: 1. მაშინვე წაისვათ გამონაყარზე რომელიმე ანტისეპტიკური ან ანტიბიოტიკის მალამო.

2. ეჩვენეთ ექიმს. თუკი ამის შესაძლებლობა არ გაქვთ, გამოიყენეთ ნაცადი რეცეპტები. განვითარების სტადიაში კარგად მოქმედებს კომბოსტოს ფურცლები ან მრავალძარღვა, რომელიც კანზე პლასტირით უნდა მიიკრათ. უფრო მოგვიანებით სტადიაზე კი ხახვის ფურცლები, უმი თაფლის კვერი (აურიეთ პურის ფქვილი თაფლში ისე, რომ მიიღოთ რბილი კონსისტენციის მასა). ერთ-ერთი ეს საშუალება დაიდეთ მტკივნეულ ადგილას, დააფარეთ ცელოფანი, ბამბა და ბინტი. დატოვეთ 5-6 საათი. შემდეგ გაიკეთეთ ახალი კომპრესი. საწყის სტადიაში ეს საშუალებები ხელს უწყობს ფურუნკულის შეწოვას, ერთდროულად დამარბილებლად მოქმედებს კანის ეპიდერმისზე. ნახეთქის შემთხვევაში იქთიოლის ან ვიშნევსკის მალამო გამოიყენეთ.

3. დაიწყეთ პოლივიტამინების მიღება. კარგია ჭინჭრის ჩაი (2 ჩაის კოვზ დაფხვნილ და მშრალ ჭინჭარს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 30-40 წუთი და მიიღეთ 1/2 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში) კვებათა შორის შუალედებში.

4. თუკი ფურუნკული თვითონ გაიხსნება, დაიდეთ მასზე ანტისეპტიკში (ფურაცილინი) დასველებული ტამპონი, ასევე ბორის მჟავის, დიმექსიდის ხსნარი, დაბინტეთ და დაიფარეთ ბაქტერიოციდული პლასტირით. გააჩერეთ 10-15 წუთი, შემდეგ მიიყარეთ დაფხვნილი ანტიბიოტიკი, მიმართეთ დერმატოლოგს ან ქირურგს.

გთავაზობთ შემდეგ რეცეპტებსაც: აიღეთ 1 ს/კ. არყის ხის კვირტები, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. ადუღეთ 15-20 წუთი. დადგით, სანამ გაგრილდება, 2-3 საათის შემდეგ კი გაფილტრეთ. ეს ნაყენი კარგია კომპრესების სახით, ასევე დასაზელად (კანის გაღიზიანების შემთხვევაში).

მიიღეთ ლუდის საფუარი 2-დან 4 ჩაის კოვზამდე, ყოველ დილით, ჭამამდე.

ალოეს დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით გაგრილებული ანადუღარი წყალი შემდეგი თანაფარდობით: 1 წილი ალოეს ფოთლები და 5 წილი წყალი დააყენეთ. მიღებული ნარევი 1 სთ-ის შემდეგ წამოადუღეთ არაუმეტეს — 2-3 წუთისა, გაფილტრეთ და ანთებითი პროცესის დროს გაიწმინდეთ კანი.

*მაია მუხიგული*

"მედი"–ჭარბთმიანობის მკურნალობა ალექსანდრიტის ლაზერით

ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ფირმა მუშაობს.
ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმების ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.
გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიული ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფარის დაზიანების გამო, დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო შიდსის პანდემიის საშიშროების წინაშე დგას.
მსოფლიოს კოსმეტოლოგთა ოცნება ეპილაციის ჩატარება უკონტაქტოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე, - რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. მის მიერ გამოსხივებული სხივი სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და დიდი ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.
სხვა, ნებისმიერ ლაზერულ აპარატ-ებთან შედარებით, ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.
რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.
ეპილაციის დროს თმის ძირი ისე ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილები. ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით უმეტესად რამდენიმე წუთი სჭირდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია საეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე და ჰორმონალურ ფონზე.
მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში "მედი", დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელს კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალია.
სამედიცინო ცენტრი "მედი", ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის გარდა გთავაზობთ ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს პაციენტების ჰორმონალური ფონის შესწავლა, გინეკოლოგის კონსულტაცია და სხვა.
უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბთმიანობის მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციასთან, იძლევა საუკეთესო და სწრაფ ეფექტს.
ფირმა "მედი" - და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.
სამედიცინო ცენტრი "მედი"
25-02-02 93-89-75
ალ. ყაზბეგის გამზ №1

## მარტო თეთრკანიანები ხომ ვერ გადაარჩენენ ამერიკას

ცნობილი ფოტო, რომელზეც სამ ნიუ-იორკელ მეხანძრეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ნანგრევებზე ამერიკის შეერთებული შტატების დროშა აღუმართავს, ამერიკელთა სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა. ნიუ-იორკის სახანძრო უწყების ხელმძღვანელობამ განკარგულება გასცა, შექმნილიყო სკულპტურული კომპოზიცია, რომელიც ზუსტად გაიმეორებს ლეგენდარულ კადრს. ბრინჯაოში ჩამოსხმული ფიგურები ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე უნდა დაედგათ იმ საბედისწერო დღეს დაღუპული 343 მეხანძრის ხსოვნის პატივსაცემად. იდეას დიდი სკანდალი მოჰყვა, მონუმენტის შემკვეთებმა თავისებურად „გადაწერეს“ ისტორია. ფოტოზე დროშას სამი თეთრკანიანი მეხანძრე აღმართავს, ეს კი არაეთიკურად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს, სამი მეხანძრიდან ერთი ყოფილიყო თეთრკანიანი, ერთი შავკანიანი და ერთი ლათინურამერიკელი.



მეხანძრეებმა და მათი ოჯახის წევრებმა ეს შეურაცხყოფად მიიღეს. მიაჩნიათ, რომ ძეგლის შემქმნელებმა სიმართლე პოლიტიკას შესწირეს. პროტოტიპთა ადვოკატმა სახანძრო უწყებას კომპოზიციაზე მუშაობის შეწყვეტა მოსთხოვა.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №12*

## ტონი ბლერს პრეზიდენტობა ნდომებია

ბი-ბი-სი-სათვის მიცემულ ინტერვიუში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა თქვა, — უკვე ვფიქრობ იმაზე, თუ რა საქმიანობას მოვკიდებ ხელს გადადგომის შემდეგო. დამკვირვებლებმა მაშინვე განაცხადეს, — ბრიტანეთის ლიდერი ეფექტურ სიურპრიზს გეგმავს — სურს თავისი ნებით დატოვოს თანამდებობა და ხელისუფლება ფინანსთა მინისტრს გადასცესო. პოლიტოლოგები კი ვარაუდობენ, — ბატონი ბლერი ან გაეროს გენერალურ მდივნობას უმიზნებს, ან გაერთიანებული ევროპის პრეზიდენტობაზე უჭირავს თვალიო.

ინტერვიუში პრემიერ-მინისტრს თავის გეგმებზე კონკრეტულად არაფერი უთქვამს, მაგრამ რატომღაც ყველას გაახსენდა, რომ ბატონი ბლერი და ლეიბორისტთა პარტიის ლიდერის პოსტისთვის ბრძოლაში მისი მაშინდელი მეტოქე (იგი ახლა ფინანსთა მინისტრია) გორდონ ბრაუნი სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ გარკვეული დროის მერე ბლერი პრემიერის სავარძელს მას გადაულოცავდა.

ტონი ბლერმა შეიძლება მართლაც დაუთმოს თანამდებობა გორდონ ბრაუნს, მაგრამ პოლიტიკიდან არ წავა.

*ნიუ ზუიქი*

## დასავლეთი კვლავ აკრიტიკებს რუსეთს ჩეჩნეთისა და ტვ-6-ის გამო

სტრასბურგის საპარლამენტო ასამბლეაზე მკაცრად გააკრიტიკეს ჩეჩნეთში შექმნილი მდგომარეობა და რუსეთის დელეგაციის წევრებს ურჩიეს, — პრეზიდენტ მასხადოვთან პოლიტიკური დიალოგი გამართეთო. საპასუხოდ რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა დმიტრი როგოზინმა განაცხადა, — 11 სექტემბრის მოვლენებმა ევროპარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობას ვერაფერი ასწავლა. მათ ლოგიკას თუ მივყვებით, ტერორისტებიც, რომლებმაც ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში ტერაქტები მოაწყვეს, თავისუფლებისათვის მებრძოლები არიანო.

სტრასბურგის ეპიზოდი ადასტურებს იმას, რამდენად უნიადაგოა აზრი, თითქოს 11 სექტემბრის შემდეგ, როცა რუსეთმა პირველმა დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ავღანეთში დაბომბვების შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთს დააბრალა ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების შელახვა და იმაშიც დაადანაშაულა, რომ მან დახურა ერთადერთი არასახელმწიფო ტელეარხი ტვ-6. ამის პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, — ამერიკის შეერთებული შტატები პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას ატარებსო.

*ბი-ბი-სი*

## ჩინეთის ლიდერს თვითმფრინავში მისაყურადებლები დაუყენეს

აშშ-მა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ძიან ძემინისათვის 150 მლნ დოლარად მიჰყიდა „ბოინგი“. ჩინელებმა მასში მისაყურადებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა.



ძიან ძემინი საფრთხეს ჰაერიდან ელის

მიუხედავად ამ უსიამოვნებებისა ორ ქვეყანას შორის, პრეზიდენტი ბუში მაინც წავა ჩინეთში, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა. თუმცა ამერიკელები დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთის ლიდერი უსიამოვნო კითხვებს მაინც დაუსვამს თავის ვაშინგტონელ კოლეგას.

ზოგიერთი მონაცემით, მისაყურადებლები მდიდრულად მოწყობილი, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემით აღჭურვილი ლაინერის საცდელი ფრენის დროს იპოვეს, სხვა მონაცემებით კი — შანხაის სამიტზე გაფრენის წინ. ასე რომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს შანხაიში სხვა თვითმფრინავით მოუწია გაფრენა.

მისაყურადებელი მოწყობილობა ძიანის საპირფარეშოსა და საწოლშიც კი იყო ჩამონტაჟებული. აპარატურა ჯაშუშური ტექნიკის უახლოეს მოდელს წარმოადგენს, მას ინფორმაცია პირდაპირ კოსმოსური თანამგზავრისთვის უნდა გადაეცა. პეკინიდან მიღებული ცნობით, ძიან ძემინი ძალიან განარისხა ამ ამბავმა. მისი ბრძანებით დაპატიმრებულია ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა 20 ოფიცერი და სამოქალაქო ავიაკომპანიის ორი თანამშრომელი, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი პროექტთან. მათ ადანაშაულებენ ამერიკელებისგან ქრთამის აღებასა და გულგრილობაში.

თეთრმა სახლმა და დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ უარი თქვეს მომხდარის კომენტირებაზე. მაგრამ დამოუკიდებელ ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამერიკელებმა შპიონაჟის გზაზე დიდი კრახი განიცადეს.

ვაშინგტონი გამალებით ეძებს ახალ საშუალებებს დაძაბულობის შესანელებლად. ამ შემთხვევაში მთავარი დაზარალებული შესაძლოა აღმოჩნდეს კომპანია „ბოინგი“, რომელიც ამჟამად 2 მლრდ-იან შეკვეთას ასრულებს ჩინეთისთვის. გამორიცხული არ არის, რომ ავიაკომპანიამ არ იცოდა სპეცთვითმფრინავში რა „იმუშავა“ ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ. მოსალოდნელია, გაჯავრებულმა ჩინეთმა „ბოინგთან“ თანამშრომლობა შეწყვიტოს და მის ევროპელ კონკურენტს „აირბუსს“ დაუკავშირდეს.

შარშან, ოქტომბერში პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, — ამერიკის შეერთებული შტატები ჩინეთს მიიჩნევს მეგობრად და არა მტრადო. ახლანდელმა ინციდენტმა კი ცხადყო, რომ სწორედ ჩინეთს თვლის მთავარ სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ. პეკინში შეიძლება გაძლიერდეს ანტიამერიკული განწყობა და მაშინ ორ ზესძლიერ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა დიდი ხნით და სერიოზულად გაფუჭდება.

*კომერსანტი №7*

## „ბაზრის დირექტორი“



ვაშინგტონის ჩანაფიქრით, ავღანეთის „ბაზარზე“ იარაღმა და ნარკოტიკმა ადგილი უნდა დაუთმოს ნავთობს. წესრიგის დამყარება ყოფილი მეფის ზაჰირ შაჰის ერთგულ კაცს, 43 წლის ჰამიდ ყარზაის ევალება. თანამდებობას, რომელიც ყარზაიმ დაიკავა, მსოფლიო პრესა დედამიწაზე ყველაზე სახიფათოს უწოდებს. ყარზაის კლანს ქვეყნის მართვის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს — ისინი სამი საუკუნის განმავლობაში მხარში ედგნენ ავღანელ მონარქებს. ჰამიდის მამა, რომელიც ოდესღაც ქვეყნის პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი იყო, ორი თვის წინ დაქირავებულმა მკვლელმა პაკისტანში სიცოცხლეს გამოასალმა.

ავღანეთის პრემიერი ყველაზე დიდ იმედს ამერიკის შეერთებულ შტატებზე ამყარებს და ქვეყნის აღმავლობის გზაზე აუცილებელ პირობად მიაჩნია ამერიკელთა ჯარის იქ ყოფნა. ყარზაის აზრით, ამერიკელებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა იქიდან საბჭოთა ჯარის გასვლის შემდეგ ქვეყანა უყურადღებოდ დატოვეს.

დამკვირვებლები ვარაუდობენ, თუ ჰამიდ ყარზაი ნახევარ წელს მაინც შეძლებს სიტუაციის შენარჩუნებას, მაშინ წარმატების იმედი შეიძლება იქონიოს, თუ ვერ შეძლებს — უთუოდ თავიდან მოიშორებენ. სხვათა შორის, ყარზაი თალიბთა მომხრე იყო და აქტიურად ეხმარებოდა საველე მეთაურებს, მაგრამ შემდეგ მათი მმართველობის წესი აღარ მოეწონა და განუდგა. იგი ეროვნებით პუშტუნია, არ გამორიცხავს თალიბთა მონაწილეობას მომავალ მთავრობაში, მაგრამ ამბობს, — უცხოელი ტერორისტები, რომლებმაც ავღანეთი თავიანთ ბაზად აქციეს, უნდა განვდევნოთ და სასამართლოს გადავცეთო.

ავღანეთს მძიმე ეკონომიკური პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. დონორმა ქვეყნებმა, რომლებიც დახმარებას უწევენ ქვეყანას, ყარზაის ნათლად მიანიშნეს, რომ მილიონობით დოლარს ავღანეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ შესამჩნევ პროგრესს მიაღწევსო.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №4*

## კოსოვოელმა ალბანელებმა ბელგრადს ომი გამოუცხადეს

კოსოვოს საინფორმაციო სააგენტო UPI-მ გაავრცელა თითქოსდა იუგოსლავიის პრეზიდენტის კოშტუნიცას მიერ მიწოდებული ინფორმაცია, ამერიკის სპეცრაზმის მიერ ბოსნიელ სერბთა ყოფილი ლიდერების — რადოვან კარაჯიჩისა და რატკო მლადიჩის დაპატიმრების თაობაზე.

იუგოსლავიის პრეზიდენტის გარემოცვამ მაშინვე უარყო ეს ინფორმაცია და განაცხადა: „ბატონ კოშტუნიცას არც კოსოვოს და არც სხვა სააგენტოსთვის მსგავსი რამ არ განუცხადებია“.



კარაჯიჩი და მლადიჩი ჯერ კიდევ თავისუფლები არიან

ბოსნიელ სერბთა ყოფილი ლიდერების დაპატიმრების ამბავი არც ბოსნიაში საერთაშორისო ძალთა ხელმძღვანელობას დაუდასტურებია და არც ჰააგის ტრიბუნალის წარმომადგენლობას. თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა არი ფლეიშერმაც განაცხადა, — ჩვენთვის არაფერია ცნობილი მლადიჩისა და კარაჯიჩის დაპატიმრების თაობაზეო. იუგოსლავიის პრეზიდენტს, რომელსაც მსოფლიოში ზომიერ ნაციონალისტად მიიჩნევენ, არ შეეძლო ხელი შეეწყო სპეცრაზმელებისთვის ბოსნიელ სერბთა ლიდერების დაპატიმრებაში, მით უმეტეს, ამის თაობაზე ინფორმაციას არ გადასცემდა სააგენტოს. ასე რომ, ეს კოსოვოელ ალბანელთა ლიდერის იბრაჰიმ რუგოვას მორიგი ხრიკი უნდა იყოს.

ბატონი კოშტუნიცა კოსოვოელ ალბანელებს არ მოსწონთ, რადგან გაცილებით მკაცრი პოზიცია აქვს კოსოვოს საკითხის მიმართ, ვიდრე დანარჩენ ბელგრადელ ხელმძღვანელებს.

*იზვესტია №22*

## კანცლერი შრედერი დუელზე თანახმაა

გერმანიაში ფაქტობრივად დაიწყო წინასაარჩევნო ბრძოლა კანცლერის პოსტის დასაკავებლად. არჩევნები 22 სექტემბერს გაიმართება. მთავრობის მეთაური გერჰარდ შრედერი დათანხმდა თავის მთავარ მოწინააღმდეგეს, ბავარიის ლიდერ ედმუნდ შტოიბერს, ორ სატელევიზიო პაექრობაში შეხვდეს, რითაც მან უარი თქვა წინასაარჩევნო ბრძოლის ტრადიციებზე (ადრე გერმანიის კანცლერი არ მონაწილეობდა ტელედებატებში). კანცლერმა ისიც დასძინა, — მსგავსი დებატების ჩატარების ამერიკული მეთოდი შესაძლოა ძალიან სასარგებლო გამოდგეს გერმანიისთვისო.

ედმუნდ შტოიბერი მომხრეა დებატების უახლოეს ხანში ჩატარებისა. ეს იმითაა განპირობებული, რომ თებერვლის დასაწყისამდე გამოქვეყნდება ახალი მონაცემები სახელმწიფოში უმუშევართა რაოდენობის შესახებ. ექსპერტთა აზრით, ეს ციფრი 4,3 მლნ-ს გადააჭარბებს, რაც აშკარად არ შეესაბამება წინასაარჩევნო კამპანიის დროს შრედერის დაპირებას — უმუშევართა რაოდენობას 3,5 მლნ-მდე შევამცირებო. ცხადია, მეტოქე სიამოვნებით დაადანაშაულებს შრედერს სიტყვის გატეხაში. მართალია, კანცლერი თანახმაა სატელევიზიო პაექრობაზე, მაგრამ მხოლოდ არჩევნებამდე ოთხი კვირით ადრე, ანუ აგვისტოს დამლევს და უშუალოდ არჩევნებამდე ორი დღით ადრე, ანუ 20 სექტემბერს.

იქამდე დიდი დროა, მაგრამ სატელევიზიო არხებს შორის უკვე დაიწყო ბრძოლა წინასაარჩევნო დებატების ტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად.

*შტერნი*

## მუშარაფი კომპრომისის მომხრეა

პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა განაცხადა, — ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ინდოეთთან ომი თავიდან ავიცილოთო. იმ მრისხანე განცხადებების ფონზე, რომელიც დელიდან ისმის, პაკისტანელი ლიდერი რეგიონში ლამის ყველაზე დიდ მშვიდობის მტრედად წარმოჩნდეს. ცხადია, რომ ინდოეთისკენ პაკისტანური ბომბდამშენები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაფრინდებიან, თუ საამისო ბრძანებას მუშარაფი გასცემს.

ფერვეზ მუშარაფი 1943 წელს დაიბადა დელის გარეუბანში, ნიუ-დელიში, მოხელის ოჯახში. იმ დროს ინდოეთს ჯერ კიდევ „ბრიტანეთის სამეფოს ალმასს“ უწოდებდნენ, პაკისტანი კი საერთოდ არ არსებობდა. ეს სახელმწიფო რუკაზე 1947 წელს გაჩნდა, როცა ფერვეზის ოჯახს, სხვა ათასობით მუსლიმანთან ერთად, ინდოეთიდან გაქცევა მოუწია ჩრდილოეთში — იქ, სადაც პაკისტანის დამაარსებელმა მუჰამედ ალი ჯინმა ბრიტანეთის ყოფილ სამფლობელოებზე ისლამის მწვანე დროშა აღმართა.

1965 წელს სამხედრო სასწავლებელდამთავრებულმა მუშარაფმა პირველი საბრძოლო ჯილდო ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს მიიღო. ინდირა განდის ბრძანებით, 1971 წელს, პაკისტანს აღმოსავლეთი ტერიტორია გამოეყო და ეწოდა ბანგლადეშის სახელმწიფო, რასაც ამაოდ ეწინააღმდეგებოდა პაკისტანის სპეცრაზმი ფერვეზ მუშარაფის ხელმძღვანელობით.

გენერალი მუშარაფი 1998 წელს ქვეყნის მთავარსარდალი გახდა. მისთვის, ისევე,



როგორც პაკისტანელი სამხედროებისათვის, ქაშმირის გაკონტროლება პრინციპის საქმე იყო. როცა 1993 წელს პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ნავაზ შარიფმა ომის თავიდან ასაცილებლად ქაშმირიდან ჯარი გაიყვანა, მუშარაფმა ეს ღალატად ჩაუთვალა და სამხედრო გადატრიალება მოაწყო. იგი პრეზიდენტი გახდა.

მუშარაფს კარგად ახსოვს, — მისმა წინამორბედმა თანამდებობა დაკარგა იმიტომ, რომ ინდოეთს დაუთმო. ამავე დროს, გენერალს ისიც ესმის, რომ დელისთან კონფლიქტის გამწვავება დასავლეთთან ურთიერთობას გააფუჭებს. ეტყობა, მუშარაფი მაინც დელის მთავრობასთან მოლაპარაკებისაკენ იხრება.

*ობშჩაია გაზეტა №4*

## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია



***ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.***

***მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.***

***ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...***

# დამხმარე მხოლოდ საკუთარი თავია

ყველა კარგად ვხედავთ, რა დღეშია ქვეყნის ეკონომიკა — მთლიანად დაინგრა და განადგურდა წარმოება-დაწესებულებები, გაქრა ის პროფესიები, რომლითაც ხალხი ლუკმაპურს შოულობდა... ჰაერივით აუცილებელი ნივთები, საბჭოთა პერიოდთან შედარებით, 10-ჯერ და მეტად გაძვირდა. ხალხი გამწარდა და ქუჩაში გამოდის საპროტესტოდ. ეს უმწეო ადამიანები მართლები არიან, მაგრამ მე ის მაკვირვებს, რომ უმრავლესობას ხელიც აქვს და ფეხიც, ჯანმრთელებიც არიან და თუ მოინდომებენ, დარწმუნებული ვარ, 14 ლარზე ბევრად დიდ თანხას იშოვიან, თან ნერვებაშლილებს, საპროტესტოდ და მთავრობის სალანძღავად ქუჩაში დადგომაც აღარ მოუწევთ... აღარაფერს ვამბობ სალ-სალამათ ახალგაზრდებზე, რომლებიც არც კი ცდილობენ თავს ძალა დაატანონ და რაიმე საარსებო საშუალება გამონახონ...

საჭიროა, თავს ჩააგონო, რომ შენი დამხმარე მხოლოდ საკუთარი თავია, მაშინ საქმე ნამდვილად აეწყობა... სხვათა შორის, ჩემი ერთი მეზობელიც ზუსტად ასე ფიქრობს. ამიტომაც ხელგაწვდილი არ შეყურებს მთავრობას იმ საცოდავი 14 ლარისთვის.... ეს გონიერი კაცი ხშირად იმეორებს ხოლმე — გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო... თვითონ გაჭირვებას ასე გაექცა: ერთ ზამთრის პირას, ქურთუკის ელვა გაუფუჭდა, იფიქრა, ღილებით შევცვლიო... სადაც მივიდა, ღილი ყველგან 50 თეთრი ღირდა, რა ამბავიაო, გაუკვირდა, მაგრამ უფრო იაფად ვერაფერი იპოვა და იძულებული გახდა ეს თანხა გადაეხადა... აი, მისი ბიზნესიც აქედან დაიწყო — გადაწყვიტა, თვითონ დაემზადებინა ღილები — ლითონის მასალა ნელ-ნელა შეაგროვა — სთხოვა მეზობლებს გამოუსადეგარი ძველი უთოები, ქარხნის ნაგავსაყრელებსაც მიაკითხა, ძველი საბჭოთა მონეტებიც გამოიყენა... ამ ყველაფერს პირველად ხელით ქლიბავდა და აპრიალებდა, მერე საჭირო ტექნიკაც იშოვა — ზოგი აჩუქეს — ზოგიც თვითონ შეიძინა. დამუშავებულ ლითონს სხვადასხვა ფერის ქსოვილი გადააკრა. მერე ნამუშევარი რამდენიმე ბაზარსა და სამკერვალო ატელიეს ჩააბარა... ამ ბოლო დროს ნაკეთობის დასამზადებლად უცხოურ იაფფასიან ფერად პლასტმასის სათამაშოებსაც იყენებს...

იტყვით — ამ საქმიდან ბევრს ვერაფერს იშოვისო, მაგრამ არ იქნებით მართალი — ის კაცი თავს ნამდვილად ირჩენს და ოჯახსაც ცოტ-ცოტას ეხმარება... შეკვეთებიც გაუმრავლდა და თანაც ქუჩაში არ დგას 14 ლარის გამო... ხანდახან მეტყვის ხოლმე — რომ ვიცოდე, ჩემს 14 ლარს მთავრობა უპატრონო ბავშვებს ან ინვალიდებს ნამდვილად აჩუქებს, ამ ფულზე უარს ვიტყვიო...

ასე რომ, ცხოვრება ზოგჯერ სოკოს ძებნას წააგავს — სოკოს როცა ეძებებენ, მაშინ პოულობენ, კალათში თავისით ნამდვილად არ ჩაგივარდება.

***ნიკო გორგი***

# სახელმწიფო ქონება ფაქტობრივად არ კონტროლდება

სახელმწიფო სიმდიდრის სერიოზული გადანაწილება, ფაქტობრივად, 1990 წელს დაიწყო. სახელმწიფომ კი მხოლოდ 1992 წელს, პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შექმნით შეძლო ეს პროცესები გარკვეულ კალაპოტში მოექცია. პრივატიზების პროცესს ხელი ვერ შეუშალა ვერც იმან, რომ ქვეყანა საომარი მოქმედებების პირობებში ცხოვრობდა, მოშლილი იყო საფინანსო-საკრედიტო სისტემა, ხოლო ე.წ.ეროვნული კუპონი ჰიპერინფლაციას განიცდიდა. პირიქით, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი საკმაოდ სასურველი „პირობა" აღმოჩნდა გარკვეული ძალებისთვის, სახელმწიფო ქონებიდან საკმაოდ დიდი ნაჭერი საკუთარ თეფშზე გადმოეღოთ და მადიანად შექცეოდნენ.

სახელმწიფომ თავიდან მოიცილა ის ქონება, რომელიც მას საერთოდ არ სჭირდებოდა და თან საბოლოოდ მოაგვარა ურთიერთობები გარკვეულ კლანურ ძალებთან. ბევრი საწარმო მათ საერთოდ მიჰყიდა ანუ „მიაჩუქა", ზოგიერთში კი მოწილედ თავად „ჩაჯდა".

„დღეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ხელთ არ აქვს რეალური ბერკეტები, რათა გააკონტროლოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საქმიანობა" — სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის სულიკო პავლიაშვილის ეს ერთგვარი აღიარება ჩვენთვის სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს. ამის შესახებ საუბრობდა ყველა ის მინისტრი, რომლებსაც ბოლო სამი წელი სახელმწიფო ქონების მინისტრის სავარძელი ეკავა.

სწორედ სამი წლის წინ, 2000 წლის 17 თებერვალს, ფაქტობრივად, სახელმწიფო ქონების მართვის, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტი დაიწყო. ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა დაევალა შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს და ადგილობრივი მართვის ორგანოებს — გამგეობებს და მერიებს.

საქმე ეხება 1588 საწარმოს, რომელიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შეიქმნა. სახელმწიფო ამ ობიექტების უმეტესობაში აქციათა პაკეტის 51 პროცენტს, ან შედარებით მცირე წილს ფლობს. მარტივად რომ ვთქვათ, საწარმოებმა კარგად მუშაობის შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით, საკმაოდ სოლიდური თანხები უნდა შეიტანოს, ანუ ისინი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძლიერ წყაროს უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სურათი ამ მხრივ არცთუ ისე სახარბიელოა. შარშან სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით სულ 8.73 მლნ ლარი ჩაირიცხა და ეს თანხა მოდის მოლოდ 391 საწარმოზე, რადგან 996 საწარმოს თურმე გასული წელი ზარალით დაუსრულებია, ხოლო რაც შეეხება დარჩენილ 201 საწარმოს, მათი მუშაობის შესახებ საერთოდ არ არსებობს არანაირი ინფორმაცია.

ყველა პოსტკომუნისტური ქვეყანა, თავის დროზე, როცა მოახდინა სახელმწიფო ქონების პრივატიზება, დადგა იმ პრობლემის წინაშე, თუ როგორი სისტემით უნდა ემართა ის შპს-ები თუ სააქციო საზოგადოებები, რომლების აქციათა პაკეტის მოწილედ თავად სახელმწიფო გამოდიოდა. რუსეთმა ეს პრობლემა საკმაოდ მარტივად გადაჭრა. შექმნა აბსოლუტურად დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომელსაც ეწოდება სახელმწიფო ქონების ფონდი და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა სწორედ აღნიშნულ ფონდს დაევალა. სახელმწიფო ქონების პრივატიზება კი ისევ შესაბამისი სამინისტროს ფუნქციებში დარჩა. ექსპერტების განმარტებით, სახელმწიფო ქონების ასეთი ფორმით მართვა რუსეთის ეკონომიკისათვის საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა.

საქართველოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილოებით შექმნილი 1588 საწარმოს მართვა „ერთმა ხელმა" რომ უნდა განახორციელოს, დღეს ამის შესახებ, ფაქტობრივად, აღარავინ დაობს. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: „მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული საწარმოების მართვის ერთ ხელში მოქცევა, ანუ საწარმოების მუშაობის ფისკალურ ეფექტურობაზე პასუხისმგებელი მთლიანად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო უნდა იყოს".

ის, თუ რა პოზიცია აქვთ შესაბამის სამინისტროებს, ანუ დათმობენ თუ არა ისინი მათთვის მინიჭებულ უფლებას — მართონ, აკონტროლონ საწარმოები, ჯერჯერობით უცნობია. ისინი დუმან, მაგრამ დუმილი როდი ნიშნავს ყოველთვის თანხმობას.

გააუქმებს თუ არა პრეზიდენტი მის მიერ სამი წლის წინ ხელმოწერილ ბრძანებულებას, ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება იმაზე, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი პრეზიდენტის მაგიდაზე რა არგუმენტებს დადებს. სწორედ ამიტომ სულიკო პავლიაშვილმა მისი გამინისტრების პირველსავე დღეებში სასწრაფოდ შექმნა ე.წ. სპეციალური ჯგუფი, რომელსაც უშუალოდ დაევალა აღნიშნული 1588 საწარმოს მუშაობის ფისკალური ეფექტურობის ანალიზი.

***ლელა წითლანაძე***

## ქვეყნის ეკონომიკა ციფრებში

შარშანდელი წელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი დარგისთვის, მრეწველობისთვის არც ისე იღბლიანი გამოდგა. მრეწველობამ, 2000 წელთან შედარებით, 4,8%-ით ნაკლები პროდუქცია გამოუშვა. ამაში შედის ენერგეტიკის სფეროს მიერ წარმოებული პროდუქცია, ასევე კვების პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს წარმოება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ისევ 2000 წელთან შედარებით, მისი წარმოება 4,9%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობამ მოქმედ ფასებში 1.9 მლრდ ლარი შეადგინა.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები პირდაპირპროპორციულად რომ აისახება ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ამის დასტურია იმავე მრეწველობის მკვეთრი ჩავარდნა ოქტომბერ-ნოემბერში. სხვათა შორის, სექტემბერი პირიქით, 4,3%-ის ზრდით ხასიათდებოდა.

რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, გასული წლის ეკონომიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ თურმე ქვეყნის მრეწველობის ტემპებზე გავლენას ახდენს მხოლოდ 55 საწარმო. მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას ძირითადი მრეწველობის 73,3 პროცენტი უკავია. 2000 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ამ საწარმოთა წარმოების მოცულობა მთელი 12,0 პროცენტით გაზრდილა.

შარშან საგრძნობლად გაიზარდა მანგანუმის, სპილენძის მოპოვება, რძის პროდუქტების, არყის, ლუდის თუ უალკოჰოლო სასმელების წარმოება. შესაბამისად დაეცა ქვანახშირის, ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის მოპოვების მაჩვენებლები. ასევე შემცირდა ძეხვეულის, თევზის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება.

მცირე სამრეწველო საწარმოების კუთვნილი წილი კი, როგორც ირკვევა, მთლიანად მრეწველობის 18,7%-ია. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა შარშანდელთან შედარებით მთელი 4%-ით გაიზარდა.

საინტერესოა, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების მიერ წარმოებული პროდუქციის შეფასება (იხ. დიაგრამა).

***(მასალა მომზადდა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით)***

## ქვეყნის ცალკეული რეგიონების წილი პროდუქციის გამოშვების მიხედვით

სამეწარმეო სფეროში გამოშვებული პროდუქცია %-ში






## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### იტანს ტროპიკული ხილი სიცივეს?

**— ზამთრობით ჩვენს ბაზრებში უამრავი ტროპიკული ხილი იყიდება: ბანანი, კივი, ანანასი და სხვა. როგორ იტანს ეს ხილი სიცივეს?**

— საზოგადოდ, არა მარტო ტროპიკულს, არამედ ნებისმიერ ხილს არ უყვარს ყინვა, — 1 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე იყინება. სხვათა შორის, მანდარინი და ფორთოხალი უფრო ყინვაგამძლეა, ვიდრე ვაშლი — ციტრუსებს გაცილებით სქელი კანი აქვთ. მოყინული ხილ-ბოსტნეული ვიტამინების 80%-ს კარგავს. ასევე იკარგება მათში შემავალი ცილების ბიოლოგიური სრულფასოვნება. ყველაზე სუსტი ამ მხრივ — ბანანია, ოდნავი სიცივეც კი კანს უშავებს. თუმცა, სანამ რბილობი თეთრი და მკვრივია, მისი ჭამა შეიძლება. თუ რბილობი ლორწოვანია, ბანანს ნუ მიირთმევთ — იგი ტოქსიკოგენური სოკოთია დაავადებული.

### „ბლატი" — გერმანული სიტყვაა...

**— რას ნიშნავს სიტყვა „ბლატნოი", „ბლატი"?**

— „ბლატი" ჟარგონია და ნიშნავს უპირატესობას (ქართველი იტყოდა — თამასუქი, თამასუქები აქვსო!). ეს ტერმინი რუსეთში და იქიდან საქართველოში დამკვიდრდა სამოქალაქო ომის პერიოდში. როცა ბავშვებიც კი შიმშილით იხოცებოდნენ, ბოლშევიკები თავის უცხოელ დამქაშებს ურიგებდნენ ე.წ. „ბლატებს" (გერმ. blatt — ფურცელს ნიშნავს), რომლის საშუალებითაც „ინტერნაციონალისტები" სპეცსასადილოებში იღებდნენ ხარისხიან პროდუქტებს, მათ შორის, ღვინოს და შოკოლადს.

### ვის ეკუთვნის მიწის გადასახადი?

**— ვარ 87 წლის, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მყავს ავადმყოფი მეუღლე. მეკუთვნის თუ არა მიწის გადასახადის გადახდა?**

**დ. ზადიშვილი, კასპი**

— თუ თქვენ ბრძანდებით სამამულო ომის მონაწილე და გათანაბრებული ხართ ომის ინვალიდებთან. ამდენად თავისუფლდებით პრივატიზებული მიწის გადასახადის გადახდისაგან.

***ანზორ მესხიშვილი, მიწის რეფორმისა და საადგილმამულო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 26 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 2,2000 |
| გერმანული მარკა | | 0,9850 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,1293 |
| ევრო | | 1,9266 |
| რუსული რუბლი | | 0,0718 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,0165 |

საუკეთესო ასლგადამღები აპარატები
გარანტიით, ფასდაკლებით
შესაძლებელია: განვადება ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო ქსეროასლები
შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

ENAMEL ART მინანქრის გალერეა
სპეციალიზირებული მინანქრის გალერეა და მასთან არსებული სკოლა-სახელოსნო 1 თებერვლიდან აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ტიხრული მინანქრის შემსწავლელ კურსებზე.
მისამართი: ერეკლე II ქ. 8/10
☎ 93-64-12 (11-18სთ-მდე)
899-51-24-15; 899-51-21-44
E-mail: Enamel@art.ge

ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17[ა] (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

შპს „გეოკორი"

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



## თარაზულად:


5 ლედი ტეტჩერის ერთ-ერთი პროფესია


6 სპეციალური ბაღი, სადაც თავმოყრილი არიან ცხოველები და ფრინველები, როგორც საჩვენებლად, ასევე მეცნიერული კვლევისათვის

9 საქონლის, განძეულისა და მისთ. სახელმწიფოში შემოტანის ან გატანის აკრძალვა


10 ქართველი საბჭოთა მსახიობი და რეჟისორი


11 განუხორციელებელი იმედი, ოცნება


15 ტრანსპორტის სახეობა


17 ზღაპრული ჯუჯა


18 მდინარე რომში


19 აფთიაქში წარსადგენი ექიმის გამოწერილი ქაღალდი


20 პოლონეთის დედაქალაქი


24 „მემარცხენე“


25 მეუღლე


26 აქროლადი დამცავი ნივთიერება, რომელიც თრგუნავს ბაქტერიების, სოკოებისა და უმარტივესთა ზრდას


29 ფქვილსა და რძეში ათქვეფილი კვერცხის კერძი


32 გაუვალი ტროპიკული ტყე


33 მონსტრების როლების ლეგენდარული შემსრულებელი


34 მართლმსაჯულება


35 სამხედრო საჭურვლის დიდი რაოდენობა

## შვეულად:


1 მსახიობი და უკვე მომღერალიც


2 ერთიმეორის მიყოლებით აგება


3 წვიმისა და მზისგან დამცავი


4 ზოგიერთი ცხოველის ბეწვი


5 საპალნე ცხოველთა რიგი


7 გასანათებელი მოწყობილობა (სინათლის ძლიერი წყარო)


8 საგამოფენო დარბაზი

12


ბიზნესის ჩვევების გამოსამუშავებელი თამაში


13 მცირე პლანეტა

14 მსხვილ კოლონიათა მფლობელი სახელმწიფო


16 ინდიელთა ქოხი


21 რბილი და მსუბუქი მატყლის ნაწარმი, რომლის სახელწოდებაში ინდოეთის შტატი ფიგურირებს


22 სასანთლე


23 სადეზინფექციო სითხე ვეტერინარულ პრაქტიკაში


27 ასპარეზობის დასაწყისი


28 სამკაული


30 ძალიან პატარა


31 გეომეტრიული სხეული

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №3 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. პანორამა; 8. მოლბერტი; 10. ბარი; 11. მდგმური; 12. „ორლი“; 15. არენა; 16. რადიო; 18. ქაირო; 19. ანჯამა; 20. კოვბოი; 24. ჩიორა; 25. აგავა; 26. კიარა; 29. არყა; 31. ციკლოპი; 32. ბუდე; 33. ემბრიონი; 34. ტრისტანი.

**შვეულად:** 1. კასანდრა; 2. კოდი; 3. ამადუ; 4. მონრო; 5. „რენო“; 6. „სტალკერი“; 9. ამინდი; 13. ანანური; 14. პაროდია; 16. რუმბა; 17. ობობა; 21. დიაგრამა; 22. კაკალი; 23. დრეზდენი; 27. წიგნი; 28. ოპერა; 30. აურა; 32. ბატი.

## ჟოზე კვანტალიანის გახსენება

ამბობენ, სიკვდილიც, პირველ რიგში, მხოლოდ კარგებს ირჩევსო. ამბობენ, ღმერთსაც თავისიანი რჩეულები მიჰყავსო. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში თქვენ დაგვარწმუნეთ, ჟოზე დეიდა. თქვენმა წასვლამ ჩვენს პატარა სამყაროში თითქოს რაღაც შეცვალა, რაღაც ისეთი, რასაც სიტყვებით ვერ გადმოსცემ.

ორმოცი დღეა, მოსვენება დავკარგეთ, ორმოცი დღეა, თქვენს ახლობლებს თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ. თქვენ ჩვენთვის უფრო მეტი იყავით, ვიდრე ჩვენი მეგობრის დედა: თქვენ ჩვენი თანატოლი და თანაზიარი იყავით, ჩვენი დარდისა და სიხარულის გამგები, ჩვენი დამრიგებელი და დამტუქსავიც, როგორ გვიყვარდა, თქვენს თბილ და მყუდრო ოჯახში თავშეყრა, სადაც მუდამ გვხვდებოდა თავშესაფარი და სიყვარული. ახლა კი, ახლა ვინღა გაგვიღებს კარს, ვინღა შეგვხვდება ასეთი გულისხმიერებით? თქვენ ხომ მუდამ სხვებზე ზრუნავდით, საკუთარი თავი არც კი გახსოვდათ. თქვენ ხომ უამრავი პაციენტიც დაიმედეთ, რომლებსაც თავდადებით მკურნალობდით, გულის ტკივილს უამებდით და იყავით გულები ასე უმოწყალოთ დაუკოდეთ.

ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, ვისთვისაც თქვენ ტკივილი მიგეყენებიათ. მაშ, ჩვენ რაღას გვერჩოდით, რომ ასეთი მოუშუშებელი იარა დაგვიტოვეთ, ეულად დატოვეთ გივი ბიძია, ვისი ცხოვრების აზრიც თქვენ იყავით, დააობლეთ თქვენი ორი შვილი და ჩვენც, თქვენი შვილები და მეგობრები.

გეთხოვებით, ჟოზე დეიდა, გეთხოვებით ცრემლითა და დარდით და ვიმედოვნებთ, რომ იქაც, ზეციურ სასუფეველში ილოცებს თქვენი უკვდავი სული ახლობლების ბედნიერებისათვის.

*ნუცა*

## თინიკო გურგენიძის ხსოვნას



ჩვენო საყვარელო თინა! ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან ზეციურ სამყაროში წახვედი. წარმოუდგენელი იყო შენი გარდაცვალება ჩვენთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული. ყველას გვიყვარხარ და გვენატრები.

*ინეზა, აზა, ნათელა, თამილა, მალხაზი, თენგიზი, მიშა, ოთარი, გივი, მელსი და ანზორი*

## დარეჯან ბერბერაშვილის მონატრება

25 იანვარს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ, ჩვენო დარეჯან. წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი. გაუსაძლისია ამქვეყნად შენ გარეშე სიცოცხლე.



შენ საუკეთესო და სამაგალითო იყავი, როგორც ექიმი, როგორც შვილი, და, დედა, მეუღლე და მეგობარი.

შენ ალამაზებდი ჩვენს ცხოვრებას. ირგვლივ უამრავ სითბოს და სიყვარულს აფრქვევდი. იმედად ორი საუკეთესო შვილი დაგვიტოვე, რომელსაც შენმა სიყვარულმა, შენი პროფესია აარჩევინა.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ შენს შვილებს მოვეფეროთ და დიდი ტკივილი შევუმსუბუქოთ.

იცხოვრე ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლით.

ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი ოჯახი და ბიძაშვილები*

## დარეჯან ბერბერაშვილის ხსოვნას!

ძვირფასო დარეჯან, წუთიერიდან მარადიულში გილოცავ დაბადების დღეს. მიჭირს დაჯერება, რომ აღარა ხარ. ძალიან მაკლია შენი თბილი შემოგებება, შენი ღიმილი.

ტკივილებისგან დაღლილი, იმ ადამიანებისთვის ებრძოდი სიკვდილს, ვისაც შენი დაკარგვა ნუგეშს წაართმევდა. სიკვდილის შიშს კი წლების წინ სძლიე. შენს სხეულში ჩაბუდებული ულმობელი სენის მიუხედავად, ისევ ის დარეჯანი იყავი — ხალისიანი, მხნე, ენერგიით და სიცოცხლით სავსე.

შესაშური ერუდიცია, ინტელექტი, პროფესიონალიზმი — ამისათვის რამდენიმე სიცოცხლეა საჭირო, შენ კი ერთი გქონდა. ბოლომდე დაიხარჯე.

შენს ნიკასა და ნინოში გეძებ, მიხარია, რომ გპოულობ და მჯერა — ისევ ცოცხლობ, მათში და ჩვენ გვერდით.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს.

*ლალი გოგოჭური*

## დათო ფირცხალაიშვილის ხსოვნას!

ჩემო საყვარელო დათო! უძლურია სიტყვები შენს სიყვარულსა და სითბოზე. უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან იმქვეყნიურ სასუფეველში გადაინაცვლე. ამ ხნის მანძილზე ცრემლი და ლოცვა არ მოგკლებია. ჩემო 25 წლის საამაყო ბიჭო, ძალიან ძნელია უშენობა. ჟოველ საღამოს გელი, ჩემო ღიმილიანო ბიჭო, მაგრამ მწამს სულის უკვდავებისა. შენი გამწარებული მშობლები, დაიკო, ბებიები — ყველა შენი მომგონი, ლოცვაში ვპოულობთ ნუგეშს. შენ მიერ დატოვებული სიყვარული არასოდეს განელდება. გვჯერა, რომ სამარადისოდ დაიმკვიდრე ადგილი ზეციურ სასუფეველში. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო დათო.



*ლუბა ბებო*

## გიორგი (გოგლა) ბერიაშვილის მონატრება



25 იანვარს ორი წელი ხდება, მას შემდეგ, რაც უდროოდ ჩაიფერფლა შენი ახალგაზრდული სიცოცხლე. წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი. ვერ იტევს გული ამდენ მწუხარებას, როგორც შენი გული ვერ იტევდა უზარმაზარ სიყვარულს, სიხარულს და სიკეთეს ერთად.

2 წელია, ჩვენს ოჯახში უშენობამ დაისადგურა. ვაკეთებთ საჭმელს, ვუყურებთ შენს სურათებს. მერე ფიქრთა გორგალსაც ეხსნება წვერი და ცრემლის ზღვაში ვიძირებით.

ტელეფონიდან გადმოსულმა ყელდამ უსწრაფესად მოირბინა თბილისი და ასანურშიც ამოაღწია. გაოგნებულებს ცრემლი თვალზე შეგვეყინა.

გამორჩეული ყველაფერში, უფალმა სიკვდილშიც გამოგარჩია. სიცოცხლე გწყუროდა და სიკვდილი შესვი.

სიცოცხლის მოყვარული წამში იქეცი მარადისობად, რამდენი რამ ვერ მოასწარი.

ჩემო საყვარელო გოგლა, ჩემი სულის და გულის ნაწილო, ჩემო ანგელოზად ქცეულო გაელვებავ! ოჰ, ღმერთო, რამხელა ტკივილი ხარ, ჩემო ლამაზო ბიჭო. ჯიუტი ერთგულებით გელის გაწამებული დედაშენი, კვლავ ცოცხალთა შორის დაყინებით დაგეძებს მამის თვალები. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ იმ ტკივილს, იმ სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დაგვიტოვე ყველა შენს ახლობელს, ვერავინ შეავსებს. ძალიან გვენატრები ყველას. შენს სახელს არასოდეს უწერია დავიწყება.

*დიდი სიყვარულით შენი მონატრებული მშობლები: შოთა, მერი ბერიაშვილები; ძმა მიტო ბერიაშვილი; მეუღლე მაია; შვილები შოთიკო, ჯუბა ბერიაშვილები*

## ვარლამ (თენგიზ) კვარაცხელიას ხსოვნას

ერთი წელი გავიდა, საყვარელო თენგო, შენი გარდაცვალებიდან. მუდამ გვჯეროდა, რომ ჩვენ გვერდით იქნებოდი, მაგრამ ბედისწერის მკაცრი განაჩენით, მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ღმერთმა. როგორ ვამაყობდით შენით და რა სწრაფად ჩაქრა შენი სიცოცხლე! ჩვენო ობოლო ბიჭო! შენი პატარა მეგი ისევ დაგეძებს, ისევ მოგელის. უშენოდ სევდამ დაისადგურა შენს ოჯახში. მხოლოდ ესღა შეგვიძლია, გისურვოთ მშვიდი ცხოვრება იმქვეყნად. უფალს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!



*შენი დეიდა და დეიდაშვილები*

## ჩემო ძვირფასო ბიძია ანზორ!

კიდევ ერთი ბუმბერაზი კაცით გაღარიბდა საქართველო. რამხელა ტკივილს უძლებდი და ამ დროს, რამხელა იმედს აფრქვევდი. გაგრა გტკიოდა, მთლად საქართველო გტკიოდა, სული და გული გტკიოდა და აი, გული გაგიხეთქა ამდენმა ტკივილმა.



შენ ხომ მეც დამაობლე, მეხუთე შვილად რომ მთვლიდი. უფალს ვევედრები, ზეციური სასუფეველი დაგიმკვიდროს და მფარველობა არ მოაკლოს შენს ოჯახს. ჩემს ტკივილს კი მისხალიც არ დააკლდება, რა დროც არ უნდა გავიდეს.

*ქეთი თოდაძე*

## თამაზ კვესელავას ხსოვნას!

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარა ხარ, ტკივილითა და სევდით სავსე სამი წელიწადი — დრო, რომელმაც არათუ გაანელა, კიდევ უფრო მწუხარე და გაუსაძლისი გახადა უშენოდ ყოფნა.

გვიყვარხარ და გვენატრები!

*შენი ოჯახი*

## ანზორ ცაცუას მონატრება

უანგაროდ თესდი სიყვარულს და სულით ხორცამდე მოყვასისათვის დახარჯული მადლითა და პატიოსნებით შემკული წარდექი უფლის წინაშე. შენ ხომ კაცურკაცობისა და ადამიანობის ეტალონი იყავი.



ჩვენო საყვარელო ბიძაშვილო, ჩვენო დიდო იმედო, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები. მხოლოდ ტირილით ვიოხებთ გულს, რომელსაც ძარღვი ჩასწყდა... ხოლო როცა სევდა უზომოდ მოგვაწვება, ვიხსენებთ წმინდა ავგუსტინეს სიტყვებს:

„ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ,
თუ მართლა იცი, რა არის ღვთის მადლი და სასუფეველი,
თუ ძალგიძს, გაიგონო ანგელოზთა გალობა
და ანგელოზთა შორის დამინახო."

გვჯერა, ანგელოზივით სუფთა, ღმერთმა თავისთვის გისურვა. ჩვენს ცნობიერებაში კი კვლავ სიცოცხლის, სიყვარულის, სიკეთისა და სილამაზის სიმბოლოო, განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული ანზორ ცაცუა ცოცხლობ, რომელმაც, სამწუხაროდ, სულის ტკივილიც გვასწავლე.

*კობა და ეკა ყოლბაიები*

## ალიკა ქარქუსაშვილის ხსოვნას!

ალიკა, ჩვენო გაუქარვებელო დარდო და მწუხარებავ! დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო კეთილო, ალალო, ხუმარა ბიჭო. 27 იანვარს 40 წელი უნდა შეგსრულებოდა, მაგრამ აღარ დაგცალდა. ერთი ბოთლი მოწამლული შამპანური გახდა შენი დაღუპვის მიზეზი. შხამიანმა სასმელმა მთელი ოჯახი მოწამლა. ექიმებმა შენი ცოლ-შვილი გადაარჩინეს, შენ კი ვეღარ გიშველეს. მოულოდნელი იყო შენი სიკვდილი, თავზარდამცემი. ასე გვეგონა, ყველაფერი სიზმარში ხდებოდა, მაგრამ ეს მწარე სიმართლეა.

სამიოდე კვირის წინ, მძიმე დარტყმა გადაიტანე — მოულოდნელად მამა დაგეღუპა, კეთილი, ჭკვიანი და მშრომელი ადამიანი. ეს შენთვის უდიდესი ტრაგედია იყო. დადიოდი დაღონებული და გულჩათხრობილი.

შენი დაღუპვით ყველას გული დასწყვიტე, ჩვენო ალიკა. დატოვე გამწარებული დედა, და, მეუღლე და ორი პატარა გოგონა, რომელთაც ცოდვით თვალს ვერ ვუსწორებთ.

ზღვა ცრემლით და ყვავილებით გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი, წმინდა სული, ჩვენო უბოროტო, ხუმარა ბიჭო!

*ბიძა მიშა ქარქუსაშვილი ოჯახით, სიძეებით*

## ირინა ტყებუჩავას ხსოვნას!

წელს, 30 იანვარს, უშენოდ პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს. გარეგნულად მუდამ ლამაზო, მუდამ ღიმილიანი, ჩვენო საყვარელო ირინა.



ვიხსენებთ ერთად გატარებულ დღეებს და ძალიან გვენატრები. ყველას გვიჭირს იმის დაჯერება, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარა ხარ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*თანამშრომლები*

## თამაზ ჯავახიშვილის გახსენება



28 იანვარს 52 წელი შეგისრულდებოდა. ეს პირველი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ ვხვდებით. ხუთი თვეა, რაც მარადისობაში გადახვედი და მხოლოდ განუზომელი სევდა და მწუხარება დაგვიტოვე. ძალიან გვიყვარხარ, უზომოდ გვენატრები. მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური მიწა შენს გულზე.

*ოჯახი*

## ავთანდილ (ათუკა) ცუცქირიძის მონატრება

ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, მესამე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ახალი წლის ღამეც შენთან ერთად გავატარეთ საფლავზე.



მძიმეა ყველას ტანჯვა, მაგრამ იმაზე საშინელი არაფერია, როცა დედას შვილი უკვდება. მხოლოდ ცრემლად იღვრება და ჩუმად ტირის, რომ შენს მამას და ძმას არ აგრძნობინოს მწუხარება.

იმქვეყნად გილოცავ 31 იანვარს, 24 წლის შესრულებას.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, შენი ლამაზი და უღალატო სულით.

*დეიდა და დეიდაშვილები*

## ვასიკო!

23 იანვარი შავად გაუთენე, შვილო, შენს ლამაზ ოჯახს, სამეგობროს, სამეზობლოს შენსას, ჩვენს უბანს.



შენი და ნიკას სიკვდილით, ორი სამამულე რქა ჩამოატეხეთ საშობლოს, შვილო!

სად, სად მიგეჩქარებოდათ, ბიჭებო! რა დროს თქვენი წასვლა იყო, ჯერ ხომ ოციც არ შეგსრულებიათ. რატომ გვატკინეთ გული, რატომ დაგვჩაგრეთ?!

ღმერთსაც კარგი უყვარსო, თქვენნაირებზე ამბობენ, ალბათ. ნათელში გამყოფოთ უფალმა, ძვირფასებო!

ჩვენ კი, შენი მეზობლები, ჩოჩიების ლამაზ ოჯახს დღეს რომ თვალს ვერ ვუსწორებთ, შენი ნათელი ხსოვნისათვის სანთლებს დავანთებთ ყოველ 23 იანვარს და მას ვასიკოს სანთლები ერქმევა.

გზას მართალს შენსას ნათელი უფლის.

*მეზობლები*

## ჯული ბერიძე-კიტიას მონატრება



უკვე ორი წელი გახდა, რაც ჩვენგან წახვედი და ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩემო ჯული. ნეტავი იცოდე, როგორ ძალიან მენატრები და როგორ ძლიერ მტკივა გული. ვერაფრით ვეგუები უშენობას, ჩემო სიხარულო, შენ ხომ ყოველთვის ჩემი იმედი იყავი. ისე წახვედი, რომ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწარი. იქნებ, რა გქონდა სათქმელი?! როგორ ძალიან გეშინოდა სიკვდილის, ახლა კი, უჩვენოდ როგორ ძლებ, ნეტავი იცოდე, როგორ მიჭირს უშენობა, როგორ ძალინ მაკლიხარ და მენატრები! შენს მერე ყველაფერი ჩაკვდა ჩემს გულში, ვერაფრით ვავსებ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს. შენ ხომ იცი, როგორ ძალიან მიყვარდი და მიყვარხარ. მე სანამ ცოცხალი ვიქნები, ყოველთვის მეხსომები და ყოველთვის ვილოცებ შენზე, ჩემო მოუშუშებელო ტკივილო. ღმერთმა სულ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ლიზიკო*

## მანანა ქუქიშვილის ხსოვნას!



გაიარა ცრემლითა და ტკივილით აღსავსე ორმა წელმა. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი, ჩემო მანო. ოდნავადაც არ შესუსტდა შენი უდროოდ წასვლით მოყენებული ტკივილი. უსაშველოდ გვაკლიხარ, ბევრჯერ დაგვჭირდა შენი გულის სითბო, შენი ღიმილი, ვაჟკაცური სიტყვა. მენანები სატირლად, იმიტომ, რომ იმ ბუნებით იცხოვრე, მარად მოურჩენელო ტკივილო, ჩემთვის და შენი შვილებისათვის. შენისთანები როდი კვდებიან, შენ მხოლოდ გარდაიცვალე. სულ ესწრაფოდი, სულ ჩქარობდი. მაგრამ შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი აუხდენელი ნატვრა და ოცნება შენი შვილებისათვის. შენ ძალიან კეთილი იყავი, ასეთად დარჩი ჩვენს მეხსიერებაში. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. არავითარი დრო მე შენს თავს არ დამავიწყებს, ყველაზე ბედნიერად თავს მაშინ ვგრძნობდი, როცა შენ ჩემ გვერდით იყავი. ავად მოსაგონარი იქნება ჩვენთვის 8 თებერვალი. ამ ორ წელიწადში როგორ დამძიმდა სული, გავხდი უკურნებელი ავადმყოფი. შენ აზრი და შრომა ვაჟკაცისა გქონდა, და ეს შენი დიდი ნაშრომი ალალი იყოს შენი შვილებისათვის. შენ იქიდანაც ილოცებ შენი შვილებისთვის, ჩვენთვის — ყველასთვის, ვინც შენს სულს და გულს ვავსებდით. ძალიან გვიჭირს უშენობა, უზომოდ გვენატრები. არ არსებობს წამალი ამ ტკივილის დასაამებლად, რაც შენმა დაკარგვამ მოგვიტანა. ამის მერე უფრო მჯერა — ღმერთსაც კარგი ჰყვარებია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*დამწუხრებული შენი და ცოლი*

## მიშა ვაჩნაძის გახსენება



მიშკა, შენი სახით თბილისს კიდევ ერთი კოლორიტული ადამიანი დააკლდა. ძალიან გვენატრება, შენი კეთილი, თავადური იერსახე, ელეგანტური მანერები, ხალისიანი სიცილი და საუბარი.

ბავშვივით გულუბრყვილო, მიმნდობი და მოსიყვარულე იყავი. ყველას გვათბობდი და გვავსებდი შენი გასხივოსნებული ენერგიით.

16 იანვარს 55 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ვაი, რომ ვერ დავძლიეთ უკურნებელი სენი. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*ოჯახი და მეგობრები*

## ლევან ცინცაძეს!

კიდევ ერთი ცრემლიანი დილა გაგვითენდა... კიდევ ერთი მეგობარი დავკარგეთ. მართალია, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ მაინც ძნელია შეეგუო იმ ადამიანის წასვლას, ვინც მთელი ცხოვრება შენ გვერდით იდგა, ვინც უშურველად გასცემდა სიკეთეს და სითბოს, ვისაც საკუთარი თავი არ ახსოვდა და მუდამ სხვებზე ფიქრობდა.



ლევან ცინცაძე გამორჩეული იყო თავისი ვაჟკაცობით, დიდი გულით, უანგარობით. გულით იმდენ დარდს ატარებდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ვეღარ გაუძლო.

გემშვიდობებით, ჩვენო საყვარელო ძმაო და ვიმედოვნებთ, რომ შენც იქ, იმ ზეციურ საქართველოში არ დაგვივიწყებ.

*ნონა, ნელი, ვახტანგი, დათო*

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე" იუწყება, რომ გარდაიცვალა სტუდიის ერთ-ერთი წამყვანი კინემატოგრაფისტი

**ლევან გალაქტიონის ძე ცინცაძე**

## მინდია ჯოხარიძის ხსოვნას!

1990 წლის 31 იანვარს, მეხის გავარდნასავით გაისმა შენი დაღუპვის ამბავი — დაუჯერებელი და თავზარდამცემი. 16 წლის ასაკში შეწყდა შენი გულის ფეთქვა, რომელიც ყველას სიყვარულს იტევდა.



დედ-მამის აღუწერელი მწუხარება, სიბერე... 12 წელია, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, მაგრამ ჩვენს გულებში შენი ადგილი ისევ ისეა.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს და ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო მინდო.

*დედ-მამა, ძმა მიშიკო ჯოხარიძე ოჯახით*

## ჯულიეტა გუჯაბიძე-ჩხუტიაშვილის გახსენება

*„შვილო, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია".*

ხუთმა წელმა საოცარი სისწრაფით გაირბინა. 29 იანვარს 34 წელი შეგისრულდებოდა. შენ კი 10 თებერვალს გადაინაცვლე იმ სამყაროში, სადაც სპეტაკნი განისვენებენ. უსაზღვროა შენი მონატრება. უშენობა უჭირთ შენს ნატოს, გიორგის და ზურიკოს.



ჯულიეტა (პუსკუნო), ჩვენო მხიარულო გოგონავ, სიცოცხლითა და სიყვარულით აღსავსე, მრავალშვილიანო დედავ, ძნელი ყოფილა უშენობა, მშვიდად იძინე მარადიულ საუფლოში, ჩვენ მოვალთ ყვავილებით შენთან და შუა ზამთარშიც კი მოგიტანთ გაზაფხულს, რომლის მოსვლა შენ ასე ლამაზს, მხიარულს და სათნოს გხდიდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და უმწიკვლო სული.

*შენგან დამწუხრებული მშობლები*

ჩვენ გვწერენ

## ორთავა ბიჭი



წამიკითხავს, რომ არსებობენ ორთავიანი ადამიანები, გამიგონია მრავალთავიანი დევის ზღაპარიც...

რამდენიმე წლის წინ ქალაქის ძველ უბანში სახლი ვიყიდე. ნელ-ნელა გავიცანი კუთხემეზობლები. ჩემი სახლის უკან, კლდის პირას, ძია სურენი ცხოვრობდა, განათლებული, სალმიანი და დუნიაზე ნავალი კაცი, თურქეთიდან გამოქცეული ოჯახის შვილს, და-ძმები ამერიკაში ჰყავდა. მას და მის მშობლებს ბოლშევიკებისთვის ვერ გაესწროთ და დარჩენილიყვნენ თბილისში. არ მახსოვს, ძია სურენის ოჯახში ვინმე სტუმრად მისულიყო. მუდამ ჩაგმანულ ფანჯრებზე სქელი ფარდები ეკიდა. ბავშვობიდანვე ცნობისმოყვარე ვარ და ათას რამეს წარმოვიდგენდი ამ უკარება სახლზე, მით უფრო, რომ ვატყობდი, ეს ოჯახი ღამით ცხოვრობდა.

ერთ ღამეს შევნიშნე, ფანჯრები გაეღოთ, აივანზეც ვილაცები იდგნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ოთახის სიღრმეში ანთებული შუქი ოდნავ ანათებდა მათ. ერთი ძია სურენი იყო, მეორე — მისი მეგობარი ექიმი, ხოლო მათ შუა 12-13 წლის ბიჭი იდგა, რომელსაც ორი თავი ჰქონდა, ერთმანეთის მსგავსი ორი თავი. ერთი ლაპარაკობდა, მეორე — იცინოდა!

გაოგნებული დავბარბაცდი და კარს მივეჯახე. ხმაურზე მოიხედეს, ბიჭს აეფარნენ და სასწრაფოდ შინ შეილალნენ...

მოსვენება დავკარგე, ადგილს ვერ ვპოულობდი. ისე გამიჭირდა იქ ყოფნა, რომ სახლი გავყიდე და საბურთალოზე გადავედი.

რამდენიმე დღის წინ ერთი იმუბნელი ნაცნობი შემხვდა. აქეთურ-იქითურს მოაყოლა — ძია სურენის ოჯახი შარშან ამერიკაში გადასახლდა და მაშინღა გავიგეთ, რომ ორთავა შვილთაშვილი ჰყოლიაო...

***ნოდარ კომლაძე***
***თბილისი***

## პოლიცია და „მუტი“



ბოლო ხანს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქუჩებში ძარცვა-გლეჯა გახშირდა. პოლიცია ვერაფერს გახდა. რესპუბლიკის თეთრკანიან მოსახლეობას, რომელსაც ყველაზე ხშირად ძარცვავენ, პოლიციის იმედი არა აქვს და ამიტომ ჯადოქრებს მიმართავენ თილისმა „მუტის“ შესაძენად. ამბობენ, ეს მაგიური ნივთი იცავს ადამიანებს თავდამსხმელებისაგან. საკმარისია „მუტი“ საფულეში ჩადო ან ტანსაცმელში ჩაიკერო, რომ არაფრის შიში აღარ გექნებაო.

თილისმა ძვირი ღირს, მაგრამ თეთრკანიანები ასეთ „წვრილმანს“ ყურადღებას არ აქცევენ.

— თუკი „მუტი“ გაქვთ, მაშინვე იგრძნობთ ყაჩაღების სიახლოვეს და მათთან შეხვედრას თავს აარიდებთ, მაგრამ თუ მაინც შეეჩეხეთ, მოძალადე დაიბნევა და გაქცევას მოასწრებთ. მე, პირადად, ამაში არაერთგზის დავრწმუნდი, — ამბობს ერთი მოქალაქე.

პოლიცია სკეპტიკურად უყურებს ავგაროზის გამო ატეხილ აჟიოტაჟს. ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პოლიციელმა განაცხადა, — როცა ადამიანს სჯერა „მუტის“ ძალისა, მას ცხოვრება უადვილდებაო.

უნდა მოგახსენოთ, რომ დამნაშავეები უკვე ფრთხილობენ. მოხდა რამდენიმე უცნაური შემთხვევა, როცა ბოროტმოქმედებმა ვერ მოახერხეს ავგაროზის მქონე ადამიანების გაძარცვა და რაღაც უცნაური ავადმყოფობაც შეეყარათ.

***სანდი ქრონიკლი №2***

## გაცოცხლებული მკვდრები იგონებენ



ჰოლანდიელმა მკვლევარებმა გამოაქვეყნეს მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგები, რომლებიც ადასტურებენ, რომ კლინიკური სიკვდილის დროს ადამიანებს აქვთ მგრძნობელობა და შეუძლიათ აზროვნება. ექიმების ჯგუფი დოქტორ პიმ ვან ლომელას ხელმძღვანელობით, აკვირდებოდა 344 პაციენტს, რომლებიც კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მკურნალთა ძალისხმევით, გადარჩნენ. მათგან 103-მა აღწერა იმქვეყნიური ცხოვრება. ავადმყოფების მონათხრობი ერთმანეთს ჰგავდა. მაგალითად: ყოფიერების შეგრძნება და ნეტარების წამი, როცა სული შორდება სხეულს და იწყებს დამოუკიდებელ ცურვას, შეხვედრები და საუბარი გარდაცვლილ ნათესავებთან, განვლილი ცხოვრების ხილვა... მაგრამ მკვლევართა თქმით, ყველა კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფმა ვერ განიცადა მსგავსი რამ. მედიკოსებმა დაადგინეს, რომ მსგავს რამეს სიკვდილის შემდგომ უფრო ხშირად გრძნობენ 60 წელზე მეტი ხნის ადამიანები, განსაკუთრებით ქალები.

თანამედროვე მედიცინა ჯერჯერობით ვერ ხსნის, როგორ ახერხებს ადამიანი დაკვირვებასა და ანალიზს, თუ მისი ტვინი იმ დროისათვის არ ფუნქციონირებს.

***მეგაპოლის-ექსპრესი №2***

## სექსმედიუმი



მედიუმები ამტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ მიცვალებულთა სულებთან კონტაქტის დამყარება. ლონდონში მცხოვრები ინგლისელი ნათელმხილველისა და იტალიელი ექსტრასენსის ვაჟი ჯორჯ პინეტი ცნობილია იმით, რომ თითქოსდა შეუძლია თავის სხეულში ჩაისახლოს მიცვალებულის სული და საშუალება მისცეს, ღამე საყვარელ ცოლთან გაატაროს. პინეტის თქმით, მან ამ მეთოდით უკვე ორასზე მეტი ქვრივი ქალი „დაამშვიდა“.

— მე ღმერთმა ასეთი ნიჭით დამაჯილდოვა და ვალდებული ვარ, უბედურ, მარტოხელა ქალებს დავეხმარო, — ამბობს მედიუმი.

ეს დახმარება, რა თქმა უნდა, უანგარო არ არის. საათში პინეტი 90 დოლარს იღებს და მას კლიენტების რიგი უდგას. ქალები დარწმუნებულნი არიან, რომ პინეტის სხეულში მათი ქმრების სული სახლდება და ისინი მათთან ამყარებენ სექსუალურ კონტაქტს.

ბევრი პინეტის ცინიკოს თაღლითად მიიჩნევს, რომელმაც ფულის შოვნის შესანიშნავ მეთოდს მიაგნო. მაგრამ მედიუმი ამბობს, რომ ფული მისთვის მთავარი არ არის და ის მზადაა, განსაკუთრებულ შემთხვევებში ქვრივებს უფასოდაც მოემსახუროს.

***ინტერპოლ-ექსპრესი №24***

## მოგზაურობა დროში _ მითი თუ რეალობა



ფანტასტები მუდამ ოცნებობდნენ დროში მოგზაურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოუდგენელი რამაა, ფიზიკოსებმა უკვე ჩაატარეს ექსპერიმენტი ასეთი მოგზაურობის შესაძლებლობაზე. როცა 20-იან წლებში ალბერტ აინშტაინმა დაამუშავა გრავიტაციისა და ელექტრობის თეორია, სამხედროები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ელექტრომაგნიტურ ველს შეუძლია „სინამდვილის სხვაგვარად ჩვენება“. იმედი მიეცათ, რომ მისი დახმარებით შეძლებდნენ გემები დაეცვათ ტორპედოებისაგან. 1943 წელს, გააფთრებული ბრძოლების დროს, ამერიკელმა მეცნიერებმა (სამხედრო მოსამსახურეებმა) ჩაატარეს ცდა — უნდოდათ გემი დაემალათ მტრის რადარებისთვის. 9 სთზე ჩართეს უმძლავრესი გენერატორები (თითოეული 75 კვტ სიმძლავრისა), მათ უნდა შეექმნათ ძლიერი ელექტრომაგნიტური ველი. 20 წუთის შემდეგ „ოლდრიჯმა“ დაიწყო მწვანე ბურუსში გახვევა, როცა ბურუსი გაიფანტა, „ოლდრიჯი“ გაქრა. 20 წუთის შემდეგ გამორთეს გენერატორები, კვლავ გაჩნდა მწვანე ბურუსი, როცა იგი გაიფანტა, კვლავ გამოიკვეთა გემი. გემზე ასულმა მეცნიერებმა დააფიქსირეს, რომ ყველა მეზღვაურს თავი უხურდა და გული ერეოდა. ექსპერიმენტი განმეორდა 1943 წლის 28 ოქტომბერს. როცა ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მოულოდნელად „ოლდრიჯზე“ დამაბრმავებელი კაშკაშა სინათლე გაჩნდა და გემი გაქრა. წამების შემდეგ გემი კვლავ გამოჩნდა, მაგრამ არა ფილადელფიაში, არამედ 300 კმ-ით დაშორებულ ნორფოლკში (ვირჯინიის შტატი). გავიდა 6 წამი და „ოლდრიჯი“ კვლავ გაითქვიფა ჰაერში და ფილადელფიაში გაჩნდა. გემზე მყოფი ადამიანების მდგომარეობა, პირველ ექსპერიმენტთან შედარებით, გაცილებით მძიმე იყო. ერთ-ერთ მეზღვაურს გაახსენდა, — როცა ბურუსი გაიფანტა და მათ დაინახეს ნორფოლკი, რამდენიმე ადამიანი უკვალოდ გაქრა, ეკიპაჟის ნაწილი ჭკუაზე შეირყა, ბევრმა ძლიერი დამწვრობა მიიღო, რამდენიმე კი მაღალი ტემპერატურის გამო მიეწება გემის კორპუსს.

დღესაც, ამდენი ხნის შემდეგ, არავინ იცის, რა მოხდა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გემი გამოჩნდა ასეულობით კილომეტრის დაშორებით და სწრაფად დაბრუნდა უკან.

***მირ ნოვოსტეი №2***

## სიკვდილის გზატკეცილი მისურის შტატში



ჯერ კიდევ XX საუკუნეში მედიკოსებმა ყურადღება მიაქციეს უცნაურ კანონზომიერებას: ზოგიერთ ოჯახში აღინიშნებოდა გაურკვეველი დაავადებისა და სიკვდილის უამრავი შემთხვევა. უჩვეულო იყო ისიც, რომ ავად ხდებოდა ოჯახის ახალი, შემომატებული წევრიც. ამ პრობლემას დიდხანს იკვლევდნენ, ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყოველივე სახლის მდებარეობის ბრალი იყო. მაგრამ მაშინ ეს მხოლოდ ჰიპოთეზა გახლდათ. მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ბავარიაშიც გამოვლინდა მსგავსი საშინელება. გაირკვა, რომ გარდაცვლილები (69 კაცი) ცხოვრობდნენ ძლიერ გეოპათოგენურ ზონაში მდგარ სახლებში.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და ერთ-ერთმა ჩეხმა მედიკოსმა, რომელიც თავისუფალ დროს ვაზის ლერწის საშუალებით წყალს ეძებდა, ყურადღება მიაქცია იმ მოვლენას, რომ ვაზის ლერწის კუდი, რომელიც მას ხელში ეკავა, ზოგ ადგილას სწრაფად იწყებდა ბრუნვას. ექიმმა აღნიშნა, რომ სწორედ ასეთ ადგილებში ნაკლებად ხარობდა სასოფლო-სამეურნეო კულტურა, სამაგიეროდ, კარგად იზრდებოდა სარეველა ბალახი და შხამიანი მცენარე. ამასთან ერთად, ისიც გაარკვია, რომ ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ დამშრალი მდინარეების ან წყალსაცავების რაიონებში, სხვებზე ხშირად ავადდებოდნენ. ექიმმა დაადგინა, რომ გეოპათოგენური ზონები იქმნება მიწისქვეშა წყლების გადაადგილების რაიონებში.

მოგვიანებით ეს დასკვნა დაადასტურეს გეოფიზიკოსებმა.

ასეთი „ეშმაკისეული ადგილების“ აღმოჩენა შესაძლებელია ვაზის საშუალებით. გეოპათოგენურ ზონებში მოკლე ხნით ყოფნაც კი სასიკვდილოა. ამიტომ საზღვარგარეთ, რაიმე მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია მედიკოსების დასკვნა, რომ ეს რაიონი არ არის პათოგენური ზონა.

გეოპათოგენური ზონის ადამიანზე ზემოქმედების ცოცხალი მაგალითია ამერიკის, მისურის შტატის №66 ჩქაროსნულ გზატკეცილზე მომხდარი მოვლენები. შტატის საგზაო პოლიციის ერთ-ერთმა ჩინოსანმა რონი რაკუნმა შეადგინა გზატკეცილზე მომხდარი ავტოკატასტროფების დიაგრამა. აღმოჩნდა, რომ მაგისტრალის ერთ-ერთი, 350 მ-იანი მონაკვეთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ავარიების რაოდენობით — იქ ავტოსაგზაო შემთხვევები 17-ჯერ უფრო ხშირად ხდებოდა.

რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ იყო. დაიწყეს გამოკვლევა, მოიწვიეს მეცნიერები. მეცნიერებმა საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. მაგისტრალის ამ მონაკვეთზე, რომელმაც მცირე პერიოდში 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა და სტანდარტები დაცული იყო.

მეცნიერებს დაეხმარა ადგილობრივი ფერმერი ჰარი მაქროი, რომელმაც განაცხადა, რომ ის ვაზის ლერწის საშუალებით ეხმარებოდა ფერმერებს მიწისქვეშა წყლების მოძიებაში და შეამჩნია ვაზის უჩვეულო „საქციელი“.

ხელსაწყოებმა აჩვენა, რომ ამ ადგილებში არსებობდა გამოსხივების უძლიერესი წყარო.

პრობლემით მედიკოსები დაინტერესდნენ და დაადგინეს, რომ ავტოსტრადის ზემოხსენებული მონაკვეთი უძლიერესი გეოპათოგენური ზონაა; გამოსხივება მძღოლებზე დამღუპველად მოქმედებდა, მათ აღარ შეეძლოთ ყურადღების კონცენტრირება, ერღვეოდათ მოძრაობის კოორდინაცია, უქვეითდებოდათ რეაქცია, ზოგი იძინებდა კიდეც და, რა თქმა უნდა, ავარიებიც გარდაუვალი იყო.

„ეშმაკისეული გზა“ მაშინვე დახურეს და გზატკეცილი სხვა მონაკვეთზე გადაიტანეს.

***ნლო №1-2***

### როგორ ამოვიცნოთ ანომალიური ზონა?

**ამის თაობაზე უკვე წერდა ჩვენი გაზეთი, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: ამ საქმეში ვაზის ლერწი დაგეხმარებათ. ხოლო თუკი ახალ ბინაში გადადიხართ, მაშინ საშიში ადგილის პოვნაში კატა და ძაღლი დაიხმარეთ.**

**შეუშვით ბინაში ჯერ კატა, ყურადღება მიაქციეთ, სად მოიკალათებს. მას შემდეგ, როცა ბინას მოივლის და ყველაფერს კარგად დაყნოსავს. იქ, სადაც ფისუნია დაწვება — გეოპათოგენური წყაროა.**

**ამის შემდეგ ძაღლის რიგი დგება. დაუცადეთ, სანამ ძაღლი თავის ადგილს არ შეარჩევს. იცოდეთ, რომ ეს ადგილი ყველაზე უსაფრთხოა და სწორედ იქ დადგით საწოლები.**

**დაიმახსოვრეთ, კატა თავისთვის ყოველთვის ირჩევს იმ ადგილს, სადაც მაღალი გამოსხივებაა, ძაღლი კი „ეშმაკისეულ ადგილს“ არც კი გაეკარება.**

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. **რებუსი**
ქვეყანა ღონიერია, თუ კაცი გონიერია.

II. დათვი.

# დაუსჯელობის სინდრომი გრძელდება...



დუდუ დადიანი

22 იანვარი სპორტის დეპარტამენტში ჩვეულებრივად დაიწყო. ხალხი სამსახურში მიდიოდა, იქვე რაგბისტები ვარჯიშობდნენ და სკამზე ორიოდე მომლოდინეც იჯდა. მოკლედ, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სამშაბათი გათენდა — ერთი შეხედვით.

უცებ დეპარტამენტის შესასვლელიდან ვიღაც ახალგაზრდა გამოვარდა. შენობის წინ სკამზე მსხდომებს ეგონათ, რომ იგი გალახული იყო, რადგანაც ქურთუკი გვარიანად ამოსვრილი ჰქონდა, თანაც ნორმალურად კი არ მიდიოდა, თითქოს მიბარბაცებდა. სწორედ იქ, სადაც მანამდე რაგბისტები ვარჯიშობდნენ, ფეხიც დაუცდა, მაგრამ უმალ წამოხტა და სწრაფადვე გაუჩინარდა.

აი, ეს კაცი, რომელიც მაშინ შეეცოდათ, დღეს საქართველოში ნომერ პირველი ძებნილია. მან იმ დღეს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი სასიკვდილოდ დაჭრა. მკვლელობა დეპარტამენტის შესასვლელთან, კიბეებზე მოხდა. ამ დროს ახლომახლო მყოფებმა მცირე ხმაური კი გაიგეს, მაგრამ რას იფიქრებდნენ...

პირველად ხმაურზე საქართველოს 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი გამოვარდა. ამ დროს მის მოთამაშეებს დეპარტამენტის დარბაზში ვარჯიში დაემთავრებინათ და კიბეებით გასასვლელისკენ ადიოდნენ, ხმაურზე ფეხს აუჩქარეს და კიბეებზე დაგდებული დადიანი დაინახეს.

დუდუ დადიანს კალათბურთის ფედერაციაში დილიდანვე ელოდნენ. მანაც შენობის მოპირდაპირე მხარეს ტრადიციულად გააჩერა ორადგილიანი საკუთარი „მერსედესი“, შენობაში შევიდა და ბნელ დერეფანს გაუყვა. იქ კი ზუსტად არავინ იცის, რა მოხდა.

ერთ-ერთი ვერსიით, დადიანმა თავისი იარაღის ამოღება სცადა, მაგრამ ვერ გამოიყენა — დაუცლელი მჭიდი დერეფანშივე ეგდო. უკვე კიბეებზე დადიანს ესროლეს, ორჯერ ხელში მოარტყეს და ერთხელაც გულში. დადიანმა გონება დაკარგა, მაგრამ საავადმყოფომდე მაინც მოასწრო წამოყვირება — იგი იარაღს ითხოვდა.

ჟორჟიკაშვილმა მკვლელის დაკავება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბუნებრივია, ჯერ ნაადრევია დასკვნების გაკეთება, თუ რა მოხდა. ამის მიუხედავად მალე გაისმა საუბრები შეკვეთილი მკვლელობების თაობაზე. ფაქტია, რომ მკვლელი დუდუ დადიანს დიდხანს ელოდა და ეტყობა ინფორმირებულიც იყო იმის თაობაზე, რომ ვიცე-პრეზიდენტს ფედერაციაში ელოდნენ. სამსახურში მისასვლელი კი დადიანს ერთადერთი ჰქონდა — დეპარტამენტის ბნელი დერეფანი, სადაც ადვილი იყო ჩანაფიქრის ასრულება.

თუმცა, მკვლელობა თუ ქილერმა ჩაიდინა, რატომ ეცვა მას მეტად მყვირალა ფერის ტანსაცმელი? თვითმხილველთა თქმით, იგი საკმაოდ თვალისმომჭრელი ფერის მწვანე ქურთუკში იყო გამოწყობილი. ამასთანავე ისიც ბადებს ეჭვებს, რომ მკვლელობა საკმაოდ არაპროფესიონალურად შეასრულა, რაზეც ხელში ორჯერ მორტყმული ტყვიაც მეტყველებს.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად პოლიციამ უკვე გამორიცხა მკვლელობის ორი ვერსია, რომელიც დადიანის რომანებსა და მის საქმიან პარტნიორებს უკავშირდება. პირველი იმიტომ გამოირიცხება, რომ სპორტის დეპარტამენტთან მკვლელობას სულელი ჩაიფიქრებდა. პარტნიორებთან კი დადიანს პრობლემა არ ჰქონია — როგორც ამბობენ, მას ყველა პატივს სცემდა. რაც შეეხება მესამე ვერსიას, იგი დადიანის ძველ კონფლიქტებზე ყოფილა აგებული. იმასაც ამბობენ, დადიანი იარაღს („ჰეკლერ-კოხი“) სწორედ სიფრთხილის გამო ატარებდა. თუმცა, მისი უახლოესი გარემოცვა ამას უარყოფს.

სხვათა შორის ჭორია ისიც, თითქოს დადიანი კაზინო „აჭარის“ მეწილე იყო. მას კაზინოს მეპატრონეებთან მეგობრობა აკავშირებდა და ამიტომაც ჩნდებოდა ხშირად „აჭარაში“. ლოგიკურია იკითხო — რომელი მეპატრონე თამაშობს საკუთარ კაზინოში? დადიანი კი თამაშობდა და სავარაუდოდ მკვლელობის წინა დღესაც ითამაშა.

შს მინისტრმა ნარჩემაშვილმა მკვლელობის შემდეგ განაცხადა, რომ მუშავდება ვერსია, რომელიც დადიანის პირად ცხოვრებასა და საქმიან კავშირებს უკავშირდება. ეს ისედაც ცხადია — კაცს ან პირადი წყენის გამო კლავენ, ან საქმიანობიდან გამომდინარე. თუმცა საქმეში ჩახედული ადამიანები გამორიცხავენ პირად წყენას. საერთოდ კი დადიანის მკვლელობის შემდეგ იმდენი სისულელე და ჭორი დაიწერა, გასაოცარია, რა უმტკივნეულოდ დაგვჩემდა ქართველებს ტკივილის შოუდ გადაქცევა. ამ დროს მთავარი შეგრძნება იკარგება — თუ რა დანაკლისია ოჯახში, მეგობრებში, მოკლულის წრეში — უნდათ კი მათ სულში ჩაძვრომა? დავიწყებულია ისიც, რომ კალათბურთელთა სამყარომ დაკარგა პიროვნება, რომელსაც უდიდეს დასაყრდენად მიიჩნევდნენ. დუდუ დადიანი ნოემბერში გამართულ საკალათბურთო ყრილობამდე პრეზიდენტობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნეოდა, მაგრამ თავად არ ისურვა და ბესო ლიპარტელიანის მოადგილეობას დასჯერდა. კალათბურთის თანადგომა ამ პოსტიდანაც არანაკლებად სურდა.

დადიანს ესპანეთში საქმიანი კავშირები ჰქონდა და ოპტიმისტურად იყო განწყობილი, რომ ამ კავშირების ქართული კალათბურთის სამსახურში ჩაყენებას მოახერხებდა.

დადიანის დამსახურებაა, ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები ევროპის სოლიდურ კლუბებში რომ ეწყობოდნენ. სლოვენიაში დადიანს მეგობრები ჰყავდა. მეტიც, საქართველოს ნაკრების პოტენციალის სრულად ამოქმედება ევროპელი სპეციალისტის ჩამოყვანით წარმოედგინა. ერთხელ გვითხრა კიდეც კერძო საუბრისას:

— საქართველოს კალათბურთს უდიდესი პოტენციალი რომ გააჩნია, ამას მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს. აიღეთ კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებები — ბოლო წლების მანძილზე რამდენჯერმე მოახერხეს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლა. გამოდის, რომ ჩვენ ნიჭიერი ბავშვების ნაკლებობას არ განვიცდით. მთავარია ისინი ევროპაში გავიყვანოთ და ვაჩვენოთ მოზარდთა დონეზეც. სლოვენიაში ერთი მეტად ცნობილი სპეციალისტია, რომელმაც ჩვენი ახალგაზრდების ნახვის შემდეგ მთხოვა, მამუშავეთ ამ ბიჭებთან, მეტს არაფერს არ გთხოვთ, მათთან მუშაობით უდიდეს წარმატებებს მივაღწევო.

შარშან ბელორუსიისა და ბულგარეთის ნაკრებებთან საშინაო შეხვედრების შემდეგ უზომოდ ბედნიერი იყო. ეგონა, რომ კალათბურთს ეშველა და ნანატრი დროც დგებოდა.

ეს იყო მაშინ... დღეს?..

***ლაშა დუმბაძე***

# ლეგენდის აღსასრული

მსოფლიო ფეხბურთს კიდევ ერთი ლეგენდა გამოაკლდა. რიო-დე-ჟანეიროში უკანასკნელ გზაზე გააცილეს ედვალდო იზიდიო ნეტო, რომელსაც მთელს მსოფლიოში ვავას სახელით იცნობდნენ.

საზოგადოებაში ვავა უკანასკნელად გასულ წელს გამოჩნდა, მისივე მეგობრის დიდის დაკრძალვაზე. დიდიც და ვავაც ბრაზილიის იმ დიდი გუნდის ფუძემდებლები იყვნენ, რომელმაც 1958 წელს შვედეთში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, რის შემდეგაც ფეხბურთში ბრაზილიელები გაბატონდნენ. შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატი ვავამ სათადარიგო ფეხბურთელად დაიწყო. ერთ-ერთ მატჩში ძირითადში ათამაშეს და მას შემდეგ წლების მანძილზე ინარჩუნებდა ადგილს იმ განუმეორებელ გუნდში, სადაც არა მარტო ვავას, არამედ პელეს, გარინჩასა და დიდის ფანტასტიკური კარიერაც დაიწყო. 1958 წლის ჩემპიონატზე ვავამ ოთხ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. უკვე სახელმოხვეჭილი ფორვარდი მშობლიური ბრაზილიიდან მადრიდის „ატლეტიკოში“ გადაბარგდა, დიდხანს ვერ გაძლო ევროპაში და ერთ წელიწადში „პალმეირასში“ დაბრუნდა. შემდეგ მექსიკასა და აშშ-ში სცადა ძალები, მაგრამ ვერც ამერიკულ ცხოვრებას შეეწყო, იძულებული გახდა ისევ შინ დაბრუნებულიყო. ვავა ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანი იყო, რომელიც მანე გარინჩასთან ერთად სამშობლოში ხალხის უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა.

ვავა 67 წლის ასაკში აღესრულა...







## ბუნების ჯადოსნური ძალა მამაკაცებს!

### უკანასკნელი წლების სტატისტიკა მამაკაცების შესახებ

უკანასკნელ წლებში წინამდებარე ჯირკვლის ადენომა ძალიან ხშირად უკვე 30 წლის მამაკაცებში აღინიშნება. 40-დან 59 წლამდე მამაკაცების 60%-ს პროსტატის ჯირკვალი უკვე გადიდებული აქვს.

### მედიცინა, გამოცდილება

ხშირი შარდვა, როგორც დღისით, ასევე ღამით, პროსტატის ადენომის პირველი ნიშანია. პროსტატის ადენომის სამკურნალოდ მრავალი წამყვანი ფარმაცევტული ქარხნის მიერ მოწოდებულია ეფექტური პრეპარატები; მაგრამ არსებობს ალტერნატივაც: არანაკლები სამკურნალო ეფექტის მიღება შეიძლება ფიტოპრეპარატებით.

### ძველი და ახალი (ახალი აღმოჩენა - გოგრის თესლის ზეთი პროსტატის წინააღმდეგ)

უნგრული ფარმაცევტული ქარხანა “ბიოგალის” მეცნიერებმა შეისწავლეს ფიტოთერაპიული ლიტერატურა (1892 წლიდან მოყოლებული) და აღმოაჩინეს ძალიან საინტერესო ფაქტი: მათ, ვინც საჭმელში იყენებდნენ გოგრის გარკვეული სახეობის თესლს, იშვიათად უვითარდებოდათ პროსტატის ადენომა, ჰიპერტენზია და ათეროსკლეროზი. ამ მონაცემებმა დასაბამი მისცა “ბიოგალის” სპეციალისტების მიერ პრეპარატ “პეპონენი”-ს შექმნას. პრეპარატის თითოეული კაფსულა შეიცავს კონკრეტული სახეობის გოგრის თესლიდან მიღებული ფიტოსტეროლებით მდიდარ ზეთს (300მგ).

### „პეპონენი„ – ნატურალური ფუძით! (ანუ ბუნების ჯადოსნური ძალა მამაკაცებს!)

მრავალი კვლევის (მათ შორის რუსეთის და უკრაინის წამყვან უროლოგიურ კლინიკებში) შედეგად ექიმების მიერ გაკეთებულია დასკვნა, რომ თუ არ არის პროსტატის ადენომის III სტადია, პეპონენი წარმოადგენს ამორჩევის ახალ, მაღალეფექტურ საშუალებას ნატურალური ფუძით, გვერდითი მოვლენების გარეშე და მკურნალობის გაცილებით იაფი კურსით. განსაკუთრებით ეფექტურია პეპონენი იმ შემთხვევებში, როცა ავადმყოფის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე მისთვის უკუნაჩვენებია ქიმიოთერაპია ან ქირურგიული ჩარევა.

### ”პ ე პ ო ნ ე ნ ი”



- ანელებს წინამდებარე ჯირკვლის – პროსტატის ზრდას
- უკუაგდებს შარდვისას პროსტატიტთან დაკავშირებულ ტკივილის შეგრძნებას
- გეხმარებათ პროსტატის ადენომის მიზეზით ქირურგიული ჩარევისგან თავის აცილებაში
- ანელებს ათეროსკლეროზის პროცესებს
- აუმჯობესებს მამაკაცის სპერმის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობას, რაც ხელს უწყობს მამაკაცის ნაყოფიერების ზრდას
- შეიცავს “კარგ ცხიმებს” მონო- და პოლი-უჯრებს, რომელიც ორგანიზმს ეხმარება ქოლესტერინისაგან განთავისუფლებაში
- შეიცავს დიდი რაოდენობით რკინასა და თუთიას – ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს

### ”პეპონენი” – სამკურნალო საშუალებაა (ანუ ეფექტურობა დამტკიცებულია კლინიკური გამოკვლევების შედეგად)

მკურნალობის პირველ თვეში მიიღება 600მგ (ორ-ორი კაფსულა) დღეში სამჯერ, მომდევნო ხუთი თვის მანძილზე თითო კაფსულა დღეში სამჯერ (სულ 6-7 კოლოფი). მკურნალობის დაწყებიდან უკვე 2-3 კვირის შემდეგ მცენარის ანტიმიკრობული და ანთებსაწინააღმდეგო მოქმედების წყალობით შეიმჩნევა პაციენტთა საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება, სამწუხაროდ, მამაკაცთა უმრავლესობა სჯერდება მიღწეულს და წყვეტს მკურნალობას! დროთა განმავლობაში დაავადება განაგრძობს განვითარებას და თავს იჩენს უფრო მძიმე სიმპტომებით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მკურნალობის კურსი გაგრძელდეს 5-6 თვე, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება განმეორებული იქნას ორ კვირაში.

**სერტიფიცირებულია**


CMYK

# „დაკარგული თაობის“ ბოლო შანსი

## ბედმა და უეფამ ფეხბურთშიც რუსეთი გვარგუნა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას რუსეთის, ირლანდიის, შვეიცარიისა და ალბანეთის ნაკრებ გუნდებთან ბრძოლაში შეეცდება. ასეთია პორტუგალიის ქალაქ პორტუში პარასკევს გამართული კენჭისყრის შედეგი „შინდისფერი ლეგიონისათვის“. მეხუთე შესარჩევ ტურნირს იწყებს საქართველოს ნაკრები და ყოველგვარი ზედმეტი ემოციისა და ტრაბახის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი შანსი მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისა, საქართველოს ნაკრებს ჯერ არ ჰქონია. იმას, არ ვამბობთ, თითქოს ჩვენი გუნდი ფავორიტი იყოს, ან თუნდაც 50%-იანი შანსი ჰქონდეს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისა, თუმცა არსებობს გარკვეული ფაქტორები (წინა შესარჩევი ტურნირებისგან განსხვავებით) რომელთა გათვალისწინებითაც ჯგუფური ბარიერის დაძლევა შეიძლება: ჯერ ერთი — ჯგუფს არ ჰყავს ისეთი გამოკვეთილი ლიდერი, როგორებიც იტალია, გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი არიან, და რომლებიც, გინდა — არ გინდა, მაინც უნდა გავიდნენ ჯგუფიდან; მეორე — საკმაოდ თანაბარი შემადგენლობის ჯგუფში ნებისმიერ დროს შეიძლება პოტენციურ ლიდერს „ფეხი დაუცდეს“ და ეს შანსიც გამოსაყენებელია; მესამე — უკვე მივიღეთ იმის გამოცდილება, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ნაკრებში განხეთქილებამ და „შინააშლილობამ“ და იმედია, შარშანდელი შეცდომები აღარ გამეორდება; მეოთხე და მთავარი — ის ფეხბურთელები, რომლებმაც ამ ტურნირში საქართველოს ღირსება უნდა დაიცვან, ნელნელა უკვე ჩამოყალიბდნენ ნამდვილ პროფესიონალებად. დღეს საქართველოში ფეხბურთს ისე უკვე აღარ უყურებენ, როგორც 10 ან თუნდაც 5 წლის წინათ, ე.წ. „დაკარგულ თაობას“ შელახული თავმოყვარეობის აღდგენის ბოლო შანსი აქვს, ევროპის საკმაოდ ძლიერ გუნდებში მოთამაშე ქართველ ლეგიონრებს უკვე საკმაო გამოცდილება გააჩნიათ, რათა კონტინენტის უპირველეს საფეხბურთო ფორუმზე მოხვედრაზე განაცხადონ პრეტენზია.

თავად ჯგუფს რაც შეეხება — X შესარჩევ ჯგუფს, სადაც ჩვენი ნაკრები გამოდის, მხოლოდ ერთი შეხედვით თუ შეიძლება იოლი ეწოდოს. რუსეთის ნაკრები, რომელიც პოტენციურ ლიდერად მოიაზრება, დღეს უკვე საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა ევროპაში. გუნდს საკუთარი ხელწერაც გააჩნია და ნებისმიერ დროს შეუძლია სენსაციის მოხდენა და გრანდების დამარცხება. ამის დასტურად რომანცევის გუნდის მიერ პარიზში საფრანგეთის ნაკრების დამარცხებაც საკმარისია. ირლანდია ის გუნდია, რომელმაც რამდენიმე თვის წინ ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დატოვა — ამით ყველაფერია ნათქვამი. შვეიცარია არათუ ჩვენთვის, ევროპული ფეხბურთის გრანდებისთვისაც ტრადიციულად უხერხული მეტოქეა. რაც შეეხება ალბანეთს — ორჯერ უკვე ვიასპარეზეთ ალბანელებთან ერთად შესარჩევ ჯგუფში და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო კალათში განთესილ გუნდთაგან უძლიერესი მეტოქე გვერგო.

ორიოდე სიტყვით სხვა ჯგუფების შესახებ:

უძლიერესად ერთხმად მიიჩნიეს V ჯგუფი, სადაც ესპანელებსა და უკრაინელებს პორტუგალიის საგზურის მოპოვებაში ბერძნები და ჩრდილოეთ ირლანდიელები შეეცილებიან. გრანდთაგან ყველაზე სასურველი მეტოქეები საფრანგეთს ერგო — დაგვეთანხმებით, რომ მეტად საეჭვოა სლოვენიამ, კვიპროსმა, ისრაელმა ან მალტამ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჯგუფში ჩატოვოს.



ჯგუფებში ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად მოიპოვებენ პორტუგალია 2004-ის საგზურს, მეორე ადგილზე გასული ნაკრებები ერთმანეთს პლეი-ოფებში შეხვდებიან, გამარჯვებული ხუთეული პირველადგილოსნებს შეუერთდება, მათ დაემატება მასპინძელი — პორტუგალიის ეროვნული ნაკრები. ფინალურ სტადიაზე 16 გუნდი ოთხ ქვეჯგუფად განაწილდება. - ადგილზე გასული გუნდები კი მეოთხედფინალებიდან გააგრძელებენ ბრძოლას ევროპული სანაკრებო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოსათვის.

| I ჯგუფი | VI ჯგუფი |
|---|---|
| საფრანგეთი | ესპანეთი |
| სლოვენია | უკრაინა |
| ისრაელი | საბერძნეთი |
| კვიპროსი | ჩრდ. ირლანდია |
| მალტა | სომხეთი |
| **II ჯგუფი** | **VII ჯგუფი** |
| რუმინეთი | თურქეთი |
| დანია | ინგლისი |
| ნორვეგია | სლოვაკეთი |
| ბოსნია | მაკედონია |
| ლუქსემბურგი | ლიხტენშტაინი |
| **III ჯგუფი** | **VIII ჯგუფი** |
| ჩეხეთი | ბელგია |
| ჰოლანდია | ხორვატია |
| ავსტრია | ბულგარეთი |
| ბელარუსი | ესტონეთი |
| მოლდოვა | ანდორა |
| **IV ჯგუფი** | **IX ჯგუფი** |
| შვედეთი | იტალია |
| პოლონეთი | იუგოსლავია |
| უნგრეთი | ფინეთი |
| ლატვია | უელსი |
| სან მარინო | აზერბაიჯანი |
| **V ჯგუფი** | **X ჯგუფი** |
| გერმანია | ირლანდია |
| შოტლანდია | რუსეთი |
| ისლანდია | შვეიცარია |
| ლიტვა | საქართველო |
| ფარერები | ალბანეთი |

# როგორ დაკარგა საქართველომ „წყალბურთის რივალდო“

*სიდნეის ოლიმპიადაზე კურიოზული ფაქტი მოხდა: მოცურავეთა დარბაზში შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელი გულმხურვალედ ქომაგობდა 20 წლის უგანდელ სპორტსმენს, რომელმაც ძლივძლივობით დაფარა 100-მეტრიანი დისტანცია 2 წუთში (?!). ბუნებრივია, ეს შავკანიანი ახალგაზრდა ბოლო ადგილზე გავიდა. ხალხი კი იმიტომ გულშემატკივრობდა, რომ არ დამხრჩვალიყო — როგორც გაირკვა, მის ქვეყანაში საწვრთნელი საცურაო აუზები საერთოდ არ ყოფილა.*

*ეს ამბავი საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების ყაზანური გამარჯვების გამო გაგვახსენდა. ამ ბიჭებს სახელმწიფო ვერანაირად ეხმარება, ფაქტობრივად, ღვთის ანაბარა არიან დარჩენილები და მათგან ხეირიან თამაშსა და წარმატებას როგორღა უნდა ველოდოთ? მაგრამ სასწაულებიც ხომ ხდება?! თანაც, უგანდელებისგან განსხვავებით, ქართველებს ერთ დროს წყალბურთის საკმაოდ ძლიერი სკოლა გვქონდა.*

*მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქართველ წყალბურთელებს მოსამზადებელი პირობები აღარ გააჩნიათ, მწვრთნელთა სერიოზული მუშაობის შედეგად 20 წლის ბიჭებისგან დაკომპლექტებულმა ეროვნულმა გუნდმა საოცრება მოახდინა. ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრები დაბრუნდა ყაზანიდან, სადაც რუსეთის ღია პირველობაზე ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა და უფრო გამოცდილი გუნდები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა. თანაც, ჩვენებური, ზურაბ რურუა ტურნირის ბომბარდირიც გახდა.*

*სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ირაკლი მეძმარიაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში გუნდური სათამაშო სახეობების წარმომადგენელთა შორის წყალბურთელებს ყველაზე მეტი შანსი აქვთ ოლიმპიადაზე მოსახვედრად. არადა, დამოუკიდებლობის პერიოდში ამის პრეცედენტი არც ყოფილა. ამიტომაც დეპარტამენტის თავმჯდომარე საჭიროდ მიიჩნევს წყალბურთის ფედერაციის განსაკუთრებულ დაფინანსებას.*

*რა თქმა უნდა, სათამაშო სახეობებში ყველაზე დიდ წარმატებას ბოლო დროს რაგბიში მივაღწიეთ, მაგრამ რაგბი დღემდე ოლიმპიური სახეობა არ ყოფილა, 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე მხოლოდ მისი პრეზენტაცია შედგება (და არა ოფიციალური ტურნირი). რაც შეეხება წყალბურთს, თუკი გუნდი როგორმე ოლიმპიადამდე „გავათრიეთ“, მერე იქნებ სპონსორებიც გამოჩნდნენ. ასე რომ, ღირს ამ საკითხზე დაფიქრება.*

*წყალბურთის სამყარო კი პესიმისტურად არის განწყობილი. ბავშვთა წყალბურთის სპეციალისტი კახა კინწურაშვილი სერიოზულად არის შეშფოთებული: ეროვნული ნაკრების შესახებ საუბარი თითოეულ ჩვენგანს გულს ტკენს. უნიჭიერესი ბავშვები გვეზრდებიან, მაგრამ შემდეგ იკარგებიან. ევროპაში ხომ არც საკლუბო და არც სანაკრებო დონეზე გასასვლელი არ გაგვაჩნია. ჩემი ბავშვები უკრაინის ჩემპიონატში მონაწილეობენ, სოსო მაისურაძის გუნდი — რუსეთის ღია პირველობაზე. არსებული მდგომარეობა ბავშვებს სხვა გზას აღარც უტოვებს — ან სპორტს უნდა ჩამოშორდნენ, ანაც*



*უცხოეთში გააგრძელონ კარიერა. ვითარების შეცვლას კი მცირე დრო არ ეყოფა.*

*ზვიად დავითიანი, ქართული წყალბურთის ვარსკვლავია. იგი იუგოსლავიაში, რუსეთსა და გერმანიაში თამაშობდა, იცის ჩვენი წყალბურთის რეალური პოტენციალი და ამიტომაც უზომოდ სწყდება გული:*

— ეროვნული ნაკრების აღდგენაზე დიდი ხანია ვოცნებობთ, მაგრამ საამისოდ არავის სცალია.

— **კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— ყველას — ერთად აღებულს, სახელმწიფოს ხელმძღვანელობიდან დაწყებული, სპორტის მმართველებით დამთავრებული.

— **მეძმარიაშვილი წყალბურთის ნაკრების განსაკუთრებული მზრუნველობის მომხრეა.**

— ყაზანში ბავშვების წარმატება მაინც უნდა აფიქრებდეს ზოგიერთებს, მაგრამ ასე არ ხდება. ამ დროს ჩვენ უნიჭიერესი თაობა გვეზრდება. ეროვნული ნაკრები რომ აღვადგინოთ, რუსეთის ნაკრების წევრი რეზო ჩომახიძე სიამოვნებით ითამაშებს ჩვენთან. ოთხი წელი ელოდა ნაკრების აღდგენას და რომ ვერ მოესწრო, სხვა გზა არ დარჩა, რუსეთში გადავიდა.

— **რომ მოხდეს სასწაული და ნაკრები აღადგინონ, რისი იმედი უნდა გვქონდეს?**

— დარწმუნებული იყავით, რომ ევროპის საუკეთესო გუნდებში გავერეოდით, თუმცა ახლა ხალხი დაიფანტა და რა გითხრათ... ქვეყნის სახელს მაინც გავიტანდით, მაგრამ ეს ვის აინტერესებს?

*ამ დროს, იცით, ჩვენ რა დონის წყალბურთელი გვყავს? რეზო ჩომახიძე წყალბურთში იგივეა, რაც ფეხბურთში რონალდო, ფიგუ და რივალდო. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მისი დონის სპორტსმენი სათამაშო სახეობებში ქართველებს არ გვყავს. სხვა ნიჭიერი ბიჭებიც გვყავდა და უდიდესი შესაძლებლობის მქონე გუნდი დავკარგეთ. სწორედ ამ მიზეზების გამოა, რომ აღარ მჯერა, თუკი ვინმე წყალბურთს სერიოზულად მიხედავს.*

**ლაშა დუმბაძე**

# არანორმალური



კაცი ბჭობდა — ღმერთი იცინოდაო! — ორი წელიწადი იმტვრია თავი საკრივო სამყარომ, როგორმე მაიკ ტაისონისა და ლენოქს ლუისის ბრძოლა გამართულიყო. რის ვაივაგლახით მოგვარდა უამრავი პრობლემა, რომელიც „საუკუნის ბრძოლის“ გამართვას უშლიდა ხელს, უზარმაზარი ჰონორარიც დაუწესეს მოკრივეებს, ჩხუბის დღეც დათქვეს, პრესკონფერენციაც მოიწვიეს და სწორედ იქიდან წამოვიდა ბრძოლის ჩაშლის რეალური საფრთხე, საიდანაც ამას არავინ ელოდა. გასულ სამშაბათს ნიუ-იორკის „მილენიუმ ჰოტელში“ პრესკონფერენცია იყო დანიშნული, სადაც ოფიციალურად უნდა გამოეცხადებინათ, რომ მიმდინარე წლის 6 აპრილს, ლას-ვეგასში ლუის-ტაისონის ჯახი უნდა გამართულიყო. რასაკვირველია, პრესკონფერენციას ორივე მოკრივე უნდა დასწრებოდა. მოვლენები კი ასე განვითარდა: შავად შემოსილი ტაისონი და თეთრ პიჯაკში გამოწყობილი ლუისი ერთმანეთის შესახვედრად დაიძრნენ, ლუისის ბანაკიდან ვიღაც ახმახი ტაისონს წინ გადაუდგა — ცუდი ამბავი არ მოხდესო, მაიკმა კი, არც აცია, არც აცხელა და ისე მოუქნია მუშტი, რომ მოხვედროდა, ალბათ სულსაც გააფრთხობინებდა. ჩხუბში ლუისიც ჩაება და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — ვინ ვის ურტყამდა, ვერავინ გაიგებდა. ლუისი დარბაზიდან გავიდა. თავგატეხილი ტაისონი კი დარჩა და პუბლიკას ისეთი ჟესტებით მიმართა, გაზეთში რომ არ დაიწერება.

მომხდარი 29 იანვარს უნდა განიხილოს სპეციალურმა კომისიამ. მეტად საეჭვოა, ნევადის შტატის ხელმძღვანელობამ ტაისონს საკრივო ლიცენზია მისცეს, ლიცენზიის გარეშე კი, ლუისტაისონის ბრძოლა ბუნებრივია, არ გაიმართება. ერთნი ამბობენ, ტაისონი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ხელოვნურად ჩაეშალა 6 აპრილის ჩხუბიო, ზოგი პირიქით — ლუისის ბანაკს ადანაშაულებს. რაც არ უნდა იყოს, ფაქტია — ორი წლის ნანატრი ბრძოლა ჩაშლის პირასაა.

## საჭადრაკო კლუბი



**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ეe1-g1!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს **ხუთ** სვლაში.






# გამარჯობათ, ხალხო!

მე ფილთაქვა ვარ, ეს კიდე — ჩემი ჟურნალია, ახალი ჟურნალი!

რა მექნა, უსაქმოდ ვიყავი — ისეთი დრო მოვიდა, რომ ხალხი უშაქრო ჩაიზე და ხმელ პურზე დასვეს და მეც მარტო ახალ წელს თუ გამიჩნდება ხოლმე რამე დასანაყი. ჰოდა, ჩაიარა ამ ახალმა წელმაც და მეც საქმეს მოვკიდე ხელი! რატომაც არა?! ყველა მწერალ-ჟურნალისტობას იჩემებს და მე სხვაზე ნაკლები რითი ვარ?! იმ ზოგიერთს რომ ხის თავი აქვს და მე — ქვისა, ეგ არაფერს ნიშნავს! თანაც წერა-კითხვის უცოდინარებზეც ვიზრუნე: ვისაც სკოლაში არ უვლია, იყიდოს ხოლმე ეს ჟურნალი და მარტო სურათები ათვალიეროს! ცოტათი გაგელიმებათ, იქნება ზოგმა იხარხაროთ კიდეც და სიცილი, ხომ იცით, ჯანმრთელობას უხდება! თანაც ამ უფულობა-უწამლობის დროს — იყიდით ათშაურიან ჟურნალს, იცინებთ კიდეც და იმკურნალებთ კიდეც, დაზოგილი ფული პრეზიდენტის ფონდში გადარიცხეთ!..

ეხლა, მართლა მასხარა კი არა ვარ, რომ მარტო სახითხითოდ მომეკიდა ხელი ამოდენა საქმისთვის — ზოგ-ზოგებს ძალიანაც არ გაეცინებათ ჩემი ნახვისას, მაგათ ოხტშიც უნდა ამოვიდე: განახებთ ჩემს ფურცლებზე ჩემი როდინით გადავლილებს და სახაშე ნიორივით ჩანაყულებს!

მოკლედ, ეგრეა: ეს მე და ესეც ახალი ჟურნალი! ფილთაქვა საჭირო რამეა და აბა თქვენ იცით, ხელი შემიწყვეთ — მომწერეთ, დამირეკეთ, იქნებ ვინმე დასანაყი იცოდეთ, არ დაგზარდებით!

*„ფილთაქვა“*



სამშაბათს, 29 იანვარს

ახალი, ძალიან „მაგარი“, და არა მარტო სასაცილო ჟურნალი

სიცილი ჯანმრთელობაა!!!

# გორბაჩოვს მილიონერის ცოლი ნამეტნავად შეუყვარდება?!.



კალიფორნიელი 50 წლის დაიანა მაიერი მდიდარი, ლამაზი, განათლებული ქალია. ბოლო დროს მსოფლიოს გაზეთები ერთხმად წერენ, რომ უნუგეშო ქვრივის მიხაილ გორბაჩოვის გულში მან რაისა მიქსიმოვნას ადგილი დაიჭირა. ამერიკელი ქალბატონი რუსეთის ექსპრეზიდენტივით ფილანთროპია, მასავით გატაცებულია გარემოს დაცვის პრობლემებით. მან დააარსა GLOBAL CZEEN USA, რომელიც ამერიკული ფილიალია გორბაჩოვის მიერ რუსეთში დაარსებული ეკოლოგიური ორგანიზაციისა. იმისათვის, რომ დაიანასთან ყოფნის საშუალება ჰქონდეს, გორბაჩოვი საცხოვრებლად სან-ფრანცისკოში გადავიდა — წერს გაზეთი „დეილი ნიუსი“.

„ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ სან-ფრანცისკოში მცხოვრები ყველაზე ცნობილი რუსი მიხაილ გორბაჩოვია. მას ჯერ კიდევ 1990 წელს ქალაქმა აჩუქა მიწის ნაკვეთი, ახლა აქ გორბაჩოვის ფონდის ოფისია. ის და დაიანა მაიერ-საიმონი ერთობლივმა სამუშაომ დააკავშირა. გორბიმ დაარღვია მისი მრავალწლიანი ოჯახური ცხოვრება მილიარდერ ჰერბ საიმონთან. დაიანას და მის მეუღლეს სამი შვილი ჰყავთ. „ფორბსმა“ ჯერ კიდევ 1996 წელს შეაფასა ოჯახის ქონება 355 მილიონ დოლარად.

***კომსომოლსკაია პრავდა №11***

# ქრომოსომული ქალშვილი

ამერიკელი ფსიქიატრების ასოციაცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ განცხადებას, რომ ჰომოსექსუალიზმის მორჩენა შეიძლება ისევე, როგორც ჩვეულებრივი სულიერი დაავადებისა. „სულის ანუ ჰომოსექსუალისტად დაბადებული ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნა ყოვლად შეუძლებელია“, — ამტკიცებენ სპეციალისტები.

მაგრამ მეცნიერთა ეს თეორიული მსჯელობა თავდაყირა დააყენა მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა, სან-დიეგოელმა ემილი სიუზიმ.

ამ ლამაზმა ქერათმიანმა განაცხადა, რომ სამ დღეში შეუძლია მთლიანად შეუცვალოს მამაკაცს ნებისმიერი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია ჩვეულებრივით. — ჯერ არ დაბადებულა არც ერთი მამაკაცი, რომელსაც მე ვერ გავუმკლავდები, — ამბობს სიუზი და თავი ღმერთის რჩეულად მიაჩნია, რათა სატანისგან გამოგზავნილი „ცისფერობისგან“ მამაკაცები განკურნოს.

ოცი წლის ლამაზმანი სამ ფსიქოთერაპევტთან ერთად მუშაობს და უკვე 250 გეი ნორმალურ მამაკაცად აქცია სექსუალური სეანსების წყალობით.

ცნობილი გამომცემლობის რედაქტორი ჰარის. ამბობს, რომ ყმაწვილობიდანვე თავს ჰომოსექსუალისტად გრძნობდა და ქალთან არასდროს ჰქონია კონტაქტი. საკმარისი იყო მხოლოდ ერთი ინტიმური შეხვედრა ემილისთან, რომ ჰარის მამაკაცებისადმი ლტოლვა სამუდამოდ გაუქრა. ის ახლა ნორმალური მამაკაცია და უზომოდ მადლიერია ემილისა.

***სობესედნიკი №2***



# ძილისთვის დროს არ კარგავს

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ საკვების გარეშე ადამიანი ერთ თვეს ძლებს, ხოლო უძილოდ რამდენიმე დღის შემდეგ ფსიქიკის მოშლილობა შეემჩნევა და გიჟდება. ეს ამბავი ძალიან კარგად იციან გამომძიებლებმა და დანაშაულში ეჭვმიტანილის გამოსატეხად უძილობის მეთოდს იყენებენ.

მაგრამ ტიბეტში მომუშავე მკვლევარებმა საოცარი აღმოჩენა გააკეთეს: მათ მიაგნეს მოხუც ბუდისტ ბერს, რომელსაც უკვე 86 წელია, თვალი არ მოუხუჭავს. უძილობა ბერს დაეწყო მაშინ, როცა თერთმეტი წლისა იყო.

თავდაპირველად, მეცნიერებმა არ დაუჯერეს ბერის მტკიცებას, რომ მას თითქმის საუკუნეა რული არ მიჰკარებია, მაგრამ უკვე პირველი კვირის ბოლოს, როცა ისინი იკვლევდნენ ბერის ამ საოცარ ნიჭს ან სასჯელს, მივიდნენ დასკვნამდე, რომ მოხუცს ძილი მართლაც არ სჭირდებოდა.

ბერი ვენაში ჩამოიყვანეს, სადაც ექსპერტებმა მას თანამედროვე ტესტები ჩაუტარეს. გაირკვა, რომ ბერს კი სძინავს, მაგრამ მისი ძილი მეტად თავისებურია. მას თვალები გახელილი აქვს, თავისუფლად საუბრობს და ამ დროს მისი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა მასზე მიერთებული ხელსაწყოების თანახმად, მძინარე ადამიანის მონაცემებამდე იწევს. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ბერის ორგანიზმი მაინც პერიოდულად გადაირთვება ხოლმე ძილის რეჟიმზე, მაგრამ მისი სხეული და ტვინი განაგრძობს ღვიძილის რეჟიმში ფუნქციონირებას.

თავად ბერი ირწმუნება, რომ უძილობაში მას ეხმარება „ციური ენერგია“, რომელიც განუწყვეტლივ „ჩაედინება“ მის სხეულში.

***მედიცინა №1***

# პრინცესა ინგლისურს ციხეში ისწავლის

ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოს (აშშ) პოლიციამ საუდის არაბეთის პრინცესა ბუნია ალ საუდი დააპატიმრა შინამოსამსახურის სისტემატური ცემის ბრალდებით.

მეფე ფაჰდის 42 წლის დისშვილი პოლიციაში მეზობლებმა დაასმინეს — მათ დაუნახავთ, როგორ გამოვარდნილა გასისხლიანებული ქალი სახლიდან — ინდონეზიელი მემედ ისმაითი ირწმუნება — დიასახლისმა თავი კედელზე მიმარტყმევინა, მერე კი კიბეზე დამაგორაო. მეფური მრისხანების მსხვერპლს მუხლიც დაზიანებული აქვს და საავადმყოფოში მოათავსეს. მემედს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, გაუსწორდეს გულქვა პრინცესას, რომელიც, მისი თქმით, „ხშირად ტყეპდა“.

პოლიციას ბუნიას დასაჭერად დიდი ოფლის ღვრა დასჭირდა — შეშინებულმა პრინცესამ დაპატიმრების შიშით, მდიდრული აპარტამენტები მიატოვა და იაფფასიან სასტუმროში დაიდო ბინა. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ბუნია ალ საუდი აშშ-ში ტურისტული ვიზით, ინგლისური ენის შესასწავლად ჩასულა, ე.ი. დიპლომატიური ხელშეუხებლობა მასზე არ ვრცელდება. თუ პრინცესას ბრალდება დაუმტკიცდა, ინგლისური ენის შესწავლა ციხეში მოუწევს — საამისოდ დროც საკმაო ექნება — არა უმცირეს 15 წლისა.

***ეხო პლანეტი №1***

# უძვირფასესი ტორტი



მსოფლიოში განთქმული შოტლანდიური ვისკის მწარმოებლის დევიდ რობერთსონის მეუღლემ გადაწყვიტა, ქმრისთვის დაბადების დღე ტორტით მიელოცა.

გადაწყვეტით კი გადაწყვიტა, მაგრამ ერთი ინგრედიენტი დააკლდა — ღვინო. მარკეტში წასვლის დრო აღარ იყო, ამიტომ ისევ ოჯახის მარანს მიაშურა და ქმრის ვისკის მარაგს ერთი ბოთლი გამოაკლო, ყველაზე უბრალობოთლიანი, უეტიკეტო და დამტვერილი.

საღამოს სტუმრები მობრძანდნენ და იუბილარს დაბადების დღე მიულოცეს. ყველა აღაფრთოვანა დიასახლისის ნახელავმა სურნელოვანმა ტორტმა. ნასიამოვნებმა დევიდმა ცოლს რეცეპტი ჰკითხა. ქალმა უთხრა და ისიც არ დაუმალავს, პორტვეინი აღარ გვქონდა და ამიტომ მარნიდან ვისკი ამოვიტანეო. დევიდ რობერთსონმა გმირულად გადაიტანა დარტყმა. თურმე მის მეუღლეს 3.000 დოლარად ღირებული საუკეთესო ვისკი გამოუყენებია. „აბა, ბიჭებო, ჭიქები მოიმარჯვეთ და თითოც გადავკრათ“, — სულ ეს იყო, რაც რობერთსონმა თქვა და ძირტკბილას სასმლის დიდი ყლუპით დაიოკა ნერვები.

***ეხო პლანეტი №52***

# იპარავს ყველა, თვით პელეც კი



ბრაზილიაში პელეზე რომ თქვათ, თაღლითიაო, იგივეა, მზეს ჩაქრობა რომ უბრძანო. ინგლისი კი არის ფეხბურთის სამშობლო, მაგრამ ფეხბურთის ქვეყანა — ბრაზილიაა. აქ ფეხბურთს მოსახლეობის ნახევარი თამაშობს, გულშემატკივარი კი ყველაა. სწორედ ბრაზილიაში უნდა დაბადებულიყო პელე, უდიდესი ფეხბურთელი, რომელსაც ბრაზილიაში ღმერთივით ეთაყვანებიან. ბრაზილიელები მას სიამოვნებით აირჩევდნენ ქვეყნის პრეზიდენტადაც კი, მაგრამ პელე არ დათანხმდა, თუმცა მინისტრიც იყო და ელჩიც.

პელეს ადანაშაულებენ იმაში, რომ მისი სახელის გამო ფირმაში ჩაურიცხეს საერთაშორისო საბავშვო ფონდის კუთვნილი 700 ათასი დოლარი, რომელიც შეპირებული საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩის ჩატარების შემდეგ, ბავშვებს მოგებულ თანხასთან ერთად დაუბრუნდებოდა.

მატჩი არ შედგა. ფონდის კუთვნილი ფულიც გაქრა.

პელე თავს იმართლებს — მე არაფერ შუაში ვარ, რადგან ნახევარზე მეტ დროს აშშ-ში ვარ, ჩემს საკუთარ სახლში და თანხის გაუჩინარებაში ბიზნესში ჩემი პარტნიორი ჰელიო კიანაა დამნაშავე, რომელმაც ზემოხსენებული თანხის გარდა, ჩვენი საერთო კომპანიის 9 მლნ დოლარიც მიითვისაო.

ბრაზილიელებს უნდათ დაიჯერონ, რომ პელე თაღლითობის მსხვერპლია და მან მართლაც არაფერი იცოდა, მაგრამ უკანასკნელი საფეხბურთო სკანდალების შემდეგ, სადაც პელეს სახელი ფიგურირებდა, ამის დაჯერება ჭირს.

„პელე ნამდვილად ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელია, მაგრამ მხოლოდ ფეხბურთელის დონით — ბრაზილიელებს ეგონათ, პელე ბიზნესში და პოლიტიკაშიც ისეთივე შეუდარებელი იქნებოდა, როგორიც საფეხბურთო მოედანზე იყო. რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის იმაში დარწმუნება, რომ პელე მხოლოდ და მხოლოდ სპორტსმენია“, — ამბობს საფეხბურთო გაზეთის „პლაკარის“ გამომცემელი სერხიო ფილო.

პელე საოცრად სიმპათიური ადამიანია. მისი ყველას სჯერა. ის მიამიტი ბავშვია, როცა საქმე პასუხისმგებლობას ეხება. მისი მოტყუება იოლზე იოლია. მაგრამ ეს ეპატიება 20 წლის პელეს და არა სამოცს გადაცილებულ ადამიანს, რომლისთვისაც ასეთი ახსნა-განმარტება სისულელის ტოლფასია.

***კრიმინალნაია ხრონიკა №1***

# ანტენა თავის ქალაში



მელბურნელ ოფიციანტს ფრედი ბრენერს არავითარი რადიომიმღები არ სჭირდება, რადგან ანტენა თავში აქვს. რამდენიმე თვის წინ, სამსახურში, ფრედმა ტრავმა მიიღო, რომლის შემდეგაც თავის ქალაში დარჩა რკინის ნამსხვრევი — ღვინის ბოთლს ხსნიდა, ფეხი დაუცდა და პირდაპირ ხელიდან გავარდნილი შტოპორზე დაეცა.

ექიმების თქმით, ნამსხვრევი თავის ქალაში 45 გრადუსით შევიდა, თანაც ზუსტად იმ ნაწილზე, რომელიც პასუხს აგებს სმენაზე. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ უმჯობესია არ შეეხონ რკინის ნამსხვრევს, პაციენტი ამაზე თანახმაა. მეტალის ნაჭერი თავის ქალაში რადიომიმღების ანტენასავით მუშაობს. ფრედს ყოველთვის ესმის მუსიკა და ახალი ამბების გამოშვება მსოფლიოს ყველა ენაზე. გარდა ამისა, გადაცემების მოსმენა შეუძლიათ მისგან 10 მ-ით დაშორებულ ადამიანებსაც. ფრედის ეს ცოტა უხერხულობას უქმნის, მაგრამ სიამოვნებს ყურადღების ცენტრში ყოფნა.

***მეგაპოლის-ექსპრესი №2***

# ობობა-მეცნიერი

ზოოლოგებმა დაადგინეს, რომ თუ ობობას მისცემენ დასაძინებელს, სულ სხვანაირი ქსელის ქსოვას დაიწყებს. ქსელის სახე იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელ ნივთიერებას შეუყვანენ ობობას. ამ მოვლენით დაინტერესდნენ კრიმინალისტები და არცთუ შემთხვევით. მართლაც, როდესაც საჭიროა იმის გარკვევა, თუ რომელი შხამით არის მოწამლული ადამიანი, საკმარისია მისი სისხლის წვეთი მოხვდეს ობობაში და შემდეგ გადაიღონ მის მიერ მოქსოვილი ბადე (მას სპეციალურ ალბომში აღნუსხულ ქსელის სახეობებს შეადარებენ), რომ გაირკვეს შხამის სახე. ამბობენ, ობობა არასოდეს შემცდარაო.

***ნლო***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნიკოლოზ ბარათაშვილის ფრაზას ამოიკითხავთ.**




**კ.** ხის ნუჟრი, კორძი; **ვ.** პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი მამაკაცებისათვის; **ი.** დაცინვითი შინაარსის ლექსი; **რ.** გზა, საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე, რომელსაც გადის გემი; **ი.** ესპანელი — ტორსიდორი, იტალიელი — ტიფოზი, ბრაზილიელი — ? **ს.** სახუმარო შინაარსის მცირე საესტრადო პიესა; **პ.** ანტიკური ქალაქი იტალიაში, რომელიც ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა; **ა.** რა ერქვა პიპინია ერისთავის ნაბოლარა შვილიშვილს მხატვრულ ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა“; **ლ.** მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; **ი.** მომღერალი ფრინველი; **ტ.** თვითმფრინავის კიბე; **რ.** ცხოვრების, შრომის ან დასვენების მტკიცედ დადგენილი წესი; **ა.** მთა, სადაც გაჩერდა ნოეს კიდობანი; **თ.** თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ქ.** თევზის კვერცხების ერთობლიობა; **ვ.** იტალიელი ზღვაოსანი; **ე.** დგამი, რომელიც შედგება ერთმანეთის თავზე რამდენიმე რიგად მოწყობილი თაროებისაგან; **ნ.** პურის მოსამკელი იარაღი; **ი.** იაპონური მხატვრობა, რომელსაც ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან ქმნიან; **მ.** ნათესი მინდვრის, ბაღისა და ვენახის მცველი; **ე.** მეგრული კერძი; **გ.** მედუზა, რომელიც პერსევსმა მოკლა; **ზ.** ზღვის დიდი მტაცებელი თევზი; **უ.** ლონდონის სახელგანთქმული სტადიონი; **რ.** შეკრული და გარეკანში ჩასმული ქაღალდის ფურცლები; **ი.** ჭადრაკის სამშობლო; **ა.** ჰუნების ლეგენდარული მეფე.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კანბერა; **ვ.** ვრუბელი; **ი.** იამბიკო; **რ.** რეიტერი; **ი.** იმამატი; **ს.** სატანა; **პ.** პროლოგი; **ა.** აკვანი; **ლ.** ლიე; **ი.** იობი; **ტ.** ტალი; **რ.** რაეო; **ა.** არქიელი; **შ.** შასი; **ე.** ეოსი; **ნ.** ნიუტონი; **ი.** ისთვუდი; **მ.** მევახშე; **ე.** ეტიკეტი; **გ.** გესლი; **ზ.** ზეტი; **უ.** უფოლოგი; **რ.** რამზესი; **ი.** იგოეთი; **ა.** ალდაგი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ.**

CMYK

## №3 (277) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 582 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 192-მა ქალმა და 384-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვის უწინასწარმეტყველებთ წარმატებულ მოღვაწეობას დღევანდელ პოსტზე?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 42 ყველაზე წარმატებულ კარიერას დღევანდელ სახელმწიფო მინისტრს უწინასწარმეტყველებს. რესპონდენტთა მხოლოდ 2-მა შეაფასა ჯანმრთელობის ექსმინისტრი მინიმალური — 1 ქულით. როგორც ვხედავთ, მკითხველთა საკმაოდ დიდ ნაწილს ეჭვი არ ეპარება მინისტრის პოსტზე გამოცდილებამიღებული ჯორბენაძის წარმატებაში. ამის საფუძველს რესპონდენტებს პრეზიდენტის მისადმი კეთილგანწყობაც აძლევს. **7,17** საშუალო ქულით ავთანდილ ჯორბენაძე პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ვალერი ხაბურძანიაა, საშუალო ქულაა 6,71. მაქსიმალური — 9 ქულით იგი მკითხველთა 20-მა შეაფასა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს საერთო ის აქვთ, რომ სამივე მათგანს მკითხველთა მხოლოდ 2-მა დაუწერა მინიმალური ქულა.

შინაგან საქმეთა მინისტრი 6,39 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

რესპონდენტები სკეპტიკურად უყურებენ ნოღაიდელის, კარტოზიასა და ჩხობაძის უკვე ნაცად ასპარეზზე ხელმეორედ სვლას. ყველაზე მეტად კი ნინო ჩხობაძის წარმატებაში ეპარებათ ეჭვი. მკითხველთა 47-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით. ყველაზე ნაკლები რაოდენობის (0,87) მაქსიმალური ქულის მფლობელი კი ალექსანდრე კარტოზიაა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი 69 წლის თბილისელი **პარმენ ლუდუშაურია.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, ალექსანდრე კარტოზიას 2-ის ნაცვლად — 1 ქულა (მეცხრე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო ნინო ჩხობაძეს კი პირიქით — ერთის ნაცვლად — ორი ქულა (მერვე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 30 იანვარს, 17 საათზე.

## № 4 (278) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№4 (278) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 30 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 31 იანვრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №4 (278) — „არაპოლიტიკოსი“ პოლიტიკოსები

**რომელი „არაპოლიტიკოსი“ პოლიტიკოსის მიმართ ხართ ყველაზე კეთილგანწყობილი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№4(278) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პოლიტიკოსი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ზურაბ ქაფიანიძე | |
| 2 | ელდარ შენგელაია | |
| 3 | ელიზბარ ჯაველიძე | |
| 4 | ლანა ღოღობერიძე | |
| 5 | ვახტანგ ბოჭორიშვილი | |
| 6 | მუხრან მაჭავარიანი | |
| 7 | დიმა ჯაიანი | |
| 8 | ჯანსუღ ჩარკვიანი | |
| 9 | რეზო მიშველაძე | |

*მკითხველის რეიტინგი*

**პირველ რიგში რა სიტყვასთან ასოცირდება თქვენთვის ცნება „ჩინოვნიკი“?**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი __________ ტელეფონი __________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

**კითხვა: ვის უნდა ეშინოდეს დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონის ყველაზე მეტად?**

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | ვანო ჩხარტიშვილი | 606 |
| 2. | კახა თარგამაძე | 562 |
| 3. | ედუარდ შევარდნაძე | 302 |
| 4. | სოსო ალავიძე | 137 |
| 5-6. | ვახტანგ ქუთათელაძე | 105 |
| 5-6. | ნუგზარ შევარდნაძე | 105 |
| 7. | ზაზა სიორიძე | 88 |
| 8. | ნიკო ლეკიშვილი | 41 |
| 9. | ზურაბ ნოღაიდელი | 33 |
| 10. | ასლან აბაშიძე | 29 |

**ქულების მინიჭება შემდეგნაირად მოხდა: მკითხველებმა დაასახელეს სამ-სამი პიროვნება, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონის. I ადგილზე დასახელებული პიროვნება 3 ქულის მფლობელია, II-ზე — ორის, ხოლო III ადგილზე დასახელებული კი — ერთის. ქულები იკრიბება და მათი ჯამი განსაზღვრავს რეიტინგულ თანამიმდევრობას.**

კითხვაზე პასუხის გაცემა 4-ს გაუჭირდა; 2 მიიჩნევს, რომ ამ კანონის არავის არ უნდა ეშინოდეს; 9-ის აზრით კი — თითქმის ყველა ჩინოვნიკსა და პარლამენტარს.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად „თანამდებობიდან და მოდიდან გადასვლისა,“ მკითხველთა უმრავლესობა დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონის მოშიშ ადამიანებად ექსმინისტრებს ასახელებს.

ერთ-ერთი მკითხველი კი თვლის, რომ ამ კანონის ყველაზე მეტად სიდედრებს, სიმამრებსა და მძახლებს უნდა ეშინოდეთ.

*მკითხველის რეიტინგში 507-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ვანო მერაბიშვილი...



გიორგი ბარამიძე, გოგი თოფაძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 127 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**გ.ბ.** — მოქკავშირმა ქვეყანას რალაცა ხომ მაინც არგო?!
**გ.თ.** — მოიცა, გიაჯან, შენ რა, ქართული არ გისწავლია? „არგო“ კი არა, უნდა თქვა: მოქკავშირმა ქვეყანას რალაც ხომ მაინც „ყაზბეგი“!

***ირაკლი შალამბერიძე, ზესტაფონი***

**გ.თ.** — გია, ორი მარწყვივით „კროშკა“ გველოდება მანქანაში!
**გ.ბ.** — ბიუჯეტის განხილვა?!
**გ.თ.** — ბიუჯეტს ნუ მიხსენებ, თორემ მერე ვიაგრაც აღარ მშველის!

***სვანი, თბილისი***

**გ.ბ.** — გოგი, ერთი ბოთლი ლუდი გამიხსენი ნისიად რა, პახმელიაზე ვარ.
**გ.თ.** — ერთს კი არა, ორს გაგიხსნი, მაგრამ არა ხარ, ძმაო, მომტანი.

***ზაირა ხომერიკი, თბილისი***

**გ.თ.** — მე შეგივსოთ ბიუჯეტი? გაანძრიეთ ხელი და გექნებათ!
**გ.ბ.** — ვანძრევთ, ბატონო გოგი, ვანძრევთ, მაგრამ არაფერი არ გამოგვდის.

***ემზარი, რუსთავი***

**გ.თ.** — კიდევ ორი მილიონი მინდა, ჩემო გიორგი და, „ყაზბეგის“ ბოტასებსაც გამოვუშვებ.

***ვახტანგ აბულაძე, თბილისი***

**გ.თ.** — ორჯერ ორი რამდენია, გია, მიპასუხე?
**გ.ბ.** — წავალ, რა, მიშიკოს და ზურას ვკითხავ?!

***ნანა ახალკაციშვილი, თბილისი***

**გ.ბ.** — ბოლო დროს, ყველაფერი მავიწყდება, მგონი შემოლაწუნება მინდა.
**გ.თ.** — სთხოვე სოსო ალავიძეს, ორჯერ შემოგილაწუნებს და თანაც ფულსაც მოგცემს.

***მურმან გიგანი, ლენტეხი***

**გ.თ.** — აბა, თუ იცი, ამ ორ თითს ერთიც რომ მიუმატო, რა გამოვა?
**გ.ბ.** — რა და, სამი თითის კომბინაცია, რომლითაც ყოველდღე ვკვებავთ ცალკე მთავრობა და ცალკე პარლამენტი ჩვენს საზოგადოებას.

***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***

**გ.თ.** — ორჯერ ორი რამდენია?
**გ.ბ.** — ხუთი!
**გ.თ.** — ორჯერ სამი?
**გ.ბ.** — ცხრა!
**გ.თ.** — ძნელაძეც ეგრე თვლის შემოსავლებს და იმიტომაც სრულდება ბიუჯეტი!

***ბადრი, ზემო ხანდაკი***

**გ.ბ.** — სპიკერის არჩევაზე 25 000 დოლარი ქრთამი მომცეს.
**გ.თ.** — მე ორი მილიონი, მაგრამ რად გინდა, გიო ცერცვაძის არ იყოს, მონღოლურ ტუგრიკებში გადამიხადეს. ახლა დავდივარ „ვალუტნი“ ჯიხურებში, ოც ლარზე მეტს არ იძლევიან.

***ა.ე., რუისელი***

C

## ფოტო განწყობისთვის



— ფილოსოფიის გზას ვერ მიმასწავლით?




## წინა სკანვორდის პასუხები






## ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე —* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტასა და დედოფლისწყაროში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან.*** *ბოლნისში* ***თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.*** *ქინვალსა და დუშეთში* ***— თვის III კვირის ოთშაბათს.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### (4) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№4 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 31 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

**„ალიგატორ სერვის“**

ყველა ტიპის სიგნალიზაციის დამონტაჟება, შეკეთება, მინის ელექტროამწევებისა და აუდიოსისტემების მონტაჟი.




**გარანტიით 20% ფასდაკლება**

მის: ვაჟა-ფშაველას №37

☎899 50-31-52

**ფირმა „ბერმუხა“**



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



ნული მინდორში მიგორავს. ხედავს, ბუჩქის ძირას რვიანი გაწოლილა. ნული ფიქრობს: „ღმერთო ჩემო! ამ სიცხეში რა დროს სიყვარულობანაა...“

* * *

ბარში შედის კენგურუ და ბარმენს მიმართავს:

— ჯინ-ტონიკი თუ გაქვთ?

— რა თქმა უნდა!..

— რა ღირს?

— 15 დოლარი.



კენგურუმ გადაჰკრა ჯინ-ტონიკი და წასვლა დააპირა. ბარმენი აჩერებს:

— ერთი წუთით. თქვენ რა, ნამდვილი კენგურუ ხართ, თუ გადაცმული მსახიობი?

— რა თქმა უნდა, ნამდვილი.

— ლაპარაკი შეგიძლიათ?!

— აბა, როგორ!

— ხომ ვერ დარჩებოდით ცოტა ხანს, ვისაუბროთ, თორემ ჩვენთან თქვენნაირები იშვიათად თუ მოხვდებიან.

— აბა, რა იქნება? ჯინ-ტონიკი 15 დოლარი ღირს და!..

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“©**

**გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.